

### პროლოგი

ექვსი წლისას მზარეული მინდოდა გავმხდარიყავი, შვიდისას - ნაპოლეონი, და მას მერე თამასა აღარც დამინწვია.

ერთგან სტენდალი მავანი იტალიელი ბანოვანის სიტყვებს იხსენებს, რომელიც თურმე ბაფხულის ჩახუთულ საღამოს დიდის განცხრომით მიირთმევდა ნაყინს: „მართლა საცოდობაა, ასეთი სიამოვნება ცოდვად არ ითვლებოდეს!“ - წამოუძახია თურმე მას. ექვსი წლის ასაკში სამზარეულოში ჭამა ცოდვად მეთვლებოდა - სახლის ამ ნაწილში ფეხის შედგმაც კი ერთი იმგვარ საქციელთაგანი იყო, რასაც მშობლები გადაჭრით მიკრძალავდნენ. არადა, შემეძლო, საათობით მეტრიალა შორიახლოს - პირზე ნერწყვომდგარს, სანამ დროს მოვიხელთებდი და იმ საოცნებო გარემოში მოვახერხებდი შეღწევას! ნახევრად უმი ხორცის ნაჭერს მოვიხელთებდი ხოლმე, ანდა მომუშულ სოკოს, ლამის დაუღეჭავად ვყლაპავდი, მაგრამ ჩემთვის ერთსაც და მეორესაც განუმეორებელი გემო დაკრავდა - მხოლოდ შიშისა და დანაშაულის განცდის ნაზავი რომ მიანიჭებდა მსგავს სიმძაფრეს...

სხვა მხრივ შეზღუდული არაფრით ვყოფილვარ - შინ ტახტის მემკვიდრესავით დავაბიჯებდი, ოღონდ ჩემი გული მშობლებმა მაინც ვერაფრით მოიგეს, თუმც კი მზე და მთვარე ჩემზე ამოსდიოდათ - ის კი არა, გამოგიტყდებით და, ცოტათი მატუტუცებდნენ კიდევც.

კარგად მახსოვს, ერთ-ერთ დღესასწაულზე მეფის სამოსი მაჩუქეს - ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი და მოსასხამი, რომელშიც თავფეხიანად შემეძლო გახვევა; კარგა ხანი უარს ვიყავი, საერთოდ სხვა რამე ჩამეცვა და დილიდან საღამომდე ასე დავიარებოდი სახლში. როცა ქალები სამზარეულოდან დამიფრენდნენ ხოლმე, დერეფანში დავდგებოდი ჭიუტად, სამეფო სკიპტრით (ანუ, იმავე ბუზსაკლავით) ხელში და ვიფიცებოდი, საკადრისად დავსჯი ამ დედაკაცებს-მეთქი...

ძმა შვიდი წლის ასაკში გარდამეცვალა ტვინის ანთებით, ჩემს დაბადებამდე სამი წლით ადრე. მშობლებისათვის ეს, ცხადია, მძიმე დარტყმა აღმოჩნდა და ცხოვრებისაკენ მხოლოდ ჩემმა ამქვეყნად მოვლინებამ მოუბრუნათ გული. როგორც ამბობენ, ის და მე წყლის ორი წვეთივით ვგავდით თურმე ერთმანეთს - ჩემი არ იყოს, იმასაც გენიალობის უტყუარი ბეჭედი ესვა სახეზე.

ახლა, მორფოლოგიაში ბოლოდროინდელი აღმოჩენების წყალობით (დიდება გოეთეს ამ სიტყვის მოგონებისთვის, რაც ალბათ ლეონარდოსათვისაც კი დიდი შურის საგანი იქნებოდა!), ცნობილია, რომ უფრო ხშირად სწორედაც ანტაგონიზმის უდიდესი სირთულის შემომთავაზებელი, ერთგვაროვანი და ანარქიული ტენდენციები ინვესს ხოლმე ფორმის ყველაზე ცხოველი იერარქიების ტრიუმფალურ ზეობას!

თუკი ცალმხრივი, ერთგვაროვანი გონების ადამიანები იმსხვერპლა წმინდა ინკვიზიციის

ცეცხლმა, მრავალფორმიანი, ანარქიული გონებებიც - ზუსტადაც იმიტომ, ამგვარნი რომ გახლდნენ - თავიანთი უკიდურესად ინდივიდუალური სულიერი მორფოლოგიის გამოვლინებას სწორედ ამა ცეცხლის გამონაშუქზე ახერხებდნენ... როგორც უკვე ვთქვი, ჩემს ძმას ისეთი ნიჭი დაჰყვა, რაც საგნების ერთი მიმართულებით ხედვის საშუალებას აძლევდა და რაც სრულიად გამორიცხავდა ფორმებით თამაშს; მე კი, ჩემი მხრივ, ანარქიული, პოლიმორფული უკუღმართის ერთი აღმოვჩინდი: ჩემი ცნობიერება გასაოცარი სისწრაფითა და სიხარბით ნთქავდა საგნებს - როგორც ტკბილეულს, თავად ამ ტკბილეულს კი - როგორც ცნობიერების მატერიალიზებულ საგნებს. მე ყველაფერი მასხვაფერებდა, მაგრამ არაფერი მცვლიდა; დამყოლი გახლდით, მაგრამ - მაძიებელი, და ჩემი გონება სწორედ იმ განუმეორებელი, ქედმაღალი ესპანური ხედვის არეალში დაეძებდა საკუთარი დაუცხრომელი გენიის მტაცებლურ, იეზუიტურ, შემდგურულ კრისტალებს! მშობლებმა იგივე სახელი დამარქვეს, რაც ჩემს ძმას - სალვადორ - და ამ სახელის მატარებელს თავად განგებამ თუ მარგუნა - არც მეტი, არც ნაკლები - თანამედროვე ხელოვნების სულიერი სიღატაკისაგან მეხსნა მხატვრობა, და ეს იმ მექანიცისტური და უგვანი „მიღწევების“ უსახურ ხანაში, რომელშიც მომინია კიდევ ცხოვრება...

როცა შორეულ წარსულს ვავლებ ხოლმე თვალს, რაფაელის მსგავსი არსებები ჭეშმარიტ ღვთაებებად მესახებიან და დღეს ალბათ ერთადერთი ვარ, ვინც იცის - რატომ იქნება ამიერიდან შეუძლებელი რაფაელისებურ ფორმათა ბრწყინვალეებასთან თუნდაც ოდნავი მიახლოება და საკუთარი შემოქმედებაც კი დიდ უბედურებად მიმაჩნია, რადგან ჩემი ნება რომ ყოფილიყო, იმ ეპოქაში ვისურვებდი ცხოვრებას, სადაც არაფერი იქნებოდა „გადასარჩენი“. ოღონდ თუ ახლა ანმყოსაც მივაპყრობთ მზერას, თუმც კი ნიჭიერებით ჩემზე ბევრად აღმატებულთა შეუფასებლობა არ მივევია - დიახ, ამას ათიათასჯერ გავიმეორებ - არავის ცოცხალი თავით ქვეყნად ადგილს არ გავუცვლიდი, მით უფრო - არავის თანამედროვეთაგან. ოღონდ ეგაა, მკითხველის ფხიზელი თვალი უკვე უთუოდ შეამჩნევდა, რომ თავმდაბლობა ჩემი უმთავრესი ღირსება არ არის: ერთადერთი, რასაც გპირდებით, ისაა, რომ ყოველივე აქ მონათხრობი მთლიანად ჩემივე ცდომილებათა ნაყოფია მხოლოდ.

## უჩვეულო ავტოპორტრეტი

რით ვიკვებები - ვიცი, რას ვსაქმიანობ - არა!

საბედნიეროდ, იმ არსებების რიგს არ მივეკუთვნები, რომლებიც ღიმილისას ამაყად გამოაჩენენ ხოლმე კბილებზე შერჩენილი საზარელი, სრულიად აუტანელი ისპანახის თუნდაც სულ მცირე ნამცეცებს. იმიტომ არა, სხვაზე უკეთ ან ხშირად რომ ვხმარობ ჯაგრისს; უბრალოდ, ისპანახს სათოფებზე არ ვეკარები. ისპანახსაც, ისევე, როგორც ყველაფერს, რაც მეტ-ნაკლებად საკვებთან იგივდება, უმთავრესად, ზნეობრივ და ესთეტიკურ ღირებულებას ვანიჭებ. ცხადია, ჩემი ზიზღიანობის დარაჯიც მარად ფხიზლობს, დაუღალავი და მკაცრად გაფაციცებული - აქაოდა, საჭმლის შერჩევისას მარცხი არაფერი მოუვიდესო.

სიამოვნებით მხოლოდ იმას გეახლებით, რასაც გონებისთვისაც იოლად მოსახელთებელი, მკაფიოდ გამოკვეთილი მოხაზულობა გამოარჩევს. ისპანახს კი მისი უკიდურესი ამორფულობის გამო ვერ ვეგუები; ღრმად ვარ დარწმუნებული და აზრსაც ვერაფერი შემაცვლევინებს - ერთადერთი დადებითი, კეთილშობილი და საჭმელად ვარგისი ამ უბადრუკ საკვებში შიგ მოხვედრილი ქვიშაა და სხვა არაფერი.

ისპანახისაგან სრულიად განსხვავებულია ზღვის დელიკატესები - განსაკუთრებით, ბაკნიანი თუ ჯავშნიანი. ამიტომაც ვეძალები ხარბად, განსაკუთრებით მოლუსკებს. ჯავშნის, ასე ვთქვათ, მათი ხერხემლის წყალობით, თითქოს თვალნათლივ განხორციელებულს ხედავ იმ უადრესად თვითმყოფად და გონივრულ იდეას, ძვლები სხეულის გარეთ რომ უფრო უპრიანია, ვიდრე შიგნით.

სწორედ ამგვარი ანატომიური აგებულება ანიჭებს კიბორჩხალისებრთა სახეობას განსაკუთრებულ უნარს, საკუთარი შიგთავსის რბილი და მადის აღმძვრელი ექსტატურობა დაიცვან, არაფერი შემრყვნელი არ გააკარონ, თითქოს საიმედოდ გამოკეტონ იმ მყარ და

უზადო ჭურჭელში, რომელიც გარსის მოცილების კეთილშობილურ ბრძოლაში მხოლოდ უზენაეს ძალასთან მარცხდება - ადამიანის სასის აღმატებულ ნებას ემორჩილება. რა საოცრებაა ჩიტის პანია თავის ქალის ტკაცანით გადახსნა! ან საერთოდ როგორ შეუძლია ვინმეს, სხვაგვარად მიირთვას ტვინი! პატარა ჩიტები ძალიან ჰგვანან პატარა მოლუსკებს: მათი ჯავშანი მათივე ბუმბულია. ასეა თუ ისე, პაოლო უჩელოს დახატული ჯავშანი ნამდვილად ჰგავდა ბაღის ჩიტ გრატას და თან ისეთი სინატიფით და იდუმალებით იყო ასახული, ჭეშმარიტ ჩიტს რომ ეკადრება...[1]

ადრეც არაერთხელ მითქვამს, ადამიანის სხეულის ყველაზე ფილოსოფიური ორგანო მისივე ყბები-მეთქი. მართლაც, რაა იმაზე ფილოსოფიური, როცა ძვალს უკანა კბილებით დაამსხვრევ და იქიდან ნება-ნება გამონუნნი ტვინს, თანაც, სრულიად დარწმუნებული - მთელი ეს ქმედება, თავიდან ბოლომდე, მხოლოდ ჩემს ნებასა და უნის ემორჩილებაო. სწორედ ძვლის ტვინთან ამგვარი ბიარების უზენაეს წამს აღმოაჩენ კაცი ჭეშმარიტების გემოს, გემოს გამიშვლებული და მყიფე სიმართლისა, შენს კბილებს შორის მომწყვდეული ძვლის უძირო წყაროდან რომ მოედინება. თუკი ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნე, რომ ღირსების შეგრძნებით გაჯერებული ნებისმიერი საკვები „საკუთარ ფორმას ერთგულებს“, მაშინ არც აღარაფერი მოგეჩვენება მეტისმეტად სლიპინა, ლორწოვანი, მოთამთამე, მთრთოლვარე, საძაგელი თუ საზიზღარი, იქნება ეს თევზის უაზროდ დაყვლეპილი თვალი, ჩიტის გასლიკინებული ნათხემი, ძვლის სპერმატოზოიდული ტვინი თუ ლოკოკინას ნესტიანი შიგთავსი. უჭველად მკითხავთ: მამ, ყველი კამემბერიც გიყვარს, შენი აზრით - ისიც ინარჩუნებს საკუთარ ფორმასო? გიპასუხებთ. კამემბერს ვაღმერთებ და, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, მზის გულზე დნობას თუ დაიწყებს, ზუსტად ჩემს ცნობილ რბილ საათებს ემსგავსება, იმნაირსავე მოხაზულობას იძენს; და თუ თავდაპირველ, ცხადია, უაღრესად კეთილშობილურ, მაგრამ მაინც ხელოვნურად გამოყვანილ ფორმას კარგავს, მთლად მარტო მასაც ნუ დავაბრალებთ. და კიდევ მეტიც, ვინმეს აზრად რომ მოსვლოდა, ისპანახისებური კამემბერი დაემზადებინა, დიდი ეჭვი მაქვს, იმაზეც ავიცრუებდი გულს.

ოღონდ, არ დაგავინყდეთ: ზომიერად შებრანული, აღმოდებულ კონიაკმოსხმული ტყის ქათამი თავისივე სკინტლთან ერთად, სუფრაზე რიტუალურად მორთმეული პარიზის საუკეთესო რესტორნებში, ჩემთვის მარად დარჩება კერძთა გვირგვინად და ჭეშმარიტი ცივილიზაციის ყველაზე დახვეწილ სიმბოლოდ. რა შეედრება ლანგარზე შიშვლად განოლილი ტყის ქათმის ცქერას! ვინ შემოგედავება, თუ იტყვი, მისი ნატიფი ანატომია რაფაელისებრი სრულყოფილების პროპორციებს იმეორებსო.

მოკლედ, ზუსტად ვიცი და მისხალი ეჭვიც არ მეპარება, რისი მირთმევაც მსურს! და მით უფრო მიკვირს, როცა ჩემ ირგვლივ ასე ხშირად ვხედავ იმ არსებებს, ვისაც ყველაფრის ჭამა შეუძლია და თან მხოლოდ იმიტომ, როგორმე კუჭის ყმილი ჩაახშოს და მარტო აუცილებლობას გადაუხადოს ხარკი.

მაგრამ თუკი მუდამ ვიცოდი, თითქოს წინდანინვე ვხვდებოდი, რას ვითხოვდი საკუთარი შეგრძნებებისაგან, განცდებთან დაკავშირებით იმავეს თქმა გამიჭირდება: ჩემი განცდები ხომ ლამის უწონადია და საპნის ბუმბუბივით მყიფე. ზოგადად თუ ვიტყვით, გული არასოდეს მიგრძნობდა, როდის რა წამომივლიდა ცოტა ხანში, რა წუთს და რის გამო მიიღებდა ჩემი ქცევა ისტერიულ, სრულიად აუხსნელ ხასიათს. ვერც იმას ვინანასწარმეტყველებ ვერასოდეს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჩემსავე ქმედებებს, ხშირად პირველ რიგში მევე რომ მტოვებენ სახტად და თუჯის ბურთის სიმძიმით მთრგუნავენ ხოლმე. ყოველ ჯერზე, ჩემი განცდების ათასობით ფერადოვანი საპნის ბუმბუბიდან თითქოს ერთი რომელიმე, გზაბნეული, თავისივე მოჩვენებითი გებიდან უხვევს უეცრად და სასწაულებრივად მიწაზე დაცემასაც ახერხებს - სინამდვილეს უბრუნდება - და სწორედ იმ წამს უმნიშვნელოვანეს ქმედებად გარდაიქმნება, რაღაც გამჭვირვალე და ეთერულიდან, მოულოდნელად მძიმე, გაუმჭვირვალე ლითონის საგნად იქცევა, ყუმბარასავით სახიფათოდ და ავის მომასწავებლად. ამას ვერაფერი ვერ ნათელყოფს უკეთესად, ვიდრე ის ამბები, ქვემოთ რომ უნდა მოგიყვებო - ცოტა აბნეულად, ქრონოლოგიის დაუცველად, ალაღბებდზე ამოგლეჯილად ჩემი უთავბოლო ცხოვრების მდინარებიდან. პირდაპირ და შეულამაზებლად ნაამბობი ეს ეპიზოდები მთლიანად ინარჩუნებენ თავდაპირველ ფერებსა და მოხაზულობებს და შეულამაზებელი ავტოპორტრეტის ხატვის ყველა მოთხოვნასაც ზედმინევნით ითვალისწინებენ. ვიცი, მე

რომ არა, ეს ყველაფერი სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩებოდა, მაგრამ ამ წიგნის წერაც შეგნებულად მხოლოდ იმიტომ ვისურვე, რაც შეიძლება, მეტი ასეთი საიდუმლო გამენადგურებინა და თანაც - ჩემივე საკუთარი ხელებით!

\*

გაბაფხულია, ხუთი წლის ვარ, სოფელ კამბრილსში, ბარსელონის მახლობლად. შუკა-შუკა დავსეირნობ ჩემზე უმცროს ბიჭთან ერთად; ქერა, კულულებიანი, საყვარელი ბავშვია, სულ ახლახან გავიცანი. მე ფეხით მივაბიჯებ, ის კი სამთვლიან ველოსიპედზე შემოსკუპებულია. მის ბეჭებზე მიდევს ცალი ხელი და დროდადრო ნავეკრავ ხოლმე, ველოსიპედი რომ ცოტა გააქროლოს.

უმოაჯირებო ხიდს მივადევით. უცებ, როგორც მჩვევია ხოლმე, აბრმა გამიელვა თავში: მივიხედ-მოვიხედე, ვინმე ხომ არ გვიყურებს-მეთქი, ღონივრად ვუბიძგე ბიჭს ზურგში და ხიდიდან გადავუძახე ველოსიპედიანად. კარგა მალეიდან გადაფრინდა და ქვებზე დაეცა. შინ გავიქეცი და ეს ახალი ამბავი ვაცნობე ჩემიანებს.

მთელი ის დღე და საღამო სისხლიანი დოღბანდები და პირსახოცები გამოჰქონდათ იმ ოთახიდან, სადაც თავგატეხილი ბიჭი იწვა და, სულ ცოტა, კიდევ ერთი კვირა ვერც წამოდგებოდა. ხალხის უსასრულო მისვლა-მოსვლამ და მთელ სახლში გამეფებულმა დაძაბულობამ სასიამოვნოდ გამაბრუნა და უცნაურ გუნებაზე დამაყენა. პატარა ოთახში სარწვეველა სავარძელში ვიჯექი მაქმანებიან ბალიშზე და ალუბალს შევექცეოდი. მთელი ბალიში მწიფე ალუბლის წვენით დაილაქა. ამ პატარა ოთახის კარი დერეფანში გადიოდა და ყველაფერს მშვენივრად ვხედავდი. ვერ ვიხსენებ, ოდნავი სინდისის ქენჯნა მაინც განმეცადოს მომხდარის გამო. მხოლოდ ის მაგონდება, მოსაღამოებულზე, როცა ჩვეულებისამებრ მარტო დავსეირნობდი, როგორ განსაკუთრებულად მშვენიერი მეჩვენებოდა ბალახის თითოეული ღერო...

\*

ექვსი წლის ვიყავი. ჩვენი სასტუმრო ოთახი ხალხით იყო სავსე. კომეტაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც, წესით, იმ საღამოს უნდა გამოჩენილიყო ცაზე, თუკი უღრუბლო ამინდი იქნებოდა. ვიღაცამ თქვა, შეიძლება, კომეტამ კუდი დედამიწას გაჰკრას და მაშინ ყველაფერი დამთავრდებაო. მართალია, ამაზე ყველას გაეცინა, მაგრამ მე მაინც მოურეველმა შიშმა და მღელვარებამ შემიპყრო. უცებ ოთახში მამაჩემის ერთ-ერთმა ხელქვეითმა შემოიხედა და გამოაცხადა - კომეტის დანახვას აივნიდან მოახერხებთო. ყველანი წამოიშალნენ და გაცვივდნენ, ჩემ გარდა; მე ისევ შიშისაგან დადამბლავებული ვიჯექი იატაკზე. მერე, როგორღაც ცოტა გამბედაობა მოვიკრიბე და საჩქაროდ მეც აივნიდან დავადირე თავი. უცებ თვალი ვკიდე, როგორ მორცხვად მიიძურნებოდა დერეფანში ჩემი სამი წლის და. გავჩერდი, წამით შევყოყმანდი და მერე ერთი გემრიელად ვუთაქე თავში... ამ ბოროტი საქციელით ფრთაშესხმული, ისევ აივნიდან გავიქეცი გახარებული, თუმცა მამაჩემმა, რომელიც თურმე უკან მომყვებოდა, ხელი მტაცა, საკუთარ კაბინეტში შემათრია და სასჯელად სადილობამდე იქიდან ფეხის გამოდგმა ამიკრძალა.

ის ამბავი, რომ კომეტის დანახვის უფლება არ მომცეს, ჩემს მახსოვრობას ერთ-ერთ ყველაზე მწარე იმედგაცრუებად შემორჩა. ოთახში ჩაკეტილი ისეთი ხმით გავკიოდი, მთლად ჩავიხიე ყელი. მერე, როცა მივხვდი, როგორ შეაშინა ამან ჩემი მშობლები, უკვე შეგნებულად ვეშმაკობდი და ყველა ჭირვეულობის დასაკმაყოფილებლად ამ ხერხს მივმართავდი ხოლმე. ერთხელ, სადილობისას, თევზის ფხა გამეჩხირა ყელში და მამაჩემი, ვისაც მსგავსი რამეები საოცრად აფრთხობდა ხოლმე, სკამიდან წამოხტა, თავში ხელის ცემით გავარდა ოთახიდან. ვინ იცის, მერე კიდევ რამდენჯერ გავითამაშე ასეთი კრუნჩხვები და სულის ხუთვა, თან სულ მამაჩემის რეაქციას ვაკვირდებოდი - ძალიან მინდოდა, მხოლოდ და მხოლოდ მე ვყოფილიყავი მისი ზრუნვისა და ყურადღების მუდმივი საგანიცა და გულის ხეთქვის ერთადერთი მიზეზიც.

დაახლოებით იმავე ხანებში, ერთ საღამოს ექიმი გვესტუმრა შინ. ჩემი დისათვის ყურები უნდა გაეხვრიტა. დის მიმართ მართლაც გამშაგებულ სინაზეს ვგრძნობდი, რამაც კიდევ უფრო იმატა დერეფანში თავში ჩაფარების მერე. მისთვის ყურის გახვრეტა ისეთ საშინელ სისასტიკედ მივიჩნიე, გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამჭდომოდა, როგორმე წინ

ადვდგომოდი.

დაველოდე, როდის მოკალათდა სკამზე ექიმი, სათვალე მოირგო და ოპერაციის ჩასატარებლად მოემზადა. მაშინღა შევვარდი ოთახში ჩემი ტყავის ქაშრის ქნევა-ქნევით, ქაშარი სახეზე გადავუჭირე და სათვალე ჩავუმსხვრიე. ერთი წყნარი, მოხუცი კაცი იყო, ისე გამწარდა და ეტკინა, თვალებიდან ღაპალუპით წამოუვიდა ცრემლები. მამაჩემს მხარზე ჩამოადო თავი და საწყალობელი ხმით უთხრა: როგორ მომწონდა ყოველთვის ეს ბიჭი, ამისგან მსგავსს რას წარმოვიდგენდიო. მას მერე ძალიან მიხაროდა, თუკი ავად ვხდებოდი და შემეძლო, ამ უწყინარი კაცის სახე დამენახა ხოლმე - ჩემ გამო ბავშვივით რომ მოუნია სახალხოდ ზღუქენი.

\*

ისევ კამბრილსში დავბრუნდეთ, ისევ ხუთი წლისა ვარ. სამ, ერთმანეთზე ლამაზ ქალთან ერთად ვსეირნობ, ერთ-ერთი მათგანი მართლაც ზღაპრულად მომხიბლავი მეჩვენება. ხელჩაკიდებული მივყვები გვერდით. ქალს თავზე ფართოფარფლებიანი, თეთრპირბადიანი ქუდი ახურავს და ეს პირბადე მთლად მაგიჟებს. ერთ მოფარებულ, უშენ ადგილს მივადექით, სადაც ქალები ხითხითს და ერთმანეთში ჩურჩულს მოჰყვნიენ. ავფორიაქდი და ეჭვებმაც შემიპყრო, როცა დაჟინებით მომთხოვეს, ცოტა ხანს გაიქეცი და შენთვის სადმე ითამაშეო. ბოლოს და ბოლოს დავმორჩილდი, ოღონდ მარტო იმიტომ, სადმე საიმედო სამალავი მეპოვა და იქიდან მეთვალთვალა მათთვის. უეცრად დავინახე, რაღაც ძალიან უცნაურ პოზებში დადგნენ.

შუაში ყველაზე ლამაზი იდგა, დანარჩენი ორიც იქვე შორიახლოს. ერთმანეთს შესცქეროდნენ და უკვე ხმას აღარ იღებდნენ. იმას, ყველაზე ლამაზს, სახეზე საოცარი სიამაყე ეწერა. ოდნავ დახარა თავი, გაჭიმული ფეხები გან-გან გადგა, ხელები ლამაზად დაიკრიფა თედოებზე, მერე ნელ-ნელა ქვედაბოლოს კალთები აინია და გაქვავდა; მისი უძრაობა თითქოს რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინს აღძრავდა. სრული სიჩუმე დაახლოებით ნახევარი ნუთი გაგრძელდა, მერე კი უცებ გავიგონე, მხუილით გადმომსკდარი სითხე როგორ ეძგერა მიწას და მაშინვე მის ფეხებთან ქაფიან გუბურად იქცა. გამომშრალმა მიწამ სითხის ნაწილი შეინოვა, დანარჩენი კი პატარა გველებივით გაიტოტა და ისე სწრაფად დაიძრა ქალის თეთრი ფეხსაცმელებისაკენ, ფეხის მონაცვლებაც ვერ მოასწრო - ფეხსაცმელები წამსვე მორუხო ლაქებმა დაუფარა.

ცხადია, ისე იყო თავისი საქმით გართული, პირბადიანს ჩემი დადამბლავებული ყურადღება არც შეუმჩნევია, მაგრამ როცა ბოლოს ისევ აწია თავი, თვალებით პირდაპირ ჩემს თვალებს შეეფეთა, ეშმაკურად გამიღიმა და პირბადის იქიდან დაუვინყარი, თბილი მზერა მტყორცნა, რამაც კიდევ უფრო ამაფორიაქა და საბოლოოდ მომიღო ბოლო. მერე თავის მეგობრებსაც გახედა ისეთი სახით, თითქოს ეუბნებოდა, რა ვქნა, უკვე გვიანია, ვეღარაფერს ვიზამო. იმათ გაეცინათ და მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ამჯერად მაშინვე მივხვდი ყველაფერს და გულმა გამალებით დამიწყო ძგერა. ლამის იმწამსვე ორი ახალი ნაკადი დაეძგერა მიწას; თვალი არ ამირიდებია; ფართოდ მქონდა დაჭყეტილი და პირბადის იქით ქალის მზერის დანახვას ვცდილობდი. სირცხვილის გრძნობით გაგიჟებული სისხლი ტალღა-ტალღა მომანვა სახეზე. მზე ალისფრად ჩადიოდა, გარუხებულ მიწას კი დოლების ბაგაბუგივით სცემდა სამი ნაკადის უსასრულო მხუილი.

შინისაკენ უკვე გვარიანად მოსაღამოებულზე გამოვბრუნდით. არც ერთი ქალისათვის აღარ ჩამიკიდია ხელი, ცოტა მოშორებით მოვდევდი უკან და ჩემი გული თითქოს ორად გაეხლიჩა სიამოვნებასა და აღშფოთებას. მომეტულ ხელში გზის პირზე ნაპოვნი ციციანათელა მყავდა გამომწყვდეული. დროდადრო ოდნავ გავშლიდი ხოლმე თითებს და დავხედავდი, როგორ ანათებდა. მღელვარებისაგან ისე გამოოფლიანდა ხელისგული, ხშირ-ხშირად ხელს ვანაცვლებდი ხოლმე, ვაითუ, ნამმა ციციანათელა დაახრჩოს-მეთქი. რამდენჯერმე დამივარდა კიდევ და მტვერში ძლივს მივაგენი სუსტი მოციხფრო ნათებით. ერთხელაც, როცა ასე ვაფათურებდი მტვერში ხელს, ხელიდან ოფლის წვეთი დამივარდა და მტვერში ღრმული გააჩინა, ამ ღრმულის დანახვაზე მთელი ტანით ავცახცახდი და ხორკლებიც დამაყარა. ჩემს ციციანათელას დავწვდი და უეცარი შიშით შეპყრობილი, გიჟივით გავეკიდე სამ ქალს, რომლებსაც კარგა გვარიანად გაესწროთ წინ. იდგნენ და მელოდებოდნენ, პირბადიანმა ხელი გამომიწოდა, ოღონდ ვიუარე და არ ჩავკიდე. მის გვერდით, ძალიან ახლოს მივაბიჯებდი, ოღონდ ხელი მაინც არ მოვაკიდებინე.

უკვე თითქმის სახლთან მისულებს, ჩემი ოცი წლის ბიძაშვილი გამოგვეგება. მხარზე პატარა თოფი გადაეკიდა და ხელშიც რაღაც ეჭირა, შორიდანვე გვანახებდა. როცა მივუახლოვდი, ფრთაში დაჭრილი ღამურა აღმოჩნდა. მერე, შინ რომ მივედით, პატარა თუნუქის ვედროში ჩასვა და მაჩუქა - ალბათ შემატყო, როგორ მინდოდა, ეს ღამურა მყოლოდა. მაშინვე სამრეცხაოს მივაშურე, ჩემს საყვარელ სამალავ ადგილს. იქ, შუშის ქილაში ჩაფენილ ფოთლებზე რამდენიმე ჭიამაია მყავდა მოგროვებული. ციციხათელას იმით მივუსვი გვერდზე, მერე ის ქილა ვედროში ჩავდგი, სადაც ღამურა იწვა და ლამის არც ინძრეოდა. ვახშამდე მთელი საათი იქ გავატარე შემფოთებულმა. მახსოვს, ხმამაღლა ველაპარაკებოდი ჩემს ღამურას. უცებ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი არსება გახდა ჩემთვის, ამოვიყვანე და ღინღლიან თავზე რამდენჯერმე მაგრად ვაკოცე.

მეორე დღით საზარელი სანახაობა მელოდა. სამრეცხაოში მისულს ქილა გადაბრუნებული დამიხვდა, ჭიამაიები აღარსად ჩანდნენ, ცოცხალმკვდარ ღამურას კი გაავებული ჭიანჭველები დასეოდნენ და ნატანჯ პანია სახეზე ბებერი ქალივით პატარა, დაკრეჭილი კბილები მოუჩანდა. ზუსტად იმ წამს თვალი ვკიდე, როგორ ჩამიარა შორიასლოს პირბადიანმა ქალმა, ბაღის კუტიკართან შეჩერდა და გაღება დააპირა. არც კი დავფიქრებულვარ, ქვას დავწვდი და მთელი ძალით ვესროლე, ისეთი სიძულვილით შეპყრობილმა, თითქოს ჩემი ღამურას უბედურება მისი ბრალი ყოფილიყო. ქვა მიზანს ასცდა, თუმცა ხმაურზე ქალმა მაინც მოიხედა და სახეზეც სრული გაოგნება აღებეჭდა. ერთიანად აკანკალებული ვიდექი, რაღაც უცნაური განცდით შეპყრობილი, რაც ძალიან სწრაფად სირცხვილად იქცა.

მერე კი ისეთი წარმოუდგენელი რამ ჩავივინე, შეძრწუნებულმა ქალმა ყურისწამლებად იკივლა. გიჟივით ვეცი ღამურას, რომელზეც ჭიანჭველები დალოდავდნენ და სიბრალულის მოურეველი გრძნობით ატაცებულმა ტუჩებთან მივიტანე, ოღონდ კი არ ვაკოცე - როგორც ვაპირებდი - არა, ისე ღონივრად ჩავკბიჩე, მეგონა, შუაზე გადავკვნიტე-მეთქი. მერე მიზღისაგან აცახცახებულმა სამრეცხაოსაკენ მოვისროლე და გავიქეცი. სამრეცხაოს წინ გუბე იდგა და შიგ ხიდან ჩამოცვენილი დამპალი შავი ლელვები ეყარა. როცა ცოტა ხანში იმ გუბესთან დავბრუნდი, თვალები ცრემლით მქონდა სავსე და ღამურას პატარა სხეული ვეღარსად დავინახე. უფრო სწორად, ეტყობა, ლელვებში ვეღარ გამოვარჩიე. მას მერე სამრეცხაოს ახლოს აღარ ვეკარებოდი და დღესაც ნებისმიერი შავი წერტილი იმ გუბურაში ჩამპალ ლელვებს მაგონებს, სადაც ჩემი ღამურა ჩაიხრჩო და ამის ყოველ გახსენებაზე მთელი სხეული ცივი ოფლით მეცვარება ხოლმე.

\*

თექვსმეტი წლის ვიყავი, ფიგურასში ვსწავლობდი. ჩვენი საკლასო ოთახიდან სპორტულ მოედანზე მოსახვედრად ლამის შვეული ქვის კიბე უნდა ჩაგვევლო. ერთ დღესაც, სრულიად უმიზეზოდ, ამ კიბეზე დაგორება მომივიდა აზრად. მოვემზადე კიდეც, მაგრამ ბოლო წუთს შიში მომერია, თუმცა განზრახვა ისეთი ძლიერი იყო, ხელი მაინც ვერ ავიღე და მეორე დღისათვის გადავდე. მეორე დღეს მართლაც ვეღარ შევიკავე თავი და როცა მთელი კლასი სპორტული მოედნისაკენ წავიყვანეს, ავდექი და თვალდახუჭულმა სიცარიელეში ვისკუპე. მგონი, ერთი საფეხურიც არ გამომიტოვებია, ისე დრიგინ-დრიგინით ჩავათავე კიბე და ძირს მოვადინე ზღართანი. ერთიანად დაბეჭილ-დალენილი ვიყავი, ოღონდ თან ისეთი გამოუთქმელი სიხარულით შეპყრობილი, ტკივილი რა მოსატანი იყო! ჩემ საშველად მოცვენილ სხვა ბიჭებს და მასწავლებლებს ისეთი სახეები ედოთ, მსგავს შედეგზე ვერც კი ვიოცნებებდი. თავზე საჩქაროდ სველი ცხვირსახოცები დამადეს.

იმხანად ძალიან მორცხვი ვიყავი და სულ მცირე ყურადღების გამოვლენაც კი საკმარისი იყო, ყურებამდე რომ გავწითლებულიყავი. ძირითადად ყველას გავურბოდი და მარტო ყოფნას ვამჯობინებდი, ახლა კი ჩემ ირგვლივ თავმოყრილმა ამდენმა ხალხმა უცნაური გრძნობა გამიჩინა. ოთხი დღის შემდეგ კვლავ გავიმეორე იგივე, თუმცა საგანგებოდ ისეთი დრო შევარჩიე, როცა სხვა ბიჭები სპორტულ მოედანზე თამაშით იყვნენ გართული და ბედამხედველიც არ მადევნებდა თვალს. არადა, ამჯერად ჩემი ვარდნა კიდეც უფრო მთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე პირველად: სანამ კიბიდან გადმოვფრინდებოდი, ისეთი ხმით დავიკვივლე, ყველა გაშემდა და მე მომაშტერდა ენაჩავარდნილი. ვერ აგინერთ, რაოდენ სიხარულს განვიცდიდი, ტკივილი კი საერთოდ, მგონი, არც მიგრძვინა. ცხადი

იყო, ამ სიამოვნებაზე უარის თქმა დიდი სისულელე იქნებოდა და დროდადრო ხელახლა ვიმეორებდი ხოლმე. მერე უკვე სხვებიც სულ მოლოდინში იყვნენ, ყოველ წუთს ელოდნენ, აბა, ახლაც იმავეს მოიმოქმედებს თუ არაო. ჩვენში რომ ვთქვათ, რა ბედენაა, ჩვეულებრივად მშვიდად დაუყვე კიბეს, როცა იცი, რა გაფაცაცებით და დაჟინებით მოგჩერებია ასობით თვალი - მაგრამ ერთხელ, ოქტომბრის ერთ წვიმიან საღამოს, შეგნებულად ნელა, აუჩქარებლად დაუყვევი კიბეს და უეცრად ირგვლივ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოსდა სასწაულის მოლოდინში, ისეთი სახით მომაჩერდა ყველა, მგონი, ღმერთსაც კი არ გავუცვლიდი ადგილს.

\*

ოცდაორი წლის ვიყავი და მადრიდის ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში ვსწავლობდი. მოურეველმა სურვილმა მუდამ, ყოველთვის და ნებისმიერ ფასად მეკეთებინა იმის საპირისპირო, რასაც ყველა დანარჩენი აკეთებდა, ისეთ ექსტრავაგანტურობამდე მიმიყვანა, არტისტულ წრეებში მალე ძალიან ცნობილ ვინმედ ვიქცევი. ერთხელ ქალწულის გოთიკური ქანდაკების დახატვა დაგვაავალეს. სანამ აუდიტორიიდან გავიდოდა, ჩვენმა პედაგოგმა რამდენჯერმე ხაზგასმით გაგვიმეორა, ბუსტად ის დახატეთ, რასაც ხედავთო.

წამსვე დაუფიქრებლად, გიჟივით ვეძგერე საქმეს და სულ უმცირეს დეტალებში დავხატე სასწორი, უფრო სწორად, კატალოგიდან გადმოვიხატე. ამჯერად მართლა ყველამ ირწმუნა, რომ გიჟი ვიყავი. იმავე კვირის ბოლოს, პედაგოგი აპირებდა, ჩვენი ნამუშევრები შეესწორებინა, მაგრამ ჩემი დახატული სასწორის დანახვაზე კარგა ხნით შეეკრა კრიჭა.

„შიძლება ქალწულს თქვენც ისევე ხედავთ, როგორც ყველა სხვა“, - ვუთხარი ხაზგასმულად თავაზიანად, თუმცა საკმაოდ გულდაჯერებულად, - „აი, მე კი მუდამ სასწორი მიდგება თვალწინ“.

უკვე ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში ვსწავლობდი: დაგვაავალეს, კონკურსისათვის ზეთის საღებავებით ფერწერული ტილო დაგვეხატა და მეც ნაძლევს ჩამოვედი - მთავარ ჯილდოს ისე ავიღებ, ტილოს ფუნჯით არც კი შევეხები-მეთქი. მოვიგე კიდევ - ხელის განვდენის მანძილიდან ვასხურებდი საღებავს ტილოზე და ფორმითა თუ ფერებით იმდენად დახვეწილი, პუანტილისტური ნახატი გამომივიდა, უპირობოდ მომანიჭეს პირველობა.

\*

მომდევნო წელს ხელოვნების ისტორიაში უნდა ჩამებარებინა გამოცდა. ძალიან მიხლოდა, ყველა მომეხიბლა და გამეოცებინა, ნამდვილად კარგად ვიყავი მომზადებული. ზეპირ გამოცდას სამკაციანი კომისია იბარებდა. ბილეთი ავიღე და მართლა წარმოუდგენლად გამიღიმა ბედმა - სწორედ ის საკითხი შემხვდა, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა და სიღრმისეულადაც ვიცოდი. არადა, უეცრად თითქოს ერთბაშად მომბეზრდა და დამეზარა ყველაფერი. წამითაც არ შევყოყმანებულვარ, სავსე აუდიტორიის გასაგონად ხმამაღლა განვაცხადე: „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მე ამ სამ პროფესორზე შეუდარებლად უფრო გონიერიც ვარ და მომზადებულიც. შესაბამისად, არ ვაპირებ, მათ ჩავაბარო გამოცდა. ისედაც მათზე ბევრად მეტი ვიცი.“

შედეგად, დისციპლინარული საბჭოს წინაშე მომიწია წარდგომა და იმათაც უყოყმანოდ გამომრიცხეს. ასე დამთავრდა ჩემი სამეცნიერო კარიერა.

\*

ოცდაცხრა წლის ვიყავი და კადაკესში ვატარებდი ზაფხულს. იმხანად გალას ვეპრანჭებოდი და მეგობრებთან ერთად ზღვის სანაპიროზე დავსხედით სასადილოდ. ხის ქვეშ ვისხედით, რომლის ღეროსაც ვაზი შემოხვეოდა და იქაურობას ფუტკრების გაუთავებელი ზუზუნი აყრუებდა. ბედნიერების მწვერვალზე ვიდექი, თუმცა კი ახლად შობილი სიყვარული ბაჭაღლო ოქროს რვაფეხასავით გამჩხეროდა ყელში და მადრჩობდა კიდევ, ჟინის ათასფერი ცეცხლით მოელვარე. ოთხ მოხარშულ ხამანწკას გეახელით და ცოტა ღვინოც მივაყოლე - ერთი იმ ადგილობრივთაგანი, რომლებიც დიდი სახელით არ იწონებენ თავს, თუმცა კი ხმელთაშუა ზღვისპირეთის ერთ-ერთი უმთავრესი ხიბლის საიდუმლოს მალავენ: ისეთი განუმეორებელი სურნელი დაჰკრავთ, თავს ზღაპარში გაგრძნობინებენ და გემოც თითქოს ალალი ცრემლით აქვთ გაჯერებული.

სადილობას გვიან მოვრჩით, მზე უკვე ჩადიოდა. ფეხშიშველი ვიყავი და ერთი ჩვენი თანმხლებ გოგონათაგანი, ერთი ხანი შორიდან რომ მეტრფოდა, მალიძალ მიმეორებდა - რა ლამაზი ტერფები გაქვსო. ეს მართლაც იმგვარი ეჭვმეუტანელი ჭეშმარიტება იყო, მისი დაჟინება, უბრალოდ, გამაღიზიანებელ სიბრიყვედ აღვიქვი. მიწაზე იჯდა და თავი მსუბუქად ჩამოედო ჩემს მუხლებზე. უცებ ხელი ფეხზე დამადო და აცახცახებული თითებით მომეფერა. გიჟივით წამოვხტი, გონება დამიბინდა საკუთარი თავისადმი სრულიად გაუგებარმა ეჭვიანობამ, თითქოს იმ წამს გალად ვიქეცი. თავყვანისმცემელი უხეშად მოვიშორე, მერე ძირს დავავადე და წიხლებით შევდექი... ერთიანად გასისხლიანებული ძლივს გამარიდეს...

\*

მინდა თუ არა, ეტყობა, უხეში ექსცენტრულობა ჩემი ხვედრია.

ოცდაცამეტი წლის ვიყავი. ერთ დღესაც, პარიზში, მაშინ საქვეყნოდ ცნობილმა ახალგაზრდა ფსიქიატრმა დამირეკა. ჩემი წერილი წაეკითხა ერთ-ერთ გაზეთში - „პარანოიდული აქტივობის შინაგანი მექანიზმი“. გულწრფელად მომილოცა და გაოცებაც გამოთქვა იმ ურთულესი საკითხის მეცნიერულად ესოდენ ღრმად ცოდნის გამო, რომელიც, საზოგადოდ, დიდ დაბნეულობასა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. მთხოვა, იქნებ შევხვედროდით და გვესაუბრაო. იმავე საღამოს დავთქვით შეხვედრა ჩემს სახელოსნოში. საღამომდე ვერაფრით მოვერიე მღელვარებას - ვცდილობდი, წინდანინ დამეგეგმა ჩვენი დიალოგი. ჩემივე უახლოესი სიურრეალისტი მეგობრებიც კი ისე ხშირად მიმეორებდნენ, შენი აზრები, გენიალობის ნიშნით აღბეჭდილი, მაგრამ მაინც პარადოქსული ჭირვეულობებიო, რომ ბოლოს დამაეჭვეს კიდევ - მართლა მეცნიერულ წრეებში სერიოზულად აღბათ არც არავინ აღმიქვამს-მეთქი. ამიტომ ძალიან მინდოდა, იმ საღამოს მაინც სრულიად მწყობრი და ჩამოყალიბებული სახე მიმეცა ჩემი იდეებისათვის. სტუმრის მოლოდინში მუშაობა გავაგრძელე. იმხანად ერთი არისტოკრატი ქალის პორტრეტს ვხატავდი სპილენძის თხელ ფირფიტაზე, მაგრამ პრიალა ლითონი ისე ბზინავდა, თვალს მჭრიდა და საკუთარი მონახაზის მკაფიოდ გარჩევა მიჭირდა. შევამჩნიე, რომ უკეთ მაინც იმ ადგილებს ვარჩევდი, სადაც შუქი მეტად ირეკლებოდა. მოვიფიქრე და ცხვირის წვერზე ქაღალდის პატარა თეთრი ნაგლეჯი დავიმავრე. ამან საშუალება მომცა, შედარებით ცხადად გამერჩია საჭირო მონაკვეთები.

ბუსტად ექვს საათზე, დათქმულ დროს, კარზე ზარი დარეკეს. საჩქაროდ მოვათავე საქმე, სტუმარი შემოვიპატიჟე და ლამის მაშინვე საქმიანი საუბარი წამოვიწყეთ. ორივეს გაგვიკვირდა, რაოდენ განსხვავდებოდა ჩვენი შეხედულებები და სწორედ ამავე მიზეზის გამო, რა ადვილად ვიგებდით ერთმანეთის ნათქვამს. ორ საათზე მეტი ვილაპარაკეთ. მერე სტუმარი დამემშვიდობა. წასვლისას მითხრა, კარგი იქნება, თუკი დროდადრო შევხვდებით ხოლმეო. გავაცვილე და სახელოსნოში წინ და უკან სიარულს მოვყევი. ვცდილობდი, მთელი საუბარი აღმედგინა და მივმხვდარიყავი, უმთავრესი მაინც რა ედო საფუძვლად ჩვენი აზრების სხვადასხვაობას. თუმცა, მერე და მერე უფრო იმან ჩამავდო საგონებელში, ხანდახან აუხსნელი დაჟინებით რატომ მაკვირდებოდა სახეზე ეს ახალგაზრდა ფსიქიატრი. როგორც გამახსენდა, თან რაღაც უცნაური, ცნობისმოყვარე ღიმილიც დასთამაშებდა ხოლმე.

ნუთუ იმის დანახვა სურდა, ჩემი სახის კუნთებზე როგორ აისახებოდა ჩემივე სულის ამაფორიაქებელი იდეები?

საიდუმლოს პასუხი მალევე ვიპოვე, როცა აბაზანაში ხელის დასაბანად შევედი (სხვათა შორის, ჩვეულებრივ, ეს სწორედ ის მომენტია ვაცის ცხოვრებაში, როცა ნებისმიერ კითხვაზე პასუხი მთელი სიცხადით იჩენს ხოლმე თავს). ამჯერად პასუხი სარკეში დავინახე: თურმე ცხვირიდან ფურცლის მოშორება დამიწყებოდა. ორი საათი დინჯად, საქმიანად და მეცნიერულად ვმსჯელობდი უაღრესად ტრანსცენდენტურ საკითხებზე და ამ დროს ცხვირის წვერზე რაღაც „სამშვენისი“ არ მექონია ანეჰბული?! მითხარით ერთი, შეგნებულად რომელი ცინიკოსი მოახერხებდა ამ როლის ბოლომდე თამაშს?

\*

23 წლის გახლდით და ფიგურასში ვცხოვრობდით, მშობლების სახლში. დილიდან დამემდე სახელოსნოში ერთ დიდ კუბისტურ ტილოზე ვმუშაობდით, მაგრამ ხალათის



ქმარი დავკარგე და მოძრაობაში ეს ძალიან მიშლიდა ხელს. ალაღბედზე დავწვდი რაღაცას შორიახლოს - როგორც მერე აღმოჩნდა, იატაკზე დაგდებულ დენის სადენს - და საჩქაროდ წელზე შემოვირტყი. მართალია, სადენის ბოლოზე პატარა ნათურა იყო მიმაგრებული, მაგრამ დროის დაკარგვა არ მინდოდა, თან არც ეს ნათურა იყო მძიმე და ჩემი სახელდახელო სარტყლის ბალთად გამოვიყენე.

თავფეხიანად საქმეში ჩართულს, დამ მომიკაკუნა კარზე და შემომძახა - სასტუმრო ოთახში ვიდაც სერიოზული ხალხი გელოდებო (იმხანად კატალონიაში უკვე გარკვეული სახელიც კი მქონდა დაგდებული); გაღიზიანებულმა, საქმეს თავი ვანებე და სტუმრებთან გავედი. საღებავით დალაქული ჩემი ხალათის დანახვაზე მშობლებს, ცოტა არ იყოს, ნირი ეცვალათ, თუმცა ზედ დუნდულებზე ჩამოკონწიალებული ნათურა თავიდან არავის შეუმჩნევია. ზრდილობიანად მივესალმეთ ერთმანეთს, მერე დავჯექი და ნათურაც ისეთი ხმით გასკდა, იფიქრებდი - სადღაც ახლოში ყუმბარა აფეთქდაო. ისიც ითქვას, ამგვარი მოულოდნელობანი მთელი ცხოვრება თან მდევდა და სხვისთვის ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ შემთხვევებს თითქოსდა რაღაც გამორჩეულ ნიშანს ადებდა ხოლმე...

\*

1928 წელს მშობლიურ ქალაქ ფიგუერასში საჯარო ლექციას ვკითხულობდი თანამედროვე ხელოვნების შესახებ. დარბაზი ხალხით იყო სავსე. ქალაქის მერი თაოსნობდა ამ წამოწყებას და დამსწრეთა შორის რამდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის ცნობილი პირიც მოჩანდა. უკვე ბოლოსკენ მიმყავდა სათქმელი, აუდიტორია აშკარად თავაზიანი გაკვირვებით მიგდებდა ყურს და არაფერზე ეტყობოდა, ჩემი დასკვნების ავ-კარგს ოდნავ მაინც თუ ჩასწვდომოდა. უცებ, ისტერიულმა გააფთრებამ შემიპყრო და მთელი ხმით ვიღრიალე: „ბატონებო და ქალბატონებო, ლექცია დ-ა-მ-თ-ა-ვ-რ-ე-ბ-ე-უ-ლ-ი-ა!“

სწორედ იმ წამს ქალაქის თავი - მართლაც ღირსეული და ყველასათვის საყვარელი ადამიანი - მოცელილივით დაეცა ჩემ ფერხთით... ენა ვერ აღწერს, რა ამბავიც დატრიალდა დარბაზში და ამას დიდი მითქმა-მოთქმაც მოჰყვა: ენაჭარტალა გაზეთები მერე პირს იქაფებდნენ - ეს პატიოსანი ადამიანი ლექტორის მიერ გამოთქმულმა მკრეხელობებმა შეინირაო! არადა, მე თუ რამე დამეჭრება, სულ უბრალო სტენოკარდიულ შეტევასთან გვქონდა საქმე - ჯინაზე და მაინცადამაინც ჩემი ლექციის ბოლოს რომ უნია ვაცს.

\*

1936 წელს, პარიზში, ჩემი მეუღლე გალა მეორე დილით ოპერაციას იკეთებდა და წინა ღამე საავადმყოფოში უნდა გაეთია. მართალია, ოპერაცია არცთუ ისე იოლი იყო, მაგრამ მუდამ მხნე და ხალისიანი გალა ოდნავადაც არ ჩანდა შეშფოთებული. მთელი დღე ის და მე ორი სიურრეალისტური კომპოზიციის აგებით ვიყავით დაკავებული და ბავშვივით ბედნიერი იყო: კარპაჩოს ფიგურებისდარი დახვეწილი მიმოხვრით უხამებდა ერთმანეთს სხვადასხვა უცნაურ საგნებს, რომლებსაც - ამა თუ იმ მექანიკური მოქმედებით - მცირე-მცირე კატაკლიზმები უნდა გამოეწვია. მხოლოდ მოგვიანებითღა მივხვდი, რომ მისი ეს საქმიანობა მომავალი ოპერაციის გაუცნობიერებელი ალუზიებით უნდა ყოფილიყო ნასაზრდოები...

მთელი ამ კომპოზიცია-ნაგებობის უთუოდ ბიოლოგიური ხასიათი აშკარა იყო: ლითონის ანტენის რიტმული მოძრაობით...დასახეთქად გამზადებული, ქირურგიული იარაღებივით ნატიფი მემბრანები, ფქვილით სავსე ტომსიკა, რომელიც ერთგვარ ამორტიზატორად მოიაზრებოდა მასზე დამაგრებული პლასტიკატისაგან ჩამოსხმული ქალის მკერდისათვის... თავად ამ მკერდის კერტებიდან ფარშევანგის ორი კუდი „ამოზრდილიყო“ და იატაკზე დათრეული ეს ბუმბულები ადამიანის ფრთამოტეხილ მისწრაფებებს განასახიერებდა, ლითონის ქანქარას ყოველ დარტყმაზე კი ტომსიკიდან გადმოყრილი ქათქათა იფქლი პანია პირამიდად დგებოდა მოშანდაკებულ იატაკზე.

ამასობაში, მე სწორედ იმ კონსტრუქციას ვაკონინებდი, რომელსაც სახელად „ჰინაგოგიური საათი“ შევარქვი. ფრანგული პურის მოზრდილ ყუას, რომელიც მდიდრულად განწყობილ კვარცხლბეკზე იდო, უკანა მხარეს 12 სამელნე მივამაგრე მწკრივად. თითოეულ მათგანში „პელიკანის“ ფირმის მელანი ესხა, სხვადასხვა ფერის

კალმებითურთ. მიღებულმა შედეგმა ჩემს მოლოდინსაც კი გადააჭარბა. უკვე მოსალამოებულზე, გალამაც მოამთავრა თავისი ნაკეთობა და გადავწყვიტეთ, ვიდრე საავადმყოფოში ნავიდოდით, მისი ნახელავი ანდრე ბრეტონისათვის გვეჩვენებინა (იმხანად მსგავსი გატაცებები სიურრეალისტურ წრეებში მართლა ეპიდემიასავით იყო მოდებული და განსაკუთრებულ ინტერესსაც იწვევდა). საჩქაროდ ტაქსი გავაჩერეთ, მაგრამ მალევე - მკვეთრი დამუხრუჭებისას - გალას ეს ნაწვალეები, დიდის მონინებით რომ გვესვენა მუხლებზე, გადასკდა და მანქანის სალონში მიმოიფანტა. კიდევ უარესი: ფქვილიანი ტომსიკაც ზედ მიჰყვა და იქაურობა ერთიანად სულ ფქვილში ამოიგანგლა. ჩვენც თავფეხიანად გადათეთრებულები ვიყავით. ერთი პირობა დავაპირეთ კიდევ, ეს დაპნეული ფქვილი როგორმე ისევ მოგვეხვეტა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ამ ყოფაში ვიყავით და ტაქსისტიც დროდადრო ისე გამოგვხედავდა ხოლმე, ნაღდად იმას ფიქრობდა, მთლად გადარეულან ეს საცოდავებიო! მერე ვთხოვეთ, სადმე შეეჩერებინა ერთი კილო ფქვილის საყიდლად.

მთელმა ამ დავიდარაბამ ლამის სუმთლად დაგვაზინცა საავადმყოფო და იქ გვარიანად დავაგვიანეთ. ეზოში ჩვენი გამოჩენა მაისის იმ მენამულ ბინდბუნდში ალბათ უცნაურიც მოჩანდა და შემაშფოთებელიც: ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დასახვედრად გამოსული ექთნების გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო... ერთმანეთს ტანსაცმელს ვუფერთხავდით და ფქვილის ბუღს ვაყენებდით ირგვლივ - განსაკუთრებით მე, ვინც ლამის თავფეხიანად, თმის ძირებამდე გახლდით შეფიფქული. მართლაც, რა უნდა ეფიქრათ ქმარზე, რომელმაც საოპერაციოდ გადადებული მეუღლე ტაქსით მოიყვანა საავადმყოფოში, თავად კი მენისქვილესავით ერთიანად გადათეთრებული გადმოვიდა მანქანიდან! და რაც მთავარია - ასეთი გახალისებული და რატომღაც, გამხიარულებული.

ეს ამბავი მიშელ ანჟის ქუჩაზე მდებარე კლინიკის იმ ექთნებისათვის, ალბათ, დღემდე ამოუხსნელ ენიგმად რჩება და, იმედია, ამ სტრიქონების ნაკითხვის შემდეგ მაინც შეგვიწოდებენ იმდღევანდელ ჩვენს გამოხდომას.

\*

ჩემი სამი მოგზაურობა ვენაში: ყოველ ჯერზე თითქმის ერთი და იმავეთი ვიყავი დაკავებული - დილაობით ჩერნინის გალერეაში დავიარებოდი ვერმეერის ნახატების დასათვალიერებლად, ნაშუადღევს კი ფროიდთან არ მივდიოდი სტუმრად - წინდანინვე ვიცოდი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ქალაქიდან იქნებოდა გასული.

ახლა მშვიდი მელანქოლიით ვიხსენებ იმ არაერთ ნაშუადღევს, როცა ალალებდებე დავბორიალებდი ავსტრიის ძველთაძველი დედაქალაქის ქუჩებში და შოკოლადის იმ პანია ტორტებსაც, რომელთაც ანტიკვარიატის ერთი მაღაზიიდან გზად მეორემდე ნაუცბათევად გაახლებოდით და რომელთაც ოდნავ მომწარო გემო დაჰკრავდა - იმ სიძველეთა გავლენით, თვალებით რომ ვჭამდი და თან, იქნებ, იმ განუხორციელებელ შეხვედრაზე სინანულის გავლენითაც...

რაც შეეხება სალამოებს, აქ უკვე გრძელ და მომქანცავ, წარმოსახვით საუბრებს ვმართავდი ხოლმე ჰერრ ფროიდთან; ერთხელ თან გამომყვა კიდევ და მთელი ღამეც დარჩა ჩემთან, სასტუმრო „ზახერის“ ნომერში - იჯდა თავისთვის, თავად ხმას არ იღებდა და რატომღაც, მაგრად ბლუჯავდა ფარდის კუთხეს.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ფროიდთან ამ ჩემეული შეხვედრების მცდელობამ არანაირი შედეგი არ გამოიღო, პირწმინდად გასტრონომიული ხასიათის „მომლოცველობა“ განვახორციელე საფრანგეთის სანსის მხარეში: სადილად ლოკოკინებს გვახლებოდით, ხოლო საუბარი, ძირითადად, ედგარ ალან პოს უტრიალებდა ხოლმე - მოგეხსენებათ, ეს თემა საუკეთესო საკმაზია ხსენებული დელიკატესისათვის; ხოლო ჩარობზე მხოლოდ საბერძნეთის პრინცესა მარი ბონაპარტის იმხანად გამოქვეყნებულ წიგნს - პოს ფსიქოანალიტიკური პორტრეტის დახატვის ერთგვარ მცდელობას ვამჯობინებდით.

უეცრად იმ გაზეთის პირველ გვერდზე, რომელსაც მეზობელ მაგიდასთან ვიღაც უცნობი კითხულობდა, პროფესორ ფროიდის ფოტოს მოვკარი თვალი. იგივე გაზეთი დაუყოვნებლივ მეც მოვიტხოვე და ნავიკითხე, რომ პროფესორი ის-ის იყო პარიზს

სწვეოდა. ამ სიახლის გადახარშვაც კი ვერ მოვასწარი ხეირიანად, რომ ჩემდაუნებურად, ყვირილი აღმომხდა - სწორედ იმ წამს აღმოვაჩინე ფროიდის მორფოლოგიური საიდუმლო: მისი თავის ქალა ლოკოკინა ყოფილა, ტვინი - სპირალური ფორმისა და ის ნემსით უნდა ამოიღო... ამ აღმოჩენამ დიდად იმოქმედა ჩემზე, როცა მერე უკვე ნატურიდან ვხატავდი ფროიდის პორტრეტს - მის გარდაცვალებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე.

მაგალითად, რაფაელის თავის ქალა, ფროიდისასთან შედარებით, სრულიად განსხვავებულია: რვაკუთხაა - დამუშავებული კრისტალივით, მისი ტვინი კი ქვის ღარებს წააგავს. ლეონარდოს თავის ქალა გატეხილი კაკალივითაა, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ნამდვილ ტვინს ჰგავს.

ბედმა ინება და, ფროიდს მაინც შევხვდი ლონდონში, თან მწერალი შტეფან ცვაიგი და პოეტი ედუარდ ჯეიმზი მახლდნენ. უკვე ხანმოთეული პროფესორის ეზოში მივაბიჭებდით და კედელზე მიყუდებული ველოსიპედი შევამჩნიე. მის უნაგირზე თოვით იყო მიმაგრებული წითელი რეზინის სათბურა - როგორც ჩანს, წყლით სავსე და მასზე ლოკოკინა მიღოდავდა... ვინმე სხვას ეს სურათი იქნებ უცნაური და აუხსნელიც კი მოსჩვენებოდა - ფროიდის სახლის ეზოში...

ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ცოტა ვილაპარაკეთ, თუმცა თვალებით ვთქვით სათქმელი - ჰერრ ფროიდმა ჩემ შესახებ არაფერი იცოდა, გარდა ჩემი მხატვრობისა, რითაც აღფრთოვანებული ჩანდა, მე კი რატომღაც წამომიარა და გადავწყვიტე, მასზე ერთგვარი „უნივერსალური ინტელექტუალის“ შთაბეჭდილება მომეხდინა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ჩემს ამ მცდელობას სრულიად საპირისპირო შედეგი გამოუღია.

ვიდრე წამოვიდოდით, მინდოდა, მისთვის იმ ჟურნალის ნომერი გადამეცა, სადაც პარანოიის თაობაზე ჩემი სტატია იყო დაბეჭდილი. გადავუშალე კიდევაც და ვთხოვე - დრო თუ გექნათ, იქნებ გადახედოთ-მეთქი. ის კი ისევ ჭიუტად მომჩერებოდა და ჟურნალს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. გულის მოსაგებად ვუთხარი, ეს რაიმე სიურრეალისტური მატრაკვეცობა კი არა, მართლაც გამიზნულად სამეცნიერო ნაშრომი-მეთქი, სათაურიც ერთხელ კიდევ გავუმეორე და მეტი დამაჯერებლობისათვის, თითითაც მივანიშნე. მისი შეუვალი გულგრილობის ბრალი თუ იყო, ჩემდაუნებურად, ხმას რომ ავუწიე და ერთი და იგივე რამდენჯერმე ვუთხარი. ბოლოს, თითქოს იმ თავის დაჟინებულ მზერაში მთელი არსებით შეყუჟულმა პროფესორმაც ამოიღო ხმა და შტეფან ცვაიგს მიახალა: „ესპანელის უფრო სრულყოფილი მაგალითი ჯერ ცხოვრებაში არ შემხვედრია - ნამდვილი ფანატიკოსია, ღმერთმანი!“

## საშოდან გამოყოლილი მოგონებები

წინდანიწვე ვაცნობიერებ, რომ ჩემს მკითხველს სრულებით არ ახსოვს ან მხოლოდ ძალზე ბუნდოვნად თუ აგონდება თავისი არსებობის ის უაღრესად მნიშვნელოვანი ხანა, რომელიც მისსავე დაბადებას უსწრებდა წინ და დედისეულ წიაღში რომ იღებს სათავეს. მაგრამ მე დიახაც მახსოვს ეს დრო, და თანაც - გუშინდელ დღესავით! სწორედ ამიტომაც გთავაზობთ ჩემი იდუმალი ცხოვრების წიგნის ჭეშმარიტი და თავისთავად ნაგულისხმევი დასაბამიდან დაწყებას: კერძოდ, იმ უცნაური, თხევადი მოგონებებით, რაც საშოსა შინა ცხოვრებიდან შემომრჩენია და რაც უთუოდ პირველი იქნება მას მერე, რაც ადამიანმა სამყაროს ისტორიის ლიტერატურული ფორმით წარმოჩინება იწყო.

ამასთან დაკავშირებით დოქტორ ოტო რენკის უაღრესად სენსაციური წიგნი სათაურით „დაბადების ტრავმატიზმი“ ცნობისმოყვარე მკითხველს ნამდვილად თვალს აუხელს საკითხის მეცნიერულ მხარეზე, მე კი უნდა განვაცხადო, რომ საშოში ყოფნის დროინდელი პირადი მოგონებები - ესოდენ მკაფიო და დეტალიზებული - მხოლოდ განმიმტკიცებს ოტო რენკის ძირითად თეზისს, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც ის საშოში ყოფნის ხანას საშოთხესთან აკავშირებს და აიგივებს, ხოლო დაბადებას, ამქვეყნად მოვლინების ტრავმას - ადამიანის ცხოვრებისათვის სისხლხორცეულად მნიშვნელოვან, ე.წ. „დაკარგული საშოთხის“ მითთან.

და მართლაც, თუკი მკითხავს ვინმე - მაინც როგორი იყო, დაუფიქრებლად ვუპასუხებდი

- ღვთაებრივი, სამოთხისებრი-მეთქი! ოღონდ, რას მაგონებდა ეს სამოთხე? ახლავე სულ წვრილად მოგახსენებთ, მაგრამ ჯერ მოდიტ, მოკლე ზოგადი აღწერით დავიწყოთ: საშვილოსნოსშიდა სამოთხე ჯოჯოხეთის ფერისა იყო, ანუ - წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი და მოლურჯო - ალისა და ცეცხლის ფერი; რაც მთავარია, რბილი, უძრავი, თბილი, სიმეტრიული, ორმაგი, წებოვანი... უკვე იმ დროს მთელი სიამოვნება, მთელი სიხარული ჩემთვის ჩემსავე ხედვაში იყო თავმოყრილი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ხილვა კი იმ ორ კვერცხს უკავშირდებოდა, ტაფაზე რომ იწვება - ოღონდ, ტაფის გარეშე... სავარაუდოდ, სწორედ ამის გამოძახილია ის ფორიაქი, ის ემოციური მუხტი, რასაც მას შემდეგ განვიცდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ამ მარად ჰალუცინატორული ხატების ხსოვნაში ამოტივტივებისას: ჯერ კიდევ დაბადებამდე დანახული ეს კვერცხები, რომლებიც ტაფაზე იწვებოდა - თუმც კი უტაფოდ - გრანდიოზული ზომისანი, ფოსფორულად ანათებდნენ და ყველა უწვრილესი ძაფი თუ ძარღვი თვალისმომჭრელად ეტყობოდა მათს ოდნავ სიცისფრედაკრულ სითეთრეს. ეს ორი კვერცხი მიახლოვდებოდა ხოლმე, უკან იხევდა, ხან მარცხნივ გადაინაცვლებდა, ხან - მარჯვნივ, ხან ზევით, ხანაც - ქვევით; თან სადაფისფრად ბზინავდა - ჯერ თვალისმომჭრელად, მერე - სულ უფრო და უფრო მკრთალად და სულ ბოლოს - ქრებოდა კიდევ. დღესაც ჯერ ისევ შემიძლია ჩემი სურვილისამებრ გავაცოცხლო იგივე სახება, მართალია, არა იმდენად ნაჯერ ფერებში, არა მთლად იმ პირველადი დიდებულებითა და იდუმალებით, მაგრამ მაინც ვახერხებ იმ ეფექტის გადმოტანას, რასაც თვალის გუგებზე თითების დაჭერა იწვევს ხოლმე ადამიანში და რაც დედის მუცელში მოკუნტული ჩანასახის პოზას უკავშირდება. სხვათა შორის, ბავშვებში უადრესად გავრცელებული თამაშია მთელი ძალით თვალეებზე თითების მიჭერა იმ ფერადი წრეების დასანახად, რომელსაც ზოგჯერ „ანგელოზების ნაკვალევს“ უწოდებენ. სავარაუდოდ, ბავშვი ამ დროს ჩანასახოვანი მდგომარეობის ხედვითი მოგონებების გაცოცხლებას ესწრაფვის, ტკივილამდე აწვება ერთგვარი ნოსტალგიით შეპყრობილ თვალეებს, რათა სანუკვარი შექები და ფერები „გამოწუროს“ მათგან, კვლავაც დაინახოს ფერადოვან ანგელოზთა ის ღვთაებრივი მარავანდედი, დაკარგულ სამოთხეში რომ დარჩენია!

რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, რომ ადამიანის მთელი წარმოსახვითი ცხოვრება იმისაკენ ისწრაფვის, ყველაზე ჩვეულებრივი ვითარებებისა და გამოვლინებების მეშვეობით სიმბოლურად სწორედ ის, თავდაპირველი სამოთხისეული მდგომარეობა აღიდგინოს; განსაკუთრებით კი დაბადების ის საზარელი ტრავმატული გამოცდილება გადახარშოს, რომელიც ამ სამოთხიდან ჩვენს გამოდევნას ახლავს თან - როცა უცებ და უხეშად ვწყდებით იმ იდეალურად დაცულ, ჩაკეტილ სივრცეს, შიშვლები ვეჭახებით ახალი სამყაროს რეალობას, ვერ ამოგვისუნთქავს, სული გვეხუთება, სინათლე გვაბრმავეს და ეს მყისიერი განცდაც სამარადისოდ გვებეჭდება გონებაში.

ისიც შეიძლება მოგეჩვენოს ადამიანს, რომ სიკვდილის სურვილი ხშირად სწორედ ამ საწყისთან დაბრუნების მოურეველი და მუდმივი ლტოლვით აიხსნება და თვითმკვლელებიც, ზოგადად, ისინი არიან, ვინც დაბადების ტრავმატიზმის დაძლევა ვერ მოახერხა. სულერთია, სოციალური კიბის რომელ საფეხურზე დგას მავანი, რა გარეგანი ხიბლი და ბრწყინვალეობაც არ უნდა ახლდეს მის ყოფას, უეცრად მაინც ეუფლება სიკვდილის სამყოფელში დაბრუნების ჟინი. სწორედ ასევე, ჯარისკაციც, როცა ტყვიით განგმირული ეცემა ბრძოლის ველზე და ბოლო ამოძახილით დედას უხმობს, ამით ხელახლა ჩასახვას ლამობს - იქ დაბრუნებას, საიდანაც მოევლინა კიდევ ამ სამყაროს და ზემოთქმულს არაფერი ადასტურებს ისე თვალნათლივ, როგორც ზოგიერთი იმ ტომის ადათ-წესები, მიცვალებულს ნაყოფივით მოკუნტულს რომ უბრუნებენ მინას.

მაგრამ გინდაც ადამიანს არც გააჩნდეს სიკვდილის წუთის ამ თვალისამხელი გამოცდილების მოთხოვნილება, ძილის მეშვეობით დროდადრო მაინც ეზიარება - მეტ-ნაკლებად - ამგვარ ხელოვნურ სიკვდილს, მეტ-ნაკლებად უახლოვდება იმ სამოთხისეულ მდგომარეობას, რომლის ხელახლა მოხელთებას ის მთელი თავისი არსებით ცდილობს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია მძინარეთა პოზა: პირადად ჩემს შემთხვევაში, მე დაძინებამდე არა მარტო ერთიანად ვიკუნტები, არამედ რიტუალური პანტომიმის მთელ არსენალს მოვიცავ - იქნება ეს სხეულის უნებლიე მოძრაობები, გაურკვეველი ჟესტები თუ გვერდის ხშირი მონაცვლეობა, რაც სხვა არაფერია, თუ არა იდუმალი როკვა - ლამის ლიტურგიული, ცერემონიალური ინიციაცია, მიმართული სხეულისა და სულის ძილით მოგვრილი იმ დროებითი ნირვანის მისაღწევად, რაც ჩვენი დაკარგული სამოთხის

მონასხლექთა ხელახლა მოხელთებაში უნდა დაგვეხმაროს... დაძინებამდე მართლა ჩანასახივით ვიკუნტები-მეთქი, დანარჩენ თითებში ტკივილამდე ვიმწყვდევ ცერებს, მოურეველ სურვილს ვგრძნობ - ლოგინის სიტბოს მიუხედავად - ბეჭებით ზენრის სიმბოლური პლაცენტა შევიგრძნო; ასე რომ, პაპანაქება სიცხეშიც კი თავ-ფეხიანად უნდა შევიფუთო - გინდაც მთლად სიფრიფანა ქსოვილი მეფაროს საბნად.

სწორედ ესაა ჩემი საშოსშიდა მეობის გამოვლინება, რასაც შემდეგნაირად დავახასიათებდი: გარკვეული წონა ორი სიმრგვალის ირგვლივ - სავარაუდოდ, ჩემივე საკუთარი თვალების... არაერთხელ წარმომიდგენია და ამისახავს კიდევ ტილოზე ძილის ურჩხული, როგორც ვეებერთელა და თუჯივით მძიმე თავი, ზედ მიბმული ძაფის სინვრილე სხეულით, წონასწორობას რეალობის საყრდენი ის ყავარჯნები რომ უნარჩუნებენ, რომელთა წყალობითაც ძილში მიწისზემოთ გამოკიდებულობის განცდა არ გვტოვებს, მაგრამ ხანდახან ეს ყავარჯნებიც გამოგვეცლება ხოლმე და ჩვენც „ვეცემით“ - დარწმუნებული ვარ, თქვენც განგიცდიათ უძირო სიცარიელეში უცარი ვარდნის ის მძაფრი შეგრძნება, სწორედ დაძინების წინ რომ გვეუფლება, ერთიანად რომ გვზარავს და დამადამბლავებელ შიშად გაგვკრავს ხოლმე გულში! ეჭვიც ნუ შეგვეპარება - ეს დაბადების უხეში და დაუნდობელი მოგონებაა მხოლოდ, იმ თავბრუდამხვევი წამის განმეორება, როცა „სამოთხიდან“ გამოგვდევნეს და გარეთ გამოგვტყორცნეს... დაბადებამდელი ხსოვნის აღდგენა დაძინების წინ, რომელსაც, ჩვეულებრივ, უძრაობა ახასიათებს, სწორედ ამ ტრავმატული მოგონებების წინაპირობაა. დაძინებამდე სიცარიელეში ეს ვარდნა ყოველ ჯერზე იჩენს თავს, როცა მავანი ან შიშის მოძალების, ანდა ყოველდღიური საზრუნავისაგან თავქუდმოგლეჯით გაქცევის მოთხოვნილების კარნახით, სიამის მომგვრელი, ნაწინაპრი და მაცოცხლებელი ძილისათვის ემზადება.

ფროიდის წყალობით ჩვენ გავიგეთ ეროტიკული შინაარსით

განპირობებული ის სიმბოლური მნიშვნელობა, რაც „მინისაგან მოწყვეტას“ უკავშირდება, და ყველაფერ ამის პირველმიზეზიც უკვე სავსებით გასაგები ხდება: ცხადზე-ცხადია, რომ ჩვენი სიმბრისეული „ფრენა“ უშუალოდ ებმის იმავე სიმბრისეულ „სამოთხეს“, რასაც ჩვენი თანამედროვე, გაუაზრებელი მითოლოგია „ცის დაპყრობის“ სურვილად ასაღებს (ასევე ცხადი ხდება ის ფენომენიც, როცა პრიმიტიული რელიგიები აეროპლანს ახალ ღვთაებად სახავენ ხოლმე) და რაც უშუალო კავშირშია ზემოთქმულ ძილისწინა „ვარდნის განცდასთან“ - იმასთან, რაც დედის საშოდან გამოსვლას მოგვაგონებს...

ჩემ მიერ ამ ბოლო ხანს შექმნილი ჩანთოსანი მდედრი კენტავრებიც ხომ სიმბოლურად ამასვე გულისხმობს: მათ მუცლებზე დატანებული ღრუები ნაშიერებს საშუალებას აძლევს, სურვილისამებრ დატოვონ მშობელი ან დაუბრუნდნენ მას - საკუთარ „სამოთხეს“ და გარემომცველ სინამდვილესაც არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა, თანდათანობით შეეგუონ. სხვათა შორის, ჩემს ერთ-ერთ გამოფენაზე მავანმა ქალბატონმა მკითხა კიდევ, რას ნიშნავს ეს ღრუები თქვენი კენტავრების მუცლებზეო? რაზედაც ვუპასუხე - ეს ზუსტად იგივეა, რაც პარაშუტი, ოღონდ - ნაკლებ სახიფათო-მეთქი... როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ნათქვამი კიდევ ერთ მისტიფიკაციად ჩამეთვალა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყურადღებიანი მკითხველი ამ პასუხს სულ სხვაგვარად განსჯის და - უკვე ზემოთქმულიდან გამომდინარე - აღარც იმდენად ექსცენტრული მოეჩვენება.

ენ. „გარეგანი საფრთხის“ წყალობით ხელახალი სიცხადით გვაგონდება ხოლმე საშოსეული ფანტაზმები და წარმოდგენები; მახსოვს, ბავშვობაში ზაფხულის ძლიერი ქარტყილების მოახლოებისას, თავქუდმოგლეჯილი როგორ გავრბოდით ხოლმე და სუფრაგადაფარებული მაგიდების ქვეშ ვიმალებოდით, ანდა სახელდახელოდ ვიშენებდით ქოხებს სკამებისა და საბნებისაგან და ამგვარ თავშესაფარში ვაგრძელებდით ჩვენს თამაშობებს. იქ შეყუჟულებს, ჭეჭა-ჭეხილისა და წვიმის ხმაური უკვე სულაც აღარ გვაშინებდა - ეს ყველაფერი ახლაც მხოლოდ სასიამოვნო მოგონებად დამირჩა. იმ სივიწროვეში განსაკუთრებით უკვირვარდა ტკბილეულით პირის ჩატკბარუნება, შემთბარი მაქარწყლის წრუპვა, თან კი გამუდმებით თავს ვირწმუნებდით, თითქოსდა ჩვენი ცხოვრება სულ სხვა სამყაროში მიედინებოდა! ქარ-წვიმიან ამინდებში ამგვარ გართობებს მე სახელად „მღვიმეობანა“ ან, მეორენაირად - „პადრე პათუფეტობანა“ დავარქვი და აი, რატომ: პადრე პათუფეტი ძველთაგანვე ბავშვების უსაყვარლესი გმირი გახლდათ მთელ კატალონიაში; იმდენად ცეროდენა იყო, ერთ დღეს სულაც დაიკარგა - უამრავი საფრთხისაგან გადასარჩენად, კეთილმა ხარმა გადაყლაპა... მშობლები სადღა არ

დაეძებდნენ, ეძახდნენ, და ბოლოს, როგორც იქნა, მისი ხმაც გაიგონეს: აქა ვარ, ხარის მუცელში, სადაც არც მანვიმს და არც მათოვსო![2]

სწორედ ამ ხელოვნურ, „ხარისმუცლის“ მღვიმეებში თავშეფარებულს, პათუფეტისეული წარმოსახვები მიმძაფრდებოდა და თვალწინ ისევ მიცოცხლდებოდა უცნაური, დაბადებამდელი მოგონებები. ამ ხატება-მოგონებებმა იმდენად განმსაზღვრელი გავლენა იქონიეს ჩემს დანარჩენ ცხოვრებაზე, ასე მგონია, ეს ცხოვრება შემდეგი უცნაური თამაშის გამოძახილია-მეთქი: ოთხზე იმნაირად ვდგავარ, ხელები მუხლებს რომ ეხებოდეს; მერე თავს ვჭინდრავ და საათის ქანქარასავით ისე ვაქნევ აქეთ-იქით, სისხლი რომ მომანვეს საფეთქლებში და იქამდე არ ვჩერდები, სანამ თავბრუსხვევა არ დამეწყება. მერე უკვე, ფართოდ თვალეზგახელილი, ვხედავ - მუქი წყვილიადიდან (ასეთ სიმავეს ვერანაირ ნამდვილ სიბნელეს ვერ შევადარებ), ფოსფორულად მოციმციმე წრეები ჩნდება, რომლებიც სწორედ იმ უტაფოდ შემწვარი კვერცხების სახეს იძენს, ადრეც რომ ვახსენე... მერე ეს ცეცხლოვანი კვერცხები ერთმანეთში ირევა და რბილ, ამორფულ თეთრ ცილად იქცევა - თითქოს ყველა მიმართულებით იღვრება, ყველა იმ ფორმას იძენს, რაც კი ჩემს სურვილს შეუძლია მას მიანიჭოს!

სწორედ ამიტომ, მექანიკური საგნების სიხისტე მუდამ ამაზრბენი იყო ჩემთვის, მტრულიც კი - როგორც, ვთქვათ, მაჯის საათების... ჩემი წარმოდგენით, ისინი ან რბილი და თხევადი უნდა ყოფილიყო, ანდა საერთოდ აზრი არ ჰქონდა მათ არსებობას.

### სალვადორ დალის ქვეყნად მოვლინება

1904 წლის მაისის თვის მეცამეტე დღეს, დილის 11 საათზე, ქალაქ ფიგუერასში, დონ სალვადორ დალი-ი-კუბი, გერონის პროვინციის ქალაქ ვადაკესში დაბადებული, 41 წლისა, ცოლიანი, პროფესიით ნოტარიუსი, ფიგუერასში, კალე დე მონტურიოლის ქუჩის 320-ში მცხოვრები, პირადად წარდგა ქალაქის მუნიციპალური მოსამართლის, ღირსპატივისცემ სენიორ მიგუელ კომას კინტანასა და მისი მდივნის, ფრანცისკო სალა საბრიას წინაშე, რათა სამოქალაქო დავთარში ბავშვის დაბადების ამბავი ჩაენერინებინა და საამისოდ ზემოხსენებულ მდივანს შემდეგი უკარნახა: „ბავშვი ესე შინ დაიბადა - 8 საათსა და 45 წუთზე, ამა მაისის თვის მეთერთმეტე დღეს, და მას სახელად სალვადორ ფელიპე-ი-ხაკინტო ვუწოდეთ. ისაა კანონიერი შვილი ჩემი და ჩემი მეუღლის, დონია ფელიპა დომე- დომენეკისა, რომელიც 30 წლის წინ ბარსელონაში დაიბადა და ამჟამად ზემოხსენებულ მისამართზე ცხოვრობს, მონტურიოლის ქუჩაზე. ბავშვის ბებია/ბაბუა, მამის მხრიდან, გახლავან დონ გალო დალი ლინასი, დაბადებული ვადაკესში, ან გარდაცვლილი, და დონია ტერეზა კუბი მარკო, დაბადებული როსასში; დედის მხრიდან ბებია/ბაბუა არიან ბარსელონის მკვიდრები - დონია მარია ფერეს სადურნე და დონ ანსელმო დომენეკ სერა.“

დე, ახმიანდნენ ბარები ერთხმად! ზუსტად ახლა სალვადორ დალი მოევლინა ქვეყნიერებას - სიო არ იძვრის და მაისის ცაზე ფთილა ღრუბელიც კი არ მოჩანს. ხმელთაშუა ზღვა გარინდულა და თევზის ბურგივით გლუვ მის ზედაპირს მზის სხივების ათინათი ცისარტყელის ფერებად დასთამამებს... მით უკეთესი! სალვადორ დალი მეტს არც ინატრებდა...

ოღონდ კი იცოდეთ, რომ სიკვდილის დღეს ის სულ სხვა ვინმე იქნება!

### ბავშვობის უხიაგი მოგონებები

შვიდი წლის რომ ვიყავი, მამაჩემმა გადაწყვიტა, სკოლაში მივებარებინე. საამისოდ დიდი ძალისხმევა კი დასჭირდა: მთელი გზა ხელჩაკიდებულს მიმართევდა - ისე ვუძალიანდებოდი და ისეთ ხმაზე გავკიოდი, ქუჩის მედუქნეები ერთიანად გარეთ გამოეფინნენ და გამტერებულები შემოგვცქეროდნენ. იმ დროისათვის მშობლებმა მოახერხეს და ორი რამ - ანბანი და საკუთარი სახელის დანერა მასწავლეს. სკოლაში გატარებული პირველი წლის თავზე, თავიანთდა გასაკვირად, აღმოაჩინეს, რომ აღარც ერთი მახსოვდა და აღარც მეორე...

ოღონდ ეს არანაირად ჩემი ბრალი არ ყოფილა: მასწავლებელმა ყველაფერი იღონა მსგავსი შედეგის მისაღწევად; უფრო სწორად, საერთოდ არაფერი უღონია, რადგან კლასში ძირითადად იმისათვის შემოდიოდა, გემრიელად გამოეძინა. სახელად სენიორ ტრეიტე ერქვა, რაც ერბოვცერცხისმაგვარ კერძს ნიშნავს კატალანურად და, ყველა თვალსაზრისით, მართლა ფანტასტიკური ტიპაჟი გახლდათ. ზუსტად შუაზე გაყოფილ გრძელ, თეთრ წვერს ატარებდა, რომელიც მჯდომარეს ლამის მუხლებს ქვემოთ უწევდა და სპილოსძვლის ელფერის მქონე ეს წვერი მოყვითალო წერტილებით იყო დანიშნული - მთლად ისე, როგორც რომ თავგადაკლულ მწველებს აქვთ ფრჩხილებზე და ასევე, პიანინოს კლავიშებსაც, რომელთაც, ცხადია, ცხოვრებაში თამბაქო არასოდეს დაუგემოვნებიათ.

რაც შეეხება სენიორ ტრეიტეს, არც ის იყო მწვეელი - ეს ალბათ იმიტომ, ძილში რომ არ შემლოდა ხელი, თუმცა ხანგამოშვებით ბურნუთს მაინც იყნოსავდა ხოლმე. ყოველი ხანმოკლე გამოღვიძებისას, უსირცხვილოდ სურნელოვან ერთ მნიკვს დასწვდებოდა და ისე გულიანად დააცემინებდა, სუბთლად ალაქავებდა იმ თავის უშველებელ ცხვირსახოცს, რომელსაც ერთობ იშვიათად ცვლიდა. სახე სანდომიანი ჰქონდა, რაღაცით ტოლსტოის წაგავდა და თან ლეონარდოსეულიც გამორეოდა იერში; ნათელ, ცისფერ თვალებში აშკარად ჩანდა ოცნებისა და გვარიანი პოეტურობის ანარეკლი; დაუდევრად იცვამდა, ობის სუნიც დაჰკრავდა და დროდადრო ცილინდრს იკოსებდა თავზე, რაც ჩვენს მხარეში ცოტა უჩვეულო ამბად მოჩანდა. თუმცა, ამ გარეგნობის პატრონს შეეძლო, ყველაფრის უფლება მიეცა საკუთარი თავისათვის - იშვიათი გონების პატრონის მარავანდები ადგა, რაიც სრულიად მოუწყვლადს ხდიდა ხალხის თვალში. ხანდახან, კვირაობით, ექსკურსიებზე გადიოდა და შინდაბრუნებულს, თავისი ფორანი საეკლესიო ქანდაკებების ნაწილებით, გოთური ვიტრაჟების ნამტვრევებითა თუ სხვა იმ არქიტექტურული ნაყარ-ნუყარით ჰქონდა სავსე, რასაც შორიახლო სოფლების ეკლესიებში იპარავდა, ანდა ლამის ჩალის ფასად იძენდა. ერთხელ რომანული სვეტისთავით მოიხიბლა, რომელიც სოფლის სამრეკლოზე რომ აღმოეჩინა; დამე აიპარა და შინ წამოღება დაუპირა. იმდენი ეჭაჭგურა და არცა, სამრეკლოს ნაწილიც ჩამოშალა და ორი დიდი ბარი - წარმოიდგინეთ, რა ბრიალით - ძირს ჩამოვარდა, მეზობელი სახლის სახურავი ჩაანგრია და უშველებელი ხვრელი დატოვა! როცა დაფეთებული სოფელი მიხვდა, რაც მომხდარიყო, სენიორ ტრეიტე უკვე შინისაკენ მოაჭენებდა თავის ფორანს, თუმცა ისიც მართალია, რომ ზურგში ნასროლი რამდენიმე ქვა მაინც ვერ აიცილა... მართალია, ამ ამბავმა ფიგურასში ხალხი ცოტა ვი შეაშფოთა, მაგრამ თან დიდი სახელიც დაუვარდა - როგორც ხელოვნებისა და სიძველეების სიყვარულისათვის ტანჯულ კაცს. მთელ ამ ისტორიაში ჭეშმარიტი ისაა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, სენიორ ტრეიტე ყველას თვალწინ რაღაც უცნაურ საცხოვრისს იშენებდა, სადაც ერთად მოუყარა თავი ამ საკვირაო „მომლოცველობისას“ მოგროვილ მთელ ამ არაერთგვაროვან სიძველეთა კოლექციას, რაც თავის მხრივ მთელ ჩვენს მხარეში გაბნეული საგანძურის თვალსაჩინო ნგრევა-განადგურების პირწმინდად ენდემურ ფორმად შეიძლებოდა ჩათვლილიყო!

მაინც რატომ შემირჩიეს მშობლებმა სკოლა, სადაც ასეთი უჩვეულო კაცი პედაგოგობდა? მამაჩემი - თავისუფლად მოაზროვნე, იმ სენტიმენტალური ბარსელონის შვილი, სადაც ხოსე ანსელმო კლავეს ჰანგები მოისმობდა დილაუთენია და ანარქისტები ბუდობდნენ, პრინციპის საქმედ თვლიდა, ეკლესიის სკოლაში არ მივეყვანე, რაც მთელ ქალაქში ცნობილი ნოტარიუსისა და ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ადამიანის შვილისათვის უფრო უპრიანიც იქნებოდა; მაგრამ რატომღაც იმთავითვე საჯარო სკოლა ამჯობინა, და თან ისეთი, სადაც სენიორ ტრეიტე ასწავლიდა. იყო ამაში რაღაც მართლა ექსცენტრული და მხოლოდ ნაწილობრივ თუ აიხსნებოდა სენიორ ტრეიტეს ლამის მითიური სახელით - მისი პედაგოგიური ნიჭის შესახებ ჩემი მშობლების არც ერთ ნაცნობ-მეგობარს არანაირი წარმოდგენა თუ პირადი შთაბეჭდილება არ გააჩნდა, რადგანაც მათი შვილები სულ სხვაგან სწავლობდნენ.

შესაბამისად, პირველი წელი ჩვენი ქალაქის უღარიბესი ბავშვების გვერდით გავატარე კლასში - რაც, მე თუ მკითხავთ, ძალზე მნიშვნელოვანი ამბავი გამოდგა მეგალომანიისაკენ ჩემი ბუნებრივი მიდრეკილების გასამძაფრებლად: მართლაცადა, მე - შეძლებული ოჯახიშვილი, სულ უფრო და უფრო მძაფრად აღვიქვამდი თავს ჩამოძინილ თანაკლასელთაგან გამორჩეულ, სრულიად განსხვავებულ, დახვეწილ არსებად... მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც ცხელი რძე და კაკაო დაჰქონდა სკოლაში, თანაც - იმ

თვალწარმტაცი თერმოსით, რომელიც ჩემივე ინიციალებიან ტომსიკაში მედო; მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც სულ მცირე ნაკანონზე კი სალბუნს ადებდნენ, ერთადერთს მეცვა მებღვაურის კოხტა სამოსი - მკლავებზე ოქრომკვდით მოსირმული, ქუდზე ოქროცურვილი ვარსკვლავებით... ერთადერთი დავიარებოდი გულდაგულ თმადავარცხნილი და თავზეც ისეთი სურნელოვანი სუნამო მესხა, კლასელები ცდუნებას ვერ უძლებდნენ და დღეში რამდენჯერმე მოდიოდნენ ხოლმე ჩემი ამ ნალოლიავები კულულების დასაყნოსად. მეტიც, ერთადერთი ვიყავი, ვისაც თვალისმომჭრელად მბზინავ-გაპრიალებული, ვერცხლისბალთებიანი ფეხსაცმელი მეცვა და სწორედ ეს ფეხსაცმელი ხდებოდა ხოლმე - გაცვეთის შემდეგ - დიდი წენვა-გლეჯის საგანი, რადგან სხვა ბავშვები ზამთარშიც კი ფეხშიშველები დაიარებოდნენ, ანდა ათასჯერ გადაკერებულ-გადმოკერებულ, სხვადასხვა ფერის ესპადრელებში წაეყარათ ფეხები. რაც მთავარია, ერთადერთი ვიყავი, ვინც არათუ არანაირ თამაშებში არ ვმონაწილეობდი, ხმასაც კი არ ვცემდი არავის. კლასელებიც მერიდებოდნენ, როგორც უცხოს და მხოლოდ იმისთვის თუ მიდგებოდნენ გვერდით, უფრო კარგად რომ შეეთვალაიერებინათ მათი აღმაფრთოვანებული მაქმანებიანი ცხვირსახოცი თუ ვერცხლის ძაღლისთავიანი, მოქნილი და ნატიფად დამუშავებული ბამბუკის ხელჯოხი.

მამ, რა ჯანდაბას ვაკეთებდი მთელი ეს წელი?! ჩემი ამაყი მღუმარების ფონზე სხვა ბავშვების ჟრიაბული და სრულიად ბუნებრივი ცელქობა ერთი შეხედვით გაუსაძლისიც კი უნდა ყოფილიყო ჩემთვის: მთელი ეს ყირაზე გადასვლები, ძიძგილაობა, ჟივილ-ხივილი თუ გაუცნობიერებელი ჟინი - ლამის კბილ-ფრჩხილებით დაეძიძნათ ერთმანეთის შიშველი ხორცი - ანუ ნებისმიერ ჯანმრთელ ბიოლოგიურ არსებაში იმთავითვე ჩაბუდებული მოთხოვნილება გამოემჟღავნებინათ, ჩემთვის სრულიად უცხო რამ იყო - სულ სხვა მხარეს მეჭირა გები და ყოველდღიურად სულ უფრო ნაკლებად ვიცოდი, როგორ მეკეთებინა ესა თუ ის საკეთებელი. აღმაფრთოვანებდა ათასგვარი ჯურის სურვილებით შეპყრობილ იმ პაწია არსებათა გერგილიანობა, საკუთარი ხელით რომ ახერხებდნენ, ნუთმი შეეკეთებინათ მათივე გატეხილი სკამი თუ დამტვრეული უჯრა, ან რა საოცარ ფიგურებს აკეთებდნენ ქაღალდის ერთი უბრალო ფურცლიდან! თვალის დახამხამებაში შეეძლოთ თავიანთი ესპადრელების ყველაზე უფრო ჭიუტი ზონრების გახსნაცა და შეკვრაც, მე კი, მთელი საღამო ოთახში გამოკეტილიც რომ დავრჩენილიყავი, თავს ვერ ვუშველიდი, რადგან ისიც არ ვიცოდი, საით უნდა გადამეტრიალებინა კარის სახელური... ნებისმიერ სახლში მოხვედრილს, იმნუთას მხარი მექცეოდა ხოლმე და თავგზა მებნეოდა, გინდაც პირველად არ ვყოფილიყავი იქ... მოკლედ, ეს ავადსახსენებელი „პრაქტიკული აქტივობა“ ჩემი დაუძინებელი მტერი გახდა და გარე სამყაროს საგნებზე ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტ შიშს მგვრიდა.

აბა, მართლაც რისთვის გავატარე მთელი წელიწადი ამ სკოლაში? ერთადერთი რამისათვის, რასაც ლამის მოუთოკავი ხალისით ვეძლეოდი: ჩემს საკუთარ „რიომ მოგონებებს“ ვთხზავდი! ამგვარ მოგონებებსა და რეალურ მოგონებებს შორის იგივე განსხვავებაა, რაც მარგალიტებზე შეიძლება ითქვას: ერთი შეხედვით, სწორედ რიომი მარგალიტები გვეჩვენება ნამდვილად და არა - მართლა ნამდვილები. იმ დროისათვის უკვე მახსოვდა რაღაც, რაც თავისი უცნაურობის გამო, ალბათ ჩემს პირველ ასეთ მოგონებად უნდა ჩაითვალოს: ვხედავდი შიშველ ბავშვს, რომელსაც აბანავებდნენ; ბავშვის სქესი არ მახსოვს, მაგრამ მის ერთ დუნდულაზე აფუთფუთებული ჭიანჭველების საზარელ გროვას ვლანდავდი, რომლებიც ლამის ფორთოხლისხელა ღრმულში ბინადრობდნენ... შუა ბანაობისას ბავშვი ამოაბრუნეს, მუცელი გამოუჩნდა და მაშინ ვიფიქრე - ჭიანჭველები გაიჭყლიტებიან და ამით მოთავდება-მეთქი ყველაფერი! მაგრამ მერე ბავშვი ისევ ძველ მდგომარეობას დაუბრუნეს და წარმოიდგინეთ, რა ცნობისმოყვარეობით ველოდი შედეგს, თუმცა ვეღარც ისინი დავინახე და აღარც ღრმულის კვალი ჩანდა სადმე! ეს მოგონება უაღრესად მკაფიოა, ოღონდ ვერ კი ვიტყვი - ბუსტად რა დროიდან ჩამრჩა მეხსიერებაში.

მეორე მხრივ, დარწმუნებული ვარ - სადღაც 7-8 წლისა მაინც უნდა ვყოფილიყავი, უკვე სენიორ ტრეიტეს სკოლაში დავიარებოდი, ანბანის ასოების მაწიწყდებოდა და აღარც საკუთარი სახელის დაწერა შემეძლო უკვე. მითისა და გამონაგონის უძლეველი გავლენა ისე ირეოდა ცხოვრების ყოველი წუთის მდინარებაში, რომ მოგვიანებით ხშირად ვეღარც კი ვარჩევდი - სად იწყებოდა სინამდვილე და სად თავდებოდა წარმოსახვა.



ჩემმა მახსოვრობამ ყველაფერი ისე შეთქვიფა ერთგვაროვან და დაუნანვერებელ მასად, მხოლოდ გარკვეული მოვლენების - ოღონდ, მეტისმეტად აბსურდულისა და ამკარად არარეალურის - ობიექტური კვლევა თუ შემადღებინებს, ეს მოვლენები აუთენტურ მოგონებებად მივიჩნიო. ასე მაგალითად, როცა ერთ-ერთი ჩემი ასეთი მოგონება რუსეთში მომხდარ ამბებს მიცოცხლებს თვალწინ, სხვა თუ არაფერი, იძულებულიც კი ვხდები, ეს მოგონება რიოზად მივიჩნიო, რადგან ამ ქვეყანაში არასოდეს ვყოფილვარ; არადა, ჩემი არაერთი ამგვარი მოგონება სწორედაც რომ რუსეთიდან იღებს სათავეს!

გაკვეთილების დამთავრების მერე სენიორ ტრეიტეს ზოგჯერ თავის ბინაში მივყავდი ხოლმე. ეს სამყოფელი დღემდე ყველაზე მომაჯადოებელ ადგილად რჩება ჩემთვის და უამრავ მოგონებას უკავშირდება. ალბათ, სწორედ ასეთ ოთახში მუშაობდა ფაუსტი - საკუთარი სიმძიმისაგან გაზნევილ, ჭერამდე აყუდებულ წიგნის თაროებზე ვეებერთელა, დამტვერილი ტომეულები სხვადასხვა უცნაურ ნივთებს ენაცვლებოდა და ამ ნივთებიდან ზოგიერთი მთლიანად ან სანახევროდ მაინც აბლაბუდით იყო დაფარული, იდუმალების ელფერი დაჰკრავდა და თითქოს სულ სხვა სამყაროში გადავყავდი...

სენიორ ტრეიტე მუხლებზე დამისვამდა და მეუბნებოდა - ახლა რაღაც ისეთს გაჩვენებ, რაც არასოდეს გინახავსო. მართლაც უამრავი რამ მაჩვენა, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც დიდი, ბრჭყვიალა, მართკუთხა კოლოფი იყო - ჩემი აღფრთოვანების მთავარი საგანი. ეს ერთგვარი „ოპტიკური თეატრი“ იყო, რომელიც მერე ბავშვური ილუზიების უმთავრეს წყაროდ მექცა. ვერც ვერასოდეს მოვახერხებ, გონებაში ზუსტად აღვიდგინო, მაინც როგორ იყო მოწყობილი - მახსოვს, ყველაფერი თითქოს წყლის მოლივლივ, შეფერადებული სტერეოსკოპული კედლის მიღმა ხდებოდა: თავად სურათები უკნიდან ნათდებოდა და ერთიმეორეში გადადიოდა ისე უცნაურად, როგორც ის სწრაფად ცვალებადი ზმანებები, ნახევრად ჩაძინებულებს რომ წარმოგვიდგება ხოლმე თვალწინ. სენიორ ტრეიტეს ამ გასაოცარ სამყაროში ვიხილე სწორედ ის ხატებები, რომელთაც სამუდამოდ ამიფორიაქეს სული და განსაკუთრებით რუსი გოგონას სახე დამამახსოვრდა - თეთრ ბენჯეულში ჩაფუთნილიყო და მარხილში იჯდა, რომელსაც გავემებული მგლები მოსდევდნენ... გოგონა დაუინებით შემომცქეროდა და მისი სულისშემძვრელად ამაყი გამომეტყველება გულისცემას მიჩერებდა... ნესტოებიც კი ცოცხალივით უთრთოდა - ტყის პატარა, ველური მხეცივით, ეს უკიდურესი ცხოველმყოფელობა კი სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა მისსავე სახის ღვთაებრივ სიმშვიდესთან, მისი ნაკვთების იმ გასაოცარ ჰარმონიულობასთან, რაფაელის მადონას რომ მოგაგონებდათ.

ვითომ, გალა იყო?! ახლაც დარწმუნებული ვარ, მართლა ასეა...

ყველაზე უცნაური ამ ფენომენთან დაკავშირებით, რომელიც ჩემი მომავალი ესთეტიკის ქვაკუთხედად უნდა ქცულიყო, ის იყო, რომ შემდგომში ყოველი ამგვარი, თუნდაც ერთხელ ნანახი სურათის ხილვა ისევ შემეძლო საკუთარი ნება-სურვილისავე კარნახით; თანაც, არა მხოლოდ თავდაპირველი სახით, არამედ თითქმის ყოველთვის უფრო დახვეწილისა და იმგვარად გამდიდრებულის, ჩემ მიერ მისი შემდგომი სრულყოფა უკვე თითქოს თავისთავად, ძალდაუტანებლად ხდებოდა.

\*

კარგი, ახლა რამე სხვასაც მოგიყვებით, ასევე უცნაურს: უნდა გითხრათ, ცხოვრებაში რასაც ვი ვინატრებდი - მთელი არსებით თუკი ვინატრებდი - ბოლოს და ბოლოს, უცილობლად ამიხდებოდა ხოლმე. კარგად მახსოვს, როგორ ვნატრულობდი თოვლის ხილვას - აი ისეთის, სურათებზე რომ მინახავს: ხვავრიელის, ფაფუკის, ქათქათას... ამისრულდა კიდევ. მთელი დილა პირდაღებული მივჩერებოდი ბუნების ამ მოვლენას და ისეთი გრძნობა მიჩნდებოდა, რომ ეს სრულად და სავსებით მხოლოდ ჩემი ჯადო-მჩიბაობის შედეგი იყო!

შუადღისაკენ თოვა შეწყდა; ძლივს მომწყვიტეს ფანჯარას და დედამ მე და ჩემი და სასეირნოდ წაგვიყვანა პარკში. თოვლში ყოველი ჩემი ნაბიჯის ხრამახრუში საოცარი სიხარულით მავსებდა, თუმცა, აი, მანქანისა და ქალაქის ტრანსპორტის უწყვეტ მოძრაობას კი ლამის პირად შეურაცხყოფად აღვიქვამდი...

ქალაქის განაპირას მივალწიეთ და აქ უკვე თოვლის საფარის სითეთრე მართლაც თვალისმომჭრელი გახდა. სწორედ იქ ვკიდე თვალი რაღაც ნაყოფს - ხიდან თუ ჩამოვარდა - თოვლში ეგდო და მოლურჯო ჩრდილს ადებდა მის სითეთრეს. ამ დროს

მზემაც გამოანათა, ნაყოფის გადახეთქილ შიგთავსს დაადგა ცეცხლისფრად და თითქოსდა „გააცოცხლა“ კიდევ... მივედი - ვაშლი ყოფილიყო - ხელი დავავლე, გადახეთქილ ადგილას ვაკოცე და ცხვირსახოცში გამოვახვიე. მერე დაიკოს ვეუბნები: „ჯუჯა მაიმუნი ვიპოვე, მაინც არ განახებ!“ - ვთქვი და, თითქოს შეინძრა კიდევ ჯიბეში...

დედა მეუბნება: „აი, იმ გაყინულ შადრევანამდე მიდით, იმას იქით კი არსად წახვიდეთ! მე აქ დაგელოდებით და შორიდან გადევნებთ თვალს.“ იქვე, სკამზე, მისი ნაცნობები მოკალათებულიყვნენ და დედაჩემისათვისაც გამოეძებნათ ადგილი. სულ ცოტა ხნის წინ მაგ სკამზეც თოვლი იდო და, ცხადია, სისველეც შერჩენოდა; ვერ აგინერთ, როგორ გავბრაზდი, ამგვარი რამ რომ შესთავაზეს დედაჩემს! თუმცა კი გულზე მომეშვა, ჩამოჯდომამზე რომ თქვა უარი - აქაოდა, ბავშვებს თვალი უნდა მივადევნო.

შადრევანთან მივედი, გარშემო შემოვუარე და რას ვხედავ - სწორედ ის ჩემი რუსი გოგონა არ დგას იქ?! თქვენის ნებართვით, გალუშკათი მოვიხსენიებ - ეს ჩემი ცოლის კნინობითი სახელია და, ღმერთმანი, ვერავინ გადამათქმევინებს, რომ მაშინ იქ სწორედ ის არ იდგა - გალა, გალუშკა! ან იქნებ იმთავითვე ისე მქონდა მისი ხატება გაცხადებული, რომ ახლა აღარც ვიცი, როდის და სად ამეკვიატა პირველად... იქნებ ეს ჩემი „უტყუარი მოგონებები“ იყო, ან იქნებ - პირიქით... ის კიდევ კიბის კიდებზე ჩამომჯდარიყო და შემომცქეროდა თვალდაუხამხამებლად. ანაზღად უკან დავიხიე და გულიც ისე ამიჩქარდა, ვიფიქრე, საცაა, საგულედან ამომიხტება-მეთქი! მომეჩვენა - არა, არ მომჩვენებია - ვაშლმაც დაინყო ჯიბეში ფეთქვა...

დედა გაკვირვებული მომაჩერდა და მეკითხება: „რა ნახე იქ ამისთანა?“

მერე მეგობრებს მიუბრუნდა: „აი, ამისთანა უცნაური ვინმეა - მთელი დილა ამ შადრევანთან მოყვანას მთხოვდა და ახლა იქ მისვლაც აღარ უნდა!“

ვუთხარი - ცხვირსახოცი მინდა-მეთქი, და როცა გაკვირვებული მიაჩერდა იმას, რასაც ჯიბიდან ჰქონდა წვერი ამოყოფილი, დავამატე: „ეგ ჩემი ჯუჯა მაიმუნისათვის მჭირდება, მაგით ცხვირს ვერ მოვიხოსცავ!“

დედამ ცხვირი მომწმინდა და ისევ უკან გავბრუნდი. ახლა მეორე მხრიდან მოვუნდომე შადრევანს შემოვლა - ვიფიქრე, ის გოგონა აქედან ჩემ გამოჩენას ალბათ არ ელოდება-მეთქი. ოღონდ ამ მეორე მხრიდან მოსავლელად თოვლის მიხვეტილ გროვაზე მომინია გადავლა. უკნიდან დედაჩემის ხმა გავიგონე: „ჰო, რა თქმა უნდა - აბა, ჩვეულებრივად, ყველასავით კიბით ხომ არ ჩავა!“

ოთხით გადავფოფხდი თოვლზე... კი, იქ იჯდა, ბურგით ჩემკენ. გულზე მომეშვა, რადგან ვშიშობდი, მომეჩვენა და არავინაც იქ არ დამხვდება-მეთქი. ჩავიმუხლე და ზეთისხილის ბებერ ხეს ამოვეფარე - ჩემი პოზა სწორედაც იმ ქანდაკისას ემთხვეოდა, ვითომ წყალს რომ იღებდა აუზიდან და ერთ წამს გავირინდე - მომეჩვენა, რაღაც უდროობაში მოვხვდი და მეც მარილის ბოძად ვიქეცი...[3]

ოღონდ არც სმენა გამთიშვია და არც აღქმა - გალუშკას სიფრიფანა ბეჭებსაც კარგად ვარჩევდი და დედაჩემის ხმაც თავისუფლად აღწევდა ჩემამდე.

მერე თითქოსდა ერთბაშად მომეხსნა ეს მონუსხვა, წამოვდექი და ყოველგვარი სიმორცხვისაგან განკურნებულმა, გალუშკასაკენ გავალაჯე ღრმა თოვლში. ვაპირებდი, კეფაზე მეკოცნა, მაგრამ უცებ გადავიფიქრე - ჯიბიდან ჯაყვა დანა ამოვიღე და გადავწყვიტე, ასე აჯობებს - იმ ჩემს ვაშლს გავთლი და ვაჩუქებ-მეთქი...

ოღონდ ამის გაფიქრება იყო და ისიც წამოხტა, კალთა დაიფერთხა და სადღაც გაქანდა. რატომღაც, უცხად ისევ დავიმორცხვე, ვაშლი იქვე, სკამზე დავდე და წინანდებურად გავირინდე. დარწმუნებული კი ვიყავი, ჩემი გალუშკა მაინც მობრუნდება-მეთქი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი ასე, სანამ დედაჩემმა არ გამომათხიზლა: თურმე კარგა ხანი იყო, მეძახდა - ეშინოდა, ყელს გავიციებდი და ამიტომაც სქელი შარფი მომახვია ზედ. მერე შემატყო, რაღაც მთლად კარგად რომ ვერ ვიყავი, ხელი ჩამკიდა და სახლში წამიყვანა.

სამი დღე ცხვირი არ გამომაყოფინეს შინიდან. მერე ისევ გამიშვეს სკოლაში და გაკვირვებულმა აღმოვაჩინე, რომ ჭერი ერთბაშად ნესტის ლაქებით მოფენილიყო. კარგა ხანი, სწორედ ამ ლაქების ცქერით და მათი მოხაზულობის რაღაცეებზე მიმსგავსებით

ვიქცევდი ხოლმე თავს. ლაქების სიდიდესა და კონტურების ყოველდღე იცვლებოდა და მეც სულ ახალ-ახალ წარმოსახვებში ვიძირებოდი, თითქოსდა, თავად ვქმნიდი სხვადასხვა ურჩხულებსა თუ სულ პანია ცხოველებს...

ერთხელაც, როცა სწორედამ ამ საქმით გახლდით გართული, ვიღაცის ხელები დამედო მხრებზე, ნაზად. მოულოდნელობისაგან შევხტი, ნერწყვი გადამცდა და ხველა ამივარდა. მაგრამ სახის წამოჭარხლება მხოლოდ ნაწილობრივად თუ იყო ამით გამონვეული - უბრალოდ, ეს ვიღაცა ბუჩაკესი გახლდათ და იმიტომ...

ბიჭი ჩემზე მაღალი იყო, ეს უცნაური მეტსახელი კი მისთვის შეარქვეს, რომ შარვალზე უამრავი ჯიბე ჰქონდა დაკერებული - ამას კი კატალანურად სწორედ „ბუჩაკესი“ ეწოდება. მთელ სკოლაში ყველაზე ლამაზ ბიჭად მიმაჩნდა და როცა კი ჩემი მხერა მისას შეეფეთებოდა, თუნდაც შემთხვევით, ვნითლდებოდი და თვალს ვარიდებდი ხოლმე. მოკლედ, აშკარად შეყვარებული გახლდით. განა სხვა აბა რითი შემიძლია ავხსნა ის სულიერი შფოთვა, მის დანახვისთანავე რომ მიპყრობდა?! ახლა ეს გალუშკასადმი ჩემი მაშინდელი ლტოლვის რაღაც თავისებურ საპირწონედ მიჩანს.

მახსოვს, მაშინ კარგად ვერც გავარჩიე, რა მითხრა - გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და იმიტომ. ოღონდ იმ დროიდან ბუჩაკესი ჩემი განუყრელი მეგობარი გახდა და ყოველ ჯერზე, განშორებისას, ერთმანეთს პირზე კოცნით ვემშვიდობებოდით.

მშვენიერი ქარვისფერი თმა ჰქონდა და მის ერთ ღერს ვინახავდი კიდევ - წიგნში მქონდა ჩადებული სანიშნედ; ცისფერთვალა იყო, ღაჟღაჟა პირისკანით და მკვეთრად განსხვავდებოდა ჩემისაგან - იმ დროისათვის მე თითქოსდა უკვე დამდებოდა მენინგიტის შავი ფრინველის აჩრდილი, რომელმაც ჩემი ძმა იმსხვერპლა. ბუჩაკესი მართლა გოგოსავით ლამაზი იყო და მისი მეტისმეტად ვიწრო შარვალში გამოკვართული დუნდულებიც უცნაურ გრძობებს იწვევდა ჩემში.

ერთხელაც გალუშკაზე მოვუყვი; არავითარი ეჭვიანობა არ დასტყობია - პირიქით, კარგა ხანს ვისაუბრეთ ამ ჩემს აკვიატებაზე და განშორებისას, როგორც გვჩვეოდა, პირზე კოცნით დავცილდით ერთმანეთს.

თანდათანობით, ბუჩაკესი რაღაც ცალკე სამყაროდ იქცა ჩემთვის. დღე არ გავიდოდა, რაიმე შესანიერი არ გამეკეთებინა მისთვის: ჯერ საკუთარ სათამაშოებს მივდექი და ერთიც რომ აღარ დამრჩა, მერე ბინიდან დავიწყე რაღაც-რაღაცეების გაზიდვა. სულ ბოლოს კი დიდი ჩინური ლანგარი წავუღე, რომელზეც ორი მერცხალი იყო გამოსახული. სწორედ ამან დაააქვა თურმე დედამისი და მთელი ჩემი საჩუქრები უკან დაგვიბრუნა ოჯახში. მაშინდა გაირკვა, სად ქრებოდა ნივთები... დამსაჯეს, რაღა თქმა უნდა, მე კიდევ ცხარე ცრემლებად ვიღვრებოდი და სულ ერთსა და იმავეს გავიძახოდი - თავი გამანებეთ, ბუჩაკესი ჩემი უახლოესი მეგობარია-მეთქი!

მაგრამ ეგეცაა, რომ საჩუქრების ნაკადის შეწყვეტამ თავად ამ ჩემს მეგობარში გამოიწვია უცნაური ცვლილება: ყურადღებას აღარ მაქცევდა და სხვა ბავშვებთან ერჩია თამაში. ზოგჯერ კი სულაც ძალით მკრავდა ხოლმე ხელს ან სახელოზე ჩამომეკიდებოდა და იატაკზე დამაბერტყებდა. ამ დროს ვიფიცებდი, ძმრად ამოვადენ-მეთქი ყველაფერს!

მერე, ერთხელაც, რაღაც აღლუმზე ვიყავი და ბედ ჩემ წინ, ცხენს ფლოქვი მოუსხლტა მოყინულზე, დაეცა და ცხადი იყო, ცოცხლებში აღარ ეწერა... ვხედავდი, როგორ მოასრიალებდა ჩემკენ ფეხებს, ასხმარტალებდა და გავიფიქრე კიდევ - მორჩა, ახლა ნაღდად გამასხმევიწიებს ტვინს-მეთქი!

მაგრამ ორი ჯარისკაცი ეცა - ერთი ცდილობდა, თავი დაეჭირა მისთვის, მეორემ კი მოკლე ხიშტი გაიძრო ქარქაშიდან და ყელი გამოჭრა... ცხენმა (მგონი, ფაშატი იყო), ერთი კიდევ გაიბრძოლა და გაყურდა. სწორედ ამ დროს, ვხედავ - ქუჩის მეორე მხრიდან გალუშკა მიქნევს ხელს, თავისთან მეძახის თითქოს... თან მზად ვიყავი, დამეფიცა, რომ მეორე ხელში სწორედ ის ვაშლი ეჭირა, მე რომ დავუტოვე საჩუქრად!

მისკენ დავაპირე ნასვლა, მაგრამ ამჯერად თავად გადმოჭრა ქუჩა და მოვიდა ჩემთან. რატომღაც ისევ დავირცხვინე, ხელი ვკარი და იქვე, ბედა ქუჩასთან შემაერთებელ ქვის კიბესთან ჩავიცუცქე. მაინც მომიახლოვდა, გვერდით ჩამომიჭდა და კარგა ხანს ვისხედით ასე, გატრუნულები. კიბე ისე იყო დაფარული დატკეპნილი თოვლით, რომ ბავშვები

ციგებით ეშვებოდნენ ზედ, და ზოგიც - საშინელი სისწრაფით. უცხად, ბურჯაკის ანთლებული სახე დავლანდე - პირდაპირ ჩვენკენ მოექანებოდა! არა, მოაჭირს კი ვერაფერს უზამდა, მაგრამ მაინც გვარიანად დაგვაფეთა და თოვლიც უხვად შემოგვაყარა სახეში... მერეც, თითქოს ჯიბრზეო, ყოველ დაშვებაზე სულ ასე, ჩვენკენ იღებდა გეზს და ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, მეტად ამოვეგანგლეთ თოვლის ნამქერში. გაბრაზებული ფეხს არ ვიცვლიდი იქიდან და უცებ შევამჩნიე, გალუშკა რაღაც კეკლუცად ათამაშებდა ყელზე ძენკვს - თითქოს მანიშნებდა, ზედ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი მიკიდიო... მერე ხელს უშვებდა და ძენკვიც გულამოღებული სვიტერის შიგნით უჩინარდებოდა. მერე კი თავიდან იწყებდა ყველაფერს... ბოლოს ადგა, ტანსაცმელი დაიფერთხა, ორი ნაბიჯი გადადგა და გამომხედა.

თავი დავუქნიე, უკან მივყევი. შეჩერდა, ხელი ჩამკიდა ხელში და თითები სვიტერის შიგნით ჩამაყოფინა. მთელი გროვა რაღაც მონეტები მომხვდა თითებზე - თბილები, თან ჩხარუნობდნენ. გაოგნებული ვიყავი და ხმა ვერ გამედო. სწორედ ამ დროს თვალი ვკიდე, იქვე მახლობლად ვიდაც ოფიცერი და ორი ახალგაზრდა ქალბატონი ჩამომსხდარიყვნენ და გატაცებით ბჭობდნენ რაღაცაზე. ოფიცერს თავისი მოსასხამიცა და ხმალიც თავისუფალ სკამზე დაელაგებინა. ხმლის ვადა სწორედ ჩემკენ იყო მოშვერილი და უცებ შურისგების ისეთი ალი შემომმენტო, მეგონა, სიცხე მომცა-მეთქი! გავიხედე და ბურჯაკის სწორედ ახლა უწევდა კიბის თავს, მალე მოტრიალდებოდა, დაეშვებოდა და რაღა თქმა უნდა, ან ისევ თოვლს შემოგვაყრიდა, ან რაღაცას მაინც მოგვაძახებდა ისეთს...

უჩუმრად მივიპარე სკამთან, დიდი სიფრთხილით გამოვასრიალე ხმალი ქარქაშიდან და ისევ მოაჭირთან მივედი. მოაჭირს უამრავი ნახვრეტი ჰქონდა დატანებული და ახლა უბრალოდ საჭირო იყო, სწორი სიმაღლე შემერჩია, ხმლის პირი ერთ-ერთ მათგანში გამეტარებინა ზედ ბურჯაკის დაშვების დროს - სვლაში რომ ციგის გვერდზე მიტრიალება ველარ მოესწრო და - მორჩა! ისიც იმ საბრალო ცხენივით დაამთავრებდა სიცოცხლეს, ოღონდ, ცხოველისაგან განსხვავებით, ეს არაადამიანი თავად გამოიჭრიდა ყელს...

თანაც, უკვე ბინდბუნდი იპარებოდა მოედანზე და ჩემი მოქმედება, სავსებით შესაძლებელია, საერთოდ შეუმჩნეველიც დარჩენილიყო! აი, ეს იქნებოდა საქმე - ისე მომეგვარებინა ყველაფერი, მერე ჩემზე ეჭვიც კი არავის აეღო!

„შეხედე, ისევ ბურჯაკის ეშვება!“ - მოულოდნელად მივაძახე გალუშკას და იმანაც, უნებლიეთ, იქით გაიხედა, მერე კი თვალები დახუჭა სახეში თოვლის შემოყრის მოლოდინში... მე კიდევ ამ დროს ხმლის პირი, თითქმის მთელ სიგრძეზე, სწორედ მაშინ გავატარე ხვრელში, ბურჯაკსმა რომ სიჩქარე აკრიფა და უკვე არათუ თავის არიდებას ველარ მოასწრებდა, იქნებადა, მსახვრალი ფოლადის ბზინვარება ველარც კი დაენახა.

გალუშკას ვეცი, გულში ჩავიკარი ისე, თითქოს მართლა გავიგე ძვლების ჭახაჭუხი, მერე კი ხელი ჩავჭიდე და სულ სირბილ-სირბილით შევერეთ ბრბოს.

მეორე ქუჩაზე რომ გავედით, ერთმანეთი შევათვალიერეთ. ორივე ამოგანგლულები ვიყავით, გაოფლილები, და სახეაჭარხლებულები. გულებიც ორივეს გამალებით გვიცემდა.

ოღონდ, ბურჯაკის სისხლი არც ერთს არ გვეცხო - ტანსაცმელზე მაინც...

## ბავშვობის უტყუარი მოგონებები

ორ კვიპაროსს ვხედავ - ორ დიდ, თითქმის ერთი სიმაღლის ხეს. ერთ-ერთი - მარცხენა, უფრო დაბალია და მისი კენწეროც ოდნავ იხრება მარჯვნივ, სანთელივით წელგამართული მეზობლისაკენ; ამ ორ კვიპაროსს ფიგურასის „ქრისტიანი ძმების სკოლის“ პირველი საკლასო ოთახის ფანჯრიდან გავცქერი, სადაც ლამის დაუყოვნებლივ აღმოვჩინდი იმის მერე, რაც სენიორ ტრეიტეს პედაგოგიური გამოცდილება მეტ-ნაკლებად უარყოფითად აისახა ჩემზე. ჩემეული ხილვების ჩარჩოდ ქცეული ეს ფანჯარა მხოლოდ შუადღისას იღებოდა, მაგრამ სწორედ მაგ დროიდან მოყოლებული, მთელი არსებით მხოლოდ ამ ორ კვიპაროსზე დაცემული შუქის ელფერის ცვლილებებს ვაკვირდებოდი და კიდევ იმას, ნელი-ნელ როგორ იწონებოდა მინაზე ჩვენი სკოლის სწორკუთხა შენობის ოდნავ გრეხილი ჩრდილი; გარკვეულ დროს, ზუსტად მზის ჩასვლამდე, მარჯვნივ მდგარი

კვიპაროსის კენწერო მკვეთრი მენამული ფერით იფერებოდა - თითქოს ღვინით გაუჟღინთავთო; თითქმის მთლიანად ჩრდილში დარჩენილი მისი მარცხენა მენწყილე კი, ასე მეგონა, უკუნ სიბნელებში იძირებოდა. მერე მწუხრის ზარებიც ჩამორეკდნენ ხოლმე და მთელი კლასი ფეხზე დგებოდა - მოკრძალებით თავჩაქინდრულები, ერთხმად ვიშორებდით ლოცვის სიტყვებს.

სკოლის მესვეურებმა მალევე შენიშნეს ჩემი ეს უცნაურობა - კლასში ერთადერთი ვიყავი, ვისზედაც ფანჯარა ასეთ მომნუსხავ ზეგავლენას ახდენდა, ამიტომაც ადგილი შემიცვალეს და იმ ჩემს ორ კვიპაროსს გამარიდეს. თუმცა მე ისევ ჯიუტად აღვიქვამდი იმ ადგილს, სადაც მათ ფეხები ჰქონდათ გადგმული - თითქოს თავლებმაც შეიძინეს ყრუ კედლებს მიღმა დანახვის უნარი... ვიჯეფი და ვფიქრობდი - საცაა კატეხიზმოს დავინწყებთ, ე.ი. მარჯვენა კვიპაროსზე ჩრდილმა უკვე გამხმარ ტოტამდე უნია-მეთქი! და წარმოსახვის ძალით სულ იოლად ვაცოცხლებდი გონებაში პირენეს მთების ჟანგისფერ კალთებს, შორეული სოფლის - ვილა-ბერტრანის ქარვისფრად მოელვარე ფანჯრებსა და ჩემს საყვარელ ამპარდანის ველს, რაც ერთობლიობაში, მოგვიანებით, დალისეული ლანდშაფტის ფილოსოფიის მთელ ესთეტიკას დაედო საფუძვლად.

თუმცა ყველა მალევე მიხვდა, რომ ფანჯრიდან შორს ჩემმა გადასმამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო: უფრო პირიქით - ჩემდა სასიამოვნოდ, უყურადღებობა კიდევ უფრო გამიმძაფრდა და ამან უკვე საყოველთაო შეშფოთება გამოიწვია.

ერთხელაც, სადილობისას, მამაჩემმა მთელი ოჯახის გასაგონად მაგიდასთან ხმამაღლა წაიკითხა მასწავლებლების მიერ გამოგზავნილი ჩემი დახასიათება - ისინი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ჩემს სამაგალითო ყოფა-ქცევასა და ზრდილობას, მიწონებდნენ შესვენებებზე ხმაურიანი თამაშებისაგან თავის არიდებას, თუმცა იმასაც ასკვნიდნენ - ბავშვს იმდენად ფესვგამჭდარი გონებრივი სიზარმაცე სჭირს, სწავლაში მისი წინსვლა სრულიად გამორიცხულიაო... მახსოვს, როგორ ქვითინებდა იმ საღამოს დედაჩემი! საქმე ისაა, სკოლაში გატარებულმა კიდევ ერთმა წელმა ვერაფერი შემძინა და იმის მეხუთედიც ვერ ვისწავლე, რაც იმ დროისათვის უკვე ყველა ჩემმა თანაკლასელმა აითვისა. ამიტომაც კლასში დამტოვეს, სხვები კი - მეჯიბრის ხმაურიანი ჟინით შეპყრობილები - თავქუდმოგლეჯილნი მიუყვებოდნენ წინსვლის კიბის სლიპინა და მაცდურ საფეხურებს. იმ დროისათვის გამორჩეულობისა და სიმარტოვის განცდა უკვე ისე ჯიუტად ამეკვიატა, შეგნებულად ვცრუობდი და იმის არცოდნასაც კი ვიბრალებდი, რაც ჩემდაუნებურად ნელ-ნელა მაინც მელექებოდა გონებაში. ასე მაგალითად, კვლავაც აბდაუბდად ვწერდი, მეცდომებით და გაურკვევლად, ოღონდ მიზანმიმართულად ვიქცეოდი ასე - სინამდვილეში, იმ დროისათვის ძალიანაც კარგად ვიცოდი, რა და როგორ უნდა მენერა...

ერთ მშვენიერ დღეს კი, როცა რბილფურცლებიანი რვეული მაჩუქეს პირველად, უეცრად ისიც აღმოვაჩინე, სწორად წერას რა სიამის მოგვრა შეეძლო! გულაჩქარებულმა, მას მერე, რაც კალმის წვერი საგულდაგულოდ რამდენჯერმე დავალებე ნერწყვით, წერა დავიწყე და ისე შევედი ეშხში, სუფთა წერაში მთავარი ჯილდოც კი დავიმსახურე (ეს ჩემი ნაწერი ფურცელი მერე გამოსაჩენ ადგილას ჩამოვიდეს, ჩარჩოში ჩასმული).

სხვა მხრივ, იმდენი ვქენი, საერთოდ დამანებეს თავი - აღარც ერთი მასწავლებელი აღარ ცდილობდა, რაიმე მაინც ჩაეტენა ჩემთვის თავში, რადგან ხან რა ბნედას მოვიგონებდი ხოლმე, ხან - რა უბედურებას... თუმცა ისიც სათქმელია, იმ ხანებში მაინც მართლა ხშირად დამატარებდნენ ხოლმე ექიმთან (სწორედ იმასთან, ვისაც ადრე სათვალე ჩავუმტვრიე - ჩემს დაიკოს ყურის ბიბილოები რატომ უნდა დაუხვრიტო-მეთქი!), იმიტომ რომ ადვილად ვოფლიანდებოდი და სიცხეებსაც ხშირად მაძლევდა. ასევე, რატომღაც ცხვირიდანაც ხშირად მდიოდა სისხლი და წელიწადში ერთხელ მაინც უცილობლად უნდა მქონოდა ანგინა. ავადობის მიმდინარეობა წინასწარ იყო ყველასათვის ცნობილი: ერთი დღე მაღალი სიცხე და, ერთი კვირა წოლითი რეჟიმი - შიგადაშიგ მცირე სიცხიანობით. ასეთ დროს ფეხსადგილში გასვლას მიკრძალავდნენ და ქოთანზე მაქნევინებდნენ ხოლმე, მერე კი რაღაც სურნელოვან ქაღალდს წვავდნენ ოთახში. თუკი ქაღალდი გვითავდებოდა, მაშინ - მაქარს, რომლის სუნიც კიდევ უფრო მომწონდა. მოკლედ, ანგინა ძაან-ძაან სასურველი რამ იყო ხოლმე ჩემთვის: ის ერთი დღე და მერე - მიდი, იკოტრიალე ლოგინში, ჩემი მოხუცი გადია ლუსია და ბებიაჩემი კი ჩამომისხდებოდნენ ხოლმე და მიყვებოდნენ ათას მართალსა და ტყუილს... ხოლო თუ სიცხე ცოტათი მაინც

ამინევდა, მაშინ დედაჩემიც შემოდრიოდა, იავნანას მიდილინებდა ხოლმე და მეც მშვიდად, უმფოთველად ვიძინებდი.

ეს ლუსია და ბებიაჩემი ორი მოხუცი ქალი გახლდათ, ორივე თმაგათეთრებული და ასევე - დანაოჭებულ, ოღონდაც საოცრად საამო, ხავერდოვანკანიანები... ლუსიას წარმოსადგეი ბანოვანი ეთქმოდა და რატომღაც სულ რომის პაპს მაგონებდა; ბებიაჩემი კი ჩია ტანისა იყო და რომელიღაც ბლაპრის კეთილ ჯადოქარს უფრო წააგავდა. ღმერთმანი, მშურდა კიდევ მათი მოხუცებულობის! მათ სახეებზე ეწერათ განვლილი ცხოვრება, მაშინ როცა ჩემი თანაკლასელების სახეები ცარიელ, სუფთა ფურცლებს მაგონებდა მხოლოდ - მათ ისიც კი აღარ ახსოვდათ, თავადაც რომ მოხუცები იყვნენ ერთ დროს, დედის საშოში, ამათ კი უკვე სიბერის ყადრიც იცოდნენ და ისიც, რომ ერთ დროს ისინიც ბავშვები იყვნენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, მაშინაც და ახლაც წმინდა წყლის ანტიფაუსტი გახლდით: ბავშვობაში მოხუცების კეთილშობილ იერსახეებზე ვგიჟდებოდი და როცა მათ ვუყურებდი, რას არ მივცემდი, ოღონდ კი თავადაც მეყსეულად დავბერებულყავი! ანტიფაუსტი ვიყავი, უკუღმართი კი ის მეგონა, ვისაც მოხუცებულობის უბენაესი ცოდნისათვის მიეღწია და სულს იმისთვის ყიდდა, სახეზე ნაოჭები გასწორებოდა, უმეცარი ახალგაზრდობის დროინდელი ხორცის სიმრთელე აღედგინა! დაე, ცხოვრების გავარჯარებულ მანთს ნაოჭების აბლაბუდით დაეღარა ჩემთვის სახე, დაე, თმა გამთეთრებოდა და მუხლში ძალა გამომლყოდა, ოღონდ კი სულისმიერი ცოდნის გადარჩენა შემძლებოდა - გინდაც ჩამოუყალიბებელი, ბავშვური სულის! ოღონდ კი მესწავლა ის, რასაც სხვა ვერავინ მასწავლიდა - მხოლოდ თავად ცხოვრება თუ დაასვამდა ღრმა კვალად ჩემსავე ხორცს... ჩემი ბავშვობის კანგადატყეცილი მხეცი მაფრთხობდა და ვისურვებდი, ჩემივე ფეხით გამესრისა იგი! რადგან გონებაში სურვილი და ცოდნა ერთიან, განუყოფელ მთლიანობად მესახებოდა, უკვე ისიც ვიცოდი - მხოლოდ ხორცის ცვეთა და კვდომა თუ მომიტანდა თვალის ახელას... დიდდედაჩემის ყველა ნაოჭშიც სწორედ იმ ინტუიციური ცოდნის ძალას ვხედავდი, რაც განცდილ სიამეთა მტკივნეულ ჯამს ამოეტივტივებინა ზედაპირზე, და ეს იყო სწორედ აღდგინების გამონათება - რაც, განგების ნებით, უასაკო გენიოსის სახეზეც უნდა აღბეჭდილიყო!

არ დაგიმაღავთ, არითმეტიკის საფუძვლებშივე გავიხლართე და ვერც გამრავლების ტაბულას გავართვი თავი. მაგრამ მეორე მხრივ, მე - სალვადორ დალიმ - ცხრა წლის ასაკში უკვე არა მარტო მიმეზისის ფენომენი აღმოვაჩინე, არამედ მისი ახსნის უზადო და საყოველთაო თეორიაც კი შევქმენი!

ერთ ზაფხულს ვადაკესში ვატარებდით და ჩემი ყურადღება რაღაც მცენარემ მიიქცია, უხვად რომ ხარობდა ბღვის ნაპირზე. ახლოდან თუ დააკვირდები ვაცი, ამ მცენარეს პანანინა, სულ სხვადასხვანაირი მოყვანილობის ფოთლები აქვს და ისეთი ჰაეროვანი, რომ სიოს ყოველ მობერვაზე თრთოლვა იტანთ ხოლმე. თუმცა, ერთ დღესაც მომეჩვენა, თითქოს ზოგიერთი ფოთოლი დანარჩენებისაგან დამოუკიდებლად ირხეოდა და გავოგნდი კიდევ, როცა გავაცნობიერე, რომ ისინი დაცოცავდნენ! მერე ერთი ასეთი უცნაური, პანია ფოთოლ-მწერი სხვებს მოვაშორე - მინდოდა, უფრო ხანგრძლივად დავკვირვებოდი და გამონვლილვით შემესწავლა. ბურგის მხრიდან თუ დააცქერდებოდი, სხვა დანარჩენ თანამოძმეთაგან მისი რაიმეთი გამორჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ თუ ამოატრიალებდი, ნახავდი, რომ ნებისმიერი ხოჭოსაგან არაფრით განსხვავდებოდა - მყიფე ფეხების გარდა, რომლებიც ჩვეულებრივ მდგომარეობაში საერთოდ არც კი მოუჩანდა. ამ მწერის აღმოჩენამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ვირწმუნე - ეს-ესაა ბუნების იდუმალი, ჯადოსნური საიდუმლო ამოვსენი-მეთქი! რაც მთავარია, მისხალი ეჭვიც არ მეპარება - მიმეზისის ამ უჩვეულო გამოვლინებამ სამუდამო გავლენა იქონია იმ უხილავი და პარანოიდული ხილვების გაჩენაზე, ასე ჯარბად, ფანტაზმებით რომ ბინადრობენ ჩემი ამჟამინდელ ნახატებში.

გაამაყებულმა და აღტაცებულმა, ეს აღმოჩენა დაუყოვნებლივ გამოვიყენე ჩემებური მისტიფიკაციებისათვის - ჯიუტად ვამტკიცებდი, მჩხიბაობის წყალობით, უსულოს სულიერად ქცევის უნარს ვფლობ-მეთქი. ხშირ-ხშირად ვიღებდი თითო ამგვარ ფოთოლს, შინ მიმქონდა, მაგიდაზე ვდებდი და მის ირგვლივ მთელი ძალით ვუხათქუნებდი ქვას - ვითომდა იმ მაგიური ძალით აღჭურვილს, რომელსაც ფოთლის გაცოცხლება შეეძლო. ამ წარმოდგენის დაწყებისას, ყველას ეგონა, პატარა ფოთოლს სწორედ ის ბრაგაბრუგი უკვლიდა ადგილს, მე რომ ვტეხდი მაგიდაზე, მაგრამ ნელ-ნელა დარტყმების ძალასაც

ვასუსტები, ბოლოს კი სულაც გვერდზე გადავდები ხოლმე ქვას და ცხადი ხდებოდა - ეს პატარა ფოთოლ-მწერი უკვე ამკარად დამოუკიდებლად, გარეშე ძალების ჩაურევლად იცვლიდა ადგილს... ასეთ დროს მაყურებლებს აღტაცების ყვირილი აღმოხდებოდათ ხოლმე, მერე კი გაოცებისაგან ენა უვარდებოდათ, როცა ხედავდნენ, როგორ „დაიარებოდა“ ფოთოლი მაგიდის ზედაპირზე! ამ ცდას ხშირ-ხშირად ვიმეორებდი, რადგან ეს მცენარე ყველა ადგილობრივისათვის ნაცნობი გახლდათ, თუმცა ჩემ მიერ აღმოჩენილი ფენომენი მანამდე არავის შეემჩნია.

მერე, სწორედ 1914 წლის ომის დაწყების წინ, როცა დავინახე შენიღბული სამხედრო გემები როგორ მიუყვებოდნენ ჰორიზონტს, დღიურში დაახლოებით ამგვარი რამ ჩავიწერე: „დღეს, როცა შენიღბული გემების ქარავანს ვადევნებდი თვალს, ჩემი ფოთოლ-მწერის საიდუმლოს ახსნაც ვიპოვე - როგორც ჩანს, ისიც რაღაცისაგან იცავდა თავს, როცა ასეთი მონღოლებით ინიღბებოდა“.

გარდასახვა-შენიღბვა კი ჩემი ბავშვური გატაცებების უმთავრესი შემადგენელი იყო: როგორც მაინცადამაინც იმ დღეს დაიწყეთ თოვა, როცა გულით ვინატრე - ნეტავ ფიგურასის შემოგარენი რუსეთად აქცია-მეთქი, სწორედ ასევე, გულით ვინდომე, ნეტავი ჩქარა დამაბერა-მეთქი და ჩემმა ბარსელონელმა ბიძამაც მაინცადამაინც მაშინ გამომიგზავნა უცნაური საჩუქარი - ვითომდა სიასამურის ბენჯით განწყობილი მანტია, სამეფო სკიპტრა და გვირგვინი, რომელზეც გრძელი, თეთრი, ხუჭუჭა პარიკი იყო მიმაგრებული.

იმავე ღამით სარკეში შევათვალიერე საკუთარი თავი - გვირგვინიც მედგა, სამეფო მანტიაც მქონდა მხრებზე მოსხმული და დანარჩენი სხეული კი - მთლად შიშველი... მაშინ სამ რამეს ვეთაყვანებოდი: სისუსტეს, სიბერესა და ფუფუნებას, მაგრამ ego-ს ამ სამ გამოვლინებაზე მეტად „სრული სიმარტოვის“ დაუძლეველი გრძობა მეძვირფასებოდა - სულ უფრო და უფრო მძლავრი, რასაც მუდამ სხვა განცდაც ახლდა თან - თითქოს პირველის ჩარჩო, მისი რიტუალური გამოვლინება - ასე ვთქვათ, სიმაღლის, მწვერვალის მიღწევის უინი.

თავიდან დედაჩემი ხშირ-ხშირად მეკითხებოდა ხოლმე - რას ინატრებ, საყვარელო, რა გინდა ყველაზე მეტადო... ვიცოდი, რაც მინდოდა: სარეცხის საშრობი ორი ოთახი სხვენზე, რომლებიც აივანზე გადიოდა და რახან მაინც არავინ იყენებდა, ათასი ძველმანის შესანახ საკუჭნაოდ ქცეულიყო. ერთ მშვენიერ დღეს მართლაც მივალწიე სასურველს - ნება მომცეს, იქაურობა საკუთარ სტუდიად მექცია. მთელი სივრცე ათასნაირი უცნაური ნივთით გამოვავსე, კედლებზე კი ჩემივე ნახატები გამოვფინე - ფეხსაცმლის ყუთების თავსახურებზე დახატული. ორი მათგანი უნდა გავიხსენო: ერთზე იოსებისა და მისი ძმების შეხვედრა მქონდა გამოსახული და თავიდან ბოლომდე საკუთარი ფანტაზიებით გაჯერებული; მეორე კი, გარკვეული თვალსაზრისით, ერთი პატარა წიგნის ფერადი ილუსტრაციის გადამღერება იყო: პროფილში გამოსახული ტროელი ელენე ცისკიდურს გასცქეროდა. ნახატს ერქვა „ელენეს მიძინებული გული მოგონებებითაა სავსე...“ ამ ნახატზე - ლამის ჰორიზონტის დასალიერზე - უსასრულოდ მაღალი კომპი გამოვსახე და მის წვერზე კი - ერთი პანია ფიგურა და, რა თქმა უნდა, ეს თავად მე ვიყავი. ნახატების გარდა, ამ სახელდახელო სტუდიაში ბევრ ისეთ ნივთსაც მოვუყარე თავი, იმთავითვე რომ განასახიერებდნენ მოგვიანებით, 1929 წელს, პარიზში ჩემ მიერ შექმნილი სიურრეალისტური საგნობრივი კომპოზიციების ჩანასახებს... მაშინვე გამოვძერწე თიხისაგან ვენერა მილოსელის ასლი, და ეს იყო ძერწვისაგან მიღებული პირველი უტყუარი და საამო ეროტიკული სიამოვნება. სხვენშივე ავზიდე „ხელოვნების მატინის“ ყველა ტომი; ეს მომცრო ზომის მონოგრაფიები წინდახედულმა მამაჩემმა მაჩუქა, რამაც ცხოვრებაში კარგი სამსახური გამიწია - ლამის ზეპირად დავისწავლე ხელოვნების ისტორიას შემორჩენილი ყველა იქ დაბეჭდილი ნახატი, ბავშვობიდანვე შევისისხლხორცე და მახსოვს, როგორ არ მბეზრდებოდა დილიდან დაღამებამდე მათი უსასრულო თვალიერება. ყველაზე მეტად შიშველი სხეულების ცქერა მიზიდავდა, ენგრის „ოქროს ხანა“ კი უმშვენიერეს ქმნილებად მიმაჩნდა დედამინის ბურგზე და მასზე შადრევნად გამოსახული გოგონაც თავდავინწყებით შემეყვარდა...

შეუძლებელია, ყველაფერი მოგითხროთ, რაც იმსტუდიაში განვიცადე, ერთში კი მაინც დარწმუნებული ვარ: ჩემეული იუმორის პირველი მნიშვი მარილი და პირველი პეშვი წინაპა სწორედ იქიდან მომდევს! იმ დროიდან მომდგამს სწორედ თვალის ეშმაკურად

პაჭუნცა და შემპარავი ღიმილიც... უკვე მაშინ გავაცნობიერე - ოღონდ ჯერ ბუნდოვნად - უნებურად როგორ ვინყებდი „გენიოსობანას“ თამაშს. salvador! თუ ბავშვობაში გენიოსობას თამაშობ, აუცილებლად გახდები კიდევ...

ჩემს მშობლებს უსასრულოდ უწევდათ სტუმრად მოსული მეგობრების შეკითხვაზე - სალვადორი სადაა, რას შვებაო, ერთი და იმავე პასუხის გამეორება: ზემოთაა, სხვენში, სამრეცხაო მხატვრის სტუდიად რომ გადააკეთა, მას მერე მთელ თავისუფალ დროს იქ ატარებს, მარტოდმარტო... „ზემოთ!“ - რა მშვენიერი სიტყვაა! მთელი ჩემი ცხოვრება ამ ორმა, ურთიერთდაპირისპირებულმა ცნებამ განსაზღვრა: ზემოთ და ქვემოთ. ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობიდან, ჯიუტად ვცდილობდი „ზემოთ“ ასვლას და ახლა, ამ სიმაღლეზე ამოსული, სამუდამოდ აქ ვრჩები.

ინტერმედია: მუდამ უდიდეს ბნეობრივ უხერხულობას ვგრძნობდი საფლავის ქვებზე ამოტვიფრული სახელების ანონიმურობის მიმართ, მხოლოდ სასაფლაოებისათვის დამახასიათებელ სიმეტრიულ უსასრულობაში რომ იკარგებიან...

რა სულის შემძვრელი ჯადოქრობა იყო, როცა შემეძლო, საოჯახო სუფრიდან გავპარულიყავი და გიჟივით ამერბინა სხვენზე ამაველი კიბე, ზურგსუკან კარი ჩამეკეტა და ერთიანად სიმარტოვეში შეყუჟულს, ყველასა და ყველაფრისაგან დაცულად, უსაფრთხოდ მეგრძნო თავი! აქ მოხვედრილი, ისევ ერთადერთი და განუმეორებელი ვხდებოდი - ქვემოთ, ჩემ თვალწინ გადაშლილი ქალაქი ფიგურასი მძაფრად მიღვივებდა მბრძანებლური წარმოსახვების უსასრულო ქედმაღლობასა და ცუდმედიდობას. მშობლიური სახლი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო ქალაქში - აქედან როსის ყურეც კი ჩანდა, რომლის ტალღების მიმოქცევაც ჩემს მზერას ემორჩილებოდა თითქოს.

შებინდებისას სტუდიიდან აივანზე გავდიოდი ხოლმე და ეს წამი უსაყვარლესი იყო ჩემთვის. მერცხლების ჟივილ-ხივილს ახლა უკვე ღამურების აბნეული ფარფალი ცვლიდა, ვიდექი და იმ საამური ჟამის დადგომას ველოდი, როდის მოვიხდოდა გვარიანად დამძიმებულ გვირგვინს - უკვე საფეთქლებსაც რომ მტკუნდა... „ცოტაც კიდევ გაძელი!“ - შევუძახებდი ხოლმე თავს: ტკივილი ხომ უფრო მეხმარებოდა იმ მჭევრმეტყველური სეფესიტყვების ართქმაში, რითაც მომავალ წარმოსახვით მსმენელს მივმართავდი ამ სიმაღლიდან, და საკუთარი თავის მიმართ უსაზღვრო თანაღმობას განვიცდიდი.

მთვარის უეცარი გამოჩენა მხოლოდ ამძაფრებდა ჩემს აღფრთოვანებას და განდიდების მოუთოკავ მანიას ეგოცენტრული ბოდვის ისეთ სიმაღლეზე ავყავდი, ლამის ვარსკვლავები დამეკრიფა ცაზე! ჩემი ნარცისიზმის გაქანება კოსმიურ მასშტაბს უწევდა და ზუსტად ამ დროს თვალებიდან ცრემლების მშვიდი, ბუნებრივი დენაც მაღამოდ მედებოდა სულზე. ერთხელაც, სწორედ ასეთ წამს, ვიგრძენი, როგორ ვეფერებოდი თითებით რაღაც პატარას, სლიკინას, მანამდე უცხო... გაოცებულმა დავხედე - ხელში საკუთარი პენისი მეჭირა...

ერთ დღეს კი მთლად სახურავზე ავძვერი და, ცხოვრებაში პირველად, თავბრუსხვევაც ვიგრძენი, როცა მივხვდი - მე და ჩემ ქვემოთ გადაშლილ ცარიელ სივრცეს აღარაფერი გვყოფდა! მცირე ხანს მუცელზე გავწეფი და თვალებიც დავხუჭე, რათა როგორმე ის მოძალეებული ჟინი დამეძლია, სიცარიელისაკენ რომ მექაჩებოდა...

და რაა სიმაღლე? ზუსტად სიდაბლის საპირისპირო! თავბრუსხვევის ზუსტი ახსნაც ეგაა. ხოლო სიდაბლე რაღაა? ეგაა ქაოსი, მასა, ბრბო, თავაშვებულობა, ბავშვი, ადამიანური სისუსტეების მასხარაობა, ანარქია... სიდაბლე - მარცხენაა, სიმაღლე - მარჯვენა, სადაც მონარქია, თალი, იერარქია, არქიტექტურა და ანგელოზთა დასი იხატება... ყველა პოეტი ერთადერთს ეძებს და ესწრაფვის - ანგელოზს, მაგრამ კონგენიტალური ნეგატივიზმის მათეული გარყვნილება გემოვნებასაც ურყვნით და უუკუღმართებთ, ბოროტი ანგელოზებისაკენ მიერეკება და თუკი მართალია, რომ მუდამ ბოროტის სული შთაბერავს სიცოცხლეს რემბოსეულ თუ მალდორორისეულ ანგელოზებს - ეს მხოლოდ იმიტომ, სინამდვილეს რომ ვერ ეგუებიან, რადგან იგი პოეტთათვის შეუთავსებელია! მეორე მხრივ, იმ მხატვრებს, რომლებსაც ბევრად უფრო მყარად და უსაფრთხოდ უდგათ ფეხი ამ ცოდვილ მიწაზე, ბრმად ხელის ფათური არ სჭირდებათ და პოეტებთან შედარებით, შთაგონების ბევრად აღმატებულ საშუალებას - თვალს ენდობიან, არც ემუქრებათ იმ გონებრივ აღრევაში დანთქმა, რაც პოეტთათვის გარდუვალია. ამიტომაც, მხოლოდ



მხატვრებს რომ ძალუძთ და მუდამ შეეძლებათ კიდევ, დაგვანახონ ღმერთები და ანგელოზები - როგორც ამას რაფაელი აკეთებდა საკუთარი ღვთაებრივი გენიის წყალობით... ჩემდათავად, რაც უფრო მეტად ვიხლართებოდი ხოლმე პოეტურ ბოდვებში, მუდამ მით მეტ სიფხიბლეს მძენდა ჩემივე თვალი!

ამიტომაც, ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, მეცხრე წელიწადში გადამდგარმა ბავშვმა, მარტოსულმა, მეფემ, ტახტზე მორჯმით მჯდომმა და ხშირ-ხშირად ცხვირიდან სისხლმდინარემ, სახურავის სიმაღლეს ვუწიე - მწვერვალს, ქვემოთ კი ყველა დანარჩენი ბორგავდა - ბიოლოგიის ნებით შექმნილი საზარბაზნე ხორცი, ჟინისაგან დაცლილი, უგვანი, გონებასუსტი, სხვის ჭკუაზე მავალი, თევზივით ცივისისხლიანი... აღარასოდეს დავემშვებოდი ამ სიმაღლიდან, ამათგან აღარაფრის სასწავლად! ამ თვალსაზრისით, გიჟი უკვე უხსოვარი დროიდან გახლდით და რა ეშმაკად მჭირდებოდა იმ მართლწერის ხელახლა სწავლა, რაც სულ ცოტა 2000 წლის წინ დამვიწყებოდა?[4]

ჭიუტი ვიყავი და ასეთად დავრჩი. სიმარტოვისაკენ ლტოლვა სულ უფრო მიმძაფრდებოდა და ავადმყოფურ ელფერსაც კი იძენდა. სახურავზე ასვლის მოთხოვნილება იმდენად ამეკვიპატა, სადილობის დამთავრებამდე მაგიდასთან სულ ნემსებზე ვიჭექი, რამდენჯერმე წამოვხტებოდი და საპირფარეოში გავრბოდი - მუცლის ტკივილის მომიბეზებით. ამ დროს ერთადერთი, რამდენიმე წუთით მარტოდ დარჩენის სურვილი მამოძრავებდა და ასე თუ ვახერხებდი იმ ტანჯვის შემსუბუქებას, რასაც გაუთავებელი სადილობა მგვრიდა. ერთი სული მქონდა, როდის მომცემდნენ ნებას, ავმდგარიყავი და ჩემს „სტუდიაში“ ამერბინა. სკოლაშიც სულ უფრო მეტად მაღიბიანებდა ყველა და ყველაფერი, რაც ნებისთ თუ უნებლიედ ემუქრებოდა ჩემს სიმარტოვეს. ჩემთან მოახლოების მოსურნე ბავშვებს - თუმცა მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა - ისეთი ზიზღით მივაჩერდებოდი ხოლმე, შესვენებაზე, პრაქტიკულად, ვედარავინ ბედავდა გამოლაპარაკებას და მეც ჩემს საკუთარ შეუვალ და დაცულ სამყაროში, როგორც ნაჭუჭში, ისე ვიკეტებოდი. მაგრამ ერთხელაც ამ სამყაროს უბინოება ხელის ერთი მოსმით შეიბღალა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მიზეზი იმ ქალური ხატების გამოჩენა გახდა, რომელიც მუდამ ანგრევს გონებაში შეკონინებულ ნებისმიერ კონსტრუქციას, რითაც ღამღამობით ვცდილობთ ხოლმე საკუთარი მტკივანი სულის დაამებას, საბოლოოდ კი სიკვდილის შიშს რომ გვიჩენს და გვიბიძგებს, ის კათოლიკური მითი ვირწმუნოთ, ჩვენივე სხეულის მოზიგეიმე აღდგინებას რომ გვპირდება.

პატარა გოგო იყო, რომელსაც ერთ დღეს მხოლოდ ზურგიდან მოვკარი თვალი - ქუჩაში მიდიოდა ჩემ წინ, სკოლიდან შინ მიმავალი. ისეთი წვრილი და სუსტი წელი ჰქონდა, თითქოს სხეული ორ დამოუკიდებელ ნაწილად გაყოფოდა და თან ისე გამალებული მიაბიჯებდა, შეგემინდებოდა - ვაითუ შუაზე გადატყდესო. ვერცხლის ქამარი შემოეჭირა მაგრად, აქეთ-იქიდან კი ორი მეგობარი გოგონა ამოსდგომოდა, ორივეს მისთვის მოეხვია ხელი და რაღაცნაირად, თითქოს მაცდურად იღიმებოდნენ. ეს ორი გოგო ხშირ-ხშირად იყურებოდა უკან; მე კი ლამის ფეხდაფეხ მივსდევდი და შემეძლო, ამ ღიმილის ნამსხვრევებიც მომებოჭა, ვიდრე თანდათან მთლად გაუქრებოდათ სახეებიდან... შუაში მიმავალს ერთხელაც არ მოუხედავს და ვიცოდი - მართალია, ამაყად მიმავალს მხოლოდ ზურგი მოუჩანდა, მაგრამ დედამინაზე არც ერთ სხვა გოგოს არ ემსგავსებოდა, ნამდვილი დედოფალი იქნებოდა და იმიტომ. დულიტა ერქვა სახელად - ასე მიმართეს ცელქმა და მოსიყვარულე დობილებმა და ამ მიმართვაში საოცარი სინაზე და მგრძნობიარობა გამოსჭვიოდა. შინ ისე დავბრუნდი, მისი სახე არც დამინახავს, თუმცა ამას რა დიდი მიხვედრილობა სჭირდებოდა - ის იყო, ის - დულიტა! დულიტა! გალას პირველი გამონათება!

მაშინვე სახურავს მივაშურე. ვგრძნობდი, როგორ მიხურდა ყურები და ქუდი მოვიძრე. საღამოს გრილი ჰაერი მესიამოვნა. სწორედ მაშინ განვიცადე სრულად სიყვარულის მოუთოკავი ძალა - ყურებიდან რომ წამოვიდა და მთელ სხეულშიც რომ დამიარა...

იქიდან მოყოლებული, ერთადერთი ოცნებაღა დამრჩა - დულიტა მოსულიყო და იმ ჩემს სტუდიაში ვენახე, მერე კი ჩემთან ერთად სახურავზეც ამოსულიყო. ეჭვიც არ მეპარებოდა, ეს ყველაფერი აუცილებლად მოხდებოდა, ოღონდ - როგორ, და - როდის? გიჟურ მოუთმენლობას ვერაფერს ვუხერხებდი და სადილად მოხარშული კარტოფილის თითოეული ლუკმის გადაყლაპვაც კი წამებად მექცა. ერთხელ, შუადღისას, ცხვირიდან ისე წამსკდა სისხლი, ექიმის გამოძახება გახდა საჭირო და რამდენიმე საათი უკან

თავგადაგდებული ვინეჯი, ჭერს ავცქეროდი, ძმრიან ტილოებს მაფენდნენ და ოთახიც ერთიანად ჩააბნელეს. სისხლდენა რომ ამიტყდა, მოახლე გოგომ დიდი, ცივი გასაღები დამადო კისერზე და ახლა, მწოლიარეს, კეფაში მერჭობოდა და ძაანაც მტკენდა, ოღონდ ისეთი არაქათგამოცლილი ვიყავი, განძრევის თავიც აღარ მქონდა.

ვუყურებდი, როგორ მიმოდრიოდნენ დაპატარავებული გამოსახულებები აქეთ-იქით და ჭერზე ამოყირავებულები ირეკლებოდნენ - ქუჩაში მოარული ეტლები და ადამიანები. ვიცოდი, ეს ის ხალხი იყო, ვინც ახლა ჩვენს ქუჩაზე მართლა დაიარებოდა მზის გულზე, თუმცა ასერიგად დასუსტებული, ახლა მათ რაღაც უცნაურ აჩრდილებადღა აღვიქვამდი, თითქოსდა ანგელოზებივით შარავანდედში გახვეულებს... მერე ისიც ვიფიქრე, დულიტამ და მისმა იმ ორმა მეგობარმაც რომ გამოიარონ, ჭერზე ისინიც აირეკლებიან-მეთქი, თუმცა ეს ალბათ შეუძლებელი იქნებოდა - ის ხომ შინ მუდამ მომიჯნავე ქუჩით დაიარებოდა...

მაშინვე ავფორიაქდი და კისერქვეშ მოქცეული გასაღებიც ისე მწარედ ჩამერჭო მალეებს შორის, ტკივილისაგან დავიმანჭე და სწორედ მაშინ შევიგრძენი კვლავაც დულიტას მიმართ განსაკუთრებით მწველი ლტოლვა - დულიტა, გალუშკა, გალა!

\*

ფრანგული იმპრესიონიზმის აღმოჩენამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ყველაზე ღრმა კვალიც დამიტოვა ცხოვრებაში, რადგან ეს იყო სწორედ პირველი ჩემი შეხება ანტიაკადემიური და რევოლუციური ესთეტიკის თეორიასთან. თითქოს ორი თვალი არც მყოფნიდა, რომ რაც მსურდა, ყველაფერი დამენახა საღებავების იმ მსუყე, უფორმო მონასმებში, თითქოს ალაღბედზე რომ იყო ტილოს მიძხეფებული, თან ჭირვეულად და თან - ვითომ ისე, სასხვათაშორისოდ... თუმცა გარკვეული მანძილიდან თვალეზმოჭუტული თუ მიაჩერდებოდი, ხედვის ის ენით უთქმელი სასწაული იწყებოდა, რომლის წყალობითაც მუსიკალურად შეფერილი ეს pot-pourri უცრად მკაცრად მოწესრიგებულ, პირნმინდა რეალობად იქცეოდა. ქაოსიდან ჰაერი, მანძილი, ათასფრად მოელვარე შუქი - მოკლედ, ფენომენტა მთელი უსასრულო სამყარო ამოდიოდა. ამ ნახატებიდან 900-იანი წწ. მთელი კვინტესენცია გამოვზურე, პირდაპირი მნიშვნელობით - ის ეროტიზმი, რამაც სასულეში გადაცდენილი ძველი არმანიაკვივით ჩამწვა და ჩამითუთქა გულ-მუცელი!

ერთ დღეს, როცა მორიგი ტილო მოვამთავრე, გადავწყვიტე, ახლა კარი მომეხატა - დიდი, ძველი, ჩამოხსნილი და კუთხეში აყუდებული. ორ სკამზე გავდე და საქმეს შევუდექი. კარი მუხისა იყო. ვიფიქრე - მარტო შუა ნაწილს მოვხატავ, დანარჩენი კი ჩემივე ამ ნახატის ჩარჩოდ იქცევა-მეთქი. ხატვა დავიწყე. უკვე დიდი ხანია, ვფიქრობდი გროვად ახორხლილი ალუბლების ნატურმორტზე და იქვე მაგიდაზე, მთელი კალათა მწიფე ალუბლები მოვაპირევავე. ფანჯრიდან შემოსული მზის შუქი წითელ ბურთულებს ეცემოდა და ცეცხლის ენებივით მოელვარე მათი სრულყოფილი ერთგვაროვნება წარმოსახვას მიღიზიანებდა. გამალებული ვმუშაობდი. მინდოდა, მხოლოდ სამი ფერი გამომეყენებინა და ისინიც უფუნჯოდ, პირდაპირ დამედო ხეზე. საამისოდ მარცხენა ხელის თითებში სურინჯისფერიანი ტუბი მოვიმწყვდიე - ალუბლების გროვის მზედაცემული მხარისათვის, დაჩრდილულისათვის კი - მეორე, შინდისფერიანი; მარჯვენა ხელში, ალუბლის თითოეული მარცვლის გამოსაკვეთად - თეთრსაღებავიანი.

ასე შეიარაღებულმა შევუტიე ნატურმორტს. ალუბალი - სამი შეხება... ტაპ! ტაპ! ტაპ! სურინჯი, შინდისფერი, თეთრი; სურინჯი, შინდისფერი, თეთრი... ლამის მაშინვე, ჩემი გარჯის რიტმი შორს მომუშავე წისქვილის ხმიანობას ავუნწყვე - ტაპ! ტაპ! ტაპ... ტაპ! ტაპ! ტაპ... ტაპ! ტაპ! ტაპ... ნახატი რაღაც თამაშს დაემსგავსა - მიზანი კი ყოველ სამ დარტყმაზე თითო ახალი ალუბლის გამოსახვა იყო, უფრო და უფრო უკეთესის! წინსვლა იმდენად თვალში საცემი ჩანდა, საღებავის ყოველ მომდვენო მიძხეფებაზე თავს სულ უფრო და უფრო განაფულ ოსტატად ვგრძნობდი და ჩემი ალუბლებიც ნამდვილებზე უფრო მადის აღმძვრელი მეჩვენებოდა. მერე და მერე თამაში გავართულე, თან საკუთარ თავს ცირკში გაგონილ ფრაზას ვუმეორებდი: „ახლა კი, ბატონებო და ქალბატონებო, მთლად ამაფორიაქებელი სანახაობა გელით!“ და მთელი გროვის ნაცვლად, ცალკეული ალუბლიკოების გამოსახვა დავიწყე კარის ოთხივე კუთხეში; მაგრამ რაკიდა ჩემივე მოგონილი თამაშის კანონები გარკვეული რიტმის მიყოლას მოითხოვდა, მეც ხან ერთ კუთხეს ვიციმოდი ხოლმე და ხან - მეორეს და თან ისე, შორიდან მხატვარი კი არა, რაღაც

უცნაური როკვის შემსრულებელი ვეგონებოდი კაცს! ტაპ! ტაპ! ტაპ... ტაპ! ტაპ! ტაპ... ტაპ! ტაპ! ტაპ... არადა, თავად უებრო ნოვატორად, უბადლო ოსტატად და ზეგარდმო ნიჭით ცხებულ შემოქმედად მესახებოდა საკუთარი თავი!

ამ ნახატმა მისი უკლებლივ ყველა მნახველი გააოგნა და მხოლოდ იმასღა ნანობდნენ, ასეთ მიძიმე, მოუხეშავ და ძნელად გადასატან საგანზე რომ იყო დახატული - ალაგ-ალაგ უკვე ჭიით ამოჭმულ მუხის ძველ კარზე...

უხმო აღტაცებით შესცქეროდნენ ამ ჩემს მონუმენტურ ნატურმორტს, რომელზედაც ალუბლები ისე თამამად მიმოხეულიყვნენ, თითქოსდა ნებისმიერს შეეძლო, დასწვდომოდა და გემოც გაესინჯა მათთვის. ოღონდ იმაზეც მიმითითეს - ყუნების დახატვა დაგვიწყებიაო; მართალნიც იყვნენ და უეცრად, თითქოს გონება გამინათდა: მაგიდიდან ერთი ბლუჯა ალუბალი დავითრიე და ჭამას შევუდექი. როგორც კი ერთ ცალს გადავყლაპავდი, ყუნს ნახატზე ვაწებებდი საჭირო ადგილას, რამაც „დასრულებულობის“ განსაცვიფრებელი ეფექტი შექმნა და რეალიზმის კიდევ უფრო ცხადი კვალი დააჩნია ნახატს. აკი უკვე ვთქვი - კარი ჭიებით იყო-მეთქი ამოჭმული, და ეს ნახვრეტები ახლა თითქოს თავადაც დახატული ჩანდა. აკი ნამდვილ, მოდელებად გამოყენებულ ალუბლებსაც აჩნდათ მატლით ამოჭმული ნასვრეტები. ამან ერთი ისეთი აზრიც გამიჩინა, დღესაც რომ მათებს თავისი ლოგიკურობით: უსაზღვრო მოთმინებით აღჭურვილმა, თმის სარჯის დახმარებით, კარიდან - ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დახატული ალუბლებიდან - მატლების ამოძვრენა დავიწყე, მერე იმათ ნამდვილი ალუბლების ნასვრეტებში ვათავსებდი და - პირიქით...

მთელ ამ ამბავს ის შედეგი მოჰყვა, რომ ბიძაჩემმა მითხრა - არ გინდა, ხატვის მასწავლებელი დაგიქირაო?

- არა! არავითარი მასწავლებელი მე არ მჭირდება - მე იმპრესიონისტი მხატვარი გახლავართ-მეთქი, მიუვგე აღმფოთებულმა.

მართალია, კარგად არც ვიცოდი, რას ნიშნავდა სიტყვა იმპრესიონისტი, მაგრამ ჩემი პასუხის შეუვალ სიმართლეში კი ნამითაც არ შემპარვია ეჭვი.

ბავშვობაში ცხოველები მყავდა ცარიელ საქათმეში, რამდენიმე ყუთში გამომწყვდეული: მათ შორის ორი ზღარბი - ერთი დიდი და ერთიც პატარა, რამდენიმე სახეობის ობობა, კუ, თეთრი თაგვი, ერთხელ ფქვილის სათლში რომ ჩავარდა და ვეღარც ამოაღნია იქიდან... ობობებისათვის მრავალდანიყოფიანი მუყაოს ყუთი მქონდა, ასე რომ, ყოველი მათგანი საკუთარ სამოსახლოს ფლობდა, ჰოდა, ცხოვრობდნენ იქ თავისთვის, ქსელებს აბამდნენ და მეც ათას რამეს ვიგონებდი სამალავიდან მათ გამოსატყუებლად.

მაგრამ ჩემი კოლექციის თავი და თავი ორკუდიანი ხვლიკი გახლდათ - ეს უცნაურობა ჩემში მუდამ ასეთივე გაორების გრძნობას იწვევდა: მახსენდებოდა განტოტვილი ხეები, ბილიკები, მაგრამ ამ ცოცხალი ორგანიზმის დაბოლოების გაყოფა რიდას მომასწავებელი იყო? აშკარაა, რომ ეს შემთხვევითი ვერ იქნებოდა, ბუნებას რაღაც საკუთარი მიზანი ჰქონდა დასახული, ოღონდ რა - ეს კი ვეღარაფრით ამომეცნო. ხანდახან საკუთარ თითებზე დავიხედავდი ხოლმე და ისეთივე განტოტებებს ვხედავდი - ოთხ ცალს ხუთ თითზე... განაყოფები, რომლებიც აღარასოდეს შეერთდებოდა, თუმცა ვინ იცის, იქნებადა, მეორედ მოსვლისას! საღამოობით, მზის ჩასვლის ჟამს, სამზარეულოში მიყვარდა ხოლმე ცხვირის შეყოფა, იქ შაქრის ნატეხს ჩავიგდებდი პირში, აქ ატამს ვუკბეჩდი, ან ზეთისხილს ავწაპნიდი მზარეულს... იმდენად მეძინოდა, ჩემი სულსწრაფობისათვის მაღაც არ გადამეყოლებინა ზედ, რომ მხოლოდ გავსინჯავდი ხოლმე რაღაცას, დავაგემოვნებდი და მერე იქვე სხვა რამეს ვეცემოდი... ხანდახან ისე, უბრალოდ, ლოყაზე მივიდებდი ხილს - მისი სიგრილის შესაგრძნობად, განსაკუთრებით კი ამისათვის ლეღვი ვარგოდა - შავი და ნესტიანი, ძაღლის ცხვირივით... ეს ჩემი საჭაშნიკო გართობები ხანდახან ლამის შუაღამემდე გრძელდებოდა ხოლმე... ხანდახან კიდევ ეზოში გავდიოდი და ციციანთელებს ვაგროვებდი: მერე ძაფზე ვაცვამდი და მშვენიერი ყელსაბამიც გამომდიოდა, მაგრამ ვინ იყო დამფასებელი?! მათი სასიკვდილო ცეკვის ნათება, აღტაცების ნაცვლად, მხოლოდ შეცოდების გრძნობას იწვევდა ჩემიანებში.

ერთხელ მთლად ალიონზე გამომედვიძა და რატომღაც სხვენზე ავძვერი. ეს სხვენი ერთი გრძელი, ჩაბნელებული სათავსო იყო, ათასი უვარგისი ძველმანით გამოტენილი. აქამდე არასოდეს ავსულვარ იქ, რადგან ბოქლომი ედო ხოლმე, ამ ბოლო ხანს კი ბოქლომიც მოეხსნათ და მომცრო კარიც ქარის ყოველ დაბერვაზე ჭრიალებდა. შევყავი თუ არა ცხვირი, ერთ უცნაურ, მართლაცდა გამორჩეულ ნივთს დავადგი თვალი: ნამდვილ ყავარჯენს! მგონი, ცხოვრებაში პირველად ვხედავდი ასეთ უცნაურ რამეს. ნამსვე დავტაცე ხელი, მოვიმარჯვე და ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს ცოცხალი თავით აღარასდროს უნდა დამეთმო არავისათვის! მაშინვე სამეფო სკიპტრად წარმოვიდგინე და ჭემმარიტად გეტყვით მე თქვენ, ამ ნივთს რაღაც განსაკუთრებული, ღირსშატივსაცემი ბეიმურობა და დიდებულება დაჰკრავდა! მისი ბედა, ამოსაიღლიავებელი ხარისხა რბილი, გაცვეთილი, დალაქავებული ნატიო იყო თავმოკერილი. მოზეიმე იერით დავემვი კიბეებზე ყავარჯენს დაბჯენილი და ისეთ თვითდაჯერებასა და თვითრწმენას განვიცდიდი, ადრე რომ შემინიშნავს საკუთარი თავისათვის.

სწორედ იმ ხანებშივე შევიგრძენი პირველად ის ხიფათი, რასაც ჩემი ფეთქებადი ხასიათი მიჩენდა. ბუნების წიაღში სეირნობისას რამდენჯერ შევუპყრივარ სურვილს, რომელიმე კლდიდან თავქვე გადავმხტარიყავი! ბოლოს და ბოლოს, ეს იმდენად დაუძლეველ მოთხოვნილებად მექცა, აღარც არაფერს დაგიდევდით და ვხტებოდი კიდეც, სრულიად წარმოუდგენელი სიმაღლიდან, ანდა - კარგა განიერ ნაპრალებს გადავევლებოდი ხოლმე. ერთხელ ერთმა გლეხმა შეავლო თვალი ამ ჩემს „ვარჯიმობებს“, მაგრამ მისი მონაცოლი იმდენად დაუჯერებლად ეჩვენათ, ვაცმა არ ათხოვა ყური. ეგაა რომ, რამდენიმე წლის მერე სკოლის ტანვარჯიშის დარბაზში არავის დავუთმე პირველობა სიგრძესა და სიმაღლეში ხტომაში. ღმერთმანი, ასაკისდა მიუხედავად, ახლაც კი ბევრ ახალგაზრდას ვაჯობებ...

ერთი ასეთი ამბავიც მახსენდება: ეზოში ბღარბი ვიპოვე - მკვდარი ეგდო ღობესთან, უკვე მატლები დასეოდა. უნებლიეთ მივაშტერდი, ხელის ხლება, რაღა თქმა უნდა, აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ ერთი სული მქონდა, გადმომეტრიალებინა და მენახა, რა დღეში ჰქონდა მუცელი. უცბად, ის ჩემი ყავარჯენი გამახსენდა, სტუდიაში ავირბინე, ყავარჯენი ჩამოვიტანე და მკვდარი ბღარბი გადავაბრუნე. მეგონა, გული შემიღონდება-მეთქი - გაბერილი მუცელი გადასკდომოდა და შიგ აურაცხელი მატლი ფუთფუთებდა. ყავარჯენი იქვე მივაგდე და უკანმოუხედავად გავიქეცი. როგორც მახსოვს, იმ წუთიდან ეს ჩემი „შერყვნილი“ სკიპტრა-ყავარჯენი ძლევა მოსილების სიმბოლოდან სიკვდილის სიმბოლოდ მექცა.

\*

მოზარდობა სხეულზე თმის გაჩენით იწყება. ჩემს შემთხვევაში ეს თითქოს ერთ დღეს მოხდა, როცა ბიჭებთან ერთად როსასის ყურეში ტიტლიკანები ვჭყუმპალაობდით. ნაპირზე გამოვფედი და მზეს მივეფიცხე; როგორც ყოველთვის, ჩვეული ნარცისისტული თვითკმაყოფილებით დავიხედე ტანზე და უცებ დახუჭუჭებული თმა შევნიშნე ფეხებშუა. ერთი ღერი დავიხვიე თითზე და მოვქაჩე, ამოგლეჯა მინდოდა. მეტკინა. მაინც ვცადე მეორეჯერ. ამჯერად მოვახერხე და გაკვირვებული დავაცქერდი თითზე დახვეულ ბალანს. არა, მაინც რა ეშმაკმა ამოზარდა ასე ერთბაშად ეს უგვანი საოცრება ჩემს სათაყვანებელ სხეულზე?!

სხვა მხრივ მომნიფება ყოველგვარი მითების, მანიების, შიშებისა თუ გენიოსისათვის დამახასიათებელი ათასგვარი აკვიატებების სრულიად გააზრებული ლოლიავით იყო აღბეჭდილი. არც არავითარი სურვილი მქონია, შევცვლილიყავი; ან თუნდაც ოდნავ მაინც გამომესწორებინა ხასიათი - პირიქით...

იმის მაგივრად, კვლავაც სიამოვნება მიმელო ჩემი ადრეული ნარცისიზმის კამკამა წყლით, მის დაბინძურებას შევუდექი: ჩემივე პიროვნულობის მზარდი, მძაფრი დადასტურება მალე იმ ქმედებათა ახალი სოციალური შინაარსით დაიტვირთა, რაც ჩემი გონების ერთგვაროვანი, მკაფიოდ გამოხატული ხასიათის მიდრეკილებების გათვალისწინებით, არ შეიძლებოდა, ანტისოციალური და ანარქისტული არ ყოფილიყო.

მეფე-ბავშვი ანარქისტად იქცა. ყველაფრის წინააღმდეგი ვიყავი - მუდმივად და ჭიუტად; ოღონდ ბავშვობაში ყველაფერს სხვებისაგან განსხვავებულად ვაკეთებდი და

გაუცნობიერებლად, ახლა კი, როდესაც ჩემი ქცევის ყაიდის გამორჩეული და განსაკუთრებული მხარეც საბოლოოდ დავინახე, ამ ყველაფერს უკვე შეგნებულად ჩავდიოდი. საკმარისი იყო, ვინმეს ეთქვა - შავიო და მაშინვე - თეთრი-მეთქი, ვაჭახებდი; თუკი ვინმე მოწინებით დახრიდა თავს, უცილობლად გამომწვევად გადავაპურტყებდი. ეს მარადიული და მოურეველი ჟინი - თავი „სხვანაირად“ მეგრძნო, ხშირად სიმწრის ცრემლებსაც მადენდა, ამით თითქოს უკვე სხვებს ვემსგავსებოდი და ეს მაცოფებდა. ყველგან და ყოველთვის, ნებისმიერ ფასად: მე - მხოლოდ მე! მარტო მე და მეტი არაფერი! იმთავითვე გითხარით, რომ გამძაფრებული, ლამის ავადმყოფური ინდივიდუალიზმი, რასაც ბავშვობაში ვავლენდი, მოზარდობისას უფრო დაღვივდა და მკვეთრად ანტისოციალური მიდრეკილებები შეიძინა. ეს ბაკალავრიატში სწავლის დანყებისთანავე გახდა საცნაური, ერთგვარი „აბსოლუტური დენდიზმი“ სახე მიიღო, რაც ირაციონალური მისტიფიკაციისა და გამუდმებული წინააღმდეგობის სულით იკვებებოდა.

უნდა ვაღიარო - მათგან ყველაზე მავნე მიდრეკილებები კვლავაც ჩემი ტრივიალური ქმედებების თეატრალურ ხასიათში ვლინდებოდა და თავისებურად ასაზრდოებდა იმ მითს, რაც უკვე მოზარდობისასვე გაჩნდა სალვადორ დალის პიროვნების იდუმალებისა თუ ღვთაებრივი დანიშნულების თაობაზე...

ერთხელაც განვაცხადე - ისეთი მათემატიკური აღმოჩენა გავაკეთე, აწი ბლომად ფულს ვიშოვი-მეთქი. ფორმულა მარტივი იყო: ვყიდულობდი ხუთი სენტავოს ღირებულების მონეტას ათ სენტავოდ - მოკლედ, ყოველ ხუთ ცალზე ათ ცალს ვუბრუნებდი. რასაც კი ჯიბის ფულად მაძლევდნენ მშობლები, ერთიანად ამ ჩემს ფინანსურ ოპერაციებზე ვხარჯავდი. ერთხელაც, დაბადების დღეზე, მთელი დურო[5] მაჩუქეს. მეორე დღესვე გავვარდი და ათსენტავოიანებზე გადავახურდავე, მერე კი სკოლაში ხმა დავავადე - გადაცვლის პუნქტს ვხსნი და ხუთსენტავოიანებს ათ სენტავოდ ვყიდულობ-მეთქი!

შესვენებაზე ჩემს მერხზე ხურდა ფულის მთელი სვეტები ავახონხოლავე და თანაკლასელებით გარშემორტყმული საქმეს შევუდექი. გენახათ ერთი მათი სახეები, როცა დარწმუნდნენ, რომ არაფერს ვიტყუებოდი. რა თქმა უნდა, ფული მალე გამითავდა, მოპოვებული ხუთსენტავოიანები კი გულდასმით გადავთვალე, პატარა ტომსიკაში ჩავყარე, თავი მოვუკარი და ხელების ფშვნებით ვბუტბუტებდი ჩემთვის: „აი, ისევ კარგი მოგება ვნახე!“ მერე ამაყად გადავხედე შემოჭარულ ბავშვებს, მხრები ავიჩიჩე და თავანუელი გავედი დერეფანში.

იმ დღიდან რას არ ვიგონებდი, რომ მშობლებისათვის მეტი ფული გამომეძალა. ეს წიგნებით, ის რვეულებით, ან ისეთ რამეზე გამოვიდებდი თავს, რაც მშობლების მხრიდან თავისთავად ითხოვდა ანაზღაურებას - თუნდაც ფეხის ქირის სახით. მაგრამ რაც დრო გადიოდა, სულ მეტი და მეტი „კლიენტი“ მიჩნდებოდა: ჩემს სავაჭრო ოპერაციებზე მთელ სკოლაში დაირხა ხმა და ახლა იძულებული ვიყავი, საკუთარი ფირმის პრესტიჟის შესანარჩუნებლად, არავისთვის მეთქვა უარი.

ერთხელაც, სახეგაბრწყინებულმა შევაბიჯე საკლასო ოთახში - მთელი თხუთმეტი პესეტა მქონდა ერთბაშად გადასახურდავებელი! უფალმა უწყის, რა წუნუნ-ღრიჭინად დამიჯდა მშობლებისათვის ამ თანხის გამორთმევა! დახლი გავანწყვე თუ არა, ახალთახალი საადრიცხვო წიგნიც ამოვიღე და შიგადაშიგ შესავალ-გასავალსაც ვაჭამებდი. კარგა ხანს გაგრძელდა ასე და უნდა გითხრათ, ჩემი ამპარტავნობა სავსებით დავაკმაყოფილე: ხან ერთი, ხან მეორე კუთხიდან მესმოდა ჩურჩული: - იცი, დღეს რამდენი დადო? მთელი თხუთმეტი პესეტა!

- არა-ა...

- კი, ნამდვილად! ჩემი თვალით ვნახე... გეუბნები, ნაღდი გიჟია!

რაც თავი მახსოვს, ეს ეპითეტი - გიჟი - მალამოსავით მედებოდა ხოლმე გულზე და ყოველნაირად ვცდილობდი, სრულად გამემართლებინა - არა მარტო იმით, რომ თუნდაც თანაკლასელები განმეცვიფრებინა, ხანდახან ისეთ რამეებს ჩავდიოდი, თავადაც მიკვირდა. ერთხელ დავინახე, ვიღაც პატარა ბიჭი ცალი ხელით შოკოლადს იტენიდა პირში, მეორეთი კი თეთრ პურს იღმურძლებოდა. შეუხედავი ბიჭი გახლდათ, არც შოკოლადი იყო მაინცადამაინც კარგი ხარისხის, თავად პურისა და შოკოლადის ამგვარმა ბრიყვულმა შეხამებამ კი ისე გამომიყვანა წყობიდან, რომ გადავწყვიტე, ალაგობრივ

დამესაჯა ეს „თავხედი“ არსება. მშვიდად მივუახლოვდი, წიგნით ხელში (კარგად მახსოვს, ვილაც თავად კროპოტკინის ნაწარმოები იყო, მისივე პორტრეტით გარეკანზე; მაგრამ სინამდვილეში, არც ამ წიგნის წაკითხვა მექონია აზრად ოდესმე და ახლა სათაურსაც ვი ვერ ვიხსენებ); მსხვერპლს ეჭვიც არაფერზე აუღია, უაზროდ, ღეჭვა-ღეჭვით მადევნებდა თვალს. ერთი კარგი სილა გავანანი - ისეთი, რომ შოკოლადი ერთ მხარეს გაუფრინდა, პური - სანინააღმდეგო მხარეს... არაფრის ლოდინი აღარ დამინყია, წამსვე ადგილს მოვწყდი და გადამკვეთი ქუჩის კუთხისაკენ გავეუტიე. სანამ ის ბრიყვი ჭკუაზე მოვიდოდა, უკვე იმდენად შორს ვიყავი, კაცი აღარ იყო ჩემი დამდევნებელი.

უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შემიძლია - მაგრამ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სულ მალე ჩემს მსხვერპლთა საამო თუ უსიამო ქცევასა თუ გარეგნობას უკვე აღარც არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ჩემთვის...

ერთხელაც, უნებლიე მსხვერპლად ვიოლინოზე დამკვრელი თანატოლი ბიჭი შევარჩიე. მხოლოდ შორიდან ვიციხობდი, თანაც, მართლა აღტაცებას განვიცდიდი მის მიმართ ამ არტისტული მოწოდების გამო. ჩემზე ბევრად მაღალი იყო, მაგრამ ისეთი გამხდარი, ფერმკრთალი და სუსტი, მისი ეს მყიფე იერი მაიმედებდა - საპასუხოდ თითსაც ვერ გაანძრევს-მეთქი. რამდენიმე წუთი მივყვებოდი უკან, თუმცა ხელსაყრელი შემთხვევა არა და არ მომეცა: ამხანაგებთან ერთად მიაბიჭებდა და ერთმანეთში რაღაცაზე საუბრობდნენ დიდი გატაცებით. მერე დანარჩენებს გამოეყო, ჩამორჩა, ვიოლინო ძირს დადო და გახსნილი თასმის შესაკრავად ჩაიმუხლა. ამაზე მიმზიდველ პობას ვეღარც დაველოდებოდი - დაუყოვნებლივ მივეჭერი და ჭიტლაყი ვუთავაზე. მერე ორივე ფეხით დავახტი მის ვიოლინოს, ნამსხვრევებად ვაქციე და კურდღელივით მოვკურცხლე იქიდან. მაგრამ საჩქაროდ გონს მოსული ჩემი მსხვერპლი ისე დამედევნა, უსათუოდ დამეწეოდა. გრძელი ფეხები ჰქონდა, სირბილითაც მშვენივრად დარბოდა და მივხვდი, შავადაა ჩემი საქმე-მეთქი. წინააღმდეგობას აზრი არა ჰქონდა, მოურეველი სილაჩრით შეპყრობილი გავჩერდი, მუხლებზე დავეცი და ერთიანად აცახცახებულმა, პატიება ვთხოვე. მაშინვე თავში გამიელვა - ფული უნდა შევაძლიო-მეთქი! თვალცრემლიანმა შევთავაზე კიდეც 25 პესეტა, ოღონდ ვი ხელი არ ეხლო, არაფერი ევნო ჩემთვის... თუმცა, მევიოლინე ბიჭი ისე იყო შურისძიების წყურვილით შეპყრობილი, მივხვდი - ხვენწა-მუდარა ამაო იყო და ვერანაირი ცრემლი ვერ მოულობდა გულს. მერე ქუდი ჩავბღუჯე და მოსალოდნელი დარტყმების შესარბილებლად სახეზე ავიფარე. მკერდში მიბიძგა ისე ღონივრად, გადამაქცია, რამდენიმე მუჯლუგუნიც მოაყოლა, გრძელ თმაში მწვდა, თან მექაჩებოდა, თან მიგრეხდა და, მგონი, მოზრდილი ბღუჯაც ვი ამომავლიჯა... სიმწრისაგან გავკიოდი, თუმცა ამ ჩემს შიშსაც ისე თეატრალურად გამოვხატავდი, ბიჭი უეცრად გაჩერდა და თავი მანება.

ჩვენ ირგვლივ კარგა გვარიანი ჯგუფი შეგროვდა. შემთხვევით ჩავლილმა ლიტერატურის მასწავლებელმაც გულისხმიერება გამოიჩინა, ბიჭების ჯგრო მისწი-მოსწია და იკითხა, რა ხდებოდა. სწორედ იმ წამს გამაოგნებელი ტყუილი დამებადა თავში და სხაპასუხით მივახალე კიდეც - ვიოლინო დავემსხვრიე იმის საბოლოოდ დასამტკიცებლად, რამდენად აღმატებულია მხატვრობა მუსიკასთან შედარებით-მეთქი. ამ უცნაურზე უცნაურმა ახსნა-განმარტებამ დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია, ხოლო განაწყენებულმა მასწავლებელმა, თუმცა ვი თან ცნობისმოყვარეობასაც ვერ იკავებდა, მკითხა - ეგ როგორაო?

ჩემი ფეხსაცმელებით-მეთქი, მივუგე ლამის დაუფიქრებლად. ამჯერად ერთი სიცხი-ხორხოცი ატყდა. მასწავლებელმა ყველა გააჩუმა, მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და ლამის მამობრივი საყვედურით მითხრა - ეგ უაზრობაა, მაგით ვერაფერს დაამტკიცებო...

პირდაპირ თვალეებში ვუცქერდი, უკვე სრულიად დამშვიდებული და თავდაჯერებულიც ვი. ახლა ნათქვამში შელახული ღირსების ინტონაციაც გავურიე და განვუცხადე: ვიცი, ჩემი კლასელებისათვის უაზრობაა, ბევრი მასწავლებლისათვისაც, მაგრამ მეორე მხრივ, შემიძლია დაგარწმუნოთ - ეს ჩემი ფეხსაცმელები ყველაფერს სულ სხვა თვალით უყურებენ-მეთქი![6]

ამის გაგონებაზე ირგვლივ რაღაც დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა. ყველას ეგონა, ამ ურცხვი გამობტომისათვის მკაცრად დამსჯიდნენ, მაგრამ მან მხოლოდ ხელი აიქნია იმის ნიშნად,

ჯერჯერობით მაინც, ინციდენტი ამონურულიაო. იმ დღიდან მოყოლებული, ჩემი პიროვნების ირგვლივ სულ უფრო ძლიერდებოდა „მაგარი ბიჭის“ მარავანდედი, რაც მომდევნო მოვლენებმა კიდევ უფრო გაამყარა და ლამის საარაკო ელფერი შესძინა: მანამდე არავის გაებედა მასწავლებლისათვის სიტყვის შებრუნება, და ახლა ყველა იმაზეც თანხმდებოდა, სწორედ მისმა ამგვარმა თვითდაჯერებამ ჩაუგდო ენა პროფესორსო.

ჩვეული სიმორცხვის ბურუსში ასე ელვასავით გამკრთალი უეცარი ძალის გამოვლინებამ გვარიანი სახელი დამიგდო, რაც წარმატებით აწონასწორებდა ჩემს უკვე უსასრულოდ ექსცენტრულ გამოხდომებს.

თანდათანობით ჩემი პიროვნების გარშემო უამრავი ცნობისმოყვარე და ურთიერთგამომრიცხავი შეკითხვა გაჩნდა: გიჟია? თავს იგიჟიანებს? თუ, მართალია, უჩვეულო, მაგრამ თან ცოტა გადახრილი ფსიქიკის მქონე პიროვნების ნიშან-თვისებებს ამჟღავნებს? ამ ბოლო მოსაზრებას რამდენიმე მასწავლებელიც იზიარებდა - ხატვის, მართლწერისა და ფსიქოლოგიის. რაც შეეხება მათემატიკის პედაგოგს, ის ჭიუტად ამტკიცებდა - მისი გონებრივი შესაძლებლობები საშუალოზე დაბალია და ეგაა ყველაფრის თავი და თავიო!

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადი იყო - ნებისმიერი გაუგებრობა, რაც ვი რამ სკოლაში მოხდებოდა, უკვე მაინცადამაინც მე მომწერებოდა ხოლმე; და რაკი სულ უფრო და უფრო „მარტოსული“ და „განუმეორებელი“ ვჩანდი, მით მატულობდა ჩემი „ცნობადობაც“, ანუ - რაც უფრო ვინიღებოდი, მით უფრო მეტად ვხვდებოდი ყველას თვალში. სწორედ ამიტომ, უკვე შეგნებულად ვირგებდი სიმარტოვის ამ ნიღაბს და ვამაყობდი კიდევ მისით - თითქოსდა ვინმე მომხიზვლელი გულის მურაზი ყოფილიყო, რომლითაც მავანი თავს იწონებს ხოლმე საჭაროდ...

ერთხელაც, ჩვეულებისამებრ, ანგინა დამემართა და კარგა ხანს სასწავლებელში ვერ დავდიოდი; როცა ისევ დავბრუნდი, ებოში აფორიაქებული, წრეში ჩამდგარი მონაფეების ჯგუფი დამიხვდა. აღელვებულები ხმის ჩახლეჩამდე გაყვიროდნენ რაღაცას. უცებ, ამ წრის შუაგულიდან ცეცხლის ალი ამოვარდა და კვალად შავი კვამლიც ამოჰყვა. თურმე რა მომხდარიყო: სწორედ მაშინ, რაღაც სეპარატისტული მოძრაობა იკვეთებოდა ჩვენში და ამ ბიჭებსაც, არც მეტი, არც ნაკლები, ესპანეთის დროშისათვის წაევიდებიანთ ცეცხლი!

მათკენ დავაღირე თავი, მიხდოდა, საქმეში კარგად გავრკვეულიყავი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, უცებ ყველა მიმოიფანტა. ერთი პირობა, ისიც ვი ვიფიქრე, ამის მიზეზი ჩემი მოულოდნელი გამოჩენა ხომ არ გახდა-მეთქი... ეს იყო და, სრულიად მარტოდმარტო აღმოვჩნდი შუა ებოში, ფეხებთან ვი დროშის ამომწვარ-აბოლებული მონარჩენი მეგდო. გაქცეულები შორიდან მიცქერდნენ, თან შიშით და თან აღტაცებით, რამაც სიმართლე ითქვას, საგონებელში ჩამაგდო. არადა, მათი გაქცევის მიზეზი თურმე სულ იოლად ასახსნელი ყოფილიყო - ჯარისკაცების გამოჩენა. ამათ შემთხვევით მოეკრათ თვალი მომხდარისათვის და ახლა სურდათ, ძირისძირამდე გაერკვიათ ამ ანტიპატრიოტული, ლამის მკრეხელური „მსხვერპლშენირვის“ მიზეზები. მათ მე ერთსა და იმავეს ვუმეორებდი - აქ სრულიად შემთხვევით მოვხვდი-მეთქი, მაგრამ ამ თავის მართლებისათვის ყური არავის უთხოვებია, პირიქით - ჩემ შესახებ საყოველთაოდ შექმნილი წარმოდგენა თითქოს იმთავითვე გულისხმობდა, რომ ძალაუვნებურად იმ დემონსტრაციის უმთავრეს გმირად უნდა ვქცეულიყავი, რომელშიც არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია.

მაშინვე ხმა გავარდა - ჯარისკაცების გამოჩენისთანავე ყველა გაიქცა, დალის გარდაო! მე ვი თურმე ფეხმოუცვლელად ვმდგარვარ, ამაყად, როგორც რევოლუციური სტოიციზმისა და უდრეკობის ნიმუში და მაგალითი. წესით, სასამართლოს წინაშე უნდა წარვმდგარიყავი, მაგრამ საბედნიეროდ, ასაკის გამო, პოლიტიკური ქმედებებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ მეკისრებოდა. მოკლედ, იოლად გადავრჩი, თუმცა ამ ამბავმა მაინც ღრმა კვალი დაატყო საზოგადოებრივ აზრს და ჩემი პიროვნებითაც უკვე ბევრი დაინტერესდა.

იმხანად თმა უკვე გოგოსავით მექონდა ჩამობრდილი, სარკეშიც ხშირ-ხშირად ვიყურებოდი და ვცდილობდი, ის სევდიან-მელანქოლიური განწყობა დამეჭირა, რაც მუდამ მხიზლავდა რაფაელის ავტოპორტრეტში. ვნატრობდი, წვერ-ულვაშიც დროზე ამომივიდეს-მეთქი და უკვე გადაწყვეტილიც მექონდა, რა სიგრძეზე დავიყენებდი

ქილვაშებს. მოკლედ, მსურდა, ჩემი თავისთვის სრულიად „უჩვეულო“ იერი მიმეცა. ზოგჯერ დედაჩემის ოთახშიც კი შევრბოდი, ფართხაფურთხით დავიდებდი ხოლმე სახეზე ფერუმარის, თვალებსაც მუქი ფანქრით მოვიხატავდი და მალევე უკან გამოვრბოდი, რომ არავის წაესწრო... ქუჩაში ტუჩებსაც კი ვიკვნეტდი ხოლმე - კიდევ უფრო დასანითლებლად - და ამ ჩემი ექსცენტრული მორთვა-მოკაზმვით ბოლოს იმასაც მივალწიე, ქუჩაში გამვლელები ჩემზე ანიშნებდნენ და ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ ხოლმე: „დალის შვილია, ნოტარიუსის. ეგ იყო, სახელმწიფო დროშა რომ დაწვა.“

მეორე მხრივ, მეტისმეტად ჩამოვრჩებოდი ჩემს თანატოლებს იმ გარკვეულ „ფარულ სიამეებში“, რასაც ისინი, მათივე თქმით, ხშირ-ხშირად ეძლეოდნენ. არაერთხელ მომიკრავს ყური ამ თემაზე მათი საუბრისათვის, მაგრამ ზუსტად რაზე იყო ლაპარაკი, ბოლომდე მაინც ვერ ვხვდებოდი. არადა, მესიკვდილებოდა იმის კითხვა, რას გულისხმობდნენ, ან როგორ სჩადიოდნენ ყოველივე ამას. ბოლოს და ბოლოს, საკუთარი პირით ხომ არ ვაღიარებდი, ეგეთები არც არასოდეს გამიკეთებია და საქმე საქმეზე თუ მიდგა, წარმოდგენაც არა მაქვს, რა გაქვთ მხედველობაში-მეთქი. ისიც შემინიშნავს, როგორ ეშმაკურად გადახედავდნენ ერთმანეთს და ხანდახან თითო-თითოდ, ხან წყვილ-წყვილადაც კი გადიოდნენ რაღაც „საქმეზე“, მერე კი თითქოსდა სახემეცვლილნი თუ მთლად გადასხვაფერებულნი ბრუნდებოდნენ უკან. ვგულისხმობ, თითქოს რაღაცნაირად „გალამაზებულნი“ და - კმაყოფილნი...

\*

ბაფხულობით, ძირითადად, საკუთარი თავით, სხეულითა და ვადაკვისის შემოგარენით ტკობაში ვატარებდი დროს. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მიაშებდა გრძნობებს, რადგანაც მიმაჩნდა - და ახლაც ასე ვფიქრობ - რომ ეს ულამაზესი სანახებია ქვეყნად.

უკვე ვხედავ სკეპტიკურად მომზირალი ჩემი მკითხველის დამცინავ ღიმილს - აქაოდა, სამყარო იმხელაა, სალვადორ დალი კი იმდენად პატარა, რომ ჯერ არსად უმოგზაურია და უკვე იცის, რომელია ულამაზესი ადგილი დედამიწის ზურგზე!

მაგრამ მე გეტყვით თქვენ: სალვადორ დალის არც მთვარეზე დაუდგამს ფეხი, თუმცა ვინ შემეკამათება, აქაოდა, იქ ბევრია თვალისათვის საამოო! როგორც რომ ადამიანის თავი, რომელსაც მხოლოდ ერთი ცხვირი აქვს და არა ვთქვათ ასი, ისევე ქვეყნის ყოველი კუთხე გეოლოგიური კატაკლიზმებისა და ცივილიზაციის არსებობის კვალს ატარებს, რაც სრულიად განუმეორებელ იერს აძლევს მას.

\*

ახლა მე 37 წლისა ვარ და ის შიში, რაც ბავშვობიდანვე დამყვა კალიების მიმართ, ჯერაც არ გამწელებია. იქნებ, გამიმძაფრდა კიდევ. არადა, როცა ამ მწერზე არ ფიქრობ, სწორედ მაშინ შეგახტება ხოლმე საიდანღაც! და მეც მუდამ ასე მემართებოდა, ყველაზე ღრმა გარინდების ჟამს, როცა საკუთარი თავისა თუ გარემო სანახების მოხილვით ვიყავი გართული, სწორედ მაშინ ამოხტებოდა ხოლმე ბალახიდან მწვანე ურჩხული. ის ბაფრა, რასაც ამ უწყინარი მწერის მიმართ მთელი ცხოვრების მანძილზე განვიცდი, მართლაც ჩემი შინაგანი ბუნების ერთი ენიგმათაგანია.

მახსოვს, ერთხელ სანაპიროზე მამაჩემმა თევზი დაიჭირა ერთგვარი, ჩვენში მას რატომღაც „სლიპინას“ ეძახიან; რომ არ გამსხლტარიყო, მეც მაგრად ჩავეჭიდე, მაგრამ პაწია, გადმოკარკლულ თვალებში რომ ჩავხედე, დაბაფრულმა უკანვე მოვისროლე წყალში. გაკვირვებულმა მამაჩემმა მკითხა, რა ბზიკმა გიკბინაო, მე კი სლუკუნ-სლუკუნით ვცდილობდი ამეხსნა, რომ მაგ შენს „სლიპინას“ სწორედაც კალიას თვალები აქვს-მეთქი. ამის გამგონე ჩემს ბიძაშვილებს რაღა გააჩერებდათ - მთელი დღე კალიებს დასდევდნენ, იჭერდნენ და მერე მე მასვამდნენ მხრებზე...

მაგრამ კალიების განხრით მთელი ჩემი ტანჯვა-ვაება თურმე ჯერ კიდევ წინ მედო: ფიგურასში სწავლის გასაგრძელებლად დაბრუნებულმა აღმოვაჩინე - მათ მიმართ ჩემი შიში საყოველთაოდ ცნობილი ამბავი გამხდარიყო და თანაჯგუფელებიც ახლა ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, სადმე კალია მოეხელთებინათ და დავეფეთებინე. სადღა არ ვპოულობდი ამ საცოდავებს - ჯიბეებში, ჩანთაში, მერხში... ერთხელ წიგნშიც კი ჩამიდეს თავგაჭეჭილი და ბაფრაატანილმა წიგნი ისეთი ძალით მოვისროლე, საკლასო ოთახის



ფანჯარა ჩავლენე. მთელი ორი დღით დამსაჯეს, რადგან ამ დროს გეომეტრიის მასწავლებელი პითაგორას თეორემას გვისხნიდა დაფაზე და კლასშიც სამარისებური სიჩუმე იდგა.

საქმე იქამდე მივიდა, უკვე არარსებული კალიები მელანდებოდა; წამოვხტებოდი ხოლმე და აკანკალეებული, საკუთარი ნებით ვდგებოდი კუთხეში. ბოლოს, ერთმა შემთხვევამ მიხსნა ამ ბავშვური სისასტიკისაგან: ვიღაცამ სამელნეში ჩამისვა კალია; ჩემდა უნებურად შუშა ძირს დავახეთქე და ნამსხვრევებიდან იისფერი მწერი რომ ამოხტა, რატომღაც სულაც აღარ შემიძინებია - ასე გამოდის, გამოცხადების მეოთხე მხედრის ცხენისფერი მაფრთხობდა თურმე[7] და არა ეს უმწეო, ხტუნია არსება!

თუმცა საბოლოოდ, ამან მაინც ვერ მიშველა და ჩემი უგვანი ქცევის გამო, მალევე გამრიცხეს სკოლიდან.

\*

ჩემი მოგონებები ომზე თავიდან ბოლომდე მხოლოდ დადებითია, რადგან ესპანეთის ნეიტრალიტეტის წყალობით, ჩემს ქვეყანას ეიფორიისა და სწრაფი ეკონომიკური აყვავების ხანა დაუდგა. კატალონიამ წარმოშვა ნუვორიშთა ის გამომწვევი და მსუყე ფლორა და ფაუნა, რომელიც, ძირითადად, საკუთარი თავის გამოკვებაზე იყო გადაგებული. კარგად მახსოვს, 1914 წელს მთელ ფიგუერასში ცეცხლზე შემოდგმული ათასგვარი ეგზოტიკური კერძის სუნი ტრიალებდა. ჩვენ მეზობლად ფრანგების ოჯახი დასახლდა, თავი გურმანებად მოჰქონდათ, ამ საქმიანობაში მეც ჩამითრიეს და ახლა შემოძლია, თამამად განვაცხადო, რომ აალებულ რომმოსხმული შემწვარი კოდალას დამზადებაში ბადალი არა მყავს...

ამ ფრანგებს პირველ სართულზე მაღაზია ჰქონდათ გახსნილი და ნაცნობ-უცნობი იქ იკრიბებოდა ომსა და, ზოგადად, ევროპის ამბებზე ენის მოსაქვავებლად. ყოველ კაფე-ბარში ბარსელონით შემოღწეული არგენტინული ტანგოს მელოდიები გაისმოდა, ხოლო აზარტული თამაშების ლეგალიზაციის წყალობით, გარეთ გამოტანილ მაგიდებზე ბაკარას თამაში იყო გაჩაღებული. ომის დამთავრების ცნობა მეხივით გასკდა მონმენდილ ცაზე, მაგრამ რაკილა მთელი კატალონია ფრანკოფილებით იყო სავსე, ყველა საზეიმო განწყობამ მოიცილა. ხალხი ქუჩებში გამოეფინა და სტუდენტებმა მასობრივი მიტინგის გამართვა გადაწყვიტეს. ჩემდა გასაკვირად, მათი მოთავე კარს მომადგა და მთხოვა, იქნებ შესავალი სიტყვა შენ წარმოგეთქვაო. სიამოვნებით დავთანხმდი და იმავე საღამოს ჩავუჯექი საქმეს. მახსოვს, ამ ჩემი გამოსვლის ტექსტი ასე იწყებოდა: „ბრძოლის ველზე დანთხეულმა სისხლმა ყველა ჩაგრული ხალხის პოლიტიკური შეგნება გამოაცოცხლა!“ და ა.შ და ა.შ. საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილი გახლდით, ტექსტიც კარგად დავიზუტხე და მის ხმამაღლა წარმოთქმაში სარკის წინ ვვარჯიშობდი გაუთავებლად. ეს ჩემი პირველი გამოსვლა იქნებოდა და თუ იმ სახელს გავითვალისწინებთ, რაც უკვე დაგდებული მქონდა სტუდენტურ წრეებში, არ მსურდა, ვინმესთვის იმედი გამეცრუებინა. მაგრამ მიტინგის დღეს უცნაურმა შიშმა შემიპყრო და ადგილზე მისულს, მგონი, მუხლებიც კი მიკანკალეებდა. რესპუბლიკის მოედანი ხალხით გადაჭედდილიყო და რაც ყველაზე უჩვეულო მეჩვენა, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი ქალების სიმრავლე იყო. შემადღებულზე სამი სკამი დაედგათ - ერთი თავმჯდომარის, ერთი ჩემთვის და ერთიც მდივნისათვის. თავმჯდომარემ მოკლედ ჩაარაკრაკა ჩვენი შეკრების მიზანი, მერე კი, ასე ვთქვათ, ხელებიც დაიბანა და კმაყოფილი დაუბრუნდა საკუთარ ადგილს. ნელი-ნელ, ზღაბვნიტ წამოვდექი სკამიდან, ნაბიჯი წინ წავდგი და უცბად ვიაზრე - სიტყვაც კი აღარ მახსოვდა ჩემივე ხელით დაწერილი ტექსტიდან! გულმა ბაგაბუგი დამიწყო, ვიგრძენი, როგორ მომანვა სისხლი სახეზე და უცბად, სრულიად აზრდაუტანლად, ხაფი ხმით შევძახე: გაუმარტოს გერმანიას! გაუმარტოს რუსეთს! მერე იქვე დადგმულ პატარა ტაბლა-მაგიდას წიხლი ვხიე და ამაყად თავანუელი ჩამოვედი ტრიბუნიდან.

- როგორი იყო? - დამეკითხა მამაჩემი.

- მთლად გადასარევი, - ვუპასუხე სერიოზული სახით.

გაგიკვირდებათ და, მართალიც აღმოვჩნდი: ხალხმა ეს ჩემი გამოხდომა ისევ ორიგინალობასა და ჩემს ტემპერამენტს მიაწერა. სტუდენტების ლიდერმა, ვინმე მარტინ ვილანოვამ მერე ასე ახსნა ეს ამბავი - დიახ, გერმანიაში რევოლუცია იწყება, და ესაა

სწორედ მისი გამარჯვება. რაც შეეხება მაგიდის ამოტრიალებას, მხოლოდ ასეთი უესტით შეიძლება მერყევი თუ უნიათო ხალხის გამოღვიძებაო...

მეორე დღეს დიდი მსვლელობა გაიმართა, რომელსაც წინ მე და სწორედ ეს ვილანოვა მივუძღოდით: მე - გერმანული დროშით, ვილანოვა - უზარმაზარი წითელი ნაჭრით, რომელზედაც შავი საღებავით ნამგალი და ურო დაეხატა...

დრო გადიოდა და მეც წლები მემატებოდა. ახლა უკვე ჩემს სახელგანთქმულ გრძელ, წვრილ ქილვაშებსაც ვატარებდი, ხავერდის მუქ პიჯაკსაც და მამისეულ კაკლის ჩიბუხსაც ვაფუილებდი. ასევე მუდმივად თან დამქონდა ხელჯოხი, რომელსაც სახელურად ორთავიანი არნივი ჰქონდა - იმპერიული დიდების სიმბოლო, რაც ჩემს პატივმოყვარეობას დიახაც ელამუნებოდა.

ყოველ საღამოს ხატვის სკოლაში დავდიოდი. სენიორ ნუნები მართლაც კარგი პედაგოგი გახლდათ და ტვიფრების კეთებაში ხომ ბადალი არ ჰყავდა: ერთხელ რომის დიდი პრიზიცი კი მიიღო. მე იმთავითვე გამომარჩია სხვებისაგან და ხშირად სახლში მიტარებდა გაკვეთილებს. შუქრდილების დასმის ხელოვნებასა და ფუნჯის მკვეთრი მონასმების ტექნიკას მიზიარებდა. ალბათ სწორედ სენიორ ნუნების წყალობა იყო, რომ მთელ სკოლაში გამორჩეულ მონაფედ ვიქეცი და ყველანი ერთხმად ურჩევდნენ მამაჩემს - მაგის საქმე ტილო და ფუნჯაო. ოღონდ ის კარგა ხანს ჭოჭმანობდა, ხელოვანის მომავალი არანაირად არ ხიბლავდა და ცოტათი უფროთხოდა კიდევ. თუმცა ეგეცაა, ჩემთვის უარი არასოდეს არაფერზე უთქვამს და მუდამ ყიდულობდა წიგნებს მხატვრობასა და მხატვრებზე, ათასგვარ საჭრეთლებს, ფუნჯებსა და საღებავებს და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა შელოცვასავით - ჯერ ბაკალავრის ხარისხი გაინაღდოს და მერე ვნახოთო.

სწორედ იმ წლებში კითხვამაც გამიტაცა. ბევრს ვკითხულობდი, ძალზე სწრაფადაც და მალე წიგნი აღარ დარჩა მამაჩემის ბიბლიოთეკაში, გადაბულებული არ მქონოდა. მახსოვს, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ვოლტერის „ფილოსოფიურმა ლექსიკონმა“ მოახდინა ჩემზე, ხოლო ნიცმეს წიგნმა „ასე ამბობდა ბარათუშთრა“ მხოლოდ ის მაფიქრებინა, ასეთ რამეს მე უკეთესად დავწერდი-მეთქი. თუმცა, გამორჩეულად მაინც კანტის კითხვით ვხალისობდი: ვაცმა რომ თქვას, არც არაფერი მესმოდა მისი აბდაუბდა ნაწერის, მაგრამ რატომღაც სწორედ ეს მავსებდა სიამაყისა და ღირსების გრძნობით. ნაღმა-უკუღმა დავსვირნობდი მისი სილოგიზმების ლაბირინთებში და ბოგ დებულებას კიდევ თითქოსდა ნავიგალობებდი ხოლმე ხმამაღლა. დარწმუნებული გახლდით, კაცი, რომელმაც ასეთი მნიშვნელოვანი და ამდენად უსარგებლო წიგნი დაწერა, უთუოდ ანგელოზისებრი ბუნებისა უნდა ყოფილიყო. ამის მიზეზი ალბათ იმ სულიერ შიმშილში უნდა ვეძიოთ, რასაც ისევე განვიცდიდი, როგორც ბავშვი ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობას, და ისევე ვენაფებოდი კატეგორიულ იმპერატივს, როგორც ამგვარი ბავშვი - ცარცსა თუ კედლიდან ანაფხევ გაჯის ნატეხს. კანტიდან შემდგომ სპინოზაზე გადავინაცვლე, დეკარტეს შედარებით გვიან ვეზიარე და სწორედ მისი ნააზრევი გამოვიყენე საკუთარი მეთოდოლოგიური თუ ლოგიკური ძიებებისათვის. შეიძლება ითქვას, ამგვარი ფილოსოფოსების კითხვა საღადაოდ წამოვიწყე, მაგრამ ტვინის ჭყლეტითა და ცრემლებით დავასრულე. ცხოვრებაში თვალზე ცრემლი არ მომდგომია რაგინდა რა სენტიმენტალური რომანისა თუ რომანტიკული განწყობის ლექსის კითხვისას, მაგრამ ის კარგად მახსოვს, რა დაჰალუპით ჩამომდიოდა ცრემლები, როცა „თვითობის“ განსაზღვრას გადავეყარე ვილაცის ნააზრევიში.

\*

ინსტიტუტში ერთმა ახალგაზრდა პროფესორმა ფილოსოფიის დამატებითი კურსი გახსნა, ლექციების მერე, საღამოს შვიდიდან რვა საათამდე. მაშინვე ჩავწინე, რადგან თავად თემა პლატონის მოძღვრებას შეეხებოდა. გაზაფხული იდგა, გვიანი გაზაფხული, როცა ეს მეცადინეობები დაიწყო და თბილი ჰაერიც ათასი სურნელით იყო გაჟღერებული. სკამები გარეთ გამოვიტანეთ და ბინდბუნდში წრიულად დავსხედით მოლზე. ჩვენ შორის რამდენიმე გოგონაც ერია, ჩემთვის ჯერაც უცნობი და, რატომღაც, ყველა ერთიმეორეზე ლამაზი მეჩვენა. ერთ-ერთს იმნამსვე დავადგი თვალი და, სხვათა შორის, არც იმან ამარიდა მზერა. ყველაფერი იმდენად აშკარა იყო ორივესათვის, ლამის ერთდროულად წამოვხტით და თითქოს უხმოდ ვეუბნებოდით ერთმანეთს - „დავახვიეთ აქედან!“. წამოვედით კიდევ, და ინსტიტუტის ეზოდან გამოსულეხს, გრძნობები იმდენად

მოგვეძალა, კრინტიც ვერ დავძარით სალაპარაკოდ. ალბათ ამიტომ თუ იყო, უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთ და ხელჩაკიდებულები გავიქეცი. ინსტიტუტი ქალაქის განაპირას იდგა, მხოლოდ რამდენიმე მიყრუებული ქუჩის გავლა დაგვჭირდა და პირდაპირ ტრიალ მინდორში ამოვყავით თავი. ერთმანეთთან შეუთანხმებლად, ერთ პატარა ბილიკს გავუყევით. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა...

გოგონა უცნაური, გამაღიზიანებელი სინაზით შემომცქეროდა, დროდადრო გადაიკისკისებდა და ისევ გარბოდა ხოლმე; თუ თავიდანვე გამიჭირდა ხმის ამოდება, ახლა მთლად დავმუნჯდი - ასე მეგონა, ცხოვრებაში სიტყვას ვეღარ დავძრავ-მეთქი. გოგო ნიავის ყოველ დაბერვაზე თრთოდა და ცახცახებდა და ამით ათმაგად სასურველი ხდებოდა ჩემთვის. მინდვრისაკენ თითი გავიშვირე და უდიდესი ძალისხმევით ფასად, როგორღაც მაინც ამოვიხავლე - იქ! ის მაშინვე მითითებული ადგილისაკენ გაიქცა, ბალახზე განვა და მთლიანად ჩაიმალა შიგ. მერე მეც მივედი. მთელი ტანით განვართული იწვა და ახლა თითქოს უფრო მაღალიც ჩანდა. მაშინღა შევამჩნიე, იფქლისფერი თმა ჰქონდა, პერანგის ქვეშ ორი, ულამაზესი მოყვანილობის ბორცვი ნაპირზე ამოგდებული თევზებივით უსხმარტალებდა... ტუჩებზე დავეკონეთ ერთმანეთს და თითქოს შევწებეთ კიდევ. დროდადრო სანახევროდ აპობდა ბაგეს და მაშინ უკვე მის კბილებს ვგრძნობდი საკუთარ ტუჩებზე, ტკივილამდე.

საშინლად გაციებული იყო და პანია ცხვირსახოცს არ უშვებდა ხელიდან; ერთხელ კიდევ დავაპირე მევოცნა - იმის დასამტკიცებლად, შენი სურდო სულ ქინძზე მკიდია-მეთქი და გულწრფელიც ვიყავი - იმდენად თხელი და უფერული ნაღვენთი ჰქონდა, ცრემლივით უფრო უნამავდა სახეს... ვეც არ იყოს, სუნთქვისას ისე უთრთოდა გულ-მკერდი, მეგონა, ტირის-მეთქი. მერე უცებ მივაშტერდი და ჯიქურ მივახალე: „არ მიყვარხარ, არც არასოდეს შემეყვარდება არც ერთი ქალი! ყოველთვის მარტო ვიცხოვრებ!“ მაშინვე დამიცხრა და დამეწმინდა გონება - ნეტავ, როგორ მოვახერხე ასე წამებში კვლავ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი გავმხდარიყავი?! არადა, გოგონა მთლად დაიბნა და საშინლად დაიმორცხვა. ცხადია, მთელ ამ ამბავში გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც მისმა სურდომ იქონია. მკლავებში მყავდა მომწყვდეული, მაგრამ უკვე რაღაც სხვანაირად - თითქოს ვნებადამცხრალს... თავი მხარზე მივადე და კვლავაც ვეფერებოდი, ოღონდ - მეგობრულად. სირბილში გვარიანად გაოფლილიყო და ახლა თითქოს ცხვირში ერთდროულად ბატკნისა და მოხალული ყავის სუნი მილიტინებდა! თავი ავწიე, იმანაც ამომხედა - სანწყლად... მერე უღონოდ გამიღიმა და მითხრა - ესე იგი, ხვალ საღამოს აქ აღარ მოვალთ?

„ხვალ საღამოს - აუცილებლად!“ - მივუგე და მთელი ჩემი დამუშავებული ცერემონიალურობით მივეხმარე წამოდგომაში. - „და კიდევ ხუთი წლის განმავლობაშიც, ოღონდ - არც ერთი დღით მეტი...“ - აი, ასე პრაგმატულად ვაზროვნებდი და ხუთი წლით წინ ვგეგმავდი ჩემს ცხოვრებას.

სწორედ ამ ხუთწლიანი რომანის დროს მოვუხმე ჩემი სენტიმენტალური უკუღმართობების მთელ საბადოს - მოვახერხე და იმდენად უცილობელი გავხდი მისთვის, ისე ცინიკურად ვცვლიდი ჩვენი შეხვედრების სიხშირესა და ხანგრძლივობას, ჩვენი საუბრების თემებს, ისეთ გამაოგნებელ ტყუილებს ვიგონებდი, რომ ყოველდღე თვალნათლივ ვრწმუნდებოდი - როგორ დღითი დღე იზრდებოდა მასზე ჩემი გავლენა. ეს იყო მიზანმიმართული, ყოვლისმომცველი, მომგუდავი მონუსხვა! დადგა დრო, როცა ჩემი გოგო უკვე „მომწიფებულად“ მივიჩნიე და უკვე მოვითხოვდი კიდევ, გარკვეული ქმედებები, ერთგვარი მსხვერპლშენიშვნები შეესრულებინა: ვთქვათ, ვეკითხებოდი, მზად იყო თუ არა, თავი გაენირა ჩემთვის! თუმცა ისიც სათქმელია, რომ იმ პირველი ჩვენი შეხვედრისაგან განსხვავებული არც არაფერი ხდებოდა - ვეფერებოდი, ათასნაირად ვბურჯგნიდი და ეს იყო სულ!

აი, სწორედ მაშინ მოხდა, გაუზიარებელი სიყვარულის სენტიმენტალურ მითოლოგიაზე რომ ვიყარე ჯავრი: ტრისტანისა და იზოლდასაგან განსხვავებით, სავსებით ნათლად ვიაზრებდი - ყველაფერ ამას სიყვარულთან არაფერი ჰქონდა საერთო. ის, როგორც მე უნდა მყვარებოდა ჩემი გალუშვა, ჩემი დულიტას მომავალი გამონათება, სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო - როცა ერთი ადამიანის მე მეორისაში ინთქმება და ითქვიფება. კარგად მესმოდა, რომ შეყვარებულშია ღმერთი და არა სიყვარულის ობიექტი. რაღა თქმა უნდა, ეს ჩემი „სიყვარული“ გარკვეულად იდეალიზებული, სრულად პრერაფაელიტური იყო.

\*

კიდევ სამი წელი უნდა მესწავლა ბაკალავრის წოდების მისაღებად, მაგრამ უკვე ვიცოდი, რომ ჩემი ერთადერთი მიზანი ცხოვრებაში მხატვრობა იყო. შიგადაშიგ უკვე ოჯახშიც ჩამოაგდებდნენ ხოლმე სიტყვას მადრიდის სამეფო აკადემიაზე, ან, თუკი კონკურსში გავიმარჯვებდი, სულაც მარადიულ ქალაქში გამგზავრებაზე. ოღონდ, ეგეც ითქვას, სწავლის აკადემიური კურსების გავლის აუცილებლობა წინასწარვე მზარავდა. დარწმუნებული ვიყავი, საკუთარი გზა მეონდა ნაპოვნი და სენიორ ნუნებთანაც უკვე ხშირ-ხშირად მომდიოდა შეხლა-შემოხლა, თუმცა ყოველი ასეთი ჯახის მერე, ის, როგორც წესი, ჩემს სიმართლეს აღიარებდა. სწორედ იმ პერიოდში დავეუფლე ხატვის გარკვეულ ტექნიკურ ინოვაციებს და მათ ყველას ერთი წარმომავლობა ჰქონდა: ბუსტად იმის საწინააღმდეგოს კეთებას ვინცებდი, რასაც ჩემი მასწავლებლები მიჩიჩინებდნენ. გუშინდელივით მახსოვს, ერთხელაც, ვიღაც მოხუცი მათხოვარი დაგვისვს კლასში და მისი ბუსტი პორტრეტის დახატვა მოგვთხოვს. გრძელი, სპეტაკი წვერი ლამის მუხლებამდე სცემდა და როცა სენიორ ნუნებმა ჩემს მონახაბს დახედა, დამარიგა, ამგვარი მონასმებით თეთრი წვერის სისპეტაკეს ვერ გადმოსცემო. მირჩია, ახალი ფურცელი აიღე და, ასე ვთქვათ, „ფურცლის სითეთრეს“ ეცი პატივიო. თან რბილწვერიანი ფანქრების რიგზე მიმითითა - ამათი გამოყენება გიჯობსო. რაღა თქმა უნდა, როგორც კი ბურგი შემაქცია, წამსვე საწინააღმდეგოს კეთებას მივყავი ხელი - უშავს, ხეშემწვერიან ფანქრებს დავწვდი და მკვეთრი, უხეში ხაზების გავლება დავინწყე. ხატვამ იმდენად გამიტაცა, ვეღარც შევამჩნიე, რომ სხვებს საქმე უკვე მოეთავებინათ და ჩემი მოღბერტის გარშემო შემოჯარულიყვნენ. კონტრასტულობის ხარჯზე, ერთ ხანს მართლაც მივალწიე სასურველ ეფექტს, მაგრამ მერე აშკარად ბედმეტი მომივიდა - ვეღარ მოვზომე და როცა სენიორ ნუნებმაც დახედა ნახატს, „ღმერთო ჩემო, რაც გითხარი, ყველაფერი უკუღმა გაგიკეთებიაო!“ - შესძახა.

ბუსტად მაგას ვცდილობდი-მეთქი, - ვუთხარი, მერე ფუნჯი ტუშში ჩავანე და დარჩენილი ადგილები მთლად გავაშავე. სენიორ ნუნებმა იფიქრა, ახლა კი მიუხვდი ჩანაფიქრსო და მეუბნება: „ესე იგი, გინდა, ნეგატივი გამოიყვანო?“

არა, - ვუპასუხე, - იმის დახატვა მინდა, რასაც ვხედავ-მეთქი. ხელი ჩაიქნია, თავიც გადააქნია და გამცილდა, თან თავისთვის ბურღუნებდა: „მაგას თუ ჰგონია, ახლა ცარციტ გამოკვეთს გასათეთრებელ ადგილებს, ძალიანაც ცდება - ტუში ცარცს ვერ გუობს!“ მე კი ჯაყვა ამოვიღე და ნახატის ადგილ-ადგილ ფხეკას შევუდექი; ზოგი სხვა ადგილიც ბამბით გადავწმინდე, ზოგან კი ფრჩხილებითაც მოვპორჯყნე ქალაღდი და შავი ფერის ისეთი გრადაციები მივიღე, სწორედაც რომ შეესაბამებოდა მათხოვრის ჩემ მიერ აღქმულ ხატს. როცა პროფესორს ნამუშევრის საბოლოო ვარიანტი ვაჩვენე, თავი ვეღარ შეიკავა და გულში ჩამიკრა...

შემდეგ უკვე ის პერიოდი დამიდგა, რომელიც მამაჩემმა „ქვის ხანად“ მონათლა: რელიეფური შუქრდილების მისაღწევად, კენჭებს ვდებდი ხოლმე ტილოზე და მერე საღებავს ვუსვამდი ზემოდან. მახსოვს, ერთი ასეთი სურათი - მზის ჩასვლა - სასადილო ოთახში გვეკიდა და ზოგჯერ, შუა ჭამის დროს, როცა რაღაც უცნაური ხმა გაისმებოდა ხოლმე, მამაჩემი ყველას ამშვიდებდა - ეგ არაფერი, უბრალოდ, საღვადლოს თავისი ციდან ქვები ეყრებაო. ისე, - დაამატებდა ხოლმე მერე, - ვინ გიჟი იყიდის სურათს, რომელიც ნაწილ-ნაწილ იშლება და მთელ ბინას დაღებილი კენჭებით ანაგვიანებსო. მალე მთელ ქალაქში გამივარდა სახელი, როგორც „ქვასროლია მხატვარს“, თუმცა გაგეცინებათ - ეს ჩემი ნახატები რამდენიმე გამოფენაზე მთხოვეს წარსადგენად და წარმატებაც აშკარა იყო - იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილმა კრიტიკოსებმა, კარლოს კოსტამ და პუი პიხადესმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, ამ ბიჭისაგან დიდი მხატვარი დადგებაო...

მთელი ეს ხანი თავაუღებელივ ვმუშაობდი და მშობლები ნუხდნენ კიდევ - წამით არ ჩერდება, სულ აღარ რჩება ადამიანური გართობისათვის დროო. მაგრამ მე უკვე ახალი მიზანი მეონდა დასახული, კუბიზმი უნდა გადამეხარმა და მერე საბოლოოდ ამომეგდო ის ხატვის საკუთარი ტექნიკის არსენალიდან.

იმ დროისათვის უკვე დასრულებული მეონდა ჩემივე ფილოსოფიური ნაშრომის -

„ბაბილონის გოდოლის“ 500-გვერდიანი წინათქმა... რაც შეეხება სქესობრივ ლტოლვებს, თითქმის მთლიანად გამიქრა და ამ ოპუსის ფილოსოფიურმა თეორიებმა არა მარტო გონებრივი, ფიზიკური საქმიანობის მეტი წილიც მოიცვა. ნაშრომი სიკვდილის ფენომენის გახსნა-წარმოჩენით იწყებოდა და, საკუთარი გადასახედიდან, სწორედ ის ედო საფუძვლად ყოველ წარმოსახვით კონსტრუქციას. ეს ანთროპომორფული თეორია იყო, რადგან ყოველთვის მიმაჩნდა, რომ არასოდეს ისეთი ცოცხალი არ ვყოფილვარ, როგორც ჩემი სანყისების „ამორფული უმეცრებიდან“ ხელახალი დაბადების პროცესში! მეტიც - იმ უმნიფარ, უხსოვარ ხანას უვიცობის საფასურად განვიხილავდი... გოდოლის ქვაკუთხედად კი ყველასათვის „მისაღები“ სიცოცხლე იდო, რაც პირადად მე მხოლოდ კვდომად და ქაოსად მესახებოდა. მეორე მხრივ, გოდოლის თავზე მოქცეული ყოველივე, რასაც ჩემ გარდა, ნებისმიერი დაბნეულობად და უნესრიგობად აღიქვამდა, ჩემთვის - ანტიფაუსტისა და უბენაესი ჯადოთმეტყველისათვის, მხოლოდ ლოგოსი და აღდგომა იყო. ცხოვრება მზარდი და იმპერატიული პიროვნულობის დადასტურების მუდმივ და გააფთრებულ მცდელობად მექცა და ყოველი საათი სიკვდილზე ჩემი ego-ს ახალ გამარჯვებას იუნყებოდა. სხვა მხრივ, ჩემ ირგვლივ სიკვდილთან უსასრულო კომპრომისების ამ ფერხულს ვხედავდი მხოლოდ, ოღონდ, ჩემდათავად, ამ ფერხულში ჩადგომას და კვდომასთან გარიგებას არამც და არამც არ ვაპირებდი!

\*

თანდათანობით უკვე იმდენი რამ ითქმებოდა და იწერებოდა ჩემზე, რომ მამამ გადანყვიტა, ეს ყველაფერი ერთ წიგნად აეკინძა და საკუთარი წინათქმაც კი დაურთო: სალვადორ დალი-იდომენიკს, ჯერ ისევ მხატვარ-შეგირდს: ოცდაერთი წლის ბრუნვა-რუდუნების შემდეგ, ახლა ვხედავ, რომ ჩემს ვაჟს უკვე შეუძლია, წინ აღუდგეს ცხოვრებისეულ გაჭირვებას და სარჩოც იშოვოს. მამის მოვალეობები ხშირად არც ისეთი იოლია, როგორც შორიდან ჩანს ხოლმე. გარკვეულ დათმობებზე გინევს წასვლა და ზოგჯერ პატარ-პატარა დათმობათა სიმრავლე იმგვარია, რომ ერთიანად შლის იმ გეგმებსა და მიზნებს, რაიც პირმშოსათვის გქონდა ვაცს დანყობილი და გამიზნული. ასე მაგალითად, ჩვენ, სალვადორის მშობლებს სულაც არ გვეხატებოდა გულზე მხატვრობით მისი ასეთი გატაცება, თუმცა კი ეს ნიჭი მას ბავშვობიდანვე დაჰყვა.

ახლაც იმ აზრს ვადგავარ, რომ ხელოვნება ის დარგი არაა, რითაც ვაცმა ცხოვრების სახსარი უნდა იშოვოს - ეს უფრო მოსვენებისა და ჭკრეტის საგნად უნდა ექცეს. ეგეც არ იყოს, სრულად ვიაზრებდით, რაოდენი წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევდა მას ამ ნარეკლიან გზაზე, რომლის ბოლომდე გავლაც მხოლოდ ჭეშმარიტ გმირებს თუ შეუძლიათ. კარგად გვესმოდა შესაძლო ხელმოცარვის სიმწარე და ის სასოწარკვეთა, რაც ამგვარ ადამიანებს იპყრობს ხოლმე მარცხის შემთხვევაში. ამიტომაც იყო, აგრერიგად რომ ვცდილობდით, სხვა გეზით წაგვემართა მისი ცხოვრება, მაგრამ ბაკალავრის წოდება მიიღო თუ არა, ჩვენთვისაც კი ნათელი გახდა - მისი ცხოვრების ერთადერთი მოწოდება სწორედ მხატვრობა გამხდარიყო. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ აზრადაც აღარ მომსვლია, წინ აღვდგომოდი, ან თუნდაც რითიმე შემეშალა მისთვის ხელი. პირიქით, შევთავაზებ, ხატვის, ქანდაკებისა და გრაფიკების სკოლისათვის მიემართა მადრიდში; ყველა ის კურსი გაეწეო და საგანი ჩაეხარებინა, რაც მას ხელოვნების მაგისტრის წოდებას მოაპოვებინებდა და შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე ეყარა კენჭი სახვითი ხელოვნების რომელიმე სასწავლებელში. უკვე მყარი შემოსავლის მქონესა და სახელიან ვაცს თავისუფალ დროს შეეძლებოდა, საკუთარი შემოქმედებისათვისაც მიეხედა და სხვებზე დამოკიდებულების გამო აღარც არანაირი კომპრომისი აღარ დასჭირდებოდა. ასე და ამგვარად, თუმცა კი არც ხელგამლილ ცხოვრებას ვიყავ ჩვეული და არც ბედმეტი ფული მქონია ოდესმე, ყველა ძალ-ღონე ვიხმარე, რომ ჩემს შვილს სათანადო განათლება მიეღო და გამიმართლა კიდევ: სალვადორმა უკვე ორი კურსი გაიარა და ორი ჭილდოც დაიმსახურა - ერთი ხელოვნების ისტორიაში და მეორე ფერწერის დარგში.

მაგრამ ესეცაა, ყველაფრის მიუხედავად, იგი აკადემიურ სწავლაზე მეტ დროს საკუთარი ნახატების ხატვას ახმარს, შემდეგ კი მათ სხვადასხვა გამოფენებზე აგზავნის და წარმატებაც იმგვარი აქვს, რომ მე, მამამისს, ხმაც აღარ ამომეღება... ერთი კია, სულ იმას ვშიშობ, სწორედ ამ წარმატებამ არ დაახვიოს თავბრუ ახალგაზრდა ვაცს და ჩემთვის მოცემული პირობა არ დაარღვიოს - მისთვის ახლა აკადემიური მოსწრება და დიპლომი ბევრად მნიშვნელოვანია მეყსეული სახელის დაგდებასა და წარმატებასთან შედარებით.

მაგრამ ეს ჯერჯერობით - დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და მისი სახელი საქვეყნოდ გახდება ცნობილი.

ეს კრებული სწორედ ამიტომ შევადგინე, მთამომავლობისათვის დასატოვებლად, და მასში შეძლებისდაგვარად ყველაფერი შევიტანე, რაც კი ჩემს შვილზე დაწერილა ან თქმულა სადმე; არც ის უარყოფითი გამოხმაურება გამომიტოვებია - თუნდაც მისი ნაცინხარობის ამბავი - რამაც ჩემს თვალში ის უკვე მამაკაცად და მოქალაქედ აქცია...

ამიტომაც ვიმედოვნებ, როგორც არ უნდა იყოს სალვადორის შემდგომი ბედი, მთამომავლობა პირუთვნელად განსჯის მის ქმედებებსა თუ ნამუშევრებს.

სალვადორ დალი, ნოტარიუსი

ქ. ფიგუერასი, 1925 წლის 31 დეკემბერი

მადრიდს მამასთან და დასთან ერთად გავემგზავრე, იქაურ სახვითი ხელოვნების სკოლაში ჩასაბარებლად. ერთი სავალდებულო გამოცდის გავლა იყო აუცილებელი: ბახუსის ანტიკური ქანდაკების ჩანახატი უნდა წარგვედგინა. შუა მუშაობაში რომ ვიყავი, ვიღაც პროფესორთაგანი დერეფანში გასულა და სწორედ მამაჩემს გამოლაპარაკებია: ჯერჯერობით მისი ნახატის ღირსებებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ერთი კია - ფორმატს არ იცავს და ვეჭვობ, წესების ასეთი უგულვებელყოფა ეპატიოსო...

მამაჩემი, ლამის იყო, ჭკუას გადავიდა და საგამოცდო დარბაზიდან გამოსული, საყვედურებით ამავსო. მეორე დღეს (გამოცდა სამდღიანი იყო) ფურცელი დავხიე და ახალი მოვითხოვე. ამჯერად ნახატი პატარა კი არა, ზომამზე დიდიც გამომივიდა!

მესამე დილას მამას განვუცხადე, წყალსა და მენყერს წაუღია მაგათი თავი, ისე დავხატავ, როგორც თვითონ ვთვლი საჭიროდ და რაც უნდათ, ის ქნან-მეთქი. მთელი დღე თავაუღებლად ვმუშაობდი, ძალიანაც კმაყოფილი გახლდით საკუთარი თავით, მაგრამ როცა დავასრულე, მაშინლა ვიაზრე დაზაფრულმა, რომ ნახატი ახლა ისევ საჭირო ზომამზე პატარა გამომსვლოდა! ერთი მაგათი-მეთქი, გავიფიქრე, ფურცელი დარდიმანდული უესტით ჩავაბარე მდივანს და ამაცად თავანუელი გამოვედი გარეთ. სახლში რომ მივედი, მამაჩემი სავარძელში იჯდა და რაღაც გაბეთი ეჭირა ხელში, ოღონდ - უკუღმა... არაფერი უკითხავს, ელოდა, მე რას ვეტყოდი. მშვენიერი გამომივიდა, ოღონდ ეგაა, ყველა წესი და კანონი ისევ დავარდვიე-მეთქი, ვუთხარი. მამაჩემის აღშფოთება არაფერი იყო იმ გაკვირვებასთან შედარებით, რაც რამდენიმე დღის შემდეგ ფოსტის დამტარებელი ბიჭის მიერ მოტანილმა წერილმა გამოიწვია: მადრიდის სახვითი ხელოვნების სკოლის რექტორატი გვატყობინებდა, რომ მართალია, დადგენილ საგამოცდო წესებს არ შეესატყვისებოდა, მაგრამ ახლა უკვე სტუდენტად ჩარიცხული სალვადორ დალი-ი-დომენიკის ნამუშევარი, მისი გამორჩეულობის გამო, დადებითად იქნა შეფასებული.

\*

სწავლას დიდი მონდომებით შევუდექი და სხვა თითქმის აღარაფრისათვის მრჩებოდა დრო. ქუჩებში ბორიალსაც მოვეძვი და კინოში სიარულსაც მივანებე თავი. სასწავლებელი და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი - აი, ეს იყო მთელი ჩემი მიმოსვლა. არც საცხოვრებელში გავძინაურებივარ ვინმეს, პირდაპირ ოთახს მივაშურებდი ხოლმე, ჩავიკეტებოდი და იქაც მეცადინეობას ვაგრძელებდი. კვირაობით პრადოს მუზეუმის დარბაზებში დავიარებოდი და ნახატების ასლებს ვაკეთებდი კუბისტურ სტილში. სასწავლებლიდან საერთო საცხოვრებელამდე ყოველთვის ტრამვაით ვმგზავრობდი - ასე დღეში ერთ პესეტამდე მეზოგებოდა. ნათესავები, რომლებსაც ჩემს ამბავს სასწავლებლის დირექტორი ატყობინებდა მათივე თხოვნით, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა ამ ამკარად გადამეტებულად ასკეტური ცხოვრების წესმა. მამაც ხშირ-ხშირად მწერდა - შენს ასაკში ცოტა ვარჯიშიც აუცილებელია, ფეხით სეირნობაც, კინოთეატრებში სიარულიცა და მეგობრებში გართობაცო... არაფერი ჭრიდა: სასწავლებელი - ოთახი, ოთახი - სასწავლებელი! და ფულსაც ძველებურად ყაირათიანად ვხარჯავდი. სხვა მაინც არაფერი მჭირდებოდა, პირიქით - რაიმე მეტი საერთოდ ამიბნევდა თავგზას და სრულიად უმიზეზოდ ამაფორიაქებდა.

სწორედ იმ ოთახში დავიწყე პირველი კუბისტური ცდებიც, რომლებიც უშუალოდ, და შეგნებულად, ხუან გრისის გავლენით იყო ნასაზრდოები. ეს ნამუშევრები ლამის

მონოქრომები იყო - როგორც ჯანყის გამოხატულება ადრინდელი ფერწერული და შემდგომ უკვე იმპრესიონისტული პერიოდებისადმი. მხოლოდ ოთხ ფერს ვხმარობდი - თეთრს, შავს, აკურისფერსა და მწვანე ბეთისხილისფერს.

დიდი, შავი ფერის ქუდი შევიძინე და ჩიბუხი. თუმცა არ ვენეოდი და ერთხელაც არ ამინთია, მაინც ჯიუტად მქონდა პირში გაჩრილი. გრძელ შარვალს დავაფართხუნებდი, მერე კი გადავწყვიტე, დამემოკლებინა და მაღალყელიანი წინდები გამომეჩინა. წვიმიან ამინდში იმსიგრძე საწვიმარი მეცვა ხოლმე, კალთები ლამის გუბებში დამთრევდა. დღეს უკვე ვხვდები, რომ ისინი, ვინც იმხანად მიცნობდნენ, არ აჭარბებდნენ, როცა მეუბნებოდნენ - ფანტასტიკურად გამოიყურებიო. ასეც იყო. ოთახიდან გამოსული, მუდმივად ვგრძნობდი უამრავ ცნობისმოყვარე, დაჟინებულ მბერას, მე კი ყინვად, ამაყად თავანუელი დავიარებოდი.

თავდაპირველი გულწრფელი აღფრთოვანების მიუხედავად, ნატიფი ხელოვნების სკოლის პროფესორ-მასწავლებლებმა მალე გამიცრუეს იმედი: დიდი დრო არ დამჭირდა იმის მისახვედრად, პატივდებული, დაფინანსებული გვირგვინებით დახუნძლული ეს პატივცემული გვამები ვერაფერს შემასწავლიდნენ... არა მათი აკადემიზმისა თუ ძველმოდურობის - პირიქით, სწორედაც რომ ნებისმიერი სიახლისადმი მათი ლტოლვისა და ე.წ. „პროგრესული აზროვნების“ გამო! მე იქ გარკვეულ ჩარჩოებთან, სიმკაცრესთან, მეცნიერულ სიზუსტესთან ბიარებას ველოდი, არადა, სანაცვლოდ თავისუფლება, სიზარმაცე და ზედაპირულობა დამახვედრეს! ეს ასაკოვანი პედაგოგები სულ ცოტა ხნის წინ გასცნობოდნენ ფრანგულ იმპრესიონიზმს იმ ეროვნული მაგალითების მეშვეობით, რომლებიც ჭარბად იყო გაჭერებული ადგილობრივი კოლორიტით; მათი ღმერთი სოროლა გახლდათ და ამით უკვე ყველაფერია ნათქვამი...

არადა, ამ დროისათვის კუბიზმი უკვე მოღვეულებს მქონდა და ჩემს პროფესორებს ერთთავად იმას ვეკითხებოდი, როგორ და რით გამეზავებინა საღებავები, როგორ მიმედნია ამა თუ იმ გამომსახველობითი ეფექტისათვის... ისინი კი მხოლოდ თავებს აკანტურებდნენ და მუდამ რაღაც ზოგადი, უშინაარსო ფრაზებით შემოიფარგლებოდნენ ხოლმე: „ჩემო კარგო,“ - ბრძნული სახით მეტყოდა ხოლმე რომელიმე მათგანი, - „ყველას თავისი საკუთარი გზა აქვს და მხატვრობაშიც არაფერია ერთხელ და სამარადისოდ დაკანონებული. უნდა გაიაზრო, გაიაზრო და გადახარშო ის ყველაფერი, რასაც გარემომო ხედავ. და არა მარტო გამოსახო, საკუთარი სულიც უნდა ჩაანთხიო შიგ! სწორედ ის, რასაც ტემპერამენტს უწოდებენ - ეგაა მთავარი!“

„მოგეცათ ლხენა,“ - ვფიქრობდი ხოლმე გუნებაში, - „მაგ ტემპერამენტს იქით გინილადებთ, თუ გინდათ, არც დამენანება, მაგრამ აი, რა ოდენობით შევურიო ხოლმე ვარაყი ჩემს ბეთის საღებავს?“

„თამამად, თამამად!“ - მიმეორებდნენ წამდაუნუმ, - „დეტალებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ და არავითარი წესები თუ შეზღუდვები! ჩვენს სკოლაში ყოველი მონაფე ხატვისას მხოლოდ საკუთარი ტემპერამენტით უნდა ხელმძღვანელობდეს.“

ელაპარაკე ახლა ამას-მეთქი, ვფიქრობდი. რამდენი რევოლუცია, ომი და უბედურება უნდა გადაიტანოს კაცობრიობამ, რომ ამისთანა პროფესორიც კი მიხვდეს, მხოლოდ წესსა და რიგს მოაქვს გამოსახვის ესა თუ ის ფორმა! უცნაურზე უცნაური ვითარება შეიქმნა, ღმერთმანი: მე, ვინძლო, ერთადერთი ვიყავი მთელ მადრიდში, ვისაც კუბიზმის მართლა გაეგებოდა რამე და სულ უბრალო შეკითხვებზე ვერ ვიდებდი საჭირო პასუხს. არადა, მეგონა - სწორედ სკოლაში უნდა ისწავლოს ვაცმა ხატვის, როგორც ხელობის, საფუძვლები - გამოხაზვა, პერსპექტივა, ფერი...

სასაცილოდაც არ მყოფნიდა, მაგრამ თანაკურსელები, ასე განსაჯეთ, რეაქციონერად მთვლიდნენ - პროგრესისა და თავისუფლების მოძულედ. მათგან ვერც ერთი ვერ ასხვავებდა თავისუფლებას თავაშვებულობისაგან და რევოლუციონერებად და ნოვატორებად მიაჩნდათ საკუთარი თავი, მხოლოდ იმიტომ, ტილოს საკუთარ ნებაზე თხაპვნის ნებას რომ აძლევდნენ! მათი მთავარი დებულება და ინოვაცია კი ის იყო, რომ შავი ფერი განდევნეს პალიტრიდან (ამას პირდაპირი მნიშვნელობით გუბუნებით) და მუქრდილების წარმოჩენა თეთრითა და მენამულით მოინდომეს. მაგრამ ეს „იმპრესიონისტული რევოლუცია“ მე, ჩემდათავად, თორმეტი წლისამ გამოვიარე და არც

ისეთი სიბრყვე მომსვლია თავში, შავ ფერზე იმიტომ მეთქვა უარი, აქაოდა, ჭუჭყისფერიაო. მსგავსი უაზრობის თავიდან ასაცილებლად, თუნდაც რენუარის იმ პატარა ნახატისათვის თვალის შევლებაც კი საკმარისი იყო, მე რომ ბარსელონაში ვნახე. დემეტრე, ამ ხალხის სიშტერეს საზღვარი არა აქვს-მეთქი, ვფიქრობდი!

ერთადერთი გამონაკლისი მოხუცი პროფესორი ხოსე მორენო კარბონერო გახლდათ, ვისაც მართლა ესმოდა მასწავლებლის ხელობა და იმასაც მასხრად იგდებდნენ. რამე რომ იყოს, ცოტათი ვნუხვარ კიდევ, უფრო ხშირად რომ არ ვესწრებოდი მის პრაქტიკულ მეცადინეობებს. თავად „დონ კიხოტის“ ილუსტრაციებით იყო ცნობილი და არცთუ უსაფუძვლოდ - მე ახლაც სიამოვნებას მგვრის ამ ილუსტრაციების თვალიერება. სტუდიაში მუდამ პენენიკად ჩაცმული შემოდისოდა ხოლმე, თეთრ ხელთათმანებს წამოიცვამდა და მხოლოდ მერეღა იღებდა ხელში ნახშირის ფანქარს. ერთი-ორი, თითქოსდა დაუდევარი შტრიხით ისე გაგიცოცხლებდა ნახატს, უსიტყვოდ, თვალნათლივ ჩანდა შენი შეცდომაცა და გაუმჯობესების გზაც. კლასში ყველა სხვა მხოლოდ იმას ელოდებოდა, ვალმოხდილი და კმაყოფილი როდის გაიხურავდა კარს, რომ წამსვე ამოეშალათ მისი ნასწორები - ამათაც შეგირდები ერქვათ, რაღა!

ერთ დღესაც ჟორჟ ბრაკის პატარა ბროშურა მივიტანე კლასში. როგორც აღმოჩნდა, მანამდე ვაციშვილს არ ენახა კუბისტური ნახატი და არც აზრად მოსვლია ვინმეს, მუშტრის თვალით შეეხედა ამ ტექნიკისათვის. ანატომიის პროფესორმა კი, რომელიც ხატვის მეცნიერული მეთოდების მიმდევრად ასაღებდა თავს, წიგნი გადაფურცლა, აღიარა - ასეთი ნახატები ჯერ არსად მინახავსო - და იქვე დაამატა: თუმცა, რაკი წიგნშია დაბეჭდილი, ესე იგი, ვიღაცას მაინც მოსწონსო! მერე, ეტყობა, კოლეგებსაც დაელაპარაკა და იმ დღიდან ისე მიყურებდნენ, როგორც მთვარიდან ჩამოვარდნილს. მე კი, ამ ყველაფრის მიუხედავად, იმ წლებში ცხოვრების წესი მაინც არ შემიცვლია; მუდამ ყოველთვის ხაზგასმით ბრდილობიანად მივმართავდი მთელ პროფესურას და სხვა სტუდენტებთან შედარებით ათჯერ მეტს და ათჯერ სწრაფად ვაკეთებდი.

საინტერესოც კია, რექტორის მიერ ჩემს იმდროინდელ დახასიათებას გადახედო კაცმა: „მეტად სერიოზული ყმაწვილია, ჭკუადამჯდარი და ყველაფერში იოლად აღწევს წარმატებას; მაგრამ მისი გონება ყინულივით ცივია და ნახატებშიც შინაგანი ცეცხლის კვალიც არა ჩანს. მოკლედ, ჯერჯერობით, როგორც მხატვარი, დიდად არაფრით გამოირჩევა...“

დაიცათ, დაიცათ, - ვფიქრობდი, - მე თქვენ გიჩვენებთ, გამორჩეულობა რას ნიშნავს-მეთქი!

მაგრამ წარმოსახვაშიც, ისევე როგორც ყოველდღიურ მინიერ ცხოვრებაში, მთავარი მაინც მეთოდია. „სალვადორ!“ - ხშირად მითქვამს საკუთარი თავისათვის, - „ყველაფერი დასაბამიდან უნდა დაიწყო, ნაბიჯ-ნაბიჯ, აუჩქარებლად უნდა გაისარჯო და შენი დროც მოვა. თუკი სხვანაირად მოიქცევი, ფეხს აუჩქარებ, დაუფიქრებლად, გაუმადლრად წაეპოტინები ყველაფერს და შეეცდები, ის გამოსახო, რაც სწორედ ახლა მიგაჩნია მიმზიდველად, ტრადიციამოცლილი ამგვარი ხატვა მხოლოდ უკვე არსებულის გადამღერება იქნება; მუდმივად ჩაკირულ მოგონებებს იქნები მონა-მენიჩბესავით მიჭაჭკული და სანყალობელი პლაგიატიზმი[8] გამოგივა და არა იმ სიახლის ძიება და წარმოსახვის გაქანება, რასაც მუდმივად მიელტვი; ან არადა, სულაც საკუთარ ქვეცნობიერში გადაუძახებ ამ მოგონებებს და ვაცმა არ იცის, მერე როდის და სად გამოგეჩხირებიან დაუკითხავად...“

\*

ოთხი თვე გავიდა, რაც მადრიდში ჩავედი და მთელი ჩემი ყოფა-ცხოვრებაც კვლავინდებურად ამგვარ რეჟიმზე იყო აწყობილი; ოღონდ ისიც უნდა ვაღიარო - ამას სიმართლეს ვამბობ, - იმავდროულად, რაც უფრო მშვიდად, მუყაითად ვშრომობდი და ვსწავლობდი, რაც უფრო მეტად ვახერხებდი საკუთარი ვნებების მოთოკვას, მით მეტად ვგრძნობდი, ამ რიტუალიზებული სრულყოფის მცდელობის ყოველი წუთი როგორ მაახლოებდა ასკეტიზმის ზღვარს და ბოლოს ისიც გავაცნობიერე, რომ ამ ყველაფრის თავი და თავი სულ სხვა რამე იყო - ტუსადობა მსურდა და წამითაც არ მაფიქრებდა, ციხეში მყოფს თავისუფლების დათმობა თუნდაც იოტისოდენად დამნანებოდა. ჩემი



მხატვრობაც სულ უფრო და უფრო მკაცრ ელფერს იძენდა - ყველაფერი, რასაც მაშინ ვქმნიდი, ნებოში გარეული საღებავის სქელი ფენით დაფარულ პირქუშ ტილოებზე გადამქონდა.

პირქუში-მეთქი, ვამბობ, რადგან იმ პირველი ოთხი თვის განმავლობაში შექმნილი ორი კუბისტური ნამუშევარი იმდენადვე შთამბეჭდავი იყო, როგორც auto-da-fé და სინამდვილეში, კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ აქტს განასახიერებდა: ტილოზე გრუნტის ესოდენ სქელმა საფარმა ბოლოს ნახატების დასკდომა გამოიწვია - საღებავი ნაწილ-ნაწილ ცვიოდა და ბოლოს ამ ორი ნამუშევრიდან საერთოდ არც აღარაფერი დარჩა...

თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, ნახატები მაინც „აღმოაჩინეს“ და მათთან ერთად - მეც. ჩვენი საერთო საცხოვრებლის მობინადრეები რამდენიმე ჯგუფად და ქვეჯგუფადაც კი იყოფოდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო არტისტულ-ლიტერატურული, ელიტური, არაკონფორმისტული, შეურიგებელი რევოლუციური ჯგუფი, საიდანაც უკვე მოდიოდა ომის შემდგომი პერიოდის კატასტროფული მიაზმები. მათ ცოტა ხნის წინ მემკვიდრეობად მიეღოთ ის ვიწრო, ნეგატივისტური და პარადოქსული გრადაცია, ენ. „ულტრა“ ლიტერატორებისა და მხატვრებისაგან რომ მომდინარეობდა; კიდევ ერთი შინაბაბი ის „იზმი“, რაც ევროპული ავანგარდიზმის ბრმა გადამღერება იყო და, მეტ-ნაკლებად, დადაისტების სულისკვეთებას ენათესავებოდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ პეპინ ბელო, ლუის ბუნუელი, გარსია ლორკა, პედრო გარფიასი, ეუხენო მონტესი, რ. ბარადესი და ბევრი სხვაც. მაგრამ იმ უამრავ ახალგაზრდას შორის, ვისი გაცნობაც წილად უნდა მხვდომოდა, საბოლოოდ სულის უზენაესი, თავბრუდამხვევი სიმაღლეების წვდომა მხოლოდ ორმა რჩეულმა მოახერხა - გარსიამ და ეუხენო მონტესმა. პირველი გრანადიდან იყო წარმოშობით, მეორე კი - სანტიაგო-დე-კომპოსტელიდან.

ერთ დღესაც, ოთახის კარი დამრჩა ღია და დერეფანში ჩავლილმა პეპინ ბელომ ჩემს ორ კუბისტურ ნახატს მოჰკრა თვალი. აბა, მაგას რა გააჩუმებდა და იმავე დღეს მთელ თავის ჯგუფს ამცნო ეს „დაუჯერებელი“ ამბავი. საქმე ისაა, ყველანი მხოლოდ შორიდან მიცნობდნენ და აგდებით, ხან „მუსიკოსად“ მიხსენიებდნენ, ხანაც „ხელოვან კაცად“. არც ჩემი, ასე ვთქვათ, ანტიევროპული სამოსი მოსდიოდათ თვალში და არც ჩემი ეს რომანტიკულად ჩამოზრდილი თმა. რამე რომ იყოს, ჩემი ქცევაც მკვეთრად განსხვავდებოდა - ფიქრიანი სახით დავიარებოდი ხოლმე და იუმორზეც მწყრალად გახლდით; მუდმივად მათი სარკასტული შენიშვნების სამიზნედ ვიყავი ქცეული. განსაკუთრებით მაინც ჩაცმულობა განგვასხვავებდა: მათ ინგლისურ ყაიდაზე გამოჭრილ კოსტიუმებს ჩემი ხავერდის პიჯაკი და ჭრელი ყელსახვევი მკვეთრად არ შეესატყვისებოდა. მეორე დღესვე ჯგროდ მომადგნენ ნახატების სანახავად და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დარწმუნდნენ, მართლა ნამდვილ კუბისტთან ჰქონიათ საქმე. ნამსვე შეეცვალათ ჩემზე წარმოდგენა და თავიანთ წრეში მიმიღეს. მერე და მერე ჭეშმარიტ მეტრად ვიქეცი მათთვის და წამდაუნუმ სულ ჩემი სახელის ხსენებაში იყვნენ: „დალიმ თქვა“, „დალის აზრით“, „დალის თუ მოეწონა?“ „ხელწერით დალის წააგავს“, „ეს დალის უნდა ვანახოთ...“ მოკლედ, დალი აქ და დალი იქ!

სიმართლე გითხრათ, მათ ბევრი არც არაფრის მოცემა შეეძლოთ ჩემთვის, მაგრამ მეორე მხრივ, ფედერიკო გარსია ლორკასთანა პიროვნების გვერდით ყოფნა ერთი სიამოვნება იყო. თუმცა კი, როგორც მიჩვეოდა, მაშინათვე კრიჭაში ჩავუდექი ყველას და განსაკუთრებით მათი ენ. „პოეტურ სამყაროს“ ავუმხედრდი. ჩემი მაშინდელი მტკიცებით, ის, რაც არ შეიძლებოდა ხაზებში მოქცეულიყო, რასაც „კანონი“ არ გააჩნდა, რასაც ვერ „შეჭამდი“ (ეს კი ჩემი უსაყვარლესი გამოთქმა იყო) - ანუ ყველაფერი, რაც ფედერიკოსგან მოდიოდა - პოეზიის მთელი ეს ცეცხლი, ჩემისთანა ანტიფაუსტიკისათვის თითქოსდა სრულიად მიუღებელი იყო. მაგრამ ალბათ სწორედ ამგვარი წინააღმდეგობა გამოხატავდა ყველაზე უკეთ ჩვენს მაშინდელ სულიერ, ზნეობრივ, წარმოსახვით თუ იდეოლოგიურ მიმშილს...

ყველაფერი ეს ნელ-ნელა ანტიინტელექტუალურ შეფერილობასაც კი იღებდა, რადგან მაშინდელი მადრიდის კაფე-ბარები სავსე იყო არტისტული, ლიტერატურული თუ პოლიტიკური ინტელექტუალიზმით, რომელსაც სწორედაც რომ ომის შემდგომი გონის აღრჩევა ედო საფუძვლად და რაც რწმენის, ჰეროიზმის, სენტიმენტალიზმისა და, ფაქტობრივად, ანტიპატრიოტიზმის ბუნდოვან მოზაიკას ქმნიდა, შემდგომ რომ სამოქალაქო ომის კატალიზატორად იქცა.

ჩემი პიროვნულობის პირველი გაბრწყინება კი სწორედ იმ დღეს მოხდა, როდესაც ალფონსო XIII ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა სახვითი ხელოვნების სამეფო აკადემიას. უნდა გითხრათ, იმ დროისათვის ჩვენი მონარქის პოპულარობა და ხალხის სიყვარული მის მიმართ გვარიახად შემცირებულიყო და, შესაბამისად, მისი სტუმრობის ამბავმა მონაფეები ორ ბანაკად გახლიჩა. ზოგი ამბობდა, იმ დღეს საერთოდ არ მოვალ სკოლაში... ამის გამგონე ადმინისტრაციამ ოფიციალურად განაცხადა: სასტიკად დაისჯება ყველა, ვინც ამ დღეს თავ-თავის კლასებში არ გამოცხადდება.

კარგად მახსოვს, ორშაბათი დღე იყო და დილიდანვე შეუდგნენ იქაურობის დაგვადასუფთავებას. ვერ ვიტყვი, თითქოს ამან დიდად გააბრწყინა იქაურობა, მაგრამ მეტნაკლებად ასატანი იერი კი მისცა. ასევე დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებებიც: მეფის მიერ ერთი საკლასო ოთახის მონახულების მერე, სანამ დერეფნით მეორეში გადავიდოდა, სტუდენტებს უნდა მოესწროთ და სათადარიგო კიბით დროზე დაეკავებინათ იქ ადგილები - ისეთი შთაბეჭდილება რომ შეექმნათ, თითქოსდა აკადემიაში ნამდვილზე ორჯერ მეტი სტუდენტი სწავლობდა; ასევე, შიშველი ნატურებიც გამოცვალეს - იმ სანყალი გოგონების მაგივრად, რომელთაც დიდ, ცივ ოთახებში საათობით შიშვლად, გაუნძრევლად დგომაში სამათხოვრო თანხებს უხდიდნენ, ვიღაც მომხიბვლელი ქალები მოიყვანეს - დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, სხვა საათებში აშკარად სულ სხვა სარფიანი საქმით რომ იყვნენ დაკავებულნი... დერეფნები ცოცხალი ყვავილებით მორთეს, ფანჯრებზე ფარდები დაკიდეს, ნახატების ოქროცურვილი ჩარჩოებიც დააპრიალეს - მოკლედ, ყველაფერი მზად იყო კომედის გასათამაშებლად.

როცა კომედისათვის მზადება დასრულდა, მეფეც გამოჩნდა თავისი ესკორტით. არ ვიცი, საზოგადოების ამრის ჯინაზე, თუ ნამდვილად ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მაგრამ მართლა მიმზიდველი გარეგნობისა მეჩვენა. მისი სახის გამომეტყველებაზე ხშირად ამბობდნენ, გამოფუყულიაო, ჩემთვის კი სავსებით არისტოკრატიული და სანდომიანი ჩანდა. მოძრაობებიც გამოზომილი და დახვეწილი ჰქონდა - მოკლედ, ველასკესის კეთილშობილთა ფიგურებს მაგონებდა...

არ მომჩვენებია - იმთავითვე გამომარჩია სხვებისაგან! Lრამე რომ იყოს, ჩემი გრძელი თმების, ბაკენბარდებისა და ჩაცმულობის წყალობით, ეს არც ისეთი უცნაური ამბავი იყო, მაგრამ უნდა გითხრათ, კიდევ რაღაც ნაპერწკალიც გაკრთა ჩვენ შორის! იმ დროისათვის წარმოსაჩენ მოსწავლედ ვითვლებოდი და რვა-ათ სხვასთან ერთად, ასე ვთქვათ, მეფეს „მიგვამაგრეს“ კლასების მოსატარებლად. ყოველ ჯერზე, როცა შემდეგ საკლასო ოთახში შევდიოდი და ისევ და ისევ იმავე სტუდენტებს ვცნობდი ზურგიდანვე, სირცხვილისაგან ალმური მედებოდა და სულ იმის ფიქრში ვიყავი, ვაითუ, ხრიკს მიგვიხვდეს-მეთქი. ვამჩნევდი, როგორ ეცინებოდათ მოსწავლეებს, როცა ქურთუკებს გადმოიტრიალებდნენ ხოლმე, სანამ სკოლის დირექტორი მეფეს დერეფანში აყოვნებდა რომელიმე ძველი ნახატით დასატკობად. სურვილი მკლავდა, გამოვსულიყავი და ხმამაღლა მეთქვა ყველაფერი, მაგრამ როგორღაც მოვახერხე და თავი შევიკავე. ერთი ეგ იყო, რომ საკუთარ თავს ვუმეორებდი შელოცვასავით: „ფრთხილად დალი, ფრთხილად! რაღაც მაინც უნდა მოხდეს!“

სასწავლებლის შემოვლა რომ მოთავდა, კიბეებთან შევიკრიბეთ მეფესთან ერთად ჯგუფური სურათის გადასაღებად. მეფისათვის სავარძელი უნდა ჩამოეტანათ დიდი დარბაზიდან, იმან კი არც დაიცადა და იქვე კიბეზე ჩამოჯდა ფეხმორთხმით. ეს სრულიად ბუნებრივად გამოუვიდა, მაგრამ ჩვენი აღტაცება მაშინ გენახათ, როდესაც სიგარეტის წევა დაამთავრა და ნამწვი ერთი წკიპურტით ზუსტად მოახვედრა სამი თუ ოთხი მეტრის იქით, მიწაში გაჩენილ ხვრელში! რაღა თქმა უნდა, ამას სიცილი და ტაშისცემა მოჰყვა „ჩულოს“ - ძირძველი მადრიდელი ბიჭების მხრიდან.

სწორედ მაშინ იყო, რომ შევამჩნიე, როგორ გამომარჩია მეფემ სხვებისაგან. თითქოსდა მხოლოდ ჩემი ემინოდა - თითქოს ფიქრობდა, ის ალბათ ერთადერთია აქაურებში, ვინც შეიძლება, ბიჭების გულის მოსაგებ ხრიკს მიმიხვდესო. სახეზე წამომატარხლა და ეჭვი არაა, მისმა უმაღლესობამაც წამსვე იაზრა ყველაფერი, რადგან ოდნავ დამიქნია თავი და გამიღიმა კიდევ. როგორც კი სურათის გადაღებას მოვრჩით, ყველას ცალ-ცალკე გამოგვემშვიდობა და ხელიც კი ჩამოგვართვა. მე ბოლო ვიყავი, მაგრამ ერთადერთი, ვინაც თავიც დაუკრა და ცალ ფეხზე ჩაიმუხლა კიდეც. რომ წამოვდგი, აშკარად შევამჩნიე

- სახელგანთქმული, საგვარეულო, ბურბონული ქვედა ტუჩი უკანკალებდა! კაცმა არ იცის, ორი წლის მერე, როდესაც მეფე ალფონსო XIII ხელს აწერდა მადრიდის სახვითი ხელოვნების სკოლიდან სალვადორ დალის სამუდამოდ გარიცხვის ფირმანს, ახსოვდა თუ არა, ვის რიცხავდა და რატომ? ვინ იცის...

მაგრამ იმ დღეს ყველაფერი ამით არ დამთავრებულა, ისედაც რაღაც შინაგანი ხმა დამძახოდა - მთელი ამ მასხარაობის მერე რაღაც განსაკუთრებული უნდა მოიმოქმედო და მეც ავიღე და მართლაც ჩავიდინე ისეთი რამ, რისი გახსენებაც, იმედი მაქვს, თქვენც გაგამხიარულებთ. ქანდაკებათა სახელოსნოში ავედი და ბლომად თაბაშირი მოვხვეტე - რამდენიმე ტომარა იყო საუკეთესო ხარისხის, თეთრი თაბაშირი... ვიცოდი, იმ დროისათვის შენობაში ვაციშვილი აღარ ჭაჭანებდა და ახლა ხელსაც არავინ შემოშლიდა. კარი გამოვიკეტე. იქვე ერთი უზარმაზარი ტაშტი იყო, რომელშიც უკვე უვარგის ნატეხებს ყრიდნენ ხოლმე, მერე წყლით დასარბილებლად ონკანი მოვატრიალე და წყლის მთელი ნაკადი მივუშვი ტაშტში, რამდენიმე წუთში გაივსო. ჯერ ერთ ტომარას მოვხსენი თავი და შიგთავსი ტაშტში ჩავაპირქვავე. მიზანი სრულიად მარტივი მქონდა: თაბაშირის წარღვნის მოწყობა მსურდა. როგორც კი პირველი ტომარის შიგთავსი კარგად გაზავდა, მეორე და მესამეც ზედ მივაყოლე. ონკანი ღია დავტოვე, კარი გამოვიხურე და გარეთ გავედი. უნდა გითხრათ, რომ განზავებული თაბაშირი ძნელად ქვავდება და ამიტომ დარწმუნებული ვიყავი - კარის ქვემიდან, წირთხლის გამოვლით, ქათქათა სითხე კიბეზეც იოლად გადმოედინება-მეთქი. სადარბაზოს კარიდან რომ უკან მოვიხედე, მართლაც საოცარი სანახაობა გადამეშალა თვალით: ეს უზარმაზარი, ძველებური, ახლა მთლად გადათეთრებული კიბე თითქოს გაცოცხლებულიყო - მოძრაობდა, ჭრიალებდა და რაღაც ურჩხულივით მოიზღაბნებოდა სადარბაზოსაკენ... ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს ნერონი ვიყავი, ცეცხლწაკიდებულ რომს რომ გადასცქეროდა! ეზოში გამოვვარდი და - ბედი არ გინდა? - პირისპირ შევეჩხე ვინმე ელ სეგოვიანოს (სეგოვიიდან იყო და იმიტომაც ეძახდნენ ასე). როცა თვალი ჰკვიდა იმას, რაც დაფიათებულ შემოსასვლელ კარში მოჩანდა, ხელები ცისაკენ აღაპყრო და თითქოს ამოიხრიალაო: „ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს?!“

პროვინციელის გაშაყირების ამისთანა შანსს ხელიდან, აბა, როგორ გავუშვებდი და შეთქმულის სახით ჩავუჩურჩულე: „ყოველ შემთხვევაში, მთლად რძე ხომ არაა, სეგოვიანო...“

საერთო საცხოვრებელში ერთიანად თაბაშირში ამოგანგლული მივედი; ვიშხაპავე, ტანსაცმელი გამოვიცვალე და ლოგინზე გავიშხლართე. მთელი საათი გიჟივით ვიცინოდი, მაგრამ სიცილისაგან დაოსებულს, ნელი-ნელ რაღაც ეჭვის ჭიაც შემოიჩნდა. სეგოვიანო ისეთი მონძე იყო, წყალი არ გაუვიდოდა, იოლად მიხვდებოდნენ, ვისი ჩადენილიც იყო ყველაფერი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაინცადამაინც არც მადარდებდა: გამოვაცხადებდი, ეს ჩემი აღშფოთების გამოხატვის ფორმაა მეფისადმი უპატივცემულობის ფაქტის მიმართ-მეთქი! ის კი არა და, დავიმუქრებოდი კიდევ: ყველაფერს წერილობით ჩამოვანკინებ და ოპოზიციურ გაზეთებს გავუგზავნი-მეთქი... მაგრამ ეს ერთი, და მეორე ამბავიც გასარკვევი იყო: იქნებადა, მართლა გავაფრინე? თავად კი დარწმუნებული გახლდით, რომ სრულ ჭკუაზე ვიყავი, მაგრამ მაშინ საკითხავია, რა ეშმაკად ჩავიდინე ყველაფერი ეს?

უცხად თითქოს გონება გამინათდა და ყველაფერსაც მივხვდი: წამოვხტი, სარკესთან მივედი, თავზე დიდი შავი ქუდი დავიკოსე და ცერემონიული ჟესტით მივესალმე საკუთარ თავს, მერე ცალ მუხლზე დავიჩოქე - ბუსტად ისე, როგორც მეფის წინ და ახლა ქედის მოვედრივე საკუთარ სიდიადეს.

მაშინვე მივხვდი, რომ ეს მხოლოდ სიზმრის გათამამება იყო, ხოლო თაბაშირი - უბრალო ალუბია. ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა: მას მერე, რაც მისმა უდიდებულესობამ სახვითი ხელოვნების აკადემია დატოვა, ტრამვით დავბრუნდი საერთო საცხოვრებელში; როგორც კი ჩემს ოთახში შევედი, დაღლილობისაგან და ნერვიულობისაგან გამოფიტული ლოგინზე გავიშხლართე. მახსოვს, როგორ მივშტერებოდი ორ ცარიელ, ქათქათა ტილოს, კუთხეში რომ მქონდა მიყუდებული, და ამასობაში ჩამეძინა კიდევ... ჩემი გამოთვლით, სადღაც ერთი საათი უნდა მძინებოდა და სწორედ მაშინ იყო, ასე შთამბეჭდავად რომ მეზმანა ყველაფერი - თაბაშირიც, კიბეც, წარღვნაცა და ელ სეგოვიანოც...

ცხოვრებაში რამდენჯერმე მომივიდა ასე: დამესიზმრებოდა ხოლმე რაღაც და გამოღვიძებული მყისიერად ვაკავშირებდი სიზმარში ნანახს რეალობასთან, შემდეგ კი ეს ყველაფერი მართლაც ხდებოდა ხოლმე... ასეთი დამთხვევა თუნდაც იმით შემიძლია ავსსნა, რომ როცა მიძინარეს მზის სხივი დამდგომია სახეზე, მაშინვე ფერადი სიზმრების ხილვა დამწყებია...

ახლა ამ ჩვენეულ ანალიზს ერთიც დავუმატოთ: გარკვეული როლი აქ იმ ორმა ქათქათა ტილომაც ითამაშა. საქმე ისაა, რომ ისინი საკლასო სამუშაოსათვის მქონდა მომზადებული, მხატვარ ხულიო რომერო დე ტორესის ზედამხედველობის ქვეშ. თემას „ქსოვილი“ ერქვა და გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სრულიად წამიცდა ხელიდან.

თავდაპირველად, ორივე ამ ტილოზე პატარა შიშველი გოგონა უნდა გამომესახა, რომელსაც მხრებზე ნახევრად გამჭვირვალე, თეთრი აბრეშუმის საფარველი ჰქონდა შემოხვეული. თავი და თავი სწორედ ამ აბრეშუმში იყო, მაგრამ ცივ სტუდიაში ის საბრალო მოდელი ძალიან მალე იღლებოდა, წამდაუნუმ იცვლიდა დგომას და შუქ-ჩრდილებიც ქსოვილზე სულ სხვანაირად ათამაშდებოდა ხოლმე... სხვებს ეს არანაირ პრობლემას არ უქმნიდა - მართო იმას ცდილობდნენ, ე.წ. „ზოგადი შთაბეჭდილება“ გადმოეცათ (ამ ცნებას განსაკუთრებით დიდი გასაავალი ჰქონდა მაშინ); ამის საწინააღმდეგოდ, მე ერთთავად იმის ცდაში გახლდით, უმცირესი ნახტების კი ზუსტად გამომესახა - ანუ სწორედ ის, რასაც ვხედავდი, მაგრამ გოგონას წყალობით - ვხედავდი სულ სხვადასხვაგვარად! ბოლოს და ბოლოს, განაწყენებულმა, ეს დაუმთავრებელი ნამუშევრები სახლში წავიღე და ხელახლა შევბეთქე.

მაგრამ აქ კიდევ ერთი ამბავი იყო: სწორედაც რომ იმ პატარა გოგონას ხატება არ მასვენებდა - მახსენდებოდა, თავად როგორ ვიდექი ხოლმე სარკის წინ, შიშლიკანა, მხრებზე იმ ჩემ სამეფო მოსასხამმოგდებული! ისიც კარგად მახსოვს, როგორ ვცდილობდი ხოლმე, საკუთარი გენიტალიები დამეფარა, რათა მეტად დავმსგავსებოდი ქალს. მოკლედ, ამ გოგონას ხატვის დროს ქვეცნობიერად მუდმივად ორ გამოსახულებას ვუდარებდი ერთმანეთს - ერთს, ჩემი ბავშვობიდან გამომხმობილს, მეორეს კი აგერ, ჩემ თვალწინ მდგარს, და ეჭვიანად ვუდარებდი მათ ერთმანეთს. საინტერესოა, რომ ქალურობისადმი ჩემი ამ მოუთოკავი სწრაფვისა და ბუჩაკვსთან ჩემი უიღბლო სიყვარულის მიუხედავად, მამაკაცები არასოდეს მაინტერესებდა (ღმერთმანი, ასეა და ნურც ნურავინ იფიქრებს, თითქოს რაღაც მაინც იყოს ჩემში მამათმავლური!) მაგრამ სწორედ ამ ორი „დედოფლის“ გამოსახულებათა შეჯერებიდან მივედი დასკვნამდე, რომ მათ შიშველ სხეულს აბრეშუმი კი არა, სწორედაც ბენჯი მოუხდებოდა. მეორე დღესვე შევთავაზე ეს სინიორ დე ტორესს, მაგრამ შორს დაიჭირა - ბენჯი არაგამომსახველობითიაო...

აი, პირველად მაშინ გამიჩნდა სურვილი, თავად დამეჭირავა მოდელიცა და მისი შესამოსი მოსასხამიც რომელიმე თეატრის რეკვიზიტიდან. არა, ერთი კი არა, ორი მოსასხამი დამჭირდებოდა! ორი შიშველი სხეული უნდა დამეხატა - მისი და ჩემიც. სწორედ ამისათვის მჭირდებოდა ახლა საკუთარი სტუდიაც, ფართო, ნათელი... ოღონდაც, ყველაფერ ამას ხომ ფული უნდოდა! აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მაინცადამაინც „ორი მეფის“ დახატვის სურვილი იმ ფარული სიმბოლიკის გამოხატულებაა, რაც მთელი ჩემი ბავშვობა თან მღევდა - საკუთარი თავის პატარა გოგონად და, იმავდროულად, რაღაცის მეუფედ წარმოსახვა. სწორედ ამ „ორი მეფის“ წინააღმდეგობრივმა სიმბოლომ იჩინა თავი მისი უდიდებულესობის სტუმრობისას სახვითი ხელოვნების აკადემიაში: აკი იმთავითვე მოვწვი, სხვათაგან რომ გამომარჩია! ქვეცნობიერ დონეზე ეს მხოლოდ ერთი რამით შეიძლება აიხსნას - მან ჩემი მეუფება ცნო! რაღა გასაკვირია, თუკი მის უდიდებულესობა ალფონსო XIII-სთან შეხვედრამ რეალურ ცხოვრებაში ამგვარი დაღი დაასვა ჩემს ქვეცნობიერს. საზოგადოდ, შთაბეჭდილებაც კი ისეთი მრჩებოდა, რომ მაშინ ჩვენ ორნი მარტონი ვიყავით მთელ მენობაში...

ახლა ისიც ვთქვათ, როგორც კი მის წინ ჩავიმუხლე, სრული დეპერსონიზაცია განვიცადე და თავად ვიქეცი მეფედ და რაკილა თავად ვიქეცი მეფედ, ჩემი ქვეცნობიერი ახლა იმ ყალბი მეფის შესახვედრად მიემართებოდა, რომელიც იმ დროისათვის ჯერ ისევ ტილოზე მყავდა გამოსახული, ანუ - სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, მთელი ეს თაბაშირის წარღვნა

გუსტად ის იყო, რაც მე სახლში იმ ორ ტილოს ვუქენი - გადავათეთრე! სწორედ ეს სითეთრე იგივედებოდა ჩემთვის ფიგურასში მოსულ თოვლთან, სისპეტაკესთან, სამეფო სითეთრესთან!

\*

ცხოვრებაში არ შემხვედრია მართლაც და ლამაზი ქალი, რომელიც იმავდროულად თან დახვეწილობითაც მომხიბლავდა: მე თუ მკითხავთ, ეს ორი რამ სულაც ურთიერთგამომრიცხავი მახასიათებელია. დახვეწილ ქალში ყოველთვის „იკითხება“ შეგნებული არჩევანი მისსავე სიმახინჯესა - რაც ცხადია, ზომიერი უნდა იყოს, - და სილამაზეს შორის, რომელიც უცილობლად „თვალს უნდა გჭრიდეს“, ოღონდ - არ გაბრძალებდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა სცდებოდეს გარკვეულ ზღვარს... მას შეუძლია და უნდა მოახერხოს კიდევ, იმგვარი მშვენიერი სახის გარემოც გავიდეს ფონს, განგამის მაუნყებელი საყვირივით მუდმივად და ჯიუტად რომ აგაფორიანებს ხოლმე. მეორე მხრივ, თუკი დახვეწილი ქალის სახეზე გუსტი პროპორციითაა შეზავებული სიმახინჯის, სულიერი დაქანცულობისა და „უნესრიგობის“ დაღი (რაც მისივე დახვეწილი ქედმაღლობის გავლენით, უთუოდ შეიძენს ვნებიანი ცინიზმის დამაინტრიგებელ ელფერს), მას უცილობლად და უპირობოდ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ხიბლის მატარებელი, საჩინო ხელის მტევნები, მკლავები და წვივები...

მკერდს საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს დახვეწილი ქალისათვის და არც ანგარიშგასაწევია - თუ კარგი მკერდი აქვს, ხომ იხეირებს, და თუ არა - არც ამით დარჩება წაგებული. რაც შეეხება დანარჩენ სხეულს, აქ მხოლოდ ერთ რამეს გამოვარჩევდი დახვეწილობაზე ჩემი წარმოდგენიდან გამომდინარე - თეძოს ძვლებს, რომლებიც მკაფიოდ გამოკვეთილი უნდა რჩებოდეს სამოსისდა მიუხედავად. გგონიათ, მხრების მოხაზულობა გადამწყვეტია? არც მთლად მასეა საქმე! აქ სრული თავისუფლების მომხრე და ყოველგვარი დადგენილი წესის წინააღმდეგი ვარ - ასე ვთქვათ, ყოველივეს მადლიერებით მივიღებ.

აი, თვალების გამომეტყველებას დიახაც რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს: ან ბუნებრივი გონიერება უნდა გამოსჭვიოდეს, ან სულ ცოტა - მოჩვენებითი მაინც! ბრიყვულად მომხირალი დახვეწილი ქალი - წარმოუდგენელი ამბავია, ოღონდ ერთიცაა - არაფერი ისე არ მიესადაგება სრულყოფილ მშვენიერებას, როგორც ბრიყვული გამომეტყველება და ამის თვალსაჩინო მაგალითი - ვენერა მილოსელია.

დახვეწილი ქალის ბაგე-ტუჩი, სასურველია, „გაბუტული“ და „არასაწყალობელი“ იერის გამომხატველი იყოს, თუმცა უეცრად, თითქოსდა რაღაც მჩხიბაობის წყალობით, ან ადელვების, ან რაიმე ძლიერი სულიერი ბიძგის წამს, იმის უნარიც უნდა შესწევდეს, ანგელოსურ ღიმილად იქცეს და აქამდე სრულიად უცხო სახით გეჩვენოს.

რაც შეეხება დახვეწილი ქალის ცხვირს... დახვეწილ ქალებს ცხვირი საერთოდ არ გააჩნიათ! ლამაზს - კი ბატონო, მაგრამ არა დახვეწილს! თმა უცილობლად ჯანმრთელი უნდა ჰქონდეს და ესაა ჩემი ერთადერთი მოთხოვნა მისი სიჯანსაღის თაობაზე. სხვა მხრივ, მართლაც დახვეწილი ქალი საკუთარი დახვეწილობით უნდა იტანჯებოდეს, საკუთარი ვაბებითა და ძვირფასეულობით, და რაკი სინამდვილეში მხოლოდ ეგაა მისი *raison d'etre*,<sup>[9]</sup> იგივე უნდა წარმოადგენდეს მისი მოქანცულობისა და მიბნედილობის მიზეზს.

უკვე გითხარით კიდევ ალბათ, რომ ინტელექტუალთა ის ჯგუფი, რომელმაც ასე მიმირქვა, თავად ჩემთვის ბევრი ვერაფრის მომცემი გამოდგა, თუმცა ერთი რამ კი მაინც მასწავლეს - დროსტარება. თავად ამ საქმეში გამოსაჯევად კი სულ სამად სამი დღე დამეხარჯა: ორი დღე დალაქთან მისვლას მოვანდომე, ერთი დღეა მკერავთან გახლდით, თხუთმეტი წუთი დამჭირდა მაგარი სასმელებისათვის გემოს გასაგებად, დანარჩენი კი უკვე სწორედ ეს დროსტარებაში ვარჯიშობა იყო.

მერე, მახსოვს, მადრიდის ერთ ფემინებელურ ადგილას შევიკრიბეთ - რომელსაც, ცხადია, კრისტალ პალასი უნდა რქმეოდა. შევედი თუ არა, წამსვე ვიყნოსე, როგორც უნდა მოვქცეულიყავი: მთავარი ის იყო, იერსახე უნდა შემეცვალა. თავად ჩემი მეგობრები, რომლებიც ჩემით იმაზე მეტადაც კი ამაყოფნდნენ, ვიდრე მე თვითონ საკუთარი თავით, არც ჩემზე აუგის თქმას არ დაანებებდნენ არავის, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვინმეს

თუნდაც ერთი გადაბრუნებული სიტყვა დასცდენოდა ჩემს სამოსსა თუ ვარცხნილობაზე. ხანდახან საქმე მუშტი-კრივამდეც კი მიდიოდა. იმგვარად გაბლენძილნი მომყვებოდნენ ხოლმე გვერდში, თითქოს ამბობდნენ - „დი-იახ, ეს ჩვენი მეგობარია, ვირთხასავით კი გამოიყურება, მაგრამ ამისთანა დიადი ადამიანის გვერდით ყოფნა თქვენ მაინც არასოდეს გელირსებათო...“ ამ მხრივ, განსაკუთრებით ბუნეული გამოირჩეოდა - შევიდოდა თუ არა სადმე, ისე მოავლებდა ხოლმე თვალს იქაურობას, თითქოსდა შარბე იყო და ერთი სული ჰქონდა, ვინმეს ჩემი მისამართით ეთქვა რამე... ერთხელაც, რესტორნიდან რომ გამოვედი, ასე მივმართე ჩემს დოსტებს: „კარგი, გვეყოფა! აქამდე ყველა ჩემს უცნაურობას იტანდით და თავებსაც დებდით ჩემ დასაცავად, მაგრამ ახლა საკმარისია - ხვალვე ნავალ და ადამიანურად გამოვეწყობი!“

ამ ჩემმა გადაწყვეტილებამ დიდი გაკვირვება გამოიწვია - ეს ბიჭები უკვე რალაცნაირად „მეჩვეულებდნენ“ ჩემს უხიავ იერსახეს და, მგონი, აღარც კი ეთმობოდათ. ისეთი დავაკამათი ატყდა, მგონი, სოკრატეს მოწაფეებს რომ არ აუტეხავთ, როცა მასწავლებელმა ამცნოთ - ციკუტას სამსალა უნდა დავლიო! რამდენიმე მათგანი ალაღად მიმტკიცებდა, შენი პიროვნულობა სწორედაც რომ შენივე სამოსით, შენივე ვარცხნილობითა და აღკაზმულობით გამოიხატება და ამის შეცვლა საერთო მასაში გათქვეფის ტოლფასი იქნებაო, მაგრამ კლდესავით ვიდეფი და აზრი ვერაფრით შემაცვლევინეს.

გამოგიტყდებით, სად იყო ძაღლის თავი დამარხული: მსურდა, მართლა მომხიბლავ ქალებს დავახლოვებოდი. აკი უკვე მოგახსენეთ კიდევ, როგორ ვსაზღვრავდი ამ „მომხიბვლელობას“ და ერთიც, ზუსტად ასეთი, სწორედ იმ საღამოს დავლანდე მეზობელ მაგიდასთან მჯდომი: ჩირად არ მაგდებდა და ილღიებიც სუფთად ჰქონდა გამოპარსული. ეს ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო - თურმე კიდევ ბევრი რამ მქონია ამ განხრით სასწავლი...

მეორე დილიდანვე შევუდეფი საქმეს; არა, პირდაპირ სასტუმრო „რიცის“ საღალაქოს არ მივდგომივარ - როგორც ამას დაჟინებით მიჩვევდნენ ჩემი მეგობრები; ჯერ რომელიღაც უცნობ, ჩვეულებრივ სალონს მივადეფი და თმის „აჭრა“ მოვიტხოვე. ვიფიქრე, სტილისტურად უკვე სწორედაც „რიცში“ დავახვეწინებ-მეთქი, მაგრამ საქმეც ეგაა, რომ ეს სიტყვები მართლა კი არ მითქვამს, უბრალოდ, გავიფიქრე. სინამდვილეში, რამდენჯერაც დავაპირე სალონის კარის შეღება, იმდენჯერვე გამოვბრუნდი უკან. არ ვიცი, ბიბლიური სამსონის კომპლექსი გამიჩნდა, თუ ის თეთრი ბენარი ჩემთვის რომ უნდა შემოეხვიათ მხრებზე, არაფრით მაგონებდა სამეფო მოსასხამს... ბოლოს, უფრო სწორად, მეორე დღეს, მაინც ვძლიე თავს და დაღალის სავარძელში გამოვიჭიმე. კარგად მახსოვს, შავი თოვლივით რომ ეფინებოდა ჩემი კულულები შორენკეცით განწყობილ იატაკს - ყვითელი, თეთრი და ლურჯი კვადრატებით მოპირკეთებულს. ბოლოს, ფული გადავიხადე, ფეხის ქირადაც ბლომად დავუტოვე და თავანუელი, გამარჯვებული სახით გამოვედი იქიდან.

ოღონდაც „რიცს“ რომ მივადეფი, მხარი ვიცვალე და მისი სახელგანთქმული საღალაქოს მაგივრად არანაკლებ სახელგანთქმული ბარისაკენ გავუხვიე.

„ერთი კოქტეილი,“ - ვუბნები ბარმენს.

„რომელი გნებავთ?“ - ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მეკითხება.

„რავი აბა... რომელიმე ისეთი, კარგი...“ და ამით თავფეხიანად გავიყიდე, რომ აზრზეც არ ვიყავი, თუკი მათი რამდენიმე სახეობა არსებობდა.

გემოთი სრული საზიზღრობა იყო, მაგრამ რამდენიმე წუთის მერე აღკოჰოლმა საამოდ დამიარა ტანში. ვარცხნილობის „დაყენების“ აუცილებლობა საერთოდ ამომივარდა თავიდან და ახლა მეორე ცალის დამზადებაც მოვიტხოვე. ისე, საინტერესო ამბავი იყო - ოთხი თვის განმავლობაში პირველად გავაცდინე მეცადინეობები და იოტისოდენა სინდისის ქენჯნაც კი არ მანუხებდა, პირიქით - ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოსდა ასეც უნდა ყოფილიყო, თითქოს ერთ რაღაც პერიოდს მოვრჩი ჩემს ცხოვრებაში და უკან მიხედვას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ახლა სულ სხვანაირი ცხოვრება უნდა დამენყო.

მოულოდნელად, მეორე კოქტეილის ძირში თმის თეთრი ღერი დავლანდე და გავიფიქრე კიდევ - სწორედ ესაა ზეგარდმო ნიშანი-მეთქი! თუკი ეს ჩემი მართლა პირველი ჭაღარა იყო, მე მხოლოდ მივესალმებოდი და გულის-გულში ეს სასმელი უკვე ხანგრძლივი

სიცოცხლის საშუალებად, ასაკის ელექსირად და ანტიფაუსტის საკადრის სასმელად მოვნათლე.

მოტეხილში ვიჭეცი, დეკორატიულ სვეტს მოფარებული, თუმცა ყველას და ყველაფერს ვხედავდი იქიდან. ბარში ჩემ გარდა სულ ორი ვინმე იყო - თავად ახალგაზრდა ბარმენი და კიდევ ვიღაც მოხუცი, რომელსაც ხელის კანკალით, დიდი სიფრთხილით მიჰქონდა ჭიქა ტუჩებთან. ფრიად დახვეწილი მეჩვენა ეს კანკალი - იქნებადა, როდისმე მეც მღირსებოდა! მაგრამ ჯერ კიდევ მეტისმეტად ახალგაზრდა ვიყავი ამისათვის. ისევ იმ ვერცხლისფრად მობრჭყვიალე თმას დავაცქერდი ჭიქის ფსკერზე.

ის იყო, ორი თითის ჩატყვლეპას ვაპირებდი შიგ, სწორედ იმ თმის ღერის ამოსაღებად, რომ ბარმენი მომადგა და ზეთისხილით სავსე პანია ლანგარი დამიღო წინ.

„დამატებას ხომ არ ინებებთ?“ - მკითხა, როცა დაინახა, რომ ჭიქაში სითხე გამენახევირებინა.

„არა, გმადლობთ, ჯერ - არა...“

ხელის დამუშავებული მოძრაობით გადანმინდა რაღაც არარსებული წვეთები პრიალა დახლიდან და თავის ადგილს დაუბრუნდა.

საჩვენებელი თითი ჩავყავი ჭიქაში, რომ თმის ღერი ამომეღო, მაგრამ ფრჩხილები ძალზე მოკლედ მქონდა დაჭრილი და ვერაფრით მოვდე, თან ის ოხერიც წებოთი დანებებულს ჰგავდა... ამ საქმით ვიყავი გართული, რომ ვიღაც მეტად დახვეწილი გარეგნობისა და ჩაცმულობის ქალბატონი შემოვიდა ბარში, ოღონდ ეგ იყო - თავზე ფართოფარფლიანი, ალუბლიკოებით დამშვენებული ქუდი ეხურა. ნავარჯიშები, ჩვეული მოძრაობით დასკუპდა მაღალ სკამზე და მშვიდი, თითქოსდა გაზარმაცებული ხმით დაუკვეთა რაღაც. ბარმენი საქმეს შეუდგა და თან, თავის მხრივ, ქალბატონსაც გაეპასუხა. წამსვე ჩავხვდი, თუ რაზე გააბეს საუბარი: რაკილა ჯერ ბარმენმა, ხოლო შემდეგ თავად ქალბატონმაც, ვითომც აქ არაფერიაო, ისე გამოაპარეს ჩემკენ მზერა. ბარმენის სახეზე მიყინული ღიმილიდანაც იოლი მისახვედრი იყო, ჩემზე უყვებოდა - აქაოდა, ვიღაც პროვინციელმა „კოქტეილი“ დამიკვეთა, თუმცა ისიც კი არ იცოდა, რომელი უნდოდაო... გამწარებულმა რაღაც ბედმეტად მოვუჭირე ხელი ჭიქას, მაგრამ იმ ჭალარა თმის ღერს ძვრაც ვერ ვუქენი - ან რანაირად ვუზამდი, როცა თმის ღერი კი არა, უწვრილესი ბზარი ყოფილიყო და იმდენი მოვახერხე, კარგა სამ სანტიმეტრზე გავიჭერი თითი! შეცბუნებულმა, გასისხლიანებული თითი ისევ ჭიქაში ვდურთე და ვხედავდი, ჩემივე მენამული სისხლი როგორ ენივთებოდა სასმელის ქარვისფერ სითხეს.

თითზე ცხვირსახოცი დავიხვიე, ხელი ჭიბეში ჩავმალე და წამოვდექი. უკვე წასვლას ვეპირებოდი, რომ უცაბედად, პირწმინდად დალისეულმა აბრმა გამინათა გონება: ბარმენს მივუახლოვდი და ოცდახუთპესეტიანი ქალაღდი დავუდე წინ. ის ხურდის დაბრუნებას მიპირებდა - სასმელი სულ რაღაც სამი პესეტა ღირდა - მაგრამ თავი გავუქნიე და დიდებულთათვის მიღებულ ყაიდაზე ავუქნიე ხელი - დაიტოვეთ-მეთქი, ვანიძნე. ღმერთმანი, ამგვარი დაბნეული სახე არასოდეს მინახავს, თუმცა არა - სწორედაც ასეთი გამომეტყველება ედოთ სახეზე მათ, ვისგანაც ხუთ პესეტას ვყიდულობდი ხოლმე ათად. მივხვდი, რომ ზრდასრულ ადამიანებზეც ეს ხრიკი ისევე ჭრიდა, როგორც ბავშვებზე და იმასაც მივხვდი, რომ სწორედ ამაში იდო ფულის ძალაც. სამის მაგივრად ბარმენისათვის ოცდახუთი პესეტის მიცემით ვაცს ისეთივე გრძნობა უჩნდებოდა ჩემ მიმართ, თითქოსდა ბანკი გამეძარცვოს... მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ჩემთვის, ის ორი დალეული ჭიქა კოქტეილი უკვე გვარიანად მიღიტიინებდა თავში.

„ერთი ცალი მინდა იმ თქვენი ალუბლებიდან,“ - ვუთხარი და მნიფე ალუბლებით სავსე ლარნაკზე მივანიძნე. მოწინებით გადმომიდგა და შემომთავაზა - ინებეთ, რამდენიც გნებავთო.

ერთი ცალი გამოვარჩიე.

„აი, ეს ერთი ცალი რა ღირს?“

„რას ბრძანებთ, ბატონო, არც არაფერი!“

მეორე ოცდახუთპესეტიანი ამოვიღე და დახლზე დავუდე. შეჩქვიფებულმა, ხელები

გაასახსნავა - როგორ გეკადრებათო.

„მაშინ არ ავიღებ!“ - ვუთხარი გაყინული სახით. კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ შეწინააღმდეგება ვეღარ გამიბედა და ესლა ამოილულლულა: „თუკი სენიორს ასე ნებავს...“

ღიახაც რომ მნებავს-მეთქი, ვუთხარი და ახლა იმ ქალბატონს მივუბრუნდი. აქამდე ზედაც არ შემიხედავს მისთვის, მაგრამ ვგრძნობდი, გაკვირვებული შემომცქეროდა და ალბათ, გიჟი ვეგონე.

„ქალბატონო, ერთ ცალ ალუბლიკოს ხომ ვერ მიბოძებდით თქვენი თავსაბურავიდან?“

„სიამოვნებით.“ - გაიღიმა და ოდნავ დახარა თავი, კვკლუცად.

ფრთხილად დავნვდი ალუბალს და შევეცადე, ქუდიდან ამომეძრო, მაგრამ არ დამყვა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ დეიდაჩემი შესანიშნავი მექუდე გახლდათ, თავად იკერავდა თავისთვის და სხვებსაც უკერავდა ხოლმე და ამგვარი ალუბლიკოების საიდუმლოც ჩემთვის რთული ამოსახსნელი არ იყო. ახლა კი აღარ მოვქაჩე, აქეთ-იქეთ გადავხარე რამდენჯერმე და ლითონის ის უწვრილესი მავთულიც, რითაც მისი ღერო იყო ქუდზე მიმაგრებული, წკაპანით გადატყდა. ეს ყველაფერი მეტად ელეგანტურად მოვიმოქმედე, ისე, რომ მეორე შეხვეული ხელი არც კი ამომიღია ჯიბიდან, მერე ხელოვნური ალუბალი პირთან მივიტანე, კბილი გაგვარი და თეთრი ბამბის შიგთავსი გამოვუჩინე, მერე დახლზე გადმოღებულ იმ ერთ ცალ ნამდვილ ალუბალს დავუწვილე, ყუნწებით ერთმანეთს გადავუბი და ქალს ჩამოვუდე ჭიქის პირზე. მისი სასმელის ქაფი მოეცხო ოდნავ და ახლა უკვე სრულიად შეუძლებელი გასარჩევი გახდა - მათგან რომელი იყო ბუნებრივი და რომელი - ხელოვნური ნაყოფი...

ეს არაფერი-მეთქი, ვუთხარი - ეს მხოლოდ შესავალი იყო, სპექტაკლი ახლა იწყება-მეთქი და მისჯიქიას ჩემი ჭიქა მოვუდგი გვერდით. გავტრიალდი და აუჩქარებლად გავედი ბარიდან.

მივაბიჯებდი და თან ისეთი გრძნობა მიმყვებოდა, როგორც ალბათ მაცხოვარს, როდესაც წმინდა ზიარება მოიგონა! ახლა ის მაინტერესებდა, რა სახეს დააწყობდა ბარმენი, როცა მისივე თვალით ნანახი, ნახევრად ცარიელი ჭიქა ახლა რაღაც სულ სხვა, წითელი ფერის სითხით ავსებულიყო ლამის პირამდე! მიხვდებოდა კი, რომ ეს სისხლი იყო? დავიჯერო, მაინც გასინჯავდა? და საერთოდ, ნეტავ, რას ილაპარაკებდნენ მერე ჩემზე?

ამ ფიქრებში გართული მივაბიჯებდი მადრიდის ქუჩებში და კარგი განწყობაც არ მცილდებოდა, არა, მართლაც არაჩვეულებრივი ვინმე ვიყავი, არა-ჩვეულებრივი! ტრამვაის გაჩერებამდე ჯერ კარგა მანძილი მქონდა გასავლელი, რომ ვიგრძენი, მგელივით მომშიებოდა. ფეხს ავუჩქარე, მერე სირბილზე გადავედი, მერე უკვე ისე მივრბოდი, თითქოსდა მართლაც მომდევდა უკან ვინმე, არადა, უცნაური ის იყო, კაციშვილი არ მაქცევდა ყურადღებას. მგონი, ცოტათი გავნანყენდი კიდევ და უბრალო სირბილიდან ახლა გრძელ-გრძელ ნახტომებზე გადავედი. თუ გახსოვთ, ადრეც მითქვამს, რომ გარკვეული წარმატებები მქონდა მძლეოსნობაში და ახლა ისე მივხტუნაობდი, ხალხი უკვე მართლა პირდაღებული მადევნებდა თვალს.

„სისხლი თაფლზე მეტად ტკბილია!“ - დავწყვილე და ეს ისე მომეწონა, ყოველი სამი ნახტომის გამოშვებით გავიძახოდი: „სისხლი თაფლზე უფრო ტკბილია-ა!“ უცბად, სადღაც გვერდით, ჩემი თანასკოლეელი დავლანდე, რომელიც, ცხადია, მიცნობდა მხოლოდ როგორც თავგადადებულ, ბეჭით, სწავლას მონყურებულ სტუდენტს, ახლა კი თვალდაჭყეტილი მიყურებდა და ამისთანა შესაძლებლობას ნაღდად რომ ვერ გავუშვებდი ხელიდან - ერთი ნახტომით მასთან გავჩნდი და ზედ ყურში ჩავყვირე: „თა-ა-ფლიი!“ მერე სწორედ ამ დროს ჩამოვლილ ტრამვაის შევახტი და პირდაფიქნილ თანასკოლეელს მხოლოდ ხელიდა დაუქნიე. როგორც გავიგე, მთელი მეორე დღე სკოლაში მხოლოდ იმას გაიძახოდა თურმე, ეს დალი კლინიკური გიჟიაო.

დილით უკვე თმაგაკრეჭილი და სახვებით ელეგანტურად გამონწყობილი გამოვცხადდი სახვითი ხელოვნების აკადემიაში. ერთ დღეში ჩემმა ამისთანა გარდასახვამ უკლებლივ ყველა გააოგნა და სწორედ მაშინ მივხვდი, რომ იმის მაგივრად, ძველებურად იმას ვცდილიყავი, როგორმე დავმსგავსებოდი სხვას, ჯობდა, დავრჩენილიყავი იმად, რაც ვარ -



ყველასაგან გამორჩეული, ხელშეუხებელი, ჩარჩობემორღვეული სალვადორ დალი!

\*

იმავე დღეს, პირველ საათზე ჩემს მეგობრებს იტალიურ რესტორანში შევხვდი. თითო ვერმუტს გეახელით და მერე წინასწარ დაკვეთილ მაგიდასაც მივაშურეთ. როგორც აღმოჩნდა, იმ ბარმენისათვის ჩემ მიერ დატოვებულ ოცდაორ პესეტას დიდი ხმაური გამოუწვევია გარკვეულ წრეებში: მიმტანები ახლა სარგადაყლაპულებივით ჩამწკრივებულიყვნენ კედელთან და მხოლოდ ჩვენს ბრძანებებსღა ელოდნენ.

ექვსი, შვიდი კაცი თუ ვიქნებოდით, ყველა ერთი ჯგუფის წევრი, თუმცა უკვე მაშინ ხდებოდა ცხადი, რომ ზოგი უკვე რალაცნაირი ლიბერალურ-სოციალიზმისაკენ იხრებოდა... სამწუხარო კია, მაგრამ სულ მალე ეს მათი ლიბერალობა, მოგეხსენებათ, მემარცხენეობაში გადაიზარდა. მე კიდევ ვამტკიცებდი - ადამიანისათვის ბედნიერება-უბედურების შეგრძნება სრულიად პირადული რამაა და საზოგადოებრივ წყობასთან არანაირი კავშირი არა აქვს-მეთქი, არც მისივე ცხოვრების დონესთან და არც - პოლიტიკასთან. საქმე ის იყო, როგორმე ხიფათისა და დაუცველობის კოლექტიური ჯოგური ინსტინქტი აგვემოქმედებინა, რაც უცილობლად მიგვიყვანდა ფსიქოლოგების მიერ უმთავრესად აღიარებულ სიამის განცდამდე. ბედნიერება რომ ყველას საქმე ყოფილიყო, ის, უბრალოდ, რელიგიად გადაიქცეოდა! ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობს სრულიად უტოპიური, აუსრულებელი შესაძლებლობა - ანარქისტური აბსოლუტური მონარქია და, კაცმა რომ თქვას, ლუდვიგ II ბავარიელი არცთუ ისეთი ცუდი არჩევანი გახლდათ.

საზოგადოდ, ყოველგვარ კამათში მხოლოდ საკუთარ შეხედულებებსა და არგუმენტებს ვხვდები - თავად ეს შეხედულებები არასოდეს შემიცვლია, პირიქით - სულ უფრო და უფრო მიმყარდებოდა ხოლმე.

აი, მაგალითად-მეთქი, ვუბნებოდი - თუნდაც ვაგნერი ავიღოთ: თუკი პარციფალის მითს სოციალურ-პოლიტიკურ გავლენებს ჩამოვაცილებთ... აქ ცოტა ხნით შევყოვნდი, თითქოსდა უფრო მყარ დასაბუთებას ვეძებდი საკუთარი თვალსაზრისის განსამტკიცებლად, მერე კი მიმტანს მივუტრიალდი, გაფაცოცებული რომ უგდებდა ყურს ჩვენს ინტელექტუალურ საუბარს და ვუბნებო: ცოტაოდენი გახუხული პური და ძეხვი მოგვიტანე-მეთქი... მოწინებით დაგვიკრა თავი და სამზარეულოსაკენ გავარდა, ღვინოც არ დაგავიწყდეს-მეთქი, მივაძახე.

იქედან სტუდენტურ საცხოვრებელს მივაშურეთ და საკადრო-საფინანსო განყოფილებაში სესხი მოვითხოვეთ. მაშინ ეს მარტივი ამბავი იყო: შენს სტუდენტურ ნომერს ეტყოდი, ხელს მოუწერდი და მორჩა, თამასუქიც ეგ იყო! მერე ყველანი გერმანულ ლუდხანაში გავეშურეთ, სადაც ნაღდი შავი გერმანული ლუდი ისხმებოდა, ზედ ბლომად კიბორჩხალებიც დავაყოლეთ და პარციფალის თემაც, თუ არ ვცდები, სწორედ იქ მოვაყოლარეთ. საღამო რატომღაც მიიზღაზნებოდა მხოლოდ, ამიტომაც ისევ „პალასში“ გადავედით და თითო აპერიტივსაც გავუსინჯეთ გემო. ეს მაშინ პირველად იყო, მშრალი მარტინი რომ დავაჭაშნიკე და მას მერე ფრიად ვერთგულე ამ სასმელს...

ამასობაში გვარიანად მოგვშივდა კიდევ, ისევ იტალიურ რესტორანში გადავრეკეთ და ცალკე მაგიდა შევუკვეთეთ. მართალი გითხრათ, რას გეახლებოდით, ჩემს მახსოვრობას უკვე აღარ შემორჩენია; მართო ის მახსოვს, რომ იქვე კუთხეში პიანინო იდგა და მეტად ბეჭითად ვცდილობდი ბეთჰოვენის მთვარის სონატას დაკვრას - ცალი თითით. ისე, არავინ არაფერს მერჩოდა, მაგრამ როცა მეორე ხელიც წავაშველე, მაშინ კი შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი და ძლივს ამაღლივს სკამს... იქიდან „რექტორ კლუბში“ გადავედით შამპანურით ყელის ჩასაკოკლოზინებლად. უკვე კარგად ნაყლაპები გახლდით, როდესაც, თუ არ ვცდები, ბუნუელმა წამოაყენა წინადადება - ამ შუშხუნას ჭრა არა აქვს და იქნებ ცოტა ვისკიც დაგვეყოლებინა ზედო. უარზე არავინ დამდგარა, შემდეგ უკვე იმაზეც იოლად შევთანხმდით, რომ რევოლუცია უცილობელი იყო, ოღონდ აი, როგორ და რა სახით, ეს ვერაფრით გავარკვიეთ. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამგვარი სერიოზული საკითხი ასე სახელდახელოდ ვერ გადაწყდებოდა და დავთქვით - ხუთი წლის თავზე ამავე ადგილას შევიკრიბოთ და გამოცდილებამიღებული, უკვე დაბრძენებული ხალხი, ბევრად იოლად გადავწყვეტთ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებსო.

ჩვენს ამ ბრძნულ შეთანხმებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ რესტორანში ზანგების კვინტეტმა შეუბერა და თან იმდენად კარგად, ერთმანეთის ხმის გაგონებას კი აღარ გვინდოდა. მახსოვს, ცოტაოდენი ფულიც კი გავეუგზავნეთ მონონების ნიშნად, ხოლო მერე, სრული აღტაცების გამოსახატავად - რამდენიმე ბოთლი შამპანურიც. მოკლედ, კარგი იყო მშობლების ხარჯზე დროსტარება...

\*

ერთხელაც, სასწავლებელში მივედი და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ორიოდ დღით მივსულვარ: იქიდან გამომავდეს და აი, რა მიზეზით - ეზოში სტუდენტები შეკრებილიყვნენ და გაცხარებულები კამათობდნენ; ზოგი კი, უბრალოდ, რაღაც ცალკეულ ფრაზებს გაყვიროდა. რა ხდება-მეთქი, ვიკითხე და როგორც ამისხნეს, გრაფიკის მასწავლებლის ადგილი გამოთავისუფლებულიყო და ახლა მსურველებს გამოცდა უნდა გაეწლოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად. კანდიდატებს თავიანთი ნამუშევრები უკვე დარბაზშიც გამოეფინათ და, ვაცმა რომ თქვას, ყველა ერთიმეორეზე უარესი იყო, ვინმე დანიელ ვასკებ დიასის ნახატის გარდა, რომლის სტილსაც იმხანად რატომღაც პოსტიმპრესიონისტულს უწოდებდნენ. იქნებ ამიტომაც, ყველა დარწმუნებული იყო, პირადად მე სწორედ მას დავუჭერდი მხარს და ალბათ ამ მიზეზითაც შემომჩივლეს - ხმები მოგვივიდა, კანდიდატს სულ სხვა თვალსაზრისით შეარჩევნე და არა ნახატების მიხედვითო. ცოდვა გამხელილი ჯობია და, მე პირადად არც ერთი ამათგანი არ მეხატებოდა გულზე - მერჩია, ვინმე ძველი სკოლის წარმომადგენელი დაენიშნათ, მაგრამ ახლა არჩევანი აღარ გვექონდა და მეც სწორედ ვასკებ დიასს მივეცი ხმა.

იმავე საღამოს საერთო კრება გაიმართა, სადაც ყველა კანდიდატმა ჯერი-ჯერზე წარმოადგინა საკუთარი პროგრამა (მათგან ერთადერთი აზრიანი სწორედ ბემოხსენებული დიასისა გამოდგა). საბჭო სათათბიროდ გავიდა და მალევე გავიგეთ, რომ გადაწყვეტილება სწორედ ისე მიეღოთ, როგორც სტუდენტებმა ივარაუდეს. ამიტომაც, როგორც კი თავმჯდომარემ აიღო სიტყვა, დემონსტრაციულად ავდექი და დარბაზი დავტოვე.

მეორე დღეს სასწავლებელში დიდი აყალმაყალი დამხვდა; ყველას ერთი ამბავი ეკერა პირზე - სალვადორ დალი გარიცხესო! უნდა გითხრათ, ვერაფრით ვიჯერებდი, რომ წინააღმდეგობით იმ ჩემს გამოხდომას ამგვარი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. რაღა თქმა უნდა, ჩემი საექიელი სწორედაც რომ პროტესტის გამოხატვა იყო, მაგრამ არავითარი დაწერილი თუ დაუნერეელი კანონი მე არ დამირღვევია - არც სიტყვა შემინყვეტინებია თავმჯდომარისათვის და არც რაიმე შეურაცხმყოფელი მითქვამს ვინმესთვის. რამე რომ იყოს, კარიც კი არ გამიჭახუნებია, ისე გავედი დარბაზიდან. მაგრამ თურმე მაგის მერე მომხდარა, რაც მომხდარა: სტუდენტებს ერთი ამბავი აუტეხავთ, მთელი საბჭო დაულანძღავთ და მერე ზოგი მუშტების ქნევაზეც კი გადასულა... მასწავლებლები, მთელი შემადგენლობით, რომელიღაც ოთახში ჩაკეტილან და პოლიცია გამოუძახებიათ; კანონის დამცველნიც სწორედ მაშინ მოსულან, როცა გრძელი მერხით შეიარაღებული სტუდენტები კარს უპირებდნენ შემტვრევას...

უკლებლივ ყველა მე მიმიჩნევდა ამ არეულობის მოთავედ - აქაოდა, დარბაზის ასე დემონსტრაციულად დატოვება იქცა სტუდენტებისათვის ხულიგნობის დაწყების ნიშნად. ბევრი ვამტკიცე, ამ ამბავში უბრალო ვარ-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა! მოკლედ, ისევ ფიგურასში მომიწია დაბრუნება.

თუმცა, ერთს მეორე მოჰყვა და იქ უკვე გვარდიის ჯარისკაცებმა დამაპატიმრეს - ასე ვთქვათ, რევოლუციური აქტივობისათვის. რამდენიმე დღე მაყურყუტეს გერონის ციხეში და ბოლოს, სამხილების უკმარისობის გამო, მაინც გამომიშვეს. ისიც ითქვას, მართლაც ცუდ დროს ჩავედი ვატალონიამი: ხოსე ანტონიოს, ესპანური ფალანგის დამაარსებლის მამის, გენერალ პრიმო დე რივერას გვარდიელებს უკვე რამდენიმე შეჯახება მოსვლოდათ ჯანყის მოსურნე მოსახლეობასთან და მეც, როგორც იტყვიან, ხელს გამაყოლეს...

ისე, ციხეში ცუდი დრო არ მიტარებია. ბუნებრივია, პოლიტიკურ პატიმრებთან გამამწესეს და ჩვენი მეგობრები, თანამზრახველები თუ ნათესავ-მოკეთეები, გარედან ყურადღებას

არ გვაკლებდნენ - საჭმელ-სასმელი იქნებოდა ეს, მოსანევი თუ საკითხავი. ეგეცაა, ამჯერად უკვე ამ ნამდვილ ციხეში თავს რაღაცნაირად უფრო დაბრძენებულ-დაბერებულად ვგრძნობდი და შემეძლო სამომავლოდ რამე ხეირიც მენახა ჩემი ამ „ნაცხარობიდან“.

\*

როცა გამათავისუფლეს, ლამის მთელი ქალაქი ოვაციებით შემეგება და კინოში ვერ შევსულიყავი ისე, ჩემს გამოჩენაზე მთელი პარტერი ფეხზე არ წამომდგარიყო. მაგრამ მე ისევ უწინდებურ „ასკეტურ“ ცხოვრებას დავუბრუნდი და პირდაპირი მნიშვნელობით, სულსა და ხორცს ვიტანჯავდი ხატვითა და ფილოსოფიური წიაღსვლებით. ოღონდ, როგორც კი პირობითი სასჯელის დრო გამივიდა, ისევ მადრიდისაკენ გამინია გულმა. იქ ჩასული უკვე ცარიელი ძვალი და ტყავი ვიყავი. სარკეში რომ ვიხედებოდი, იერონიმუს ბოსხის რომელიღაც ფანტასმაგორიული ხილვის პერსონაჟი მაგონდებოდა - მხოლოდ თვალებად, ხელებად და ტვინად დარჩენილი.

მამაჩემიც, წინა წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ახლა მხოლოდ მცირე თანხას მიგზავნიდა, თუმცა ნაცნობ-მეგობრებში უკვე ისეთი სახელითა და პატივისცემით ვსარგებლობდი, ყველა იმის ცდაში იყო, როგორმე ეამებინა ჩემთვის: ერთმა მანქანა გაყიდა, მეორემ - მომავალი მემკვიდრეობის ანგარიშში - გვარიანი ვალები დაიდო და თავად მეც, დარდიმანდული ჟესტით, ისეთი ხალხისაგან ვახერხებდი სესხის აღებას, ღმერთმანი, გაგიკვირდებოდათ.

ერთი კია, რომ ამ დროისათვის თითქმის მთლიანად ჩამოვცილდი გარსია ლორკასა და მის ლიტერატურულ ჯგუფს: ეჭვი არაა, ამის მიზეზი მზარდი გავლენა და პოპულარობა იყო, რასაც ის დღითი დღე იხვეჭდა და ეჭვიანობა, რომელმაც ჩემს გულში ალბათ პირველად და უკანასკნელად დაიბუდა... სწორედ იმ დროს იყო, სახვითი ხელოვნების აკადემიიდან ჩემი სამუდამო გარიცხვის ცნობა რომ მივიღე, მაგრამ ამაზე დიდად აღარ მიდარდია: რამე რომ იყოს, უკვე ისევ უკან, ფიგურასში დაბრუნება მინდოდა, დღე და ღამის გასწორება და მამაჩემის დარწმუნება, რომ სასწავლებლად ახლა პარიზს უნდა გავეგზავნე.

სასწავლებლიდან ჩემი გარიცხვა მძიმე დარტყმა გამოდგა მამაჩემისათვის და ეს კარგად ჩანს პორტრეტში, ფანქრით რომ დავხატე. თვალის ერთი შევლებითაც კი მიხვდებოდი, სურათზე გამოსახულ ამ ადამიანს რაღაც მძიმე კაემანი შემოსწოლოდა... სწორედ იმხანად, უამრავი ჩემი ნამუშევარი დავგზავნე სხვადასხვა გამოფენებზე, მადრიდსა თუ ბარსელონაში, და ავანგარდიზმის ბარსელონელმა პატრიარქმა, დალმომ პერსონალური გამოფენაც კი მომიწყო თავის გალერეაში. ბოლოს და ბოლოს, ამ ყველაფერმა თავისი ნაყოფიც გამოიღო და ჩემს ნახატებზე უკვე პარიზშიც ალაპარაკდნენ. თავად პიკასოს ენახა ჩემი „გოგონა ბურგიდან“ ბარსელონის გამოფენაზე და სხვებისაგან საგანგებოდ გამოერჩია კიდევ. მას არც ხუან მირო ჩამორჩა, დამირეკა და ისიც კი შემომთავაზა, ჩამოვალ და ჩემს პირად აგენტს, პიერ ლოებსაც შეგახვედრებო.

ამ ამბავმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მამაჩემზე და პარიზში ჩემი გაშვების შესაძლებლობაზეც დააფიქრა. მირომ მართლა გამოიღო თავი, ჩამოვიდა კიდევ და ერთი უცნაური რამ განმიცხადა: „ჩვენ შორის დარჩეს, ეს პარიზელების მაგარი უჭიგრო ხალხია! ჩამოხვალ და თავად დარწმუნდები. არც მთლად ასე იოლად იქნება ყველაფერი.“

ისე აგისდეთ ყველაფერი! კვირა არ იქნებოდა გასული, თავად პიერ ლოებისაგან მივიღე წერილი, რომელშიც ჩემთვის სახეირო კონტრაქტის ნაცვლად, რაღაც ამდაგვარი ეწერა: „მუდმივად საქმის კურსში მამყოფე, რას ხატავ ხოლმე და უახლოეს ხანში რის დახატვას აპირებ. ოღონდ ჯერჯერობით, შენს ნახატებს მაინც აკლია გამოკვეთილი ხაზები და დედააბრი. მოთმინება გმართებს, თან მეტი უნდა იმუშაო. ეჭვი არაა, ძალზე ნიჭიერი ხარ და ვიმედოვნებ, მალე შენი ნახატებით ორივე ვიხეირებთ...“

მალე მამაჩემმაც მიიღო წერილი ხუან მიროსაგან - სთხოვდა, უცილობლად გამოუშვით თქვენი ვაჟი პარიზსო და წერილსაც ასე ამთავრებდა: „იოტისოდენა ეჭვიც კი არ მეპარება - სალვადორს ბრწყინვალე მომავალი ელის!“

სწორედ იმხანად იყო, ლუის ბუნუელმა რომ თავის ჩანაფიქრზე მომითხრო: დედამისისათვის რაღაც თანხა დაეცინცლა და ფილმის გადაღებას აპირებდა. დიდად აღტაცებული ვერ დავრჩი; თავად სცენარი რაღაც ავანგარდისტული ბოდვა იყო და საოცრად გულუბრყვილო. მთავარი მოქმედი პირი თურმე გაზეთი უნდა ყოფილიყო, რომლის გვერდებსაც უძრავი კამერა გამონვლილვით მიმოიხილავდა და რომელსაც ბოლოს მიმტანი ბიჭი ნაგავში მოისროდა. ამ ბანალურობამდე სენტიმენტალურმა ფინალმა განსაკუთრებით ამიშალა ძარღვი და პირდაპირ განვუცხადე, ამ მიამიტობას, ჯობია, მე დაგიწერო რაიმე და ის გადაიღო-მეთქი. წამსვე დამყაბულდა. სცენარი სულ რაღაც ათიოდ დღეში გავაშანშალე და ბუნუელს გადავუგზავნე მადრიდში. მალევე გამომეხმაურა - აღტაცებული ვარ და ორ დღეში ჩამოვალ მანდ, ფიგურასშიო. მერე, მართლაც ერთად ჩაუჭყეტით სცენარს და საბოლოო, შეჯერებულ ვარიანტამდეც სულ თამამ-თამამით დავხვეწეთ. სათაურად კი „Le Chien Andalou“ - „ანდალუსიელი ძაღლი“ - შევურჩიეთ. ბუნუელმა იკისრა რეჟისორობაც, მსახიობების შერჩევაც; ოლონდ, ცოტა ხნის მერე, თავად რომ ჩავედი მასთან პარიზში, სულ რაღაცეებს მეკითხებოდა და როგორც მახსოვს, არც ერთი ჩემი შენიშვნა არ დატოვა გაუთვალისწინებელი.

პარიზში კიდევ სამი სხვა მნიშვნელოვანი საქმეც მქონდა: მოვინახულე ვერსალის სასახლე, გრევენის მუზეუმი და პიკასოსაც ვესტუმრე. თუმცა, ამ უკანასკნელის ბინაში ისე მივდიოდი, თითქოს რომის პაპთან მივეწვიეთ აუდიენციაზე...

„ჯერ თქვენ გესტუმრეთ,“ - ვუთხარი - „ლუვრის მონახულებას მერეც მოვასწრებ.“

„სწორადაც მოქცეულხარ,“ - მიპასუხა სავსებით სერიოზულად.

საჩუქრად ჩემი ერთი პატარა ნახატი მივართვი - „გოგონა ფიგურასიდან“. ათი-თხუთმეტი წუთი თვალი არ მოუცილებია, მაგრამ არც არაფერი უთქვამს. მერე მის სახელოსნოში გადავედით და მთელი ორი საათი თავის ნახატებს მიჩვენებდა. უამრავი ჰქონდა კედლებზე მიყუდებული, ხვნივით დაითრევდა ხოლმე და მოლბერტზე გამოდებდა. ყველა ეს სურათი რატომღაც ერთნაირად დიდი ზომისა იყო და მძიმე ჩარჩოში ჩასმული. მოკლედ, არაფერი დაიზარა ჩემზე შთაბეჭდილების მოსახდენად. შიგადაშიგ გამომხედავდა ხოლმე, აბა, რას იტყვისო, მაგრამ ისე ვიყავი ხილულით მონუსხული, საპასუხოდ არც მე გამიკეთებია რაიმე კომენტარი. ბოლოს, კართან რომ მიმაცილა, მეგობრულად მომხვია მხარზე ხელი და მკითხა: „ახლა ხვდები, რისი თქმაც მინდოდა?“

ისევ უხმოდ დავუქნიე თავი.

იმავე დღეებში კიდევ ერთი გამოფენა მოვანყვე დალმოს გალერეაში და ერთიც - მადრიდის „იბერიელ მხატვართა სალონში“. ცხადი იყო, რომ ესპანეთში მაინც, უკვე მართლაც მიცნობდნენ.

ერთხელაც, მიროს ვსტუმრობდი მისსავე სახლში, ვახშმად მიმინვია, მაგრამ რატომღაც, მასპინძლის კვალობაზე, მეტისმეტად სიტყვაძუნწი აღმოჩნდა.[10] მერე ქუჩაში გამოვედით. მიროს ერთი პატარა რესტორანი მოუვიდა თვალში, შევედით და ბოთლი შამპანური გავახსნევინეთ.

„ხვალ ტრისტან ცარას გაგაცნობ,“ - მეუბნება მირო, - „დადაისტებს თავკაცობს და ძაღზე გავლენიანი ვინმეა. იქნებ რამე კონცერტზეც დაგვპატიჟოს, მაგრამ უარზე უნდა დავდგეთ - ჩვენ, მხატვრებმა, მუსიკისაგან საერთოდ შორს უნდა დავიჭიროთ ხოლმე თავი!“

მცირე ხანს იყუჩა და მერე უცებ დაამატა: „როცა ხატვას გულს ვერ ვუდებ, კუთხეში ვდგები და იმდენს ვურტყამ შუბლს კედელს, სანამ კანი არ გადამისკდება და სისხლი არ წამომივა...“ წამსვე ეს ველური სცენა დამიდგა თვალწინ და სწორედ რაღაც სისხლისმიერი ნათესაობა ვიგრძენი მასთან. იმ პერიოდისათვის მირო უკვე ჩემგან სრულიად განსხვავებული გზით მიდიოდა მხატვრობაში, მაგრამ რა მერე - ერთი სისხლისანი ვიყავით, ისიცა და მეც...

ფილმი სიყმაწვილესა და სიკვდილზე იყო და ვაპირებდი, ამ ვითომდა დაბრძენებული, დახვეწილი, ინტელექტუალიზებული მსოფლიო დედაქალაქისათვის ლახვარივით ჩამეცა გულში ეს ჩემი იბერიული მახვილი, ჩვენივე წინაისტორიით გამოჭედილი და წმინდა ინკვიზიციის ალში გამონრთობილი!

აგერ ახლა ერთ ნაწყვეტს მოგიტანთ ეუხენიო მონტესის მიერ გამოქვეყნებული გამოხმაურებიდან (1928 წელი): „ბუნებელმა და დალიმ სრულიად შეგნებულად გადაქელეს ყოველივე ნატიფ გემოვნებასთან დაკავშირებული - სილამაზესთან, სახალისოსთან, ფრანგულთან... მეტსაც გეტყვით - ფილმის ერთ ეპიზოდს ტრისტანიდან აღებული ნაწყვეტი უღევს ფონად, არადა, აჯობებდა, ხოტა დაედოთ! პირნიმინდად არაგონული, იბერიული, ებროს ნაპირებიდან წამოსული...“

აქ ბარბაროსული, ძირძველი მშვენიერება, უდაბნოსეული მინა და მთვარე ერთად იყრის თავს ეკრანზე, სადაც სისხლი თაფლზე უფრო ტკბილია... არა, აქ ფრანგული ვარდის ნიშატსაც კი ვერ იპოვით; არც ესპანეთია ბალნარი და არც ესპანელები გამოდგებიან მებაღეებად. ასე რომ, არაფერი გონისმიერი, არაფერი - შელამაზებული. ესპანელობა არსია და არა გარეგნულობა. ესპანეთი ვერასოდეს დაიხვეწება ბოლომდე, ანუ - ვერასოდეს გაყალბდება. ქრისტეს ქანდაკებებს ესპანეთში მართლა სდით სისხლი.“

და ბოლოს, ის ასე ამთავრებს თავის სტატიას: „ეს ფილმი უთუოდ გარკვეულ ნიშანსვეტად იქცევა კინემატოგრაფიის ისტორიაში, სისხლით მოთხვრილ ნიშნულად, სწორედ ისეთად, ნიცმეს რომ მოეწონებოდა.“

ფილმმა ბუსტად ის ეფექტი მოახდინა მთელ პარიზზე, როგორსაც ვწინასწარმეტყველებდი და სულ ერთ საღამოში მიანგრ-მოანგრია ომის შემდგომი ფსევდოინტელექტუალური ავანგარდიზმის დეკორაციები.

\*

ისე, რამე რომ იყოს, ამ ფილმის გარდა, იმხანებში რა გავაკეთე? ჩემი, ასე ვთქვათ, „საზოგადოებაში გამოსვლა“ რაღაც ორ-სამ სრულიად შეუმჩნეველ ეპიზოდად დამირჩა: ჩემივე გაუბედაობა მიშლიდა ხელს, ჯეროვნად „გამებრწყინა“, სადაც ეს მართლა საჭირო იყო... ჩემი მაშინდელი აგენტის ცარიელი დაპირებებით მბერავდა და ვერც ერთი „დახვეწილი“ ქალი ვერ მოვჩანგლე ჩემი ეროტიკული ფანტაზიების დასაკმაყოფილებლად - ის კი არა, საერთოდ ვერა ქალს ვერ შევაბი ეუვანი! ატეხილი, ენაგადმოგდებული ძაღლივით დავრბოდი დამეული პარიზის ქუჩებში, თუმცა მაშინაც კი, როცა „ცელქობის“ რაღაც მანსი გამჩენია, ისევ ეს ჩემი წყეული გაუბედაობა მბორკავდა, ვინმე ეულად მოსეირნე გოგონასთან გამოლაპარაკება მომეხერხებინა. არადა, პარიზის რამდენი ქუჩა დამივლია თავიდან ბოლომდე, რამდენი საათი ვმჯდარვარ იქაური კაფეების ტერასებზე! ეჭვი არაა, უამრავი იქნებოდა ჩემსავით სიმარტოვის წამლის მაძიებელი, ოღონდაც, თავად ხომ არ გადმოდგამდნენ პირველ ნაბიჯს... ხშირად ყოფილა, სრულიად შეუხედავსაც კი ავდევენებივარ, რაც შემეძლო, ვნებიანი მზერითაც მივმტერებივარ, ტრამვაის ვაგონშიც ავყოლივარ, გვერდითაც მივჯდომივარ, არმიყობის ყველა წესის დაცვით, ვითომ უნებლიეთ, მუხლი მუხლზეც გამიხახუნებია, მაგრამ რად გინდა - წამსვე წამოხტებოდნენ და განანყენებული სახით სხვაგან გადაჯდებოდნენ ხოლმე!

„რაო,“ - ვამუნათებდი საკუთარ თავს, - „სადაა ის ჯიბე, რომელშიც მთელს თუ არა, ნახევარ პარიზს მაინც უპირებდი ჩასმას?! დახვეწილს ვინ ჩივის, გონჯებიც კი არ გეკარებიან...“

და ასე და ამგვარად, შუაგულ პარიზში, სალვადორ დალი სასტუმროს ოთახში, ხის უბრალო სანოლზე იწვა და ან ხელმრუშობდა, ანდა კათოლიციზმის აკრძალვათა არსის რაობაზე იტყუებდა ტვინს!

მახსოვს, ერთხელაც, რობერ დენოს შევეჩხე ქუჩაში და თავისთან დამპატიჟა. იმ ხანებში ერთ რომელიმე სურათს მუდამ დაიღლიავებულს დავატარებდი ხოლმე აქეთ-იქით - იქნებადა, ვინმე მაინც დავაინტერესო-მეთქი. რობერი თანახმა იყო, ეყიდა, მაგრამ რა გინდა, რა - ისიც ჯიბეგახვრეტილი გახლდათ. ბევრი კი მიქო სურათი, რომელსაც „გაბაფხულის პირველი დღე“ ერქვა და რომელზეც ლიბიდონარევი სიამოვნებანი მქონდა ასახული: „ამგვარი პარიზში ჯერ არავის დაუხატავსო!“ - იმეორებდა წამდაუნუმ. მერე კი რატომღაც რობესპიერზე გადავიდა, გამონვლილვით არჩევდა მის წარმატებულ თუ დამღუპველ ქმედებებს... გულმა ძილისაკენ გამიწია.

ისე, უნდა გითხრათ რომ მეტად საინტერესო რამ მჭირს: როგორც კი ხალხი საფრანგეთის რევოლუციამზე ჩამომიგდებს სიტყვას - მანსი არაა, მეორე დღეს უცილობლად ავად უნდა

გავხდე. მაშინაც ასე მომივიდა - ანგინა დამემართა და ლოგინად ჩავვარდი. მთელი კვირა გავატარე მარტოვამ, ყველასაგან მივინწყებულმა, სასტუმროს გამოცარიელებულ ოთახში და, რაც მთავარია, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი ეჭვი მიჩნდებოდა ამ დანესებულების სისუფთავეში...

სწორედ იმ დღეს, როცა უკვე ლოგინიდან წამოდგომასა და გარეთ გასვლას ვაპირებდი, ორი თუ სამი მწერი შევამჩნიე ჭერზე, ოღონდ ვერ დამედგინა - პანია ტარაკნები იყო ეს თუ ბაღლინტოები. ოთახს მაღალი ჭერი ჰქონდა და სულ ტყუილად დავძვრი ბალიშების სროლით, ეგაა, რომ ნაავადმყოფარსა და დასუსტებულს, ამ ბალიშ-მუთაქების ბევით სროლამ ისე გამომაცალა სიქა, ისევ ლოგინზე მივეგდე და ისევ ჩამეძინა. როგორც კი თვალი გავახილე, უპირველესად ჭერს მივაშტერდი, მაგრამ იქ მხოლოდ ერთი მწერიღა დარჩენილიყო! სავსებით შესაძლებელი ჩანდა, ორი დანარჩენი თავზე დამცემოდა და ახლა ალბათ ჩემი სისხლით იბერებოდნენ! მთელი თეთრეული გადმოვფერთხე და მერე საკუთარი ტანის თვალიერება დავიწყე სარკეში. შევათვალიერე და რას ვხედავ - ბურგზე, ზედ კისერს ქვემოთ, პანია ლაქა მომიჩანდა! როგორ არ ვეცადე, მაგრამ მეტად უხერხულად გილას იყო და თითებით ვერას გავხდი, რაც მეტად ვცდილობდი მის მოშორებას, თითქოს სულ უფრო და უფრო მყარად მიჭდებოდა კანში...

კარგად მახსოვს, ასეთი რამ სოფელში ძაღლებს ემართებოდათ ხოლმე: ტკიპა აუნებებოდათ ყურზე და სისხლგამოუდენლად მერე ველარაფრით მოაცილებდი. თვალეები დავხუჭე, კბილები გავახრჭიალე და შევეცადე, ფრჩხილებით მომეგლიჯა მწერი საკუთარი სხეულიდან. შენც არ მომიკვდე - ტკიპა მართლა ტკიპასავით ამკრობოდა და სრულიად ვერაფერი მოვუხერხე.

ლამის იყო, ჭკუას გადავსულიყავი, თუმცა რაღა ლამის - სამართებელს დავავლე ხელი და შევეცადე, მთლიანად ამომეჭრა ის საკუთარი ტანიდან. პირველი ცდით არაფერი გამომივიდა, მეორეჯერ შევეცადე, მესამეჯერ... სისხლი, შეიძლება ითქვას, უკვე თქრიალით მომდიოდა! ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მაინც მივადნე ჩემსას. სამართებელი დავაგდე, ტელეფონთან მივედი და სასტუმროს ექიმი გამოვიძახე; რომ მოვიხედე, მთელი იატაკი სისხლით მქონდა მორწყული.

შევეცადე, ექიმის მოსვლამდე როგორმე მაინც გადამეხვია კისერი და სისხლდენა შემეჩერებინა, კვლავ არაფერი გამომივიდა. პირსაბანთან მივედი, სისხლის ჩამორეცხვა ვცადე. ამან უარესი მიქნა, წყალიც სისხლისფრად შეიღება და სააბაზანოს ფილაქანიც სასაკლავოს იატაკს დაემსგავსა. ახლა მსახურის გამოსაძახებელ ზარს ვეცი და იმდენი ვრეკე, სანამ კარი არ გაიღო და რამდენიმე კაცი ერთდროულად არ შემომივარდა ოთახში.

მათ შორის ერთი მოახლე გოგო იყო და როგორც კი ოთახს მოავლო თვალი, სუსტად წამოიკვივლა, ხელები გაასავსავა და იქვე ჩაიკეცა გონდაკარგული. ეს კიდევ არაფერი, სხვები ისე მიყურებდნენ, სახეებზევე ეტყობოდათ, გადანწყვიტეს, რომ მკვლელი ვიყავი და ვიღაცა ნაკუნ-ნაკუნ ამექნა სააბაზანოში. ვცდილობდი, რაღაც მაინც ამეხსნა, ხელებს ვიქნევდი უაზროდ, მაგრამ ეგაა, სიტყვა „ტკიპა“ ვერაფრით გავიხსენე ფრანგულად. ბოლოს ავუხსენი, ბაღლინტომ მიკბინა-მეთქი. ახლა მათთვის ყველაფერი ცხადი გახდა და მხოლოდ სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლასღა ელოდნენ, როგორც მერე მითხრეს, თურმე ფსიქიატრიულშიც დაერეკათ... ვერ გეტყვით, საბოლოოდ რითი დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, ამ დროს ექიმიც რომ არ შემოსულიყო. ერთი დამხედა და მითხრა - ბენჯზე ხართ გადარჩენილი, ხალის ასე საკუთარი ხელით ამოჭრამ უარესი შეიძლება დაგმართოთ. ვუმტკიცებდი, არაფერი ეგეთი თავშიც არ გამივლია-მეთქი, მეგონა, ტკიპა იყო-მეთქი, მაგრამ ზედ ეტყობოდა, სიტყვაც არ სჭეროდა ჩემი.

„მესმის, როცა ამგვარ ოპერაციას ქალები იკეთებენ, ისიც - საავადმყოფოში, როცა ასეთი წანაზარდი ყელზე, სახეზე ან თუნდაც ხელზე აქვთ ხოლმე, მაგრამ - ბურგზე?! თანაც - საკუთარი ხელით?! გიჟი ხართ, მე და ჩემმა ღმერთმა...“ - დაამატა და თავის ქნევით გავიდა ოთახიდან.

ერთხელაც, კაფე „ტაბარინში“ ვიჭექი ნაცნობთან ერთად და რატომღაც ახლად შემოსული, მოხდენილად ჩაცმული წყვილი გამოვარჩიე.

„ეგ პოლ ელუარია, სიურრეალისტი პოეტი,“ - მეუბნება ჩემი ნაცნობი, - „ცნობილი ვინმეა

და, რაც მთავარია, ნახატებს ყიდულობს. ნაღდად ვიცი, ცოლი შვეიცარიაში ჰყავს, ეს კი ალბათ რომელიმე მისი თაყვანისმცემელთაგანი იქნება...”

გამოვეცნაურეთ და, როგორც ეს მიღებული იყო, მაგიდასთან მივიპატიჟეთ. ჩვენ მამპანურს ვსვამდით, მათაც იგივე მოითხოვეს და მშვენიერი წყნარი საღამო გავატარეთ ერთად. ოღონდ ეგაა, დიდი ვერაფერი საუბარი გამოგვივიდა - ელუარი, ძირითადად, საკუთარი თანმხლების ცქერით ტკებოდა. თუმცა, სასხვათაშორისოდ კი დამპირდა, ამ ბაფხულს უთუოდ გესტუმრები კადაკესშიო.

იმავე ღამეს ესპანეთს მივემგზავრებოდი მატარებლით. დილით, თვალი რომ გავახილე, უკვე ამპურდანის მზით გაჩახჩახებული დაბლობი მოჩანდა ფანჯრიდან და სულ მალე ფიგურასშიც ამოვყავი თავი. უკვე იქიდან კადაკესში გავემგზავრე და, თუ დამიჭერებთ, პირველივე დღიდან ჩემი ბავშვობის მოგონებების ტყვეობაში აღმოვჩნდი: ბაკალავრის დიპლომის ძიებაში გატარებული ექვსი წელი, სამი წელი მადრიდში ცხოვრება, პარიზული ხანა - ყველაფერი ეს გაფერმკრთალდა და სულაც იმ ბავშვობის მოგონებებში ჩაიძირა. ისევ მომეძალა ამაფორიაქებელ ხატებათა უწყვეტი ჯაჭვი, რომელთა დროსა და სივრცეში ზუსტად მოქცევას ვერც კი ვახერხებდი, ოღონდაც სრულიად დარწმუნებული გახლდით - ოდესღაც ისინი მართლაც უკვე მქონდა ნანახი. მაგალითად, ისევ ვხედავდი ირემს, მწვანედ შეფერილს, რომელსაც თავზე ოქროცურვილი რქების ვარჯი ადგა - ჯერ კიდევ მაშინდელ ზმანებას, როცა კალციუმის ნაკლებობის დიაგნოზი დამისვეს ბავშვობაში. თუმცა, ამ ზმანების თავად კონტურები იმდენად მკვეთრი და ცოცხალი იყო, შემეძლო, ქალაღდბეც სულ იოლად გადამეტანა.

ერთხანს სწორედ ამ საქმით გახლდით დაკავებული და ბოლოს გადავწყვიტე, ერთი ისეთი ნახატიც შემექმნა, სადაც ამ ხილვათა უმეტესობას მაინც მოვუყრიდი თავს.[11] საბოლოოდ, ეს ნახატი აღმოჩნდა სწორედ პირწმინდა სიურრეალიზმით აღბეჭდილი.

მახსოვს, იმხანად უთენია ვდგებოდი, ჩაცმაც მეზარებოდა და პირსაც კი არ ვიბანდი, ისე მივუჯდებოდი ხოლმე მოლბერტს. ამრიგად, დილით პირველს იმას ვხედავდი, რასაც ძილის წინ ბოლოს მოვაცილე თვალი. ზოგჯერ ღამითაც გამედვიძებოდა ხოლმე, სანათს მივანათებდი და კარგა ხნით მივაშტერდებოდი დაუმთავრებელ ნახატს; ზოგჯერ კი მთვარის შუქიც მყოფნიდა... ამ დროს ისეთი გრძობა მიჩნდებოდა, თითქოს რაღაც მედიუმი ვიყავი და საკუთარ წარმოსახვაში თავისით, უცაბედად გაჩენილი „ხილვების“ ტილოზე გადატანას ვცდილობდი. საღამოობითაც, მოლბერტთან დგომისაგან ლამის წელკავგაჩენილი მანამ ვმუშაობდი, სანამ სინათლე მყოფნიდა. სავსე მთვარე თითქოს რაღაც ქალურ საწყისს აღვიძებდა ჩემში და ჩემივე „რიოში მოგონებების“ გალუშკა მელანდებოდა, რომელსაც ასევე ემატებოდა წლები... უკვე ვგრძობდი, სადღაც ახლოს იყო, ჩემკენ მოდიოდა, მიახლოვდებოდა და რაც უფრო გარდაუვალი ხდებოდა ჩვენი შეხვედრის წამი, მით მეტ ტკივილწარევე სიამეს მგვრიდა ეს ჩემი მარტოსულობა. ახლა თითქოს პირიქით, ფრჩხილებით ვეპოტინებოდი საკუთარ თავთან დარჩენის ამ უძვირფასეს წამებს!

ერთხელაც, როცა იმ „თაფლზე უფრო ტკბილ“ ხორციელ სიამეთ ვეძლეოდი, ამ დროს სული ჩემი, შეურყვნიელი, მის გვერდით რიალებდა, ის კი, უბინო და ხელშეუვლები, მოლბერტთან იჭდა გაუნძრევლად... ღმერთო ჩემო, ნუთუ არასოდეს ეძინა?!

ერთიცაა, თუკი ცნება „სული“ დამცდა სადმე, ამას მხოლოდ ალეგორიულ მნიშვნელობას ვანიჭებ; თუმც ეს სრულიად საცნაური ალეგორიაა, რომელსაც კარგა დიდი ადგილი ეჭირა ჩემს იმდროინდელ ფანტაზიებში. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ რასაც ახლა მოგიყვებით, სულაც არაა ალეგორია, სრულად სულისმიერი ხილვაა - ერთადერთი, რაც მართლა მეწვია ცხოვრებაში და ამიტომაც, წვრილად მინდა მოგითხროთ, რათა მკვეთრად გავმიჯნოთ ჩემეული „ხილვები“ ჩემივე ფანტაზიებისა თუ აჩემებებისაგან. მათ შორის განსხვავება კი ისაა, რომ ეს უკანასკნელნი, მართალია, ხშირად რეალურად „მსტუმრობდნენ“, მაგრამ სამედიცინო გაგებით, ხილვა-ჰალუცინაციასთან არაფერი ჰქონდათ საერთო.

ეს ერთ კვირა დღეს მოხდა: ასე, თორმეტის ნახევარი თუ იქნებოდა, მოშარდვის გამძაფრებულმა სურვილმა წამომავდო ლოგინიდან და კიბეზე ქვევით, სააბაზანო ოთახისაკენ დავემვი. მერე, დაახლოებით თხუთმეტი წუთი, მამაჩემს გავესაუბრე (ის

თავგამოდებული მიდასტურებს ამ ფაქტს - რაც გამორიცხავს ვარაუდს, თითქოსდა ბეზერად მეძინა), სანოლ ოთახში ავბრუნდი და კარი შევალე თუ არა, თვალი ვკიდე უცნობ, სიფრიფანა მოსასხამში გახვეულ, მაღალი აღნაგობის ქალს. ნანახის, ასე ვთქვათ, „აბსოლუტური რეალურობის“ მიუხედავად, წამითაც არ გამჩენია ეჭვი, რომ ეს უბრალო ჰალუცინაცია იყო. თუ გინდა, დაწევი და ისე უყურე ამ შენს მოჩვენებას-მეთქი, ვუთხარი საკუთარ თავს; მაგრამ როგორც კი საბანი წავიფარე, ეს ქალი თუ მისი ხატება, მეყსეულად გაქრა.[12]

ამ შემთხვევამ იმგვარი აზრი გამიჩინა, რომ ეს „ხილვები“ აღარასოდეს დამანებებდნენ თავს, თუმცა მოვტყუვდი და ისინი აღარასოდეს გამმეორებია. მე თუ მკითხავთ, იმ დროს იმდენად „არანორმალურ“ მდგომარეობაში ვიყავი, წესით, საერთოდ არაფერი არ უნდა გამკვირვებოდა. ბოლოს და ბოლოს, იქნებოდა, ნორმალურის და პარანორმალურის განსაზღვრა შესაძლებელიც იყოს, ოღონდ ადამიანის წარმოსახვისათვის მათი მიჯნების დადგენა შეუძლებელია. ეგეც რომ არა, როცა ვამბობ, არანორმალურ მდგომარეობაში ვიყავი-მეთქი, ვგულისხმობ - იმ მდგომარეობასთან შედარებით, როგორშიც ახლა, ამ სტრიქონების წერისას ვარ...

თუმცა, მაშინაც მალევე, სულ რაღაც ერთი წლის თავზე გამოვედი ამ მდგომარეობიდან და ჩემი დევიზიც - „ირაციონალური ირაციონალურობისათვის“, ლამის კათოლიკური შინაარსის დატვირთვის მქონეთი შევცვალე - „ირაციონალური ირაციონალურობის დასათრგუნად!“

\*

ასე რომ, 1929 წელს თეთრად მოქათქათე კადაკესში დამთავრდა ჩემი ყრმობა და მონიფულობაში გადასული, საკუთარივე ფანტაზიების სიხელეს ვებრძოდი. ჩემივე სულიც მოკავშირედ მექცა და დღემუდამ იმას მომძახოდა - სწორედ ასე, სალვადორ, და მხოლოდ ასეო!

იმ ხანებში სურათებით მოვაჭრე კამილ გომანსისაგან მივიღე შემოთავაზება. როგორც იურისტი, მამაჩემიც ძალიან დამეხმარა და საბოლოოდ, ამგვარ შეთანხმებას მივალწიეთ: მე სამი ათას ფრანკს მივიღებდი, გომანსი კი ყველა იმ ზაფხულს დახატულ ჩემს სურათს წაიღებდა პარიზში გამოსაფენად. გაყიდვიდან წილი ერგებოდა, რაღა თქმა უნდა, და ამას გარდა, თავისივე შერჩეულ სამ სურათსაც დაიტოვებდა. აქ მთავარი ის იყო, რომ მამაჩემი დარჩა კმაყოფილი, თორემ პირადად მე ფულისა ჯერ ისევ არაფერი გამეგებოდა და სრულიად დარწმუნებული გახლდით, რომ ხუთასი ფრანკი - წვრილ კუპიურებში - უფრო მეტხანს მეყოფოდა, ვიდრე ერთი ათასფრანკიანი ასიგნაცია!

მალე რენე მაგრიტი გვესტუმრა მეუღლესთან ერთად და ელუარმაც მომწერა, ჩამოვდივარო. აი, ლუი ბუნუელი კი გაუფრთხილებლად მოგვადგა კარს... მოკლედ, ოთხი თუ ხუთი დღე იმ სიურრეალისტებით ვიქნებოდი გარშემორტყმული, რომლებმაც პატივი დამდეს და ერთადერთი მიზნით - ჩემს უფრო ახლოს გასაცნობად ჩამოვიდნენ კადაკესში: ბოლოს და ბოლოს, ეს პატარა ქალაქი სხვაფრივ ვერაფრით მოიზიდავდა ამგვარ ხალხს, თუ რა თქმა უნდა, ჩემსავით საკუთარი სახლი არ ეგულებოდათ იქ.

ოღონდ, ელუარსა და მის მეუღლეს ცოტა დაუგვიანდათ - შვეიცარიიდან მოემგზავრებოდნენ და მთლად არაქათგამოცლილებმა ჩამოაღწიეს ჩვენამდე. ბოდიშის მოხდით, მაშინვე საძინებელ ოთახს მიაშურეს. ხუთ საათზედა დავთქვით შეხვედრა სასტუმრო „მირამარში“.

ელუარის ცოლი, გალა, მეტად სანდომიანად გამოიყურებოდა, თუმცა ზედ ეტყობოდა, კადაკესში ჩამოსვლით მაინცადამაინც აღტაცებული არ ჩანდა. საღამოს, სეირნობისას, რაღაც-რაღაც მაღალ მატერიებზე ვესაუბრებოდი და გაკვირვებულმა მითხრა - თქვენი გრძელი თმისა და პროფესიონალი არგენტინელი ტანგოს მოცეკვავის მიმოხვრის პატრონი, ცოტა სხვანაირი მეგონეთო. ცოდვა გამხელილი სჯობს და, სრულ სიმართლეს კი მეუბნებოდა. მაღრიდში ათასგვარი ზიზილ-პიპილების ტარებას დავეჩვიე, ყბების სილურჯემდე პარსვას, თეთრ შარვლებსა და აბრეშუმის პერანგებს. ის კი არა, ჩვევად დამრჩა - სახლში სარკის წინ ტიტლიკანა დავდებოდი და რიოში მარგალიტების, ლითონის სამაჭურებისა თუ ნაირფერი ყელსახვევების მორგებაში ვიყავი... საღამოობით საკუთარ ნახელავ უსაყელო, სქელი ნაჭრის პერანგებს ვიცვამდი შიშველ ტანზე, რაც



განსაკუთრებით ქალურ იერს მძენდა.

ელუარსაც ბევრი ველაპარაკე - ის ამჟამად ლორკას ალი-კვალი პოეტი იყო, დიადი და საოცრად თვითმყოფადი. მეგონა, ქალაქის სანახების ქებას მოჰყვებოდა, მაგრამ ჩემს მიაშიტურ შეკითხვაზე ასე მიპასუხა, ჯერ ბოლომდე ვერ გავითავისეო.

შემდეგი შეხვედრა მეორე დღისათვის დავნიშნეთ, ჩემი სახლის წინ: ასე ვუთხარი, თერთმეტი საათი საუკეთესო დრო იქნება ზღვაში საბანაოდ და ქვიშაც უკეთესი სხვაგან არსადაა-მეთქი.

მეორე დღით რაღაც აფორიაქებულმა გამოვიდვიძე. თითქოსდა, ისეთივე არაფერი - მეგობრები უნდა მოსულიყვნენ და ერთად გვეჭყუმპალავა ზღვის ტალღებში... ოღონდ რატომღაც, ჩემი ცხოვრების გარკვეული წესისა და დილის საათებში მუშაობის განრიგის შეცვლამ ისეთი გრძობა გამიჩინა, ვითომც რაღაც დიადი გარდაქმნებისა და ქარტეხილების წინაშე ვიდექი.

მაშინ ვერაფერს გეტყოდით, თუ საიდან გამჩენოდა ეს უცნაური გრძობა; შინ სადილაო ფუსფუსის ჩვეულებრივი ხმები მოისმოდა - იქ სამზარეულოს კარი გაჭახუნდა, აქ შემოსასვლელი კარის საკეტმა გაიჩხაკუნა... გარეთ მწყემსმა გარეკა ცხვრის ფარა საძოვარზე, ზღვიდან კი მეთევზეების გადაძახილი აღწევდა ჩემს ყურამდე. თითქოსდა არაფერი შეცვლილიყო, ჩვეულებრივ მიდიოდა ყველაფერი, მაგრამ თავად ჩემთვის ფუნჯის ხელში აღებას აზრი აღარ ჰქონდა - ცხადი იყო, არაფრის გამკეთებელი მე აღარ ვიყავი. ჩემი საუკეთესო პერანგი გადავიცვი, სახელოები დავიკაპინე და მისი „დიზაინის“ გაუმჯობესებას შევუდექი: კალთები უსწორმასწოროდ შემოვუკვეცე, ცალ გვერდზე გავხიე, მეორეზე გავხვრიტე, მკერდზე ღილები დავაჭერი... მერე აქაც იგივე პრობლემა დამიდგა - საერთოდ, რა საჭირო იყო საყელო? ერთადერთი დარჩენილი ღილით ყელთან გავიყრონჭე, სამაგიეროდ, მთელი საყელო მოვარღვიე.

ასე სახელდახელოდ, ამაზე უკეთესი რა საცურაო კოსტიუმი უნდა მომეგონებინა?!

მოკლედ, მზად ვიყავი. მზად - რისთვის? ამ დროს ქალაქის მთავარმა ბარმაც ჩამორეკა მერიის შენობაზე. ფანჯარასთან მივედი და ფარდა გადავნიე. ის უკვე იქ იყო. ვინ ის? - მკითხავთ ალბათ. ნუ მაჩქარებთ! ის-მეთქი, გეუბნებით მე თქვენ და ესეც საკმარისი უნდა იყოს - გალა, რა თქმა უნდა, იმ ოხერი ელუარის ცოლი! სწორედ ის იყო - ჩემი გალუშკა, Rediva! სწორედ მაშინ ვიცანი პირველად, თუმცა ბურგით იდგა და სხეულსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ქალწულის აღნაგობა, ოღონდ ლავინის ძვლებსა და ბურგის კუნთებს კი უკვე დასტყობოდათ ქალური ბრდასრულობის სიმრგვალე.

მერე ერთთავად იმის ცდაში გახლდით, მცირე რამ ყურადღება მაინც გამომეჩინა მისდამი - ან გასაბერ ბალიშს მივუტანდი ხოლმე, ან ჭიქა ცივ წყალს, ხანაც უკეთეს ადგილს შევურჩევდი წამოსაწოლად. მისთვის ფეხსაცმლის გახდა-ჩაცმას ხომ ვერავინ მასწრებდა. აქეთ-იქით სეირნობისას, თუკი შემთხვევით ხელზე შევეხებოდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა და თითქოს ვიღაც გოლიათმა დაარხიაო, ირგვლივ ჩემი ეროტიკული გმანებების ხის უმნიფარი ნაყოფები ცვიოდა...

თუმცა თავად გალას, რომელიც შემდგომ წლებში, თავისი ცხოველური ინტუიციით ჩემი სულის სულ მცირე ძრაობებსაც კი მუდამ წამსვე უღებდა ალღოს, მაშინ აზრადაც არ მოსდიოდა, თუკი უკვე უკიდევანოდ შეყვარებული ვიყავი. ის მე გენიოსის ერთგვარ ნაირსახეობად მთვლიდა - სანახევროდ შერევილად და ჩემგან მხოლოდ ის სჭირდებოდა, მისი საკუთარი მითის შექმნაში დავხმარებოდი. ყოველ შემთხვევაში, იმდენს კი ხვდებოდა, რომ ამგვარი დახმარების ხელი მე და მხოლოდ მე შემეძლო გამეწოდებინა!

იმ დღეებში ჩემი ერთი უკვე დასრულებული ნახატი იქცევდა საყოველთაო ყურადღებას, რომელსაც სახელი თავად პოლ ელუარმა შეურჩია - Le Jeu Lugubre.[13] ექსკრემენტები ზედ იმგვარი რეალისტურობითა და ცხოველმყოფელობით იყო გამოსახული, რომ ყველას ერთი აზრი აეკვიატა - ვიყავი თუ არა მე კოპროფაგი (ანუ, ხალხურ ენაზე - ქაქიჭამია), და ეს აკვიატება უკვე ამჟამად ხელს გვიშლიდა ურთიერთობაში. ამიტომაც, სწორედ გალამ ითავა, ერთი-ერთზე დამლაპარაკებოდა და ეს საკითხი ძირისძირამდე გაერკვია.

მეორე დღეს სასტუმრო „მირამარის“ შესასვლელში შევხვდით ერთმანეთს და მახლობელი კლდეებისაკენ გავეშურეთ სასაქონლო. უხმოდ მივაბიჯებდით - ველოდი, პირველი თვითონ როდის დამელაპარაკებოდა; მაგრამ ასე ჩანდა, საჭირო სიტყვებს ვეღარ პოულობდა. ვიფიქრე, საქმეს გავუადვილებ-მეთქი და თავად წამოვიწყე ამ საჩოთირო თემაზე საუბარი. აშკარად მადლობელი დამირჩა, თუმცა ისიც მაგრძობინა, ეს ამბავი მე წამოვიწყე და არავითარი ხელის ნაშველება არა მჭირდებაო. ახლა შევეცდები, ჩვენი ეს პირველი საუბარი ზუსტად აღვიდგინო მეხსიერებაში: „იმ შენს სურათზე მიხედოდა მეთქვა...“

ისევ გაჩუმდა. ხმა არ გამიღია, ვაცდიდი, სანამ თავად ჩამოაყალიბებდა სათქმელს. მაშინ მეც მეტი საშუალება მექნებოდა, სხვა რამეებზეც მელაპარაკა.

„... ჩვენ ყველანი იმ აზრისა ვართ, რომ გამორჩეულად მნიშვნელოვანი ნამუშევარია და სწორედ ამიტომაც გვინდა ვიცოდეთ, რას მიანიშნებს გარკვეული დეტალების მიმართ შენი ამგვარი განსაკუთრებული ყურადღება... თუკი ეს „რადაცები“ მართლაც შენი ცხოვრების ნაწილია, ყველა ჩვენგანისთვის ეს სრულიად მიუღებელია და ამბზრზენიც კი, მაგრამ თუკი ამ ხერხს რადაც გარკვეული იდეების განსახორციელებლად იყენებ - მეტად სახიფათო თამაშია და შეიძლება მთელ შენს შემოქმედებას კვალი დაატყოს...“

ერთი პირობა, ტყუილის თქმაც კი დავაპირე - ვიფიქრე, საკუთარ ფსიქიკურ გადახრა-აბერაციას თუ ვაღიარებ, ვაცმა არ იცის, იქნება და, მათ თვალში კიდევ უფრო ავმალდე-მეთქი... მაგრამ გალას ტონიცა და სახის გამომეტყველებაც იმდენად ალალი იყო, ვეღარ გავრისკე: „გეფიცები, ეგეთი არაფერი არ მჭირს! უბრალოდ, სკატოფაგია გამოსახვის იმგვარადვე დამზაფვრელ ელემენტად მიმაჩნია, როგორც თავად სისხლი.“

პასუხმა, როგორც შევატყვე, სავსებით დააკმაყოფილა. ოღონდ ეგ იყო, სახის გამომეტყველებამ მიმახვედრა, რომ კიდევ ჰქონდა რადაც საკითხავი. დავაპირე, მეთქვა - მიდი, ნუ გერიდება, ბოლომდე ამოთქვი-მეთქი სათქმელი, მაგრამ უეცრად, მისი სხეულის იმწუთიერი რეალობა იმდენად საცნაური გახდა ჩემთვის, რომ ენაც კი დამება. მიხედოდა, ხელით შევხებოდი, ხელი შემომეხვია წელზე, და სწორედ ამ დროს თავად გამომდო ხელკავი და მეც, მეტისმეტი დაძაბულობისაგან, უეცრად სიცილი ამიტყდა. არა, არ სწყენია - იმ თავისი მედიუმისებური ალლოთი წამსვე მიმიხვდა ყველაფერს: ჩემი სიცილი, ასე ვთქვათ, სკეპტიციზმის გამოხატულება არ ყოფილა - ეს ჩემი ფანატიზმის გამოვლინება უფრო იყო: იმ ფანატიზმის, რითაც მომავალში ჩვენი ურთიერთობა იქნებოდა დადღასმული!

და სწორედ მაშინ მითხრა: „ჩემი ბიჭი... ჩვენ არასოდეს დავცილდებით ერთმანეთს!“

ასე და ამგვარად გამომეცხადა იგი, ვითარცა ჩემი Gradiva,[14] ჩემი მომავალი მეუღლე, ჩემი ბეობის სიმბოლო! ახლა კი სწორედ ამ ქალის სიყვარულის მეშვეობით ჩემს განკურნებაზე მოგიტხრობთ: ჩვენი გრძობიერი ურთიერთობების საწყისი ავადმყოფური გადახრებითა და ფსიქოპათოლოგიური ნიშნებით იყო აღბეჭდილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედაც ჩემივე გაჭიანურებული ინფანტილიზმის ბოღვითი ილუზიებით საზრდოობდა რწმენა - ზრდასრული გალა სწორედაც ის ჩემი „რიოში მოგონებების“ გოგონა იყო, რომელსაც მე გალას კნინობითი ფორმით, გალუშკათი ვისხენიებდი. თავბრუსხვევებიცა და კლდიდან გადმოხტომისა თუ ვილაცის გადმოგდების სურვილიც სულ უფრო ხშირად მიჩნდებოდა. მართო ის რად ღირს, რომ რა კლდეზეც არ უნდა ავფორთხებულებიყავი, გალასაც ვაიძულებდი, უკან მომყოლოდა; წვერზე ასულები, დიდრონ ნატეხებს ვისროდით უფსკრულში და ახლა ვხვდები, ამით ვიხმობდი მკვლელობისა თუ საკუთარი თავის მოკვდინების ქვეცნობიერ სურვილს. საბოლოოდ, ამ სახიფათო გართობაზე სწორედ იმისმა შიშმა მათქმევინა უარი, რომ ოდესმე თავად გალუშკასთვის არ მეკრა ხელი...

\*

თუ ნებას მომცემთ, ამასთან დაკავშირებით ახლა ერთ აღმოსავლურ ზღაპარსაც ვიამბობთ:

შაქრისცხვირიანი მანეკენის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე, რომლის ცხოვრების წესი მეტად აკვირვებდა

ყველას: ყოველ სისხამ დილით სამ ულამაზეს გოგონას შეუშვებდნენ ხოლმე მის ყვავილნარში, ვარდების მოსარწყავად; მეფეც აივნიდან ადევნებდა მათ თვალს და კარგა ხნის ჭოჭმანის მერე, ერთს შეარჩევდა - ის უნდა დანოლილიყო მასთან იმ ღამით სურნელოვანი სანთელ-საკმეფლით გარს შემონცობილ სამეფო სარეცელზე. გოგონას უძვირფასეს დიბა-ატლასში გამოაწყობდნენ, კვერცხის გულისხელა ლალისა და საფირონის ქვებით შეამკობდნენ და მთელი ღამე ასე უნდა ნოლილიყო გაუნძრევლად - ან მართლა უნდა დაეძინა, ან თავი მოემკვდარუნებინა. თავად მეფე არასოდეს შეხებია რომელიმე მათგანს, თითიც კი არ დაუკარებია; მხოლოდღა ალიონზე, საძინებელში მზის პირველი სხივის შემოსვლისთანავე, ხმლით წააცლიდა თავს...

თავის რჩეულზე მისათითებლად მეფე აივნის მოაჯირზე გადაიხრებოდა ხოლმე და „აღუსრულებელი სიყვარულის“ მორიგ მსხვერპლს ერთსა და იმავე კითხვას უსვამდა: „თუ მეტყვი, რამდენი ვარდია ჩემს ბაღნარში?“

ამის გაგონებაზე საბრალომ უკვე უწყოდა, რა ბედიც ეწერა და თვალეზდახრილი, კითხვაზე კითხვით პასუხობდა: „განა რამდენი ვარსკვლავია ცაზე?“

მერე მეფე მოსასვენებლად მიდიოდა, გოგონა კი შინ გარბოდა, სადაც მწარედ აქვითინებული მშობლები მას სიკვდილთან საქორწინო ღამისათვის ამზადებდნენ. ერთხელაც, მეფემ მთელ სამეფოში მძვენებითა და ჭკუა-გონებით გამორჩეულ გოგონას დაადგა თვალი. შინ მიბრუნებულმა „საპატარძლომ“, მოთქმა-გოდების მაგივრად, ცვილის მანეკენი დაამზადა, რომელსაც ცხვირად შაქარყინულის ნატეხი მოარგო.

მოსადამოვდა თუ არა, გოგონა გრძელი თეთრი მოსასხამით შეიმოსა, მანეკენიც შიგ გამოახვია და სასახლის გზას დაადგა. მისვლისთანავე, მსახურებმა მოსასვენებელში შეიყვანეს, სადაც უამრავი სურნელოვანი სანთელი ენთო. მან შაქრისცხვირა ცვილის მანეკენი სანოლში ჩაანვინა და ულამაზესი თვალ-მარგალიტით შეამკო. თვითონ კი სანოლის ქვეშ შეიმალა და გაიტრუნა.

მეფე რომ შემოვიდა, მაშინვე გაშიშვლდა და როგორც თავად ეგონა, საკუთარ რჩეულს მიუწვა გვერდით. მთელი ღამე თვალმოუშორებლად შესცქეროდა, ოღონდ - როგორც ყოველთვის - თითიც კი არ დაუკარებია მისთვის. მერე, ისევ ჩვეულებისამებრ, როგორც კი რიჟრაჟის მოახლოება იგრძნო, ქარქაშიდან ხმალი ამოიღო და ერთი დარტყმით წააცალა თავი მანეკენს. დარტყმისას შაქარყინულის ნატეხი დაიმსხვრა და ერთი მომცრო ნამსხვრევი მეფეს ზედ ენაზე დაეცა. სიტკბოთი გაკვირვებულმა, მწუხარედ შესძახა: Dulcetta en vida, Dulcetta en mort, Se t'agues cone guda No t'auria mort!

რაც სიტყვასიტყვით სწორედ ამას ნიშნავს: ცოცხალიც ტკბილი იყავი, ტკბილი დამირჩი მკვდარიც.

ნეტავი, ადრე მცნობოდი, არ მომეკვება თავი!

ეს იყო და, სანოლქვეშ დამალული მზეთუნახავიც მეფის წინაშე წარდგა და ყველაფერი ალაღად უამბო.

უეცრად რაღაც ჯადოსნობის წყალობით მორჯულებულმა და საკუთარ სიმხეცეზე თვალახელილმა მეფემ გოგონა ცოლად შეირთო, მერე კი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ ერთად. აი, ასე დამთავრდა ეს ამბავი.

შაქრისცხვირა მანეკენის ზღაპრის ჩემული ახსნა

დავინცოთ ცვილით - როგორც განმსაზღვრელი და, გარკვეული აზრით, გადამწყვეტი მახასიათებლითაც კი: უპირველესად, შეგახსენებთ მის ფერსა და მოარულ გამოთქმას „ცვილისფერი დაედო“ და ამ გამოთქმის უშუალო ბმას სიკვდილთან; ასევე, მის სილბოს (რაც ადამიანის სხეულის კონსისტენციას გვაგონებს); მეტიც - ეს მასალა არა მარტო საუკეთესოა ცოცხალი ფორმებისა და არსებების წარმოსაჩენად, არამედ, ამავე დროს, ინერტულია და დამზაფრავი - გაიხსენეთ თუნდაც მადამ ტიუსოს ხელოვნური სასაფლაო სხვადასხვა მუზეუმებში. ამავე დროს, ცვილის ეს სილბო მისივე დამყოლობის წინაპირობაა, როცა მას სათანადოდ ვაცხელებთ - ეს სრულიად არაა დამახასიათებელი თითქოსდა იმავე ტიპის სუბსტანციებისათვის (წებო და სხვ.), რომელთაც, იმავე პირობებში,

პირიქით - გაშრობისა და გაქვავებისადმი მიდრეკილება გამოარჩევთ. ცვილის ამგვარი „გათხევადება“ და, შესაბამისად, ფორმის კარგვა, ზედმინევნიტ წააგავს გვამის ხრწნის პროცესს.

ამ მსგავსების მიუხედავად, როცა მყარიდან რბილ მდგომარეობაში გადადის, ცვილი, გვამისაგან განსხვავებით, საამოა ხელშესახებად და იქნებ სწორედ ამიტომაცაა, ყველა და ყოველგვარ სამგლოვიარო რიტუალში ცვილი უდიდეს როლს თამაშობს.

ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი ზღაპრისეული, ნეკროფილიური მიდრეკილებებით შეპყრობილი პერსონაჟის განცდები, როცა ის ნელი-ნელ მღვენტავი ცვილის სანთლების ნელსურნელებას შეიგრძნობს, რასაც მასში გაუნძრევლად მწოლიარე, სრულიად უსუნო, უსულო საგნის - ქალის მაგიერი მანეკენის სიახლოვე ინვევდა და რაც ასაზრდოებდა კიდევ მისი ნეკროფილიური, „ვნებიანი“ აბერაციის გამოვლინებებს.

ასე და ამგვარად, ცვილი თავად არის სიკვდილის შერბილებული და იდეალიზებული ფორმა. მეტიც, ამ შემთხვევაში სწორედ იგი იცავს ფსიქიკას ქვეცნობიერი კოპროფილიური ფანტაზმებისაგან, რაც უშუალოდ უკავშირდება „განავლად გარდაქმნილი მატერიის“ კვლავ გათავისების მოურეველ სურვილს. ამიტომაც, მისი შემცვლელი ცვილის მოჩვენებითი სილბო თუ სითბო რეალური ქვეცნობიერი მიდრეკილებების ჩამნაცვლებელია, რაც თავის უმაღლეს ნერტილს საქორწინო პირველი დამის მისტერიაში აღწევს.

ჩვენი ზღაპრის ზემოხსენებულ გმირს დავუბრუნდეთ: ცხადი ხდება, რომ სწორედ მისი ნეკროფილიური სურვილები უბიძგებს, შესაბამისი რიტუალური ქმედებით დაამთავროს „ნანატრი და დაუკმაყოფილებელი სიყვარულის“ აქტი. ყურადღება მიაქციეთ, რაოდენ მნიშვნელოვანი წინაპირობაა მსხვერპლის გაუნძრევლად წოლა - ანუ თავის მომკვდარუნება - და გარეგნული მხარეც შესაბამისი უნდა იყოს: სხეულის „მორთვა-გაპატიოსნება“ ნელსურნელებით, ძვირფასი ქვებითა და სამოსით, ასობით სურნელოვანი სანთლის დანთებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მთელი ეს ნეკროტული წინაპირობები მხოლოდღა სიკვდილის სიმულაკრუმია, პერსონაჟის პათოლოგიური მისწრაფებების იდეალიზებული გამოხატულება, როცა მსხვერპლი მანამდეა გარდაცვლილი, ვიდრე „კვანძი გაიხსნებოდეს“. ნათქვამი რომ შევაჯამოთ, მეფე უკვე მკვდარ სიყვარულს კლავს და სწორედ აქ აღწევს სიამის უკიდურეს ზღვარს - რაც მისივე ქვეცნობიერის გადახრებში მამაკაცური ჟინის დაცხრობასთან იგივდება.

სამაგიეროდ, ალღოს კარნახით, მზეთუნახავი იქცევა ზუსტად ისე, როგორც ფსიქოლოგიის ნებისმიერი თანამედროვე ექსპერტი ურჩევდა. მისი მომავალი საქმროს განკურნება მან ე.წ. „ჩანაცვლებითი თერაპიის“ მეშვეობით მოახერხა, რაც, ფაქტობრივად, ჯადო-მჩხიბაობის ტოლფასია. თავად ეს ცვილის მანეკენი მეფისათვის ცოცხალ მზეთუნახავთაგან ყველაზე განსაკუთრებული, „ცოცხალ-მკვდარი“, ურბილესი და მეტაფიზიკურად სასურველი უნდა ყოფილიყო; ხოლო მომძვრალი ცხვირი, რაც სიკვდილისმიერ დაშლასთანაა დაკავშირებული, სავსებით შესაძლოა, კასტრაციის იმ შიშს ინვევდეს, რაც დანაშაულისა და სასჯელის სიმბოლოდ შეიძლება აღვიქვათ. ანუ, მეფე თავისი კანიბალისტური, კოპრო-ნეკროფილიური მისწრაფებებით გულისგულში სწორედაც რომ სიკვდილის გემოს გაგებას ელტვოდა. ასევე, ის სიტკბო, რაც მან თავის ბაგებზე შეიგრძნო, ასე ვთქვათ, იმ ანტიკლიმაქსის გამოვლინებად იქცა, რომელიც ჩვილ ბავშვებს ახასიათებთ, როცა მათ დედის ძუძუს მოაცილებენ (დედები ხშირად კერტებზე მწარე საცხს ისვამენ და ჩვეული, დედისეული რძის გემოს ნაცვლად, ბავშვიც უსიამო და გულისამრევ განცდას ეზიარება, რაც საბოლოოდ უარს ათქმევინებს ხოლმე ძუძუს წოვაზე).

მოკლედ, საქმე ისაა, რომ მეფეს „გვამის ჭამა“ სურდა, ამის მაგივრად კი - სრულიად მოულოდნელად - ენაზე შაქარყინულის სიტკბოს შეგრძნების შედეგად, სწორედ ეს პათოლოგიური ლტოლვა გაუქრა. და რადგანაც ამ მოულოდნელობამ ერთგვარი ხიდი გადო სურვილსა და რეალობას შორის, სიკვდილისადმი ეს ავადმყოფური ჟინი ახლა უკვე სიცოცხლის წყურვილად გადაექცა და ამიტომაც, სიცოცხლის ნაღდი სიტკბოება სიკვდილის რიომ გემოს ჩაენაცვლა.

ცოცხალიც ტკბილი იყავი, ტკბილი დამირჩი მკვდარიც.

ნეტავი, ადრე მცნობოდი, არ მომეკვება თავი!

სწორედ ეს უეცარობაა (რაკილა პირველი ტაეპის სიტყვა „ცოცხალი“ მხოლოდღა მეორე ტაეპიდან გამომდინარეობს გაუცნობიერებლად), რითაც აქ სატრფოს მოკვდინების სინანული გამოიხატება, და რაც უკვე მეფის ფსიქიკური აბერაციების განკურნების წინაპირობა ხდება.

და მართლაც, ესაა ის, რაც საბოლოოდ მექცა ჩემი აზროვნების, ესთეტიკური მრწამსისა თუ მთელი ცხოვრების ლაიტმოტივად: სიკვდილი და აღდგომა. სწორედ გალამ, ჩემმა გრადივამ, თავისი სიყვარულის სიმულაკრუმებით გამომგლიჯა ზნეობრივ სიბნელესა და სიხელეს! ანუ - განხეთქილება ჩემი ბავშვობის რიოში მოგონებების გალუმკასა და არსებულ გალას შორის იდო, ჩემსავე მართობასა და ცხოვრების ნათელში გამოსვლას, ცნობიერ ყოფნასა და არყოფნას შორის... მოკლედ, შექსპირის ჰამლეტისეული დილემის პაროდირება რომ მოვახდინოთ, კაცმა რომ თქვას, აქ საკითხავიც არაფერია.

\*

ახლა, რაკილა ამ ზღაპრის ჩემეული ახსნა უკვე წარმოგიდგინეთ, შევეცდები, ჩემსა და იმ ზღაპრისეულ მეფეს შორის გავავლო პარალელი, რათა გალასა და ჩემი თანაცხოვრების ბერეალურობა უფრო საცნაური გახდეს მკითხველისათვის: თუ გახსოვთ, ბავშვობაში მეც მეფედ წარმომედგინა თავი: სხვადასხვა, სრულიად შეუსაბამო ნივთებიდან სამეფო რეგალიებს ვაკონინებდი და მონიფულობაში ეს შეგრძნება უკვე დაუძლეველიც კი გახდა..

მეც იმ მეფესავით მსურდა, ჩემი ბავშვობის გალუმკა გვერდით მწოლოდა გაუნძრევლად და თავი მოემკვდარუნებინა, ხოლო თუკი იგი რეალურ სახეს იღებდა (როგორც, ვთქვათ, ჩემი „უტყუარი მოგონებების“ დულიტას შემთხვევაში), ყველაფერი თავდაყირა დგებოდა და მუდამ რაღაც საშინელების ჩადენისაკენ მიწევდა გული!

ოღონდ ახლა, ამ ბაფხულს, იმ ქიმერული გალუმკასაგან განსხვავებით, გალას ცოცხალი სხეული ვერანაირად ვერ დაემორჩილებოდა ჩემს უტყვ ბრძანებებს და თავს ვერ მოიმკვდარუნებდა ჩემ ფერხით. ვგრძნობდი, რომ ახლა უკვე „დიდი ცხოვრებისეული გამოცდის“ წინაშე ვიდექი - სიყვარულის გამოცდის წინაშე - და ცხადია, ნახევრად შეშლილი ხელოვანის სიყვარული ვერაფრით დაემსგავსებოდა სხვისას! ხანდახან, სასტუმროში რომ მივაცილებდი, უნებურად წამოვიძახებდი ხოლმე გუნებაში: საშინელებაა, საშინელება! არადა, რა იყო აქ ასეთი?! თავადაც არ მესმოდა. მთელი ცხოვრება სულის ამ მდგომარეობას ვნატრობდი და ახლა, როცა ეს ნატვრაც ამისრულდა, შიშმა ამიტანა... იმგვარი წინათგრძნობა გამიჩნდა, როგორიც ალბათ ტორეროს თუ აქვს ხართან ბოლო დაპირისპირების წინ - ან მოკლავ, ან მოგკლავს.

გალა კი სულ უფრო ხშირად ახსენებდა იმ „რაღაცას“, რაც ჩვენ შორის „უცილობლად“ უნდა მომხდარიყო, რაღაცა „ძალზე მნიშვნელოვანი“, რაც გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ჩვენი „ურთიერთობისათვის“. ოღონდ, ღმერთმა უწყის, რამდენად შეეძლო მას ჩემ იმედზე ყოფნა, როცა თავად მე სიგიჟისა და „ნორმალურობის“ ზღვარზე ვიდექი? სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩემი ეს სულიერი მდგომარეობა თითქოსდა გადამდებ ავადმყოფობასავით იყო და უკვე თავად გალას სულიერ სიმშვიდესაც ემუქრებოდა... გრძელ-გრძელ, ლამის დაუსრულებელ პრომენადებს დავეჩვიეთ, სიტყვის უთქმელად, თითქოსდა უბრად მყოფნი დავბორიალობდით ხოლმე ბეთისხილის ჭალებსა თუ ბაღ-ვენახებში - თითქოსდა ფიზიკურად დაქანცვით გვსურდა საკუთარი ჩახლართული გრძნობების დათრგუნვა. მაგრამ გონების რა ძალას შეუძლია, ჩაახშოს დაუკმაყოფილებელი ინსტინქტები? ხანდახან მუხლებზე დავეცემოდი ხოლმე და დამტვერილ ფეხსაცმელებს ვუკოცნიდი! ერთხელ კი გალამ თავი ვეღარ შეიკავა და ხის ძირას არწყია - ეჭვი არ მქონდა, ეს მხოლოდ ნერვული სპაზმების შედეგი იყო და არა რაიმე საკვების მიუღებლობის. მერე ამიხსნა, ამგვარი რამ გარდატეხის ასაკიდან მჭირსო. სულ რაღაც რამდენიმე წვეთი ნანთხევი გადმოადინა, მისი სულივით გამჭვირვალე და თაფლისფერი...

სწორედ იმხანად მიყვავი ხელი სურვილთა მარდახშის ხატვას, სადაც თითოეულ სურვილს ლომის საზარელი თავი ადგა.

„მალე იმასაც გაიგებ, მე რა მსურს შენგან,“ - მეუბნებოდა ხოლმე გალა.

„ვაითუ, ეს დიდად არც განსხვავდებოდეს ამ ჩემი ლომის თავებისაგან...“ - ვფიქრობდი გუნებაში, მაგრამ თავად არასოდეს ჩავძიებოვარ, რას გულისხმობდა; ველოდი, როდის დასცდებოდა ის საკრალური ფრაზა, რომლის შემდეგაც უკანდასახევი გზა ორივეს მოჭრილი გვექნებოდა. მინდა გითხრათ, მანამდე ქალთან ურთიერთობაში კოიტუსამდე საქმე არც არასოდეს მიმსვლოდა და ასე წარმომესახებოდა, ეს რაღაც მტკივნეული და ჩემთვის ფიზიკურად სრულიად მიუღებელი რამ უნდა ყოფილიყო. იქნებ ამიტომაც, ხშირ-ხშირად ვუმეორებდი ფრაზას, რომელიც აშკარად საგონებელში აგდებდა: გახსოვდეს, ჩვენ ერთმანეთს შევფიცეთ, რომ ტკივილს არასოდეს მივაყენებდით ერთურთს-თქო.

მეგობრები, ელუარის ჩათვლით, პარიზს გაემგზავრნენ. მარტო გალა დარჩა ვადაკესში. მთების კალთებიდან უკვე მოისმოდა ადგილობრივი მონადირეების თოფების ბათქაბუთქი. ერთხელაც, გალა პარმალის მოაჭირზე იყო ჩამომჯდარი და ხელში მუსკატის ჯიშის შავი ყურძნის მტევანი ეჭირა, მარცვალ-მარცვალ ისროდა ჰაერში და მერე პირით იჭერდა; ორი ახალი მტევანი გაუწოდე, ერთი შავი და ერთი თეთრი: თითქოს ვეკითხებოდი - დღეს თუ ხვალ? მან თეთრი შეარჩია...

მეორე დღეს თხელი, საზაფხულო კაბით შეიმოსა, ნიავის ყოველ დაბერვაზე რომ ფრიალებდა. ზღვასთან ჩავედით და კლდეში გამოჭრილ მერხზე ჩამოვსხედით ერთ მყუდრო ადგილას. გალა დაძაბული იჯდა, უცბად მომიტრიალდა, სახეც კი გაქვავებოდა.

„რა გინდა, რომ ვქნა?“ - დავეკითხე და ნაზად მოვეხვიე.

ხმა არ გაუღია, თავი გაიქნია მხოლოდ და ეული ცრემლი შევუმჩნიე ღანვზე.

„თუკი არაფერს მიზამ, დამპირდი, რომ არც არავის ეტყვი...“

ტუჩებზე დავეკონე, ეს ჩვენი პირველი ნამდვილი კოცნა იყო. საოცარი შეგრძნება დამეუფლა - წლების მანძილზე დათრგუნვილმა მთელმა ჩემმა ლტოლვამ მისდამი ერთბაშად ამოხეთქა!

თმაში ვწვდი, თავი გადავუწიე და ისტერიული ხმით შევძახე: „ახლა მითხარი, რა გინდა, რომ გიქნა - ნელა, გარკვევით მითხარი, თან თვალებში მიყურე!“

დამახრჩვეო, - მიპასუხა... არ მომესმა, მართლა ასე მითხრა.

„იზამ ამას?“ - მკითხა.

გავოგნდი, თითქოს ჩემი საკუთარი იდუმალი გულისნადები გაემხილოს.

„იზამ თუ არა?“ - დამეკითხა ისევ.

მაშინდა მივხვდი, რაოდენი რწმენა ჰქონდა ჩემი, ჩემი შესაძლებლობებისა თუ ჩემი სიშლეგის! მაგრად ჩავიხუტე და ხმამაღლა, მკაფიოდ წარმოვთქვი: „კი!“

ისევ ვაკოცე, მაგრად, ტუჩებში და გავიფიქრე: „არა! ამას არასოდეს ჩავიდენ!“

აი, ეს მართლა იუდას ამბორი იყო, ოღონდ - პირუკუ: ამ კოცნით გალა იქნებ კი დავღუპე, მაგრამ საკუთარი სული სამარადისოდ გადავირჩინე.

თითქოს მიმიხვდაო, გალამ იმის მოყოლა დამიწყო, ბავშვობიდანვე როგორ ზაფრავდა სიკვდილის შიში. ერთადერთი ნატვრა მქონდაო, მითხრა - უცაბედად მოვკვდე, ისე, რომ სიკვდილის მოახლოება ვერ ვიგრძნოო...

ერთი კი გავიფიქრე, ტოლედოს საკათედრო ტაძრის სამრევლოდან რომ გადმომეგდო - სადაც ერთხელ მე და ჩემი იქაური ნაცნობი გოგონა ავფორთხდით და მაშინაც ზუსტად იგივე სურვილი რომ მომეძალა - მაგრამ ამ შემთხვევაში, ვარდნისას ხომ ზუსტად ის გრძნობა დაეუფლებოდა, რის აცილებასაც ნატრობდა საკუთარი თავისთვის!

გალა კი ლაპარაკს განაგრძობდა სახის საოცარი ექსპრესიულობით, მშფოთვარე უესტიკულაციით - იმას მიხსნიდა, რომ მოსალოდნელ სიკვდილზე უარესი მხოლოდ სიბერით სიკვდილის მოლოდინიაო...

თუმცაღა, გალას იდუმალი ცხოვრების სამზეოზე გამოტანა სულაც არ ყოფილა ამ ჩემი წიგნის მიზანი: აქ მხოლოდ ჩემი, ჩემი საკუთარი პიროვნებისა და ფსიქიკის გაკვეთა მსურს,

არა სადიზმის, არა მაზოხიზმის, არამედ ნარცისიზმის მეშვეობით. გაკვეთის აქტს ხომ არავითარი ეროტიკულობა არ ახლავს.

უბრალოდ, მსურს, დალისმიერი გაკვეთა ესთეტიკური იყოს და ხელოვნებისეული, გამიძვლებული ძვლების სითეთრემ არ უნდა სძლიოს შედეგებული სისხლის ფერს!

დაიცა, რა გემართება?!“ - დავეკითხე საკუთარ თავს, - „ჩემმა გრადივამ ხმლის ერთი დაკვრით მართლაც იმ მანეკენს წააცალა თავი, ჩემივე ბავშვობის საწოლში რომ მენვა გვერდით - რიოში მოგონებების გალუშვას, ვისთა ასოთა შაქარყინულისებრმა სიტკბოებამ უნებლიეთ ჩემს მარტოობასაც მოუღო ბოლო...“

რალაც ჯადოსნობის წყალობით, ჩემი ისტერიულობა თითქოს ერთბაშად გაქრა. მაგრამ ეგეცაა - მერე, როცა გალა პარიზს გავამგზავრე, რკინიგზის სადგურიდან მობრუნებულს მაინც ერთი ფიქრი ამეკვიატა: „როგორც იქნა, ისევ მარტო დავრჩი!“ ცხადი იყო, ჩემი ბავშვობის თავბრუსხვევები თუ მოკვდინების ფარული სურვილები კი მეყსეულად გამიქრა, მაგრამ სხვა ფარული სურვილები, ისევე როგორც მარტოსულობისაკენ ლტოლვა, კიდევ კარგა ხანს მდევდა თან. ასე რომ, თუმც კი გალა უკვე სრულიად რეალურ, ფერხორციან არსებად მესახებოდა და მის ცოლად შერთვასაც ვაპირებდი,[15] დროდადრო მაინც მტანჯავდა ხოლმე მარტოდ ყოფნის სურვილი...

მაგრამ მარტოობისაკენ ჩემს ამ ლტოლვას ახლა სრულიად სხვა ახსნა ჰქონდა და მეტადაც მიზიდავდა: ჩემსავე სტუდიაში გამოვიკეტე და ისევ იმ ასკეტურ ცხოვრებას დავუბრუნდი; შედეგად, მალევე მოვამთავრე პოლ ელუარის ჯერ კიდევ ბაფხულში დანყებული პორტრეტი და კიდევ ორი მოზრდილი ტილო, რომელთაგან ერთს სამომავლოდ დიდი სახელი უნდა დაეგდო ჩემთვის: მასზე გამოსახული იყო უზარმაზარი, ცვილისფერი თავი, ლოყებნითელა, გრძელწამწამებიანი, მინაში ცხვირჩარგული... პირის მაგივრად ვეება კალია მივუხატე, რომელსაც მუცელი ჩამოლპობოდა და ჭიანჭველები დასეოდნენ. თავად კომპოზიცია ცხრაასიანი წლებისათვის ნიშანდობლივი სტილის ორნამენტებში ჩავსვი, სახელად კი ნძრევია საკვირველი ვუნოდე.

ამ ნახატების პარიზში გასაგზავნად, ერთ ჩემს მეგობარ ფიგურასელ ოსტატ-დურგალს ლამის სული ამოვხადე შესაფერისი ლუსკუმების დამზადება-გადაკეთების მოთხოვნებით (ეჭვი არაა, მისი მოთმინებისა და რუდუნების გამო, ბევრ ჩემს სხვა მეგობართან ერთად, იმქვეყნად უთუოდ მასაც წამებულად შერაცხავენ). მათი გამოფენა ნოემბერ-დეკემბერში იგეგმებოდა გოემანსის გალერეაში.

პარიზში ჩავედი და პირველი, რაც მოვიმოქმედე, გალასათვის ყვავილების ყიდვა იყო. ცხადია, საუკეთესო მეყვავილეს მივადექი და თაიგულიც საუკეთესო შევუკვეთე. ნითელი ვარდები შემიჩიეს, მართლაც იშვიათი სილამაზისა, და ფასი რომ ვიკითხე, თითო სამი ფრანკი დამიფასეს. ათი თაიგული მოვითხოვე; მეყვავილე აშკარად შემცბარი ჩანდა - ამდენი მარაგშიც კი არ ჰქონდათ მაინც მოიქაჩლეს თავი და მეც პატარა ფურცელზე ერთი-ორი სიტყვა დავუნერე გალას. მაგრამ როგორც მერე აღმოჩნდა, ჯამში 3000 ფრანკი უნდა გადამეხადა! ამდენი ფული სად მექონდა და ვკითხე - იქნებ ამიხსნათ, ეგ თანხა როგორ და რანაირად გამოვიდა-მეთქი! თურმე, მე რომ თვალი დავადგი, მარტო იმ თაიგულში 100 ვარდი ყოფილა - თითო სამი ფრანკად! მე კი მეგონა - სამი ფრანკი თავად თაიგული ღირდა... მოვუბოდიშე და ვთხოვე, 250 ფრანკისა მომეცით-მეთქი. სულ ეს იყო მთელი ჩემი ფული.

დილა ქუჩებში ხეტიალს მოვანდომე და შუადღისთვის უკვე ორი პანია ბოთლი „პერნოც“ მქონდა მირთმეული. ნაშუადღევს გოემანსის გალერეას მივაშურე, სადაც პოლ ელუარი შემხვდა. მითხრა, გალას ძალიან გაუკვირდა, რომ არ ესტუმრე და შენი ჩამოსვლის ამბავიც ვილაც სხვისაგან გაიგო. მეხამუშა - ჩემდათავად, მინდოდა, რამდენიმე დღე მოლოდინის ამ განცდით მებორიალა პარიზში...

რალა თქმა უნდა, იმავე საღამოს ვესტუმრე და ვახშმადაც დავრჩი. გალამ წამით გამოავლინა სიბრაზე, რამაც შედეგად სტუმრებს მხოლოდ კიდევ უფრო გაუღიზიანა მადა და ყველანი მაგიდას მივუსხედით. სხვადასხვაგვარ ბოთლებს თვლა არ ჰქონდა, თუმცა, ძირითადად, მაინც რუსული სასმელები ჭარბობდა სუფრაზე. მე ადრე მადრიდში გასინჯულ არაყზე შევაჩერე არჩევანი, რომელიც ისე გამიცოცხლდა სასაზე, როგორც ლაზარე აკლდამაში... „გამოვედ გარე!“ - ვუბრძანე და ისიც დამემორჩილა. არადა,

მადრიდში გასინჯული გემო, ცხადია, კარგა ხნის წინ განქარვებულიყო და მისმა ამგვარმა „მკვდრეთით აღდგომაში“ ლაპარაკის საღერღელიც ამიძალა. ჩემდა გასაკვირად, ისიც აღმოვაჩინე, ხატვის გარდა, მჭევრმეტყველების ნიჭიც რომ უბოძებია ჩემთვის არსთა გამრიგეს. ისიც კი ვიცოდი, როგორ მელაპარაკა, ხოლო გალამ მთელი ეს სიურრეალისტური ჯგრო თავისებურად, შეუვალად იმაშიც მაშინათვე დაარწმუნა - ლაპარაკის გარდა, წერაც ეხერხებაო.

მას შეგროვილი და შენახული ჰქონია ჩემი გაკრული, გაურკვეველი ხელით ნაჯღაბნი „ფილოსოფიური აზრები“, რასაც მთელი ზაფხული კადაკესში ვინერდი ხოლმე მალულად. ისიც კი მოეხერხებინა, მათთვის ასე ვთქვათ, „სინტაქსური ფორმა“ მიეცა და მეტ-ნაკლებად გასაგები გაეხადა ნამკითხველისათვის. მოგვიანებით, ეს ყველაფერი აკინძა კიდევ და ეს თეორიულ-პოეტური თხზულება მერე წიგნადაც გამოვეცით სათაურით „ხილული ქალი“. ეს ჩემი პირველი წიგნი იყო, თავად „ხილული ქალი“ კი, ცხადია, სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა გალა!

აქ ზუსტად ის აზრები იყო გამოთქმული, რომელთა დასაცავად თავად ამ სიურრეალისტური ჯგუფის მტრობისა და მუდმივი იჭვნულობის გამოვლენათაგან, მალე თავდაუზოგავი ომი მელოდა. უფრო მეტიც, გალა იყო პირველი, ვინც ჩემ მიერ გამოთქმულ იდეათათვის ბრძოლა მოიგო და თუმცა მხოლოდ მეგობრების ვიწრო წრეს, მაგრამ მაინც დაუმტკიცა ამ იდეათა მეტ-ნაკლები სიდიადე.

1929 წელს მე უკვე კრიჭაში ვედექი იმ ე.წ. „ინტეგრალურ რევოლუციას“, რომელიც ომის შემდგომ დილექტანტურ აღტკინებას მოჰყვა ხელოვნებაში. და მართალია, მე პირადად ყველაზე მეტად სიხელის გათამაშებას ვუღრმავდებოდი, რომ მენახა, თუ სინამდვილეში რამდენად გამაღიზიანებლად იმოქმედებდა და რაგვარი კატალიზატორი აღმოჩნდებოდა ეს ამ მომავალი რევოლუციონერებისათვის, თავად შინაგანი, სანახევროდ გაცნობიერებული მაკიაველიზმით უკვე შემდგომი, სამარადჟამო ტრადიციულობის სტრუქტურულ ნიადაგს ვამზადებდი.

თუმცაღა, სწორედაც იმ ჩემმა სიურრეალისტურმა ჯგუფმა მომცა საკუთარი სახელის გაუღერების საშუალება. მათი მოთავე, ანდრე ბრეტონი უდავო ლიდერი იყო და იმისათვის, რომ ძალაუფლება მომეპოვებინა, ჩემი გავლენა ოპორტუნისტული და პარადოქსული უნდა ყოფილიყო. სწორედ იმ ხანებში ერთი ამგვარი მაქსიმა ამეკვიატა: თუკი გსურს, საკუთარი ინდივიდუალობის ბეობას მიაღწიო, უპირველესად, ისინი უნდა დაამდაბლო, ვინც შენ გიდგას მხარში; ანუ - ყოველგვარი კავშირები პიროვნულობის დამთრგუნველია და ყოველივე კოლექტიურს მხოლოდ საკუთარი თავის განადგურებამდე მიჰყავხარ... შესაბამისად, გამოიყენე კოლექტიური, როგორც მცდელობა, შემდეგ კი - ჰკა მაგას! - და ისევ უულად უნდა დარჩე!

ასე რომ, მე, სალვადორ დალიმ, იმდროინდელ მხატვართაგან უპატივმოყვარესმა, ერთ მშვენიერ დღეს დაგვარი ფეხი და გალასთან ერთად, ზედ ჩემი გამოფენის გახსნამდე ორი დღით ადრე, ზღვისპირეთს გავემგზავრე, უბრალოდ, გულის გადასაყოლებლად. მოკლედ, იმ ჩემს პირველ გამოფენაზე როგორ დაკიდეს ნახატები, ისიც კი არ მინახავს და უნდა გამოგიტყდეთ, იმ დღეებში მე და გალა იმდენად ვიყავით ერთმანეთის სხეულებით მონუსხულები, „ჩვენი“ გამოფენა ერთხელაც არ გაგვხსენებია.

იდილია ბარსელონაში დაიწყო და ერთ მახლობელ, ზღვისპირა სოფელში გაგრძელდა, რომელიც წელიწადის იმ დროს ისეთ სიმყუდროვესა და ზამთრისთვის უჩვეულოდ მწველ მზეს გვთავაზობდა, მთელ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე რომ ვერსად იპოვიდა კაცი. ისიც ითქვას, მთელი იმ თვის განმავლობაში, სიტყვაც არ მიმინერია მშობლებისათვის და ამის გამო, შიგადაშიგ სინდისის ქენჯნაც კი გამკრავდა ხოლმე. იქნებ სწორედ ამიტომაც იყო, ერთ მშვენიერ დღეს რომ განვეცხადე: გალა, ეს სამუდამოდ ასე ვერ გაგრძელდება, ისევ მართო ყოფნა მჭირდება-მეთქი.

გალა იმავე დღეს გაემგზავრა პარიზს.

\*

ფიგურასში, მამაჩემის სახლის სასადილო ოთახში ნამდვილი ქარიშხალი დატრიალდა - ისევ და ისევ ჩემი გამოსობით - და მიზეზიც მშობლების მხრიდან რაღაც სულ ოღნავი,



საყვედურისდაგვარის გამოთქმა გახდა. მამაჩემი მართლაც გულწრფელად ნუხდა, რაოდენ აგდებულად ვეკიდებოდი ოჯახს და ფულს რა დაუდევრად ვფლანგავდი. იმხანად ორწლიანი კონტრაქტი დამედო გოემანსის გალერეასთან, მაგრამ საქმეც ისაა, ვერაფრით გამეხსენებინა - რა პირობებით, მართლაც ორი წლით თუ, იქნებ, მეტი ხნითაც! მამაჩემი მთხოვდა, კონტრაქტი მისთვის მეჩვენებინა, მაგრამ წარმოდგენაც კი არ მქონდა, სად შევიზახე, ან, საერთოდ, ჩამოვიტანე თუ არა თან. მერე იმაშიც გამოვუტყდი, ბე მთლიანად შემომეხარჯა-მეთქი. ამან სულ გადარია ჩვენები, მეც ძარღვი ამეშალა და ჭიბები გადმოვიბრუნე, საიდანაც ოთხი თუ ხუთი ისეთი დაძენილ-დაფლეთილი ბანკნოტი ამომიცვივდა, არც ერთი მაღაზია თუ ბანკი რომ არ მიიღებდა. რკინის ფული კი, როგორც მახსოვს, სადგურის მიმდებარე სკვერში დავყარე - ტყუილად მამძიმებს-მეთქი... მოკლედ, ჯამში სულ რაღაც სამი ათას ფრანკსდა მოვუყარე თავი.

მომდევნო დღეს ლუი ბუნუელი ჩამოვიდა ფიგურასში: ვიკონტ ნუალესაგან მიედო შეკვეთა ფილმის გადაღებაზე, თანაც სრულ თავისუფლებას გვაძლევდა. თურმე ნუ იტყვით და, უკვე ჩვენს „მრუმე თამაშებზეც“ ეყიდა ყველა უფლება და ლამის ჩემი სურათების ნახევარიც შეესყიდა პარიზული გამოფენიდან.

მოკლედ, ფრთაშესხმული გავემგზავრე კადაკესში და ფილმის გადაღებისათვის მზადებას შევუდექი. სახელიც წინდანი მოვარგე: L'Age d'Or („ოქროს ხანა“). განზრახული მქონდა, რაიმე ისეთი შემექმნა, რაც კათოლიკური მითებით დამინებული სიყვარულის მოძალადეობრივ ბუნებას გახდიდა საცნაურს. სწორედ იმხანად, კათოლიციზმის გარეგანი სიდიადითა და ბრწყინვალეობით გახლდით მოხიბლული და ვუთხარი კიდევ ბუნუელს: „ამ ფილმისათვის ოხრად არქიეპისკოპოსები დამჭირდება - სრული აღკაბმულობით რომ იბანავებენ კლდიან ყურეში...“

იმან კი, მისთვის ჩვეული გულუბრყვილობითა და არაგონული პირდაპირობით, ყველაფერი ეს მარტივ ანტიკლერიკალიზმად გაიაზრა. წარამარა მიწვედა ხოლმე მისი გაჩერება და მუდამ ერთსა და იმავეს ვუმეორებდი: „არა-მეთქი! არავითარი კომედიურობა მე არ მჭირდება - იქნებადა, ერთი-ორი მკრეხელური სცენა კი გამოვურიოთ, მაგრამ არ დაგავინყდეს, მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჯემმარიტი, ნაღდი ღვთისგმობა უნდა იყოს!“

შავი სამუშაო მე და ბუნუელმა მალევე მოვამთავრეთ და ისიც აღგზნებული გამეგზავრა, ყველა ჩვენი ჩანაწერი თუ შენიშვნა თან გაიყოლა და ყოველგვარი საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაც თავადვე იკისრა.

ასე რომ, სულ მარტო დავრჩი კადაკესში. ძირითადად იმით ვერთობოდი, რომ ზამთრის მზეს ვეფიცებოდი და ერთ ჯერზე ორ ათეულ ზღვის ზღარბს გეახლებოდი თითო ბოთლი ღვინით, ან სამ-ოთხ რჩეულ ნაჭერ საქონლის ხორცს ვწვავდი წალამზე. ერთხელაც, დიდი, თეთრი ხვადი კატა მომადგა, რაღაც უცნაურად შემომძნაოდა და ცალი თვალი ასევე უცნაურად უბრწყინავდა ჩამავალი მზის შუქზე. ჯამა შევწყვიტე და კარგად დავაკვირდი: თვალში მოზრდილი ანკესი შერჭობოდა, თან ისე, რომ ცალი მხრიდან შესულს, მეორე მხრიდან გამოეყო წვერი! დამზაფრავი სანახაობა იყო, თან თუ იმასაც გავითვალისწინებდით, რომ მისი ამოღების არანაირი შანსი არ არსებობდა! შემდგომ, კარგა ხანს, სწორედ ყველაზე უფრო საამურ ნუთებში მეღანდებოდა ხოლმე ის თეთრი კატა და ეს ხილვა ძარღვებში სისხლს მიყინავდა. საბოლოოდ, სულაც იმ დასკვნამდე მივედი, რაღაც ზეგარდმო ნიშანი თუ იყო-მეთქი...

რამდენიმე დღეც არ იყო გასული და, მამაჩემისაგან წერილი მივიღე. მშვიდად, გამართული იურიდიული ენით მწერდა, ოჯახიდან მოკვეთილი ხარო. ახლა არავითარი სურვილი არა მაქვს, ამ სასტიკი გადაწყვეტილების მიზეზები გაგიმხილოთ; გეტყვით მხოლოდ, რომ მას მერე მთელი ექვსი წელი არ შევხვედრივართ ერთმანეთს, თუმცა გული კი ორივეს ერთნაირად გვეწურებოდა.

წერილი რომ მივიღე, ლამის იყო, თმა დამეგლიჯა ბლუჯა-ბლუჯად, არადა, უკეთესი მოვიფიქრე - ავიღე და მთლად გადავიპარსე თავი. კულულები ერთ უშენ ადგილას, მიწაში ჩავმარხე. მერე, იმავე საღამოს, ტაქსი გამოვიძახე, რომლითაც საზღვრამდე ვაპირებდი მისვლას, უკვე იქ კი პირდაპირ პარიზისაკენ მიმავალ მატარებელს დავატყობოდი. ტაქსის მოლოდინში კიდევ ერთი ზღვის ზღარბი შევიწვი და ჭიქა ძელგი წითელი ღვინოც

მივაცოლე. უცხად შევამჩნიე, ჩემ უკან, თეთრად შებეთქილ კედელზე ჩემივე შავი ლანდი არეკლილიყო. ჯერაც მთლიან, დაუჭრელ ზღვის ზღარბს დავნვდი, გადაპარსულ თავზე დავიდე და კედელზე საკუთარ პროფილს მივაშტერდი - სუფთა ვილჰელმ ტელი გახლდით, ნამდვილად.

კადაკესიდან გზა მთებში მიიკლავნება და მისი ყოველი მოსახვევიდან სოფლის მშვენიერი ხედი იშლება, თუმცა ყოველ ჯერზე სულ უფრო და უფრო პატარავდება, ბოლოს სულ ერთი მოსახვევიღა რჩება, საიდანაც ჯერ კიდევ შეიძლება მისი დანახვა და ყველა, ვისაც კი იქით გული მიუწევს, განშორებისას უნებლიეთ გახედავს ხოლმე, თითქოს სამუდამოდ რომ ჩაიბეჭდოს გონებაში. მეც, ნებსით თუ უნებურად, არასოდეს მოვქცეულვარ სხვაგვარად; მხოლოდ ის დღე იყო, როცა ბოლო მოსახვევი გავიარეთ და თავიც კი არ გამიტოკებია, მხოლოდ წინ ვიყურებოდი, მომავლისაკენ...

\*

პარიზში ჩასვლაც ვერ მოვასწარი, რომ გულმა ისევ უკან გამიწია: მომინდა, კადაკესის სანახები გადამეტანა ტილოზე. სინამდვილეში, არც მეტი, არც ნაკლები, ამჯერად „უხილავი კაცის“ შექმნა მსურდა, მაგრამ ამისათვის ისევ და ისევ არაურბანისტულ გარემოში უნდა მოვხვედრილიყავი. მეორე მხრივ, გალაც მჭირდებოდა - ცოცხალი, მოძრავი არსება, ჩემსავე სტუდიაში რომ დასახლდებოდა. გალაც თანახმა იყო, ოღონდ ჯერ ის ვერ გადაგვეწყვიტა, თუ სად მივდიოდით...

ამასობაში, არ დავიზარე და, მორიდებულად, თითქოსდა სულ შემთხვევით, ერთი-ორი ყოვლად თავხედური ლოზუნგიც ანკესივით გადავუგდე ამ ჩემს სიურრეალისტურ ჯგუფს - მენახა ერთი, ჩემს იქ არყოფნაში ეს რა ნაყოფს გამოიღებდა. თემატურად ზოგი მათგანი ასე უღერდა: „რაიმონ რუსე - რემბოს წინააღმდეგ; თანამედროვე კონსტრუქციები - აფრიკული წარმომავლობის საგნების საპირისპიროდ; ნატურმორტის არაბუნებრიობა - პლასტიკური ხელოვნების საპირისპიროდ; იმიტაცია - ინტერპრეტაციის ნაცვლად“.

თუ ვინმე რამეს მეკითხებოდა, როგორც წესი, პასუხს თავს ვარიდებდი ხოლმე. იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ გავმხდარიყავი „კარგი მოსაუბრე“ და სიტყვების მხოლოდ იმ აუცილებელ რაოდენობას ვიყენებდი, რაც საკმარისად მეჩვენებოდა გარშემომყოფთა გასაღიზიანებლად. ჩემს პათოლოგიურ მორიდებულობას საქმე უკვე იქამდე მიჰყავდა, რომ ხალხი წინასწარვე ნერვიულობდა იმ იშვიათი შემთხვევების მოლოდინში, როცა საჯაროდ დავაპირებდი რაიმეს თქმას. არადა, ჩემივე ესპანური ფანატიზმით ვერანაირად ვიღებდი იმ ფრანგულ კაზმულსიტყვაობას, რომლის მიღმა უკვე აზრი გისხლტება კაცს ხელიდან.

მახსოვს, მავანი კრიტიკოსი წამდაუნუმ სიტყვა „მასალას“ იშველიებდა კურბეს ნახატების დახასიათებისას - „კურბე ასე იყენებს მასალას, ისე ხმარობს მასალას...“

მერე, მაგ მასალას ხელს თუ შეახებ-მეთქი, ვკითხე და სრული გაკვირვება რომ გამოეხატა სახეზე, იქვე დავუმატე უკვე სრულიად „ფრანგული“ გონებამახვილობით: როცა საქმე განავალს ეხება, მე, პირადად, შარდენისა მირჩევნია-მეთქი.

ერთ საღამოსაც, სწორედ იმ ვიკონტ ნუალეს ვენჯიე სადილად და მეტად ნაამებიც დაგირჩით, ჩემი „მრუმე თამაშები“ რომ დავინახე კრანახისა და ვატოს ტილოებს შორის გამოკიდული. ვიკონტთან ხელოვანთა თუ საზოგადო მოღვაწეების მხოლოდ ნაღები წარმომადგენლები იყრიდნენ ხოლმე თავს და წამსვე ვიგრძენი, რომ მათი ყურადღებისა და ცნობისმოყვარეობის საგანი გავხდი. თუმცა, რამდენჯერაც მხარსიქიდან ლაქია მომადგებოდა ბოთლით ხელში, ჭიქის შესავსებად, და თითქოსდა რაღაც იდუმალი ხმით ჩამჩურჩულებდა - ამა და ამ წლისააო - შემინებული შევხტებოდი ხოლმე; სულ მეგონა, რამე ცუდი ამბის მაცნეა-მეთქი - ან გალა მოხვდა ავტოკატასტროფაში, ან ვიღაც დარტყმული სიურრეალისტი მიპირებს საჯაროდ გაჭოხვას... ერთ ყლუპად ვხუხავდი, თუ არ ვცდები, 1923 წლის მოსავლის „კაბერნე სავინიონს“ და მერეღა თუ გავიღებდი ხმას!

არადა, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება - და იმ პერიოდში განსაკუთრებით - მშურდა იმ ხალხის, არაფერი რომ არა აქვთ სათქმელი და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე კი იპყრობენ ხოლმე თანამეინახეთა ყურადღებას! თან თითქოს მადიანადაც ილუკმებიან, პაუზასაც ისე დროულად შეარჩევენ, კაციშვილი რომ ვერ ჩაუდგამს სიტყვას... მაგრამ

სწორედ იმ სუფრაზე აღმოვაჩინე ორი მნიშვნელოვანი რამ: ჯერ ერთი, თურმე არისტოკრატია (რომელსაც მაშინ რატომღაც „საზოგადოებად“ იხსენიებდნენ) უფრო იოლად აღიქვამდა ჩემს იდეებსა და სათქმელს, ვიდრე ხელოვანი ხალხი; ეს ე. წ. „საზოგადოება“ სწორედაც რომ საკუთარ „მე“-ს რაღაც ატავისტური გულისხმიერებით ეკიდებოდა - იმ საშუალო კლასისაგან განსხვავებით, რომლის მაშინდელმა თაობამაც პიროვნულობა უბრძოლველად დაუთმო „ახალგაზრდა“ იდეოლოგიებსა და კოლექტივისტურ მისწრაფებებს. მეორე ამბავი კი ის იყო, რომ თურმე ორივე ამ ბანაკში მრავლად მოიპოვებოდნენ ის ვაი-ალპინისტები, ვინც ამგვარ სოციალურ კიბეზე აფოფხებას ცდილობდნენ. მე ორივე მხარის გამოყენებას ვახერხებდი - პირველთ თავიანთ წრეში უნდა მივედეთ, მეორენი კი სწორედ ამ კიბეზე ასვლაში უნდა დამხმარებოდნენ.

წარმატებაში იოტისოდენა ეჭვიც კი არ მეპარებოდა და მართლაც, ისე გავხდი სახელგანთქმული, რომ კარგად ვერც კი გავიაზრე, რა ხდებოდა ჩემს თავს. იქნებ ამიტომაც იყო - მწვერვალზე სრულიად მარტო აღმოვიჩნდი, ყოველგვარი დანდობა-თანადგომის გარეშე: საქმეც ის არის, რომ ყველა ისინი, ვისაც საბიჭველად ვიყენებდი, ვერ უძლებდნენ ამ გზის სიმძიმეს, ხელშივე მეფშვნებოდნენ და მეც ახალ-ახლებს დავუძებდი, დიდებისა და სიმდიდრის იმ აღთქმულ ქვეყანაში შეყვანას ვპირდებოდი, საითაც თითქოსდა თავად მივეძურებოდი; ოღონდ ეგეცაა, მე თავად გზა უფრო მითაცებდა, ვიდრე საბოლოო დანიშნულების ადგილი.

არადა, როგორ გინდოდა, ეს ე.წ. „საზოგადოება“ საკუთარ მოკავშირედ გექცია ვაცს? ძალზე მარტივად: რამე რომ იყოს, რას წარმოადგენდა მთელი ეს ჯამაათი? იმის მაგივრად, მიწაზე მყარად, ორივე ფეხით მდგარიყვნენ, სულ ასკინკილით დახტუნავდნენ აქეთ-იქით. მოკლედ, იმის ჩვენება სურდათ, რომ სააქაოს ზემოდან დასცქეროდნენ და იმ ცალ ფეხსაც მხოლოდღა აუცილებლობის გამოისობით თუ აბიჯებდნენ „ამა მიწიერს“. ამ ყოველად გამოუსადეგარ პოზას თუ პოზიციას მხოლოდ მათ გარშემო ჯგროდ მოგროვილი დაბოლილი და მეტრაკე „ხელოვანი ხალხი“ თუ უფასებდა, ოღონდ თავად ისინიც უკვე გრძნობდნენ სოციალური რყევებისა და მათ მიმართ ადამიანთა დამოკიდებულების ცვლას.

მეც ვცადე, სწორედ ეს მათი სნობიზმი დამედო გზად და ხილად და არისტოკრატისათვის მისივე „ტრადიციულობისადმი“ ლტოლვა შემეხსენებინა. ამისათვის სიმბოლოდ ისევ და ისევ ყავარჯენი გამოვიყენე, რომელიც შემდგომ საყოველთაო, ომის შემდგომი პერიოდის სიმბოლოდ იქცა.

საბოლოოდ იქამდე მივედი, ადამიანის თავისა თუ სხეულის ყოველი ნაწილისათვის სულ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ყავარჯენ-საბიჭველებს ვიგონებდი: განსაკუთრებით ცხვირის დამჭერი ორკაპა ჯოხის იდეა მომწონდა, თავისთავად სრულიად გამოუსადეგარი, მაინც მშვენივრად აღნიშნავდა საზოგადოების ამ ფენის სნობიზმს - მონოკლების მსგავსად, რომელთაც მხოლოდ იმიტომ თუ ატარებდნენ, საკუთარი ეგზიბიციონისტური სურვილები საკუთარსავე სახეებზე რომ აღებეჭდათ.

საინტერესო ისაა, რომ რაც მეტ ყავარჯენს გამოვსახავდი ტილოებზე, იმის მაგივრად - მხატვრობის დამფასებელთ ეს მრავალჯერადად გამეორებული ილეთი ყელში ამოსვლოდათ, პირიქით - სულ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით მეკითხებოდნენ, ამდენი რა საჭიროაო? რათა და, ახლა შემიძლია, არისტოკრატებს ხელზეც ვემთხვიო და თან იმ ერთ ფეხშიც ვდღლიზო გემრიელი ჭიტლაყი-მეთქი, - ვპასუხობდი, - სწორედ ჩემი ყავარჯენები თუ დაიფარავთ იმ ვაი-ინტელექტუალების რევოლუციური იდეებისაგან, რომელთაც მე ჩემი ხუთი თითივით ვიცნობ; მხოლოდ ცალ ფეხზე, ანუ ტრადიციისა და ჩემ მიერ შეთავაზებული ყავარჯენების წყალობით თუ მოახერხებენ, შეინარჩუნონ სიმყარე და წონასწორობა-მეთქი.

ცოდვა გამხელილი ჯობია და, არისტოკრატის მიმართ მუდამ ვგრძნობდი რაღაც-რაღაც სიმპათიებს: მართლა მსურდა, ამ ელიტური კლასისათვის ისტორიული ცნობიერება დამებრუნებინა - ყოველ შემთხვევაში, იმ ჩემი როლით, რაც ომის შემდგომ ულტრა-ინდივიდუალისტურ ევროპაში თავად უნდა მეთამაშა. ვაცმა თქვას, ყველა ის ჩემი წინასწარმეტყველება რომ ჩამენერა, რომელთაც მარჯვნივ-მარცხნივ დაუნანებლად ვაფრქვევდი, ხალხს მართლა მოუწევდა ჩემი წინასწარმეტყველური ნიჭის აღიარება.

ყოველ შემთხვევაში, მაინც მრავალნი მყვანან, ვინც ჯერ კიდევ 1929 წლიდან მოყოლებული მზადაა, ხატზე დაიფიცოს, თუ რა და რამდენი ჩემი ვარაუდი ლამის სიტყვასიტყვით გამართლებულა.

ჯერ კიდევ იმ შორეულ 1929 წელს ვივარაუდე ე. წ. „მასებისა“ თუ „კოლექტივიზმის“ ზეობა, რომელსაც თავისი უკიდურესი გამოხატულებისათვის ჯერაც კიდევ არ მიუღწევია, და რომ ყოველივე ეს - რევოლუციურ იდეოლოგიებს ვგულისხმობ - ევროპას მორიგი ტოტალიტარული ომისაკენ უბიძგებდა. ჩემივე მტკიცებით, მხოლოდღა უკიდურესად ინდივიდუალისტურ, კათოლიციზმზე დაყრდნობილი არისტოკრატიზმით გამსჭვალულ მონარქიას შეეძლო ამ წუმპედან ვაცობრიობის ამოყვანა. სამწუხაროდ, სერიოზულად არც არავის დაუგდია ჩემთვის ყური და მეც ჩემს ამ რიომ მარგალიტებს ისე, სასხვათაშორისოდ ვაპწევდი მარჯვნივ თუ მარცხნივ...

მაგრამ ვიდრე იმჟამინდელ სიურრეალისტთა ჯგრო ამ ჩემს გამონათქვამებს დაამულამებდა, სანამ ეს „კიბის ალპინისტები“ ჩემთვის კვანტების დადებითა და ჭიკაობით აქეთ გამიწვედნენ სამსახურს და სანამ არისტოკრატია თავად მიხმობდა საშველად, მე „ლაჟვარდოვანი სანაპიროსაკენ“ გავწიე გალასთან ერთად. იქ ერთი მყუდრო, განმარტოებით მდგარი სასტუმრო შევარჩიეთ, სადაც ვერავინ მოგვადგებოდა კარზე. ორი დიდი ოთახი ვიქირავეთ, რომელთაგანაც ერთი მეორე დღესვე გადავაკეთე სტუდიად. შემოსასვლელი დერეფანი ლამის ჯერამდე გამოვტენე შეშით - ასე რომ, ბუხარში ცეცხლიც ჩაუქრობლად გვენთო და ვერც ველარავინ შემოგვიღებდა იოლად კარს. ელექტრონათურა ისე მივმართე, რომ მხოლოდ მოლბერტი გაენათებინა, ოთახის სამი დანარჩენი კუთხე კი თითქოს ბნელში რჩებოდა და თან გადავწყვიტეთ, არც ჟალუზი გადაგვენია არასოდეს. საკვებს, ძირითადად, ნომერშივე გვანვდიდნენ ფანჯრიდან, თუმცა ხანდახან თავადაც გადავძვრებოდით ხოლმე და ქვევით, დარბაზში გეახლებოდით ვახშამს; ოღონდ არც ერთხელ, არც ერთი წუთით არ მიგვიტოვებია შენობა - ეზოს გადაღმაც კი არსად გავსულვართ!

ეს ორი თვე საუკეთესოდ ჩავგრჩა მეხსიერებაში და ბევრჯერ, უმთავრესად როცა მატარებლით ვმგზავრობდით ხოლმე, ანაზღაურად შევაფეთებდით ერთმანეთს მზერას და რომელიმე ჩვენგანი უთუოდ დაასწრებდა შეკითხვას - „თუ გახსოვს, რა მშვენიერი დრო ვატარეთ იქ?“

ამ ორთვიანი ნებაყოფლობითი გამოკვეტილობის დროს, როცა სიყვარულსა თუ სამუშაოს ერთნაირი ფანატიზმით ვეძალებოდით, ჩემი „უჩინარი კაცი“ თითქმის მოვამთავრე კიდევ. გალას მტკიცებით, მის მომწარო ღიმილში უკვე ჩანდა ის ეკლებით მოფენილი გზა, რომელიც მას შიშველი ფეხებით უნდა გაევილო. სიმართლე გითხრათ, მეც ბოლომდე მჯეროდა ყველაფრის, რასაც კი გალა ბანქოს ქაღალდზე მკითხაობისას განმიცხადებდა ხოლმე და ბევრჯერაც მომხდარა, რომ მის პირქუშ წინასწარმეტყველებას ჩემი მაშინდელი ბედნიერება დაუჩრდილავს...

სწორედ იმ ორი თვის თავზე, ბანქოში ზედიზედ სამჯერ ამოვიდა „წერილი“, „ფული“ და „შავი კაცი“. უნდა გითხრათ, რომ წერილი მართლაც მივიღეთ, ფულსაც გვპირდებოდნენ ამავე წერილით და ის „შავი კაცი“ კი თავად ვიკონტ დე ნუალე აღმოჩნდა... გოემანსის გაღერეას მძიმე დღეები დასდგომოდა და ვიკონტი მიწვდიდა დახმარების ხელს - მწერდა, შენს კონტრაქტს გამოვისყიდი და დანარჩენზე, რომ მესტუმრები, მერე მოვილაპარაკოთო. მანქანასაც დანიშნულ დღეს გამოგიგზავნი და ჩემთან, სან-ბერნარის სასახლეში ჩამოგიყვანო. რაღა თქმა უნდა, საჭოჭმანოდ არ გვქონდა საქმე და გადავწყვიტეთ, გალა პარიზს გამგზავრებულიყო გოემანსისაგან ჩვენი კუთვნილი ფულის მისაღებად, მე კი პირდაპირ ვიკონტს ვესტუმრებოდი და შევთავაზებდი, რაიმე დიდი ტილო დამეხატა მისთვის - სადღაც ასე, ოცდაათი ათას ფრანკად. ამ ფულით მერე კადაკესში ავიშენებდით პატარა სახლს, სადაც ვიმუშავებდით კიდევ და ხანგამომშვებით პარიზსაც მოვინახულებდით ხოლმე. საქმე ისაა, რომ ბავშვობიდანვე მუდამ კადაკესის სანახებისაკენ მიმიწვედა გული და არსად სხვაგან დასახლება ფიქრადაც კი არასოდეს გამივლია.

\*

სწორედ ამ დროიდან დაიწყო ჩემი ბრძოლა არსებობისათვის, რასაც მეგონა, ცხოვრებაში

იოლად ავიცილებდი თავიდან. მანამდე წინააღმდეგი მხოლოდ საკუთარი თავი და საკუთარივე ფანტაზიები თუ მყავდა და, ალბათ, სიყვარულმაც გადამარჩინა მოახლოებულ სიგიჟეს... ახლა კი კვლავაც ვადაკვს უნდა დავბრუნებოდი, სადაც ცნობილი ნოტარიუსის, დალის შვილობის მაგივრად, ოჯახიდან მოკვეთილის სტატუსით უნდა მეცხოვრა: თანაც, იმ რუსის ქალთან ერთად, ვისთანაც ჯერ ხელიც კი არ მქონდა მოწერილი.

ვადაკვს ზამთარში ჩავედით, სასტუმრო „მირამარის“ ნაცნობმა მეპატრონემ, ეტყობა, მამაჩემის მხარე დაიჭირა - აქაოდა, რემონტს ვაპირებო, მიღება-დაბინავებაზე უარი გვითხრა. იქვე ახლოს, ერთ პანია სახლში ვიქირავეთ ოთახი და მეგობრული ურთიერთობაც მხოლოდ ხუთ-ექვს ადგილობრივ მეთევზესთან დავამყარეთ, რომლებიც, მართალია, თავიდან ცოტა არ იყოს ცივად კი დაგვხვდნენ, მაგრამ გალას მომხიბვლელობამ და ჩემმა უკვე საქვეყნოდ დაგდებულმა სახელმაც მალე თავისი ქნა - იცოდნენ, რომ ჩემზე ხშირ-ხშირად წერდნენ გაზეთები და საბოლოოდ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: „ახალგაზრდაა და არც მამამისის ფულს დახარბებია; საკუთარ ახალგაზრდობას კი, როგორც უნდა, ისე გაატარებს.“

მერე ერთ დურგალს გავურიგდით და მე და გალამ ძირისძირამდე გავუთვალეთ ყველაფერი: რამდენი საფეხური უნდა ჰქონოდა ჩვენი მომავალი სახლის მთავარ კიბეს; რა ზომისა და ფორმის უნდა ყოფილიყო ფანჯრები და საერთოდ, ალბათ ლუდვიგ II ბავარიელს არ უხაროდა ისე თავისი სახელგანთქმული სასახლეების აგება, ჩვენ რომ ამ პანია ქობის დაპროექტება გვახარებდა.

ეს ჩვენი სამყუდრო ერთადერთი ოთახისაგან შედგებოდა, რომელიც ერთდროულად შეასრულებდა სასაიდლოს, საძინებლისა და სამხატვრო სტუდიის დანიშნულებას. შემდეგ იქიდან რამდენიმე საფეხურს აივლიდი და მიაღებოდი პატარა სამზაპეს, ფეხსადგილსა და მთლად მოციფქნულ სამზარეულოს. სადა, მსუბუქი, თანამედროვე ავეჯი გამოვიწერეთ პარიზიდან და ერთადერთი ექსტრავაგანტურობა, რისი უფლებაც კი საკუთარ თავს მივეცი, ზედ ოთახის შუაგულში ჩამოკიდებული ჩემივე სარძევე კბილი იყო. მეტი არც არაფერი გვჭირდება, - ვუბნებოდი გალას, - შევხედავთ ამ კბილს და ყველა სადარდებელი დაგვაგინწყდება! არც ძალი გვეყოლება, არც კატა - საერთოდ არაფერმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი! ერთ დღესაც, წიგნს დავწერ შენზე და ერთი იმ მითოლოგიურ საბურველში გახვეულ ბეატრიჩეთაგანი გახდები, ისტორიამ რომ შემოგვინახა-მეთქი.

როცა მთელ ამ სამზადისს მოვრჩით, ბარსელონას გავემგზავრეთ. იქაურებს ერთი გამოთქმა აქვთ - ეს ქალაქი კარგია, თუკი საფულე გაძეძგილი გაქვსო. რაც ხელზე ფული გვებადა, მთლიანად დურგალს ჩავუთვალეთ და ახლა პირველსავე ბანკს მივადექით ვიკონტ დე ნუალეს ჩეკის გასანაღდებლად. ძალიან გამიკვირდა, ბანკის მოხელემ რომ სახელით მომმართა; წარმოდგენაც არ მქონდა, უკვე ასეთი პოპულარული თუ გავმხდარიყავი ბარსელონაში და, რატომღაც, ეჭვი შემიჩნდა: „ამ ვაცს არ ვიცნობ, ეს ვაცი არასოდეს მინახავს, ის კიდევ ისე მელაპარაკება, თითქოს ძველი ნაცნობები ვიყოთ!“ - ვუბნები გალას.

გალა ლამის წყობიდან გამოიყვანა ამ ჩემმა ბავშვურმა აკვიატებებმა და სულ „კატალანელი ტეტია“ მეძახა. ბოლოს კი მოვუწერე ჩეკზე ხელი, მაგრამ ახლა მისი კლერკისათვის მიცემა აღარ მინდოდა - ჯერ ფული დამილაგოს დახლზე-მეთქი, განვაყვანდე.

„დაიცა, რა გგონია, შეჭამს მაგ შენს ჩეკს?“ - მკითხა გალამ.

„რა, ჭკუა დაუშლის თუ?!“ - შევჭაქი ვირზე.

„კარგი, რომც შეჭამოს, ამით შენს ფულს რა?“

კლერკი პირდაბრეწილი შემოგვცქეროდა და ამკარა იყო, ჩვენი დავის თავი და ბოლო ვერ გაეგო. როგორც იქნა, გალამ მაინც თავისი გაიტანა: ამრებილი სახით დავდე ჩეკი დახლზე და კლერკს ვუბნები - ახლა ფული მოიტა-მეთქი.

ამ ერთი უცნაური ეპიზოდით იმის ჩვენება მინდა, თუ რაოდენ ძნელად ვეგუებოდი გარშემო მყოფთათვის სრულიად ჩვეულებრივი ქცევის ნორმებს. ღმერთმანი, ძალზე მიჭირდა იმის გაგება, როგორ იოლად ემორჩილება ხალხი საყოველთაოდ მიღებულ წეს-

ჩვეულებებს! აი, თუნდაც, მატარებლის ლიანდაგების ამბავი ავიღოთ. წარმოიდგინეთ, რამდენი ასეული კილომეტრი ლიანდაგია მსოფლიოში დაგებული და რამდენს მოსდის თავში მათი აყრა - თუნდაც ისე, გართობის მიზნით! იმის თქმა მინდა, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ მეორე ადამიანს უჩნდება ასეთი სურვილი, მაგრამ როცა უნგრეთში ვინმე მარუშკა დაიჭირეს ამგვარი საქმიანობის გამო, უბრალოდ გიჟად მიიჩნიეს...

ასევე არ მესმის, როგორ ერთიანად დაიცალა ეს ხალხი ფანტაზიებისაგან! ვთქვათ, რატომ არც ერთ ავტობუსის მძღოლს თავშიც კი არ მოსდის, ერთხელ მაინც დააჯახოს მანქანა კამფეტების ავტომატს და იქვე, ქუჩაში მიმავალი ბავშვების გული გაახაროს!

ვერაფრით გამიგია, უნიტაზების არც ერთ მწარმოებელს რატომ არ აფიქრდება, პატარ-პატარა ასაფეთქებელი მოწყობილობები ჩაამონტაჟოს საკუთარ ნაწარმში, რომ მერე თავადაც იხალისოს და ოჯახის წევრებსაც ამცნოს, თუკი გაიგებს, რა მოსვლია მავან პოლიტიკოსს, წყლის ჩამოსაშვები ჯაჭვი რომ მოუქაჩავს გულდამშვიდებულს.

ან, ვთქვათ, რატომაა ყველა აბაზანა ერთნაირი ფორმის?! ან რატომ არა აქვს არც ერთ ტაქსისტს იმგვარი მოწყობილობა, რომ მზიან ამინდშიც კი მგზავრს სანვიმარი ქოლგის გაშლა დასჭირდეს?! წარმოიდგინეთ ერთი, რამდენი ვინმე გადაიხდიდა მგზავრობის დამატებით საფასურს ასეთი სიამოვნების მისაღებად!

ანდა, ვთქვათ, რესტორანში რატომ არასოდეს მოუტანიათ ჩემთვის შემწვარი ორაგულის მაგივრად მოხარშული ტელეფონი?! ან რატომ აციებენ შამპანურის ბოთლს იმის ნაცვლად, ყინული ტელეფონის მოხარშულ ყურმილს შემოუწყონ გარშემო?!

სწორედ ასევე, ვერაფრით გამიგია, თუ როგორ ახერხებს ხალხი, ყოველდღე ერთსა და იმავე საქმიანობას მისდიოს და ერთხელაც კი არ გადაუხვიოს დადგენილ წესსა და რიგს! მე პირადად, ისევე მაკვირვებს კლერკის ქცევა, რომელსაც თავში არასოდეს მოსდის კლიენტის მიერ ხელმოწერილი ჩეკის შეჭმა, როგორც ვერაფრით ამიხსნია, ჩემამდე რატომ არავის მოუსაზრებია, „რბილი საათი“ დაეხატა!

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ვიკონტ დე ნუალეს ჩეკი გავანადღე და კარგადაც მოვუღებინეთ რომელიღაც რესტორანში. ვახშობისას კი ერთთავად იმ ჩვენს ნაოცნებარ, უკვე მშენებარე ქოხზე ვსაუბრობდით. ცუდი ის იყო მხოლოდ, რომ იმ ღამით გალამ პლევრიტი აიკიდა და რამდენიმე დღე ადგილს ვერ ვპოულობდი; ცხოვრებაში პირველად, თვითკმარობის ეს ჩემი მასიური კონსტრუქცია ძირისძირამდე შეარყია სენტიმენტალური ალტრუიზმის მიწისძვრამ... ნუთუ მართლა შემეყვარდა ეს ქალი?

\*

გალა ჯერაც ავადმყოფობდა, როცა მეგობარმა მოწვევა გამომიგზავნა - მალაგაში მესტუმრეთ, მთელ ხარჯსაც თავად ვკისრულობ და ერთ-ორ სურათსაც ნაღდად გაგიყიდით. რამე რომ იყოს, მალაგაში გამგზავრებას ისედაც ვაპირებდით; ეგაა, რომ ვიკონტის ფულისათვის ერთი სანტიმის მოკლებაც არ მინდოდა - მთელი ეს თანხა სასტუმრო „ბარსელონას“ სეიფში მქონდა მიბარებული და მხოლოდ იმ ჩვენი „ქოხის“ ასაგებად იყო გამიზნული. ასე რომ, ამ მიპატიჟებამ, შეიძლება ითქვას, სულზე მოგვისწრო. თანაც, ავადობამ გალა ისე ჩამოადნო, რაფაელ კიშნერის დახატულ ტყის ფერიას მოგაგონებდათ. გული მენურებოდა მის შემხედვარეს, თუმცა ასეთი თანალმობა ზოგჯერ მეტად უცნაურ ფორმებს იღებდა: აღელვებული წამოვხტებოდი ხოლმე, გულში ჩავიკრავდი და ისე ვუჭერდი მკლავებს, ლამის მიმეხრჩო. ერთი-ორჯერ ცრემლიც კი წასკდა ჩემი გრძნობების უკიდევანო გამოხატულებისაგან. მოკლედ, ჩვენთვის ორივესათვის ჰავის გამოცვლა მართლაც სასარგებლო იქნებოდა.

ერთი ეგ იყო რომ, გადავწყვიტე, გამგზავრებამდე უცილობლად მოგვენახულებინა ბარსელონის მსოფლიო გამოფენა. გალა ვაიძულე, თავისი საუკეთესო კაბა ჩაეცვა და ყველა კიბე დავატარე ყველაზე მოსახერხებელი სათვალთვალ ნერტილის ძებნაში. ჯერ კიდევ იმდენად სუსტად იყო, წარამარა ხელის შეშველებაც მჭირდებოდა. სხვამხრივ ჩემთვის სრულიად უინტერესო გამოფენა იმით გამოირჩეოდა, რომ მართლაც საოცარი შადრევნები მოეწყოთ - ცისარტყელის ყველა ფერად მოელვარე წყლის ნაკადები საოცარ სიმაღლეზე იჭრებოდა ჰაერში და მარაოსავით იშლებოდა აქეთ-იქით. ფეიერვერკების ნაირსახეობებს ხომ თვლა არ ჰქონდა! გალა ფეხზე ძლივს იდგა

სისუსტისაგან, მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, ასეთი კმაყოფილი და მადლიერი იშვიათად მინახავს...

ორი დღის მერე უკვე მალაგას გავემგზავრეთ; მთელი სამი დღე დაგვჭირდა მატარებლით იქ ჩასასვლელად და გალამ დროის უმეტესი ნაწილი ჩემს მხარზე თავმიდებულმა, მძინარემ გაატარა. გავკირვებას ვიყავი, არ მეგონა, მისი ეს კოხტა თავის ქალა, რომელიც თითქოს მხოლოდ სახის გამომეტყველებას იტევდა, ასეთი მძიმე თუ აღმოჩნდებოდა. მალაგაში რომ ჩავედით, მარცხენა ბეჭი, ფაქტობრივად, გაშეშებული მქონდა.

მთელ ანდალუსიის მხარეს აფრიკული ხვატი მოსდებოდა - თითქოს უღრუბლო, ლაჟვარდოვან ცაზეც კი ცვეხლოვანი ასოებით გამოენერათ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სიცხის საუფლოში“. ტაქსისტმა ჩემოდნები სასტუმროს ფოიეში შეგვატანინა და იქვე, ფარდაგზე გართხმულ, ძილქუშად მივარდნილ პორტიეს გვარიანი წიხლიც უთავაზა ფერდში - გაიდვიძეო. კიდევ ორგზის დასჭირდა იმავე ილეთის გამოყენება, ვიდრე მიზანს მიაღწევდა და ძილისაგან სახედაბიჟვინებულ კარისკაცს ფეხზე წამოაყენებდა...

ანდალუსიაში გაქანებული მზადება მიდიოდა „მიცვალეულთა დღესასწაულისათვის“, რაც მალე ორგიასტულ პროცესიებში უნდა გადაბრდილიყო. არცთუ იშვიათად ნახავდით, ავტობუსის მძღოლი რომ თვითნებურად, სადმე სამიკიტნოსთან დაამუხრუჭებდა, ჭიქა ჩაციებულ ღვინოს გადაკრავდა და ისე აგრძელებდა გზას. საღამოობითაც კი გრილი ნიავის მაგივრად ისევ აფრიკის უდაბნოდან მონაბერი ხორშაკი გვინვაავდა სახეს...

არადა, ჩვენ, ესპანელებს, ყველაზე მეტად ეს დრო გვიყვარს! სწორედ ამ დროს ვარჩევთ სასიყვარულოდ, როცა ველური შრომანის სურნელი უმძაფრესად შეიგრძნობა და ესპანურ სისხლში დაუნჯებული აფრიკული ლომიც ბუხუნს იწყებს!

ერთ პანია სოფელში, მალაგიდან სულ რამდენიმე კილომეტრზე, ზედ კლდის პირზე გამართული მეთევზის ხუხულა ვიქირავეთ. ორიოდ დღეში ისე გავირუჭეთ, მთლად არაბებს თუ არ დავემსგავსეთ, ადგილობრივთაგან მაინც ვერავინ გამოგვარჩევდა. მართალია, ლეიბები ჩვენს საწოლზე ისეთი ხეშეში იყო, მატყლი კი არა, ხის ბურბუმელა გეგონებოდა კაცს. მაგრამ მაგასაც არა უშავდა - ბოლოს და ბოლოს იმას მაინც გრძნობდი, რომ სხეული გქონდა და თანაც - შიშველი.

იქაური წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით, მთლად ბიჭური აღნაგობის მქონე გალა წელსზემთ შიშველი დაიარებოდა ხოლმე სანაპიროზე და მეც ჩემი ყელსაბამი ისევ მოვირგე კისერზე. სხვათა შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ მხარეში მეთევზეებს ლამის საერთოდ ატროფირებული აქვთ უხერხულობის განცდა და ხშირადაც წავსწრებივარ, როგორ შეიხსნიდნენ ხოლმე ხვანჭრებს შარვალზე, საოხრეებს გამოფენდნენ და იქვე მოისაქმებდნენ, სადაც კი მოეპრიანებოდათ. ხშირად მომხდარა - ამ საქმეში, ასე ვთქვათ, კოლექტიურად გართულებს, მოედანზე მობურთალი მათივე ბავშვების უეცარი ნიოკობისათვის მოუკრავთ ყური და ფართხაფურთხით, ბოლომდე შარვლებშეუკრავნი გაცვენილან „საქმის გასარჩევად“. ამგვარი „გარჩევები“ კი, ბავშვების დაშომძინების ნაცვლად, ხშირად უკვე თავად მეთევზეთა შორის ხელჩართულ ჩხუბში გადაბრდილა, არცთუ იშვიათად ნავახასაც[16] გაუელვია მზის სხივზე და ნიოკობა მერე გენახათ - თმაგამლილი და მოვიძვიშე ცოლები რომ გამოეფინებოდნენ გარეთ! არადა, მთელ ამ განევ-გამონევას ტრაგიკული არაფერი ედო სარჩულად - თითქოსდა მათი სიბრაზეც კი ბუნებრივი იყო, ბიოლოგიური, და მოვლენებიც ისევე თანმიმდევრულად ვითარდებოდა, როგორც თევზის ძვალი შრება თავარა მზეზე.

სწორედ იმხანობას ზეითუნის ზეთი შევიყვარე ნამეტნავად: ლამის ყველაფერში ვხმარობდი და ყოველ ლუკმას ვატანდი - დილაობით გახუხულ პურს ვანობდი შიგ, ნარჩენს კი პირდაპირ ლამბაქიდან ვხვრეკდი. მერე თითებსაც მოვუსვამდი ლამბაქის წებოვან ზედაპირს და თმასა და შიშველ მკერდზეც ვისვამდი. არ ვიცო, სწორედ მაგის ბრალი იყო თუ რა, მაგრამ იმ ხანებში თმა ისე გამიმავრდა თავზე, არც ერთი სავარცხელი აღარ მიძლებდა.

ბევრს ვმუშაობდი, „უჩინარი კაციც“ დავასრულე და უკვე „ხილული ქალის“ ხატვასაც მივყავი ხელი. დროდადრო ორი-სამი ინტელექტუალი გვესტუმრებოდა ხოლმე, თუმცა ერთმანეთს დასანახად ვერ იტანდნენ და ყველა მათგანს უკვე იმ მემარცხენე და

მემარჯვენე იდეოლოგიების ჭიები ღრღნიდნენ, რამაც მერე სამოქალაქო ომის გველები მობა...

ერთხელაც, მეტად უსიამო წერილების მთელი დასტა მივიღეთ: გოემანსის გალერეა გაკოტრებულიყო, ხოლო ბუნეული უჩემოდ შესდგომოდა „ოქროს ხანის“ გადაღებას; ის ჩვენი ვადაკვესელი დურგალიც გვატყობინებდა, რომ ახალი საცხოვრისი, ფაქტობრივად, მოემთავრებინა, მაგრამ ახლა დამატებითი ხარჯების ნუსხას გვიგზავნიდა და სასწრაფოდ უნდა გადაგვეხადა. ჩვენი მალაგელი მეგობარიც კი რაღაც საშურ საქმეზე გაემგზავრა ქალაქიდან და ინერებოდა, ორი-სამი კვირა მაინც შევყოვნდებით. ახლა ისიც ვთქვათ, რომ ჭიბის ფული გვითავდებოდა და, გალას დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, უარზე ვიყავი, ბარსელონაში გადანახული თანხისათვის მოგვეკლო რამე - ეს ფული მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სახლის დამთავრებას უნდა მოხმარებოდა! პარიზში დეპუტები ვაფრინე, ფული მასესხეთ და სურათებით გადაგიხდით-მეთქი, მაგრამ არავინ გამომხმარებია. ამასობაში რამდენიმე დღეც გავიდა და მართალია, კბილთა ღრჭენით, მაინც დავთანხმდი გალას მოთხოვნას, მაგრამ უკვე კიდევ ერთი დეპუტის გასაგზავნი ფულიც აღარ გვრჩებოდა. ამიტომაც იყო, რომ ერთ ჩვენს მოკომუნისტო სიურრეალისტს ვთხოვე, სასტუმრო „ბარსელონაში“ გაგზავნე-მეთქი დეპუტა ჩვენ მაგივრად. დამპირდა კია, ოღონდ არც იმ დღეს და არც შემდგომ, არავითარი პასუხი არ მიგვიღია. უკვე ლუკმაპურის ფულიც აღარ გვქონდა და ისიც გვარიანად მიშლიდა ნერვებს, რომ ყველაფერი ეს ჩემივე უჭიათობის გამოისობით დაგვემართა.

გალა, რაც შეეძლო, მამშვიდებდა - ეგ არაფერი, მალაგის სასტუმროში დავბინავდეთ და იქ დაველოდოთ ფულის გადმორიცხვასო. ბოლოს და ბოლოს, იმ ვაცმა დეპუტა თუ შაბათს გაგზავნა, სავსებით შესაძლებელია, კვირადღის უქმედ შემოდების გამო, აღარც ბანკები მუშაობდნენო. მაგრამ ჩემზე არაფერი ჭრიდა, ვერაფრით მეპატიებინა თავისთვის, რომ მე - სალვადორ დალი - „ხილული ქალის“ ხატვის მაგივრად, აქეთ-იქეთ დავნანალებდი და იმაზე ვდარდობდი, საკუთარი ფული როდის ჩამომივიდოდა ბარსელონიდან! გაცოფებულმა გავიჭახუნე კარი და სანაპიროსაკენ გავეშურე. ბილიკზე ვიღაცის დაგდებულ ჯოხს დავნვდი და შმაგი როლანდივით[17] ვაცლიდი თავებს გზისპირას ჩარიგებულ ველურ მიხაკებს. „ხმლის“ ყოველ მოქნევაზე ყვავილის წითელი ფურცლები ისე იჭრებოდნენ ჰაერში, როგორც სისხლის წვეთები კარპაჩოს ნახატზე „თავის კვეთა“.

მეორე დღეს მალაგას გავემგზავრეთ ჩვენი გაკომუნისტებული მეგობრისაგან ამბის გასაგებად. ფული მარტო ავტობუსის ბილეთად გვეყო, ასე რომ, თუკი შინ არ დაგვიხვდებოდა, ვეღარც უკან დაბრუნებას მოვახერხებდით. ძლივს მოვიხელთეთ სადღაც კაფეში და ორმოცდაათი პესეტა ვთხოვე ვალად. მარნმუნებდა, დეპუტა ნამდვილად იმ დღესვე გავგზავნე, ფულიც საცაა ჩამოვა, მანამდე კი რამეს მაინც გაგიხერხებთო.

იმავე კაფეში დავსხედით და ველოდით; შენც არ მომიკვდე - ჩვენი ავტობუსის გასვლის დრომაც მოაწია, ის კი ჯერაც არსად ჩანდა. იმედი თითქმის გადაგვენურა, რომ აქოშინებული მოიჭრა და - თქვენ ადგილები დაიკავეთ, მე კი ბილეთებს ავიღებო - მოგვაძახა. ასეც მოვიქეცი და ზედ ავტობუსის დაძვრის წინ რაღაც ქალაღი მომაჩეჩა ხელში. გულთბილად დავემშვიდობე და დავპირდი, როგორც კი ფული ჩამომივა, მეორე დღესვე დაგიბრუნებ ვალს-მეთქი. კიდევ დიდხანს ვუქნევდით ხელს ფანჯრიდან, სანამ კუთხეს არ მიეფარა.

ახლა წარმოიდგინეთ ჩემი ელდა, როცა თითებში ჩაბლუჯული ქალაღი გავშალე და ის არც ორმოცდაათპესეტის ბანკნოტი აღმოჩნდა და არც რაიმე ხელმონწერილი ჩეკი - ეს, უბრალოდ, იმ დეპუტის ქვითარი იყო, მას მართლა რომ გაეგზავნა წინა შაბათს! ვერაფერი გამეგო - დაგვცინა თუ ახლა იმ დეპუტის ვალიც შემახსენა... მოკლედ, საშველი არ ჩანდა და გალაც, რაკი უკვე კარგად მიცნობდა, ორივე ხელით ჩამაფრინდა მკლავში, რაიმე სისულელე არ ჩაიდინოსო. სწორედ ამ დროს მძლოლმა რატომღაც ავტობუსი გზისპირას მიაყენა და გააჩერა. ის ჩვენი მეგობარი თურმე გვიან მიმხვდარა, რა იაღლიშიც მოსვლოდა და ტაქსით დაგვდევნებოდა უკან; ახლა კი მანქანიდან თავგამოყოფილი გვიქნევდა ხელს, რომელშიც აშკარად მოჩანდა ორმოცდაათი პესეტის ღირებულების ასიგნაცია!



როგორც იქნა, ამჯერად შინ მისულებს კარგი ამბების მთელი დასტა დაგვხვდა: ბარსელონიდან მალაგის ბანკში გასანაღდებელი ჩევი მივიღეთ და იმ ღამეს ისე ტკბილად მეძინა, როგორც დედის საშოში. თუმცა, ერთხელ მაინც გამეღვიძა ღამით, როცა მენამული ნახევარმთვარე მნიფე საზამთროს ნაჭერივით დაეკიდა ზედ ჩვენს ფანჯარასთან და ფანჯრის რაფაც ისე ჭრიდა ხედს, პერსპექტივის აღქმა დამერღვა - ვერ გამერკვია, რა იყო შორს და რა აქვე, მაგიდაზე. სწორედ პიკასოს იმ კუბისტურ ფანჯრებს მომაგონებდა, რაც შემდგომში ამოსავლად გამოვიყენე ჩემივე მიმეტური და პარანოიკული ხატებებისათვის - თუნდაც ვოლტერის ბიუსტი გავიხსენოთ.

დილით გალას მაშინ წავასწარი, ჩვენი ნივთების ამოლაგებით რომ იყო გართული. არა-მეთქი, ვუთხარი - პარიზში მივდივართ!

„პარიზში რა გვინდა? ეს ფული ბარე ორი კვირა გვეყოფა კიდევ აქ დასარჩენად.“

„შანსი არაა. იმ საღამოს, კარი რომ გავიჭახუნე, ღრუბლებში გამოჭრილი მზის სხივი დავინახე... ნაღდად ზეგარდმო ნიშანი იყო და ახლა პარიზს მივემგზავრებით - იმდენი ფული უნდა ვიმოვო, წელსვე მოვამთავროთ ჩვენი სახლი!“

იმ დღესვე გავემგზავრეთ, მხოლოდ კადაკესში შევყოვნდით ორიოდ საათით - გვინდოდა, თითქმის მომთავრებული სახლისათვის შეგვევლო თვალი. თუმცა, ნეტავი არ გვენახა! არავითარი სახლი არ არსებობდა - მხოლოდ ოთხი კედელი, კარის შიშველი ჩარჩო, ორი უშუშო ფანჯარა და დაფერდებული სახურავი. მაგრამ ყოველივე ამას ჩვენ ორის იმგვარი ფანატიზმის დაღი აჩნდა, თავისთავად ეგეც ერთ რამედ ღირდა...

\*

ბუნუელს თავისი „ოქროს ხანა“ უკვე მოემთავრებინა; მართალი გითხრათ, ფრიად იმედგაცრუებული დავრჩი, რადგან ჩემი იდეებიდან მხოლოდ რაღაც კარიკატურული მონახაზები დარჩენილიყო. ჩემი, ასე ვთქვათ, „კათოლიკური ნიაღვრეები“ უბრალო ანტიკლერიკალურ გამოხდომებადღა მოჩანდა და, ასე ვთქვათ, ყოველგვარ „ბიოლოგიურ“ პოეტურობას იყო მოკლებული. თუმცა, ასე იყო თუ ისე, ფილმმა გარკვეული შთაბეჭდილება მაინც მოახდინა - განსაკუთრებით იმ სცენამ, სადაც დაუკმაყოფილებელი სიყვარულით შეპყრობილი მთავარი გმირი ეროტიკულად წუნის აპოლონის მარმარილოს ქანდაკის ფეხის ცერა თითს. რაც შეეხება თავად ბუნუელს, ის სასწრაფოდ ჰოლივუდს გაემგზავრა - ეტყობა, იქაური კინოინდუსტრიის „დაპყრობა“ ჰქონდა განზრახული.

მოკლედ, პრემიერამ კარგად ჩაიარა, ქანდარიდან ნასროლ ერთი-ორ ავცია შეძახილს თუ არ ჩავთვლით. მაგრამ ორი დღის მერე ვითარება დაიძაბა. მოგეხსენებათ, ფილმის ერთ ეპიზოდში, ბორდიურს მდიდრული მანქანა მოადგება და ლივრეიან მსახურს იქიდან წმინდა სანაწილე გადმოაქვს, ტროტუარზე დებს და მანქანის მოფიათებული უკანა კარიდან ახლა კაბანამოხდილი ქალის უმძვინიერესი წყვილი ფეხი გამოჩნდება. ამ კადრებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და, როგორც ეჭვი მაქვს, ახალგაზრდების წინდანინ კარგად მომზადებულმა ჯგუფმა ჯერ ცრემლსადენი ხელყუმბარები გადმოყარა, მერე კი რეზინის ხელკეტებით დაერია მაყურებელს. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ფოიეში სიურრეალისტთა გამოფენა იყო მოწყობილი და ამ ბარბაროსებს მხოლოდღა ერთადერთი ჩემი ნახატი გადაურჩათ (ჩემს თავგადაკლულ თაყვანისმცემელ რომელიღაც კარისკაცს დაუვლია ხელი და საპირფარეოში გამოუკეტია). სანამ ჰოლივუდა ვითარებაში გაერკვეოდა და რაიმე ელონეს იხმარდა, იქაურობა იავარქმნილ ბრძოლის ველს დაემსგავსა.

მეორე დღეს გაზეთი არ დარჩენილა, ეს ინციდენტი არ გაემუქებინა და ყველანი, რატომღაც, მე მდებდნენ ბრალს. ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჰოლივუდის კომისარმა საერთოდ აკრძალა ფილმის ჩვენება და მართალია, საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის გამოძახილები კი გაისმა, მაგრამ საერთო აზრი მაინც ის იყო, ამ სალვადორ დალისთან საქმის დაჭერა არ ღირს, ვაცმა არ იცის, სად წაიტეხავ კისერსო...

თუმცა, სიმართლე ითქვას, ვერავინ ხვდებოდა, ჩემს შემთხვევაში სად მთავრდებოდა იუმორი და სად იწყებოდა ფანატიზმის გამოვლინებები. ასე რომ, სულ მალე, ჩემს ყოველ გამოხდომას უბრალოდ მხრების აჩეჩვით ხვდებოდნენ - დალისაგან სხვას, აბა, რას

ვლოდებითო. ბოლოს და ბოლოს, როცა მართლაც ვთქვი ჩემი სათქმელი, უკიდურესად შერევილის, ყოვლის მნგრეველის, უსიურრეალისტურესის, უკიდურესი მოჭანყის სახელი გამივარდა. არადა, სწორედ ამან მომცა საშუალება, შექმენი კათოლიციზმის გეომეტრიული იერარქიიდან გამომერჩია კლასიციზმის ანგელოსნი და მთავარანგელოსნი!

მართლაც, ჩემი საკუთარი ზესკნელი მუდამ ბევრად უფრო ბობოქარი და ხელშესახები იქნებოდა, ვიდრე „ოქროს ხანის“ იდეალიზებული ქვესკნელი, ისევე, როგორც ჩემი კლასიციზმი - შეუდარებლად უფრო სიურრეალისტური, ვიდრე ამათი მიწას მონყვეტილი რომანტიზმი! იმაზე აღარას ვამბობ, რომ ამ ჩემს რეაქციულ ტრადიციონალიზმთან ვერასოდეს ახლოსაც კი ვერ მოვიდოდა ამათი უმნიფარი რევოლუციონერობა...

შეიძლება ითქვას, რომ მთელი ომის შემდგომი მოდერნისტული მცდელობები ერთიანად ყალბი იყო და აღმოსაფხვრელი. მხატვრობასა თუ გინდაც ხელოვნების ნებისმიერ სხვა დარგში ტრადიციას უნდა დავბრუნებოდით - სხვა შემთხვევაში, რა გინდა რა სულიერი ძიება-წიაღსვლები ფუჭ, ამო შრომად იქცეოდა. სრული პასუხისმგებლობით ვამტკიცებ, რომ იმ დროს უკვე აღარც მოძრაობის ხერიანად გამოხაზვა შეეძლო ვინმეს, აღარც ხატვა და აღარც წერა. ყოველივე ერთ, საშუალო დონეზე გაიყინა, ყველაფერი გაერთგვაროვანდა და ყოველგვარი ეროვნული ნიშან-თვისებები დაკარგა. ასე ჩანდა, სიზარმაცემ, ბერელობამ და ზედაპირულობამ, უფორმობა და სიმახინჯე აიტანა ფარზე: კაფეებში უსაგნო, ფსევდოფილოსოფიურმა ჭორიკნობამ შეცვალა სტუდიებში შრომა-ოფლისღვრა; ხოლო ზემთაგონება, რისი მეშვეობითაც რაფაელი თუ პუსენი მოხვდნენ პარნასზე, ახლა ვითომდა ქუჩებსა და ქვაფენილებზე უნდა გამოსულიყო და იქ მორიალე ბოგანო ხელოვანთა შორის დაედო ბინა. საქმე იქამდე მისულიყო, რომ ხელოვანი ხალხი ათასი ჯურის ბიუროკრატებს ეძმაკაცებოდა, ერთგვარ ოპორტუნისტულ დემაგოგიას ეწეოდა, შესაბამისვე ვულგარულ ენაზე, და მასებში სვეპტიციზმსა და მექანიცისტურ პროგრესს ქადაგებდა. მოკლედ, კარგი ცხოვრება იმას ნიშნავდა, როცა მასში ადგილი აღარ ჰქონდა აღარც ოცნებებს, აღარც გამომსახველობით ფორმებს, აღარც ტრაგედიას და აღარც სულიერებას!

ეს ყველაფერი უკიდურესად უცხო იყო ჩემთვის და, ჩემდათავად, სტუდიაში თავგადაკლულ შრომას ვამტკობინებდი.

\*

პარიზში ჩამოსვლისთანავე ერთი უცნაურობა მეცა თვალში: გოემანსის გალერეაში ჩემი ნახატების გამოფენის წარმატებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ახლა მავანნი ლამის სამკვდრო-სასიცოცლოდ გადამევიდნენ, ხოლო „ოქროს ხანის“ გამო ატეხილმა ალიაქოთმა მტრების ჯარი ერთი ასად მომიმრავლა.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვინ იყვნენ ეს ჩემი მტრები? ყველა, ან უფრო სწორად, თითქმის ყველა - გალას გამოკლებით. რისთვისაც შეიძლებოდა, „თანამედროვე ხელოვნება“ გვენოდებინა, თუნდაც სიურრეალისტურ წრეებშიც კი, ერთიანად აიჭაგრა იმ დამანგრეველი და დამაუძღურებელი ძალის წინააღმდეგ, რომელსაც მათ თვალში განვასახიერებდი, უპირატესად, ჩემი დაუნდობელი და მათთვის მიუღებელი, გაუგებარი, ამაფორიაქებელი ნახატების გამო. მეორეც, ეს არ იყო „უმნიფარი“ თანამედროვე ხელოვნება - ამას კი ყველა უპირობოდ აღიარებდა! მართლაცდა, ჩემი ანტიფაუსტური სულისკვეთება ბირდაბირ წინააღმდეგობაში მოდიოდა იმდროინდელ მონპარნასზე გამეფებული ახალგაზრდობისა და დინამიზმის, დეგრადირებული კუბიზმის, უგვანობის, მოკლედ, სწორედაც რომ იმავე დროს, თეთრულვამა და ღილკილოში საპატიო ლეგიონის ლენტგარტობილი, ტრადიციის მტვერდადებული ასაკოვანი ადამიანები ლორნეტ თუ მონოკლმომარჯვებულნი აკვირდებოდნენ ჩემს ნახატებს, ყიდულობდნენ კიდევ და სასტუმრო ოთახებშიც კიდებდნენ განსაკუთრებით გამოსაჩენ ადგილას. სწორედ ამნაირებს თუ ესმოდათ - მართლაცდა ჯვაროსნული ლაშქრობა მქონდა გამოცხადებული ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის მონაპოვართა დასაცავად.

ცალკე თემაა ისიც, რომ მაშინდელი პარიზელი ინტელექტუალები ბერგსონიზმის l'elan vital (სიცოცხლის ჟინი) გავლენიდან ის-ის იყო გამოდიოდნენ და ესთეტიკურ

ფასეულობათა გადაფასებას მისცემოდნენ თავ-ფეხიანად. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს, სწორედ იმ პერიოდში „აფრიკული ხელოვნების“ ტალღის მოვარდნა შუა პარიზში. არადა, ხალხი თვალცრემლიანი იტაცებდა მართლაცდა ბარბაროსთა ლამის ინსტინქტების დონეზე ნაკეთებ ნივთებს და ამას, სრულიად გულწრფელად, ხელოვნებას ეძახდა. მეტი რაღა ვთქვა, როცა თვით პიკასო და ძმანი მისნიც კი აპყვნენ ამ სავალალო გატაცებას! გული მეკუმშებოდა, როცა ვხედავდი, რაფაელ სანციოს იდეურ მემკვიდრეებს როგორ არეოდათ თავგზა! გული მენურებოდა-მეთქი, მრცხვენოდა კიდევ და ბრაზიც მიჰყოფოდა. არა, სასწრაფოდ უნდა მეპოვა რაღაც საპირწონე ამ შხამის გასაუვნებლად და აფრიკულ ველურ ნაკეთობებს უკიდურესად დეკადენტური, ცივილიზებული, ევროპული „მოდერნი“ დავუპირისპირე. რამე რომ იყოს, მუდამ იმ აზრისა გახლდით, რომ ცხრაასიანი წლები ბერძნულ-რომაული დეკადანსის ფსიქო-პათოლოგიური საბოლოო ნაყოფი იყო და ჩემს თავს ვეუბნებოდი - თუკი ამ ხალხს ესთეტიკის არაფერი გაეგება და მათზე მხოლოდ „ბუნებითი აღგზნება“ მოქმედებს, ვუჩვენებ, რომ ცხრაასიანი წლების ნაკეთობათა ნახჭებში მეტი იდუმალება, პოეზია, ეროტიკა, სიგიჟე, ტანჯვა და პათოსია აღბეჭდილი, ვიდრე ამ მახინჯ აფრიკულ კერპთა მთელ გროვაში შეგიძლიათ აღმოაჩინოთ-მეთქი.

იმით დავინწყე, რომ ფოტოგრაფ ბრასაის ვთხოვე ცხრაასიანი წლების მეტროს შესასვლელთა გაფორმების ფირზე აღბეჭდვა, რადგან უკვე იწყებოდა მათი დემონტაჟი და მე კი სწორედ მათ მიხედვით ვამზადებდი ჭეშმარიტად სიურრეალისტურ საგნებს. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ ხალხი ძველმანების ბაზრობებს მიანყდა, სადაც პაპუა-ახალი გვინეიდან დიდი ამბით ჩამოტანილ დაჯღანულ ნიღბებს შორის, აქა-იქ ტერაკოტის ქვაში გამოკვეთილი ქალის ულამაზესი ფიგურაც გამოანათებდა ხოლმე. ის კი არა, მალე ცხრაასიანი წლების სიმღერებსაც კი გაიგონებდით ვაფე-ბარებში; იმ დროის ლიტერატურის ხელახალ გამოცემებს ხომ თვლა აღარ ჰქონდა... ყოველივე ამის მწვერვალად, მე თუ მკითხავთ, ცნობილი კუტურიეს, ელზა სკიაპარელის კოლექცია იქცა, რომლის გამოც მთელი პარიზის ლამაზმანებმა, ცხრაასიანი წლების მოდის მიხედვით, უკან და მალლა ავარცხნილი თმით იწყეს სიარული.

ასე რომ, პარიზი ჩემ თვალწინ იცვლებოდა - სწორედ ჩემი ბრძანებებისა და მითითებების მიხედვით. ოღონდ ეგაა, მეტად საძნელო იყო ამ ჩემი გავლენის მოხელთება და ბევრს აღარც ის სჭეროდა, ეს ყველაფერი ისევ და ისევ ჩემგან თუ მოდიოდა. იგივე ამბავი მოხდა ნიუ-იორკშიც, სადაც პირველი, რაც თვალში მომხვდა, მაღაზიების ზუსტად ჩემს სტილში, სიურრეალისტურად გაფორმებული ვიტრინები იყო. ამ ამბის მთელი დრამატულობაც ისაა, რომ ჩემი ნახელავის გავლენა საკუთარი ცხოვრებით იწყებდა ცხოვრებას, მე კი აღარც სახელი მრჩებოდა და არც სახრავი...

პარიზში კი იმ გარემოში ამოვყავი თავი, სადაც მართლა უჩინრად ბატონობდა ჩემივე გავლენა: როცა მავანი, მანამდე ძალიან დიდ მოდერნისტად ცნობილი, ვითომ სასხვათაშორისოდ, ფუნქციურ არქიტექტურაზე თუ ჩამოაგდებდა სიტყვას, უკვე ვიცოდი - ეს მისი მსჯელობა ჩემი ნააზრევით რომ იქნებოდა ნასაზრდოები! ნებისმიერი შიშიც ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით - ვაითუ მეტისმეტად „მოდერნულად“ ჩანდესო - ჩემივე ჩანვეთებული იყო ხალხში. ადამიანებს ვერ გაეებდათ, თამამად ამყოლოდნენ, მაგრამ მოვახერხე და მათი შეხედულებები ძირფესვიანად ამოვძირკვე; ამიტომ, ხელოვან-მოდერნისტებს ჩემი სიძულვილის უამრავი მიზეზი ჰქონდათ. თუმცა ეგაა - თავად ვერა და ვერ ვისწავლე, საკუთარი აღმოჩენებით მეხეირა და არც ისე დაუნანებლად და დაუნდობლად უძარცვავთ ვინმე, როგორც მე მძარცვავდნენ მუდმივად. ახლა მსურს, ჩემი წინააღმდეგობრივი გავლენის ერთი ტიპური ამბავი გიამბოთ: პარიზში ჩასვლისთანავე „მოდერნის“ დანერგვა ლამის გაარჯლებული მტრობის გარემოში მომინია და მაინც, ჩემი ინტელექტის გავლენა თანდათანობით შეუქცევადი ხდებოდა. საკუთარი ანაბეჭდის კვალს ყველგან ვაწყდებოდი - თუნდაც, უბრალოდ, ქუჩაში სეირნობისას: სამოსის მაქმანი იქნებოდა ეს, ლამის კლუბის გაფორმება, ფეხსაცმლის თარგი თუ ფილმის აფიშა... ასობით ადამიანი ჩემი გავლენის წყალობით ჭამდა პურს, მე კი კვლავაც ქალაქის ქუჩებში დავეხეტებოდი და კვლავაც ვერ ვახერხებდი, ასე ვთქვათ, „გზაზე დავმდგარიყავი“. არადა, ყველამ მოახერხა ჩემი იდეებით ვაჭრობა, თუმცა სათავისოდ მითვლიდნენ ხოლმე ყველაფერს. მე კი არანაირად არ შემიძლო, ეს იდეები თავად დამენერგა.

საზოგადოდ, მძიმე პერიოდი მედგა; შეიძლება ითქვას, ყოველი ჩემი გაყიდული სურათი

თანამედროვე ხელოვნების მიმდევართა მომასონო წრეებში სულ უფრო და უფრო მეტ ალბომოტებას იწვევდა და გადავწყვიტე, ახლა სხვა გზითაც მეშოვა ფული: ერთ სიად ჩამოვწერე ყველა ის „უცნაურობები“, რომელთა გამოგონებასაც დიდ მიღწევად მივითვლიდი - პანია სარკეებისაგან გაკეთებული ხელოვნური ფრჩხილები; გამჭვირვალე მანეკენები, რომლებშიც წყალი უნდა ჩაესხათ და მერე წითელი თევზებიც გაეშვათ შიგ ადამიანის სისხლის მიმოქცევაზე მინიშნებად; სავარძლები, რომლებიც ჩაჯდომისთანავე პატრონის ზომა-წონას მოერგებოდნენ; ვენტილატორები, რომლებსაც ფრთებად ათასნაირი ფიგურები ჰქონდათ მიმაგრებული; კალეიდოსკოპური და სპექტრალური სათვალეები, რომლებიც ყველაფერს დამახინჯებულად გიჩვენებდნენ; ბამბარებიანი ფეხსაცმელები; „უსიამო“ ნივთები - სწორედ იმისათვის, რომ გაბრაზებულ ვაცს კედელზე მიგემსხვრია ან ფეხით გაგეთელა... დარწმუნებული გახლდით, ყველა ამათ დიდი კომერციული წარმატება ელოდათ, რაკილა ჯერჯერობით არც ერთი მწარმოებელი არ ითვალისწინებდა იმ ფარულ, მაზოხისტურ სურვილებს, რაც ყველა მყიდველს ახასიათებს. ამათ გარდა, ავტომანქანების რამდენიმე მოდელის დიზაინიც შევქმენი და ათობით სრულიად ფანტასტიკური მოხაზულობის აბაზანაც.

მაგრამ რად გინდა რა! ჩემ თავს არ ვჩივი, აი, გალა კი ლამის მთლად გაიტანჯა. დილაუთენია ჩამოწერდა ხოლმე იმათ მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს, ვისთანაც პირადად უნდა გაველო ან ისე, თავის შესახსენებლად შეხმიანებოდა. მერე ამოიღლიავებდა ამ ჩემს ნახაზებს, ნახევარ ქალაქს დაივლიდა და მთლად ქანცგანყვეტილი მხოლოდ საღამოსლა ბრუნდებოდა შინ.

„ისევ არაფერი?“ დავეკითხებოდი ხოლმე ნაღვლიანად და ისიც წვრილად მიყვებოდა სად, ვინ და როგორ გამოისტუმრა უარით. მადლობას იმითლა ვუხდიდი, რომ ლამის ყოველ საღამოს ახლომდებარე კინოთეატრში მიმყავდა შუალამის სენსიზე...

ყველგან ერთი და იგივე ამბავი მეორდებოდა: უმტკიცებდნენ, ყველა ეს იდეა პირწმინდა სიგიჟეაო და არც შენი ქმრის ნახაზებს ექნება რამე გასავალიო. და თუკი მაინც დაარწმუნებდა ჩემი ცოლი, მართლა ღირებული რამეაო, ახლა აქეთ უხსნიდნენ, რომ ნებისმიერი ამ ნივთთაგანის წარმოება იმდენად ძვირი დაუჯდებოდათ, ეს უკვე მათი მხრიდან იქნებოდა სრული სიგიჟე. ასეა თუ ისე, სიტყვა „გიჟი“, „გიჟური“, „ნაგიჟრობა“ - სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა ჩემი მისამართით. მეორე დღეს კი ზუსტად იგივე მეორდებოდა - გალა ქალაქში დარბოდა, მე ვხატავდი და თან ახალ-ახალ იდეებს ვატრიალებდი თავში.

ოღონდ საქმეც ეგაა - ადრე თუ გვიან, ერთი ჩემი პროექტი თუ იდეა არ დარჩენილა, ვინმეს თავისად არ გაესაღებინოს. მათ წარმოებასაც უპრობლემოდ იწყებდნენ და ხეირსაც გვარიანს ნახულობდნენ: წელი არ იქნებოდა გასული და ხელოვნური ფრჩხილები „მოდის კვილადა“ იქცა; ქუჩებში ვხედავდი ჩემი დიზაინით შექმნილ მანქანებს და ერთხელ გაზეთში ისიც კი ამოვიკითხე, ნიუ-იორკის ვიტრინები გამჭვირვალე, აკვარიუმებად ქცეული მანეკენებით გაივსო. თქვენ წარმოიდგინეთ, იმასაც კი იტყობინებოდნენ, ფორმებით დალის ფიგურებს წააგვანანო. ღმერთმანი, ამგვარ რამეებზე ჩემი განაწყენება არაფერი იყო იმასთან შედარებით, რასაც მაშინ განვიცდიდი, როცა მავანი ირწმუნებოდა - დალი უკვე არსებულს იხატავს, სადღაც ნანახს, და სამაგალითოდ ამა თუ იმ გამოგონებას ასახელებდა, რომელთაც რამდენიმე წლის წინ თავად ვთავაზობდი ხოლმე საქმიან ხალხს. არადა, ყველაფერი ჩემი, რაც დღის სინათლეს უჩემოდ ნახულობდა, მუდამ ათგზის გაუარესებული იყო ხოლმე - რატომღაც ყველას ეგონა, თითქოს ნებისმიერი ჩემი იდეის „დახვეწა“ შეეძლო...

მოკლედ, რაც უფრო იზრდებოდა ჩემი გავლენა და რაც მეტად ვიხვეჭდი სახელს, მით უარესი დღე მადგა წმინდა მატერიალური თვალსაზრისით. ეგ ვაცი მართლა ნიჭიერი კია, მაგრამ რად გინდა, ნამდვილი შერევილია, მაგისგან ხეირი არ იქნებაო - ამბობდნენ.

\*

მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია - ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ორს წუთითაც კი არ მიგვიცია ნება, ეს უსახური, დუხჭირი ყოფა შემოჭრილიყო ჩვენს ურთიერთობაში. სიტყვაც არასოდეს დაგვიძრავს უფულობაზე და გაჭირვებაზე... თუკი რესტორნის ფული არ გქვონდა, სახლშიც მშვენივრად ვახერხებდით რამე კბილის გასაკრავის მომზადებას და

ჩვენი ბინაც არასოდეს დამსგავსებია „ხელმოკლე, დაუფასებელი გენიოსის“ ბოჰემურ ბუნაგს. გალა არა მარტო ერთგული თანამოაზრე და საიმედო მეგობარი, არამედ შეუდარებელი დიასახლისი და მეოჯახე გახლდათ, რაც სწორედ იმის საშუალებას მაძლევდა, ნებისმიერ სხვა მხატვარზე ათჯერ მეტი მემუშავა მშვიდად. მე ყოველ, სულ მცირე შეკვეთაზეც კი ბოლომდე ვიხარჯებოდი და გალაც ხშირად მსაყვედურობდა ამის გამო, მაგრამ პასუხი მუდამ ერთი და იგივე მქონდა - ის კი არაა გასაკვირი, რომ გენიოსივით ვმუშაობ, არამედ ის, ჩემისთანა გენიოსს ჩვენს დროში საერთოდ რომ უკვეთავენ-მეთქი რამეს.

გასაკვირი მაინც უფრო ის იყო, რომ „შემოქმედნი“, ვისი სახელიც დღეს არც აღარავის ახსოვს, ჩემი იდეებით იკვებებოდნენ და ღმერთია მოწმე, კარგადაც იკვებებოდნენ! თუკი თავად მე არ შემიძლო, დროებას მოვრგებოდი, ისინი ცოტაოდენ დალის აქ ჩაურთავდნენ, ცოტაოდენ დალის იქ მიატყეპებდნენ და - vuala![18] - მსუყედ და უდარდელად ცხოვრობდნენ. მოკლედ, სალვადორ დალის სახელის სრული კომერციალიზაცია მიდიოდა, მე კი მუდამ იმავეს ვუმეორებდი საკუთარ თავს - მოთმინება, მოთმინება-მეთქი, არ შეიძლება, ეს უსასრულოდ გაგრძელდეს! გარემოებათა დამორჩილებისა და თუნდაც სულ ერთი ბიჯის უკან გადადგმის მაგივრად, მე ხუთ ნაბიჯს ვდგამდი წინ, სამომავლოდ და ეჭვიც არასოდეს შეგვპარვია არც მე, არც გალას - როგორც კი ამ გვირაბის ბოლოს გავაღწევდით, საკუთარი ცხოვრებაც შეგვეცვლებოდა და გარემოც.

თან მოდით, ამ გარემოზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ეს ის ხანაა, როცა კოკაინის ყნოსვა, ჰეროინის გაჩხერვა, ოპიუმის მოწევა, თრობა და მამათმავლობა ლამის ცხოვრების წესად იქცა. ამის გარეშე ვაცი ვერ მიაღწევდა წარმატებას. წარუმატებლობისა და მარტოდ დარჩენის შიში კი საყოველთაო იყო... ასე მგონია, მხოლოდ მე და გალა მივდევდით ცხოვრების ჯანსაღ წესს, არც ერთმანეთს ვუთვალთვალავდით და არც დანას ვლესავდით ვინმესათვის მუხანათურად ბურგში ჩასაცემად. მარტონი ვიყავით, მაგრამ - საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობდით და სათოფებზე არ ვიკარებდით მონპარნასზე შეყუჟულ თმაგაჩეჩილ მხატვრებს, ნარკომანებს, ლოთებს, სიურრეალისტებს, კომუნისტებს, მონარქისტებსა თუ ბურჟუებს. ჩვენ, ასე ვთქვათ, ეპიცენტრში ვრჩებოდით, იმ ორღანისტივით, ამ ინსტრუმენტის მორკალული კონსტრუქციის შუაში რომ მის და ყოველ ბგერას განაგებს, ოღონდ საამისოდ ირგვლივ სწორედ ეს სიცარიელე სჭირდება.

ამგვარ ცარიელ სივრცედ ჩვენთვის კადავესი იქცა, სადაც თვეობით ვცხოვრობდით ხოლმე განდეგილებივით. მახსოვს, როგორღაც სანტიმი სანტიმს[19] დავადეთ, რაღაც-რაღაცეები კიდევ მოვიკვლით, ცოტაოდენი ფული მოვაქუჩეთ და გადატენილ მატარებელს გავყევით ესპანეთში. გადატენილს-მეთქი, ვამბობ, მაგრამ მგონი, ვაგონის ნახევარი მაინც, ჩვენივე კუთვნილი ნივთებით იყო გამოვსებული - ნიგნებით, ნახატებით, ფოტოსურათებით, უბის ნიგნაკებით, სახატავი თუ სახაზავი მოწყობილობებით სავსე ათამდე ჩემოდანი მომიგროვდა; ამას დაუმატეთ ჩვენი მომავალი სახლის გასაწყობი რაღაც-რაღაც ავეჯეულობა, ბენზინზე მომუშავე სანათები და გამათბობლები, რაკილა იმ ადგილას, რომელსაც პორტ-ლიგეტი ერქვა სახელად, ჯერაც არ შეეყვანათ ელექტროდენი. სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების რამდენიმე მოლბერტი და სახატავი ტილოების ორი დიდი ხვეულა ხომ ცალკე ამბავია.

ამას ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ კადავესიდან პორტ-ლიგეტამდე მხოლოდ საცალფეხო ბილიკი მიიკლავნება შიშველ კლდეებს შორის და სატვირთო მანქანა კი არა, ორთვალაც ვერ გაივლის ზედ. ასე რომ, ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილის გადაზიდვა ჯორებით მოგვიხდა.

ავად თუ კარგად, როგორც იქნა, მაინც მოვეწყვეთ და მეც ხატვის გარდა აღარაფერი მახსოვდა. ნაცნობი ბევრი არავინ გვყავდა იქ, თუ არ ჩავთვლით ვინმე რამონ დე ჰერმოზას - ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, ჯანმრთელი, ულვაშა და პირბადრი კაცი. ღმერთმანი, ცხოვრებაში მსგავსი ბარმაცი არსება არ შემხვედრია - მისი საყვარელი გამოთქმა იყო: „ცხოვრებაში ისეთი წლებიც გამოერევა, როცა არაფრის კეთება არ გინდება ხოლმე კაცს“. ეტყობა, ამგვარი წლები გამონაკლისის გარეშე წაენყო ბავშვობიდანვე. საზოგადოდ, მომუშავე ხალხის დანახვაზე, გაცემისაგან თვალეები უფართოვდებოდა და მუდამ ერთსა და იმავეს ბურტყუნებდა თავისთვის: „არა, ერთი იმის ეშმაკი გამხადა, როგორ არ იღლებიან!“ მისი ეს უნარი - სრულიად არაფერი ეკეთებინა -

ლამის საარაკოდ იქცა იქაურ მაცხოვრებელთა შორის და, ვაცმა რომ თქვას, ამ ჩვენს რამონს უკვე ადგილობრივ ღირსშესანიშნაობადაც კი მიიჩნევდნენ. მაგალითად, მეთევზეების საყვარელ გამოთქმად ქცეულიყო: „მეტი არაა ჩემი მტერი, რამონმა ამ საქმეს ხელი არ მოკიდოსო“ და ამას ისეთი სიამაყენარევი ხმით ამბობდნენ, უეჭველად გულნაკლული დარჩებოდა ყველა, სხვანაირად თუ შეტრიალდებოდა საქმე. მოკლედ, სენიორ რამონი უკვე თავისთავად განიხილებოდა როგორც ერთგვარი ფენომენი, უნიკუმი, ინსტიტუცია, რომლის მსგავსსაც სხვაგან ვერსად მოიძიებდით.

ისეც ხდებოდა, ქანცვაცლილი და ნადავლით მძიმედ დატვირთული მეთევზეები საღამომობით რომ იმ ვაფეს ჩაუვლიდნენ, რომლის ვერანდაზეც ბემოსხენებული ბ-ნი რამონი ყავითა და ყლუპი ბრენდით იტკბარუნებდა პირს, თავს ვეღარ იკავებდნენ და მისი ლანძღვით იჭერებდნენ ხოლმე გულს. თუმცა არანაირი სიტყვიერი შეურაცხყოფა მასზე არ მოქმედებდა, რადგან მისი ამბავი ყველას კარგად მოეხსენებოდა და ხან ვინ გადმოუგდებდა წყალობად ერთი-ორ სანტიმს, ხან ვინ აჩუქებდა პერანგს და ხანაც ჭიქა იაფფასიან კონიაკზეც კი პატიუბდნენ ხოლმე. მთელი ცხოვრება სულ ასე უთხოვნელად ეძლეოდა ყველაფერი: ხელმოკლე ინგლისელი ჯენტლმენივით ეცვა, მერიის მიერ მისთვის გამოყოფილ ქოხში ცხოვრობდა, სადაც ქალაქში ალაღბედზე შემოხეტებულ ვინმეს შეიფარებდა ხოლმე და წყლის მოტანისა და იატაკის მორეცხვის საზღაურად, ღამესაც გულმონყალედ ათევიანებდა. რამდენჯერ მინახავს, თავის ებოში ველურად ამოზრდილი ლეღვების ჩრდილში ნამოკოტრიალებული რამონი გულმშვიდად როგორ იცქირებოდა ბემოთ და ელოდა, იქნებ ქარმა დაუბეროს და მწიფე ნაყოფი ჩამომიგდოსო. თუ ჰკითხავდით, „მოსავალს“ რატომ არ კრეფო, მხრებს აიჩეჩა და - აბა, ეგ რა ხილიაო, ჩაიბურტყუნებდა თითქოსდა თავისთვის. ერთხელაც გალამ დიდი შეცდომა დაუშვა და რამონს მცირეოდენ საზღაურად შეუთანხმდა - დღეში ერთხელ, ხელის საქაჩავით აბაზანის ავზი წყლით გამივსე ხოლმეო. მძიმე შრომა ამას ნამდვილად არ ეთქმოდა, სულ ერთი-ორი წუთის საქმე თუ იყო, ბევრი არც ძალისხმევა სჭირდებოდა და თანაც შეეძლო, ეს ყველაფერი საღამომობით, მზის გადახრის მერეც მოემოქმედა...

რამონმაც თავი კი გამოიღო, ოღონდ მხოლოდ სიტყვიერად და ავზი წყლით არც მომდევნო დღეს ავსებულა. არადა, თუ ყური არ მატყუებდა, გორაკის მეორე მხრიდან განუწყვეტლივ მოისმოდა წყლის საქაჩის ღრჭიალი. ვეღარ მოვითმინე, დახვებდავ ერთი-მეთქი, ვიფიქრე და რომ მივედი, რას ვხედავ - ეს ჩვენი რამონი ჩეროში განოლილა და რკინის რაღაც ნაჭერზე გამობმული თოკის წყალობით, დიდი გულმოდგინებით ბაძავდა ვითომდა მომუშავე საქაჩის ხმას!

ყველაფერ ამასთან ერთად, სენიორ რამონს კიდევ ერთი, მეტად შემანუხებელი ნიჭიც ჰქონდა - ნებისმიერ, უინტერესობზე უინტერესო ამბავს თუ შემთხვევას ჰომეროსისეული ეპიკური გაქანებით მოგიტხრობდათ და იმდენი წვრილმანით შეამკობდა ხოლმე, რომ ვაი თქვენი ბრალი, თუ მოსასმენად გაუჩერდებოდით...

\*

მთელ პორტ-ლიგეტში ღამღამობით მარტო ჩვენი ქოხის ფანჯარა თუ იყო განათებული; დილაამდე ვმუშაობდი ხოლმე და არაერთხელ ყოფილა, ვინმე ღამეულ მეთევზეს კარზეც დაუკაკუნებია - ხომ მშვიდობააო? გალას მუდამ ვეხვეწებოდი, მენ მაინც დაიძინე-მეთქი, მაგრამ ყოველთვის მტკიცე უარზე იდგა, უშენოდ არ დავნვები და თან, ისედაც უამრავი საქმე მაქვსო.

„ყველა ჩემს სურათს მთლიანად მენ უნდა გიმადლოდე“, - ვუბნებოდი ხოლმე და ერთხელაც წესად დავიდე, რომ ყოველი ჩემი ნახატისათვის ორივეს სახელი მიმეწერა მარჯვენა დაბალ კუთხეში.

პორტ-ლიგეტში სამი თვე დავყავით და მთელი ამ ხნის განმავლობაში ვადაკესში მდებარე მამაჩემის სახლიდან, სადამდეც სწორ ხაზზე სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთის სავალი თუ იქნებოდა, მუდმივად ვგრძნობდი იმ სუსხს, რაც ოჯახიდან ჩემს განდევნას მოჰყვა. ფეხით სეირნობისას ხშირად მისი თეთრი სახურავისთვისაც კი მომიკრავს თვალი - მაქარყინულის იმ ნატეხს მაგონებდა, საფუნთუშის ვიტრინაში რომაა გამოდებული და მის შემხედვარე ქუჩის ბიჭ-ბუჭებს პირი ნერწყვით რომ ევსებათ ხოლმე...

აქ ჩვენ ასკიტურ, კარჩაკრტილ ცხოვრებას ვწივით და სწორედ აქ ვისწავლი ჩემი

ფიქრების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, რათა სისხლს სისხლის გემო ჰქონოდა და თაფლს - თაფლის. გაჩახახახებულ პარიზსა და მის მშვიდობის ქუჩაზე გამოფენილი მთელი ძვირფასეულობის ბრწყინვალეობას არ გავცვლიდი იქაურ, მარადისობის მომნიჭებელ ნათელზე.

ყოველ საღამოს მე და გალა იმ არემარეში რომელიმე გამორჩეულად მშვენიერ ადგილას შევიყუჩებოდით ხოლმე და უცნაური კია, მაგრამ მხოლოდ რაღაც ყოველდღიურ სამეურნეო საკითხებს თუ ვარჩევდით: „ხუთ მეტრზე მაინც მოგვინევს ჭის ამოთხრა... მოდი, სავსემთვარობისას მეთევზებებს გავყვით ზღვაში სარდინების დასაჭერად... ჭის გარშემო კი ფორთოხლის ორი ხე უნდა დავრგათ...“ აი, ასეთ რამეებზე ვმასლაათობდით მხოლოდ და თან ზამთრის კრიალა ცას გავცქეროდით - იგი უზარმაზარი ტაძრის ჭერაც მოუხატავ გუმბათს მაგონებდა და, შინაგანად, აღორძინების ხანაზე ნოსტალგია მიჰყრობდა ხოლმე - ეს სწორედ ის პერიოდი იყო, რომელსაც მსგავსი გამონწვევის მიღება შეეძლო! ახლა კი რაღა? რა დაემართა რწმენას, ესთეტიკას, მნეობრივ ნორმებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ადამიანის სულის ნავსაყუდელი იყო?! დღესდღეობით სული ვაცისა სუსხსა და სიცარიელეშია გაგდებული უპატრონო ძაღლივით! დღევანდელობამ მხოლოდ მექანიცისტური სიახლეები თუ შემოგვთავაზა - რადიო, ტელევიზია... და რა ხეირი? რა მნიშვნელობა აქვს, რადიოტალღების სისწრაფით რომ ვიგებთ ფრონტიდან მოწოდებულ ახალ ამბებს - რაა ეს იმ „სისწრაფესთან“ შედარებით, ეგვიპტელი ასტროლოგები, პარაცელსუსი ან ნოსტრადამუსი ათასწლეულებს რომ სწვდებოდნენ მეყსეულად! რაა ტელევიზორის ეკრანი იმ ვაცისათვის, რომელმაც საკმარისია, თვალი დახუჭოს და ეგრევე მოიხილავს იმ ქვეყნებსა და ადგილებს, სადაც თავად ფეხი არასოდეს დაუდგამს! რაა რადიოში გადმოცემული „ინფორმაცია“ იმასთან შედარებით, როცა ადამიანს მხოლოდღა წარმოსახვის ძალით შეუძლია, გაარღვიოს ნებისმიერი ზღუდე და მტვრიდან აღადგინოს ნებისმიერი ზღაპრული ბაღდადი თუ ბაბილონის ბაღები. ან რა უბედურებაა მთელი ეს სოციალისტური იდეალები „ცხოვრების უფრო მაღალი დონის“ თაობაზე, როცა ვაცს საკუთარი უკვდავება შეუძლია ირწმუნოს?! აი, ჯორმა რომ ფრთები გამოიბას და ცად აფრინდეს, იქნებადა, გავოცდებოდით კიდევ, მაგრამ საფრენი აპარატით ფრენა რა დიდი ამბავია! და ან რად უნდა ვაცს ფრენა, თუკი მას სული აბადია?

ჩვენი ეპოქა მორალურ სკეპტიციზმსა და სულიერ სიცარიელეს მოუცავს; წარმოსახვის დანაგვიანებამ, მექანიცისტური, ამნუთიერი და მატერიალური ფსევდოპროგრესის გამოდევნებამ სულიერება დაამდაბლა, განაიარაღა, პატივი აჰყარა სიკვდილისა და მარადისობის წინაშე. მექანიცისტური ცივილიზაცია კი მის მიერვე გამონწვეულ ომებს ვეღარ გაუძლებს, იარაღი დაიჟანგება, ხოლო მათი შემქმნელი ახალგაზრდა, ენერგიულ ხალხთა მასები საზარბაზნე ხორცად თუ გამოდგებიან მხოლოდ.

დიახ! მე სწორედ თქვენზე ვფიქრობ, აღტკინებულ, ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდობაზე - ვისაც იდეალად საკუთარი კბილებით გამოგლეჯილი ჭილდოები უპყრია ხელთ და სხვადასხვა სტადიონებზე მოპოვებულ გამარჯვებებსღა ზეიმობს. ვისაც ცხოვრების მიზნად სპორტული მიღწევები დაუსახავს და მანქანებისა და რადიოდინამიკების ღრიალი უტკბობს სმენას. სწორედაც რომ თქვენზე ვფიქრობ, ნეოკერპთაყვანისმცემლობით, მახინჯი უტოპიური აზრებით შეპყრობილ ახალგაზრდობაზე, უარაფრობის მეგობრებსა და ამხანაგებზე!..

\*

მერე უკან ვბრუნდებოდით ხოლმე, სიბნელეში, ფრთხილად. ვიფიცებოდი, ხვალ თბილი სვითერის წამოდება აღარ დამავინყდება-მეთქი, ჩვენი სახლის საკვამურიდან კი თევზის წვნიანის მადის აღმძვრელი სუნი ამოდიოდა.

ყოველი სურათის დამთავრების მერე, ამოჩემებულ ადგილს ვწვდებოდით ხოლმე ამის აღსანიშნავად. იქ ერთი დუქანი გვეგულებოდა, ზუსტად იქ, საცა პირენეს მთები ზღვაში ეშვება, თითქოსდა, გრანდიოზული გეოლოგიური სიგიჟის ნიშნადო. იქ აღარც ბეთისხილის ხეები იზრდებოდა და აღარც ვაზი ხარობდა სადმე. მხოლოდღა მიშველი კლდეების ფანტასტიკური ფორმები - გაუდის ხმელთაშუა ზღვის გოთიკის ერთგვარი წინაპირობა და ეგ კი არა, იმასაც იფიქრებდა ვაცი, წარმოუდგენელია, გაუდის აქაურობა ნანახი არ ჰქონდესო... ჩემს შემოქმედებაზე ხომ ამ ადგილმა წარუშლელი კვალი დატოვა.

სიმართლე გითხრათ, ამ სანახების გრანიტში ჩაქვავებულმა მატერიალიზებულმა ესთეტიკამ უდიდესი გავლენა იქონია ჩემზეც, ანუ იმ პარანორმულ მეტამორფოზაზე, რაზედაც მე რამდენიმეგზის უკვე მივანიშნე კიდევ. ამ სალი კლდეების შედარება - შიშველი ფორმების თვალსაზრისით - მხოლოდ ღრუბლებთან შეიძლება; მათი უსასრულო უნესრიგობა იმგვარ ხატებს ქმნის, რომლებიც თქვენი ხედვის წერტილის შეცვლისთანავე იცვლება და ამიტომაც იყო, რომ ყოველი კლდისათვის იქაურ მეთევზეებს საკუთარი სახელები ჰქონდათ შერქმეული: აქლემი, არწივი, ბერი, ლომის ფაფარი, მკვდარი ქალი... მაგრამ ნიჩბიანი ნავის მდორე სისწრაფით გადაადგილებისას ეს გამოსახულებებიც იცვლიდნენ იერს და აღარც მიკვირდა ხოლმე, მენიჩბე რომ მეუბნებოდა - გახედეთ, სენიორ სალვადორ, ახლა ის აქლემი მამლად გადაიქცაო...

„გაზხედავდი“ და მართლაც ასე იყო ხოლმე - აქლემის თავი ახლა ბიბილოს გაგონებდათ, წაგრძელებული ქვედა ყბა კი - ნისკარტს; კუბი ახლა უკვე უკან გადაწეულიყო და მართლაც მამლაყინწას კუდივით მორკალულიყო! ნიჩბების კიდევ რამდენიმე მოსმა და კუბი ახლა ქალის ორ ამობურცულ ძუძუს ემსგავსებოდა.

\*

წარსულში ფილოსოფიური აზროვნების მხოლოდ სამმა ლოდმა დამამჩნია კვალი: ბერძენმა სოფისტებმა, ესპანელ იეზუიტთა მოძღვრებამ, რომელსაც საფუძველი იგნაციუს ლოიოლამ დაუდო, და გერმანელი ჰეგელის დიალექტიკამ - თუმცა, სანუხარ არს ესე, რომ ამ უკანასკნელს ირონიის გრძნობა საერთოდ არ გააჩნდა, რაიც ნებისმიერი სახის აზროვნების უცილობელი ესთეტიკური დანამატია.

სხვათა შორის, ვადაკესელი მეთევზეების მიერ ნიჩბების ზანტი მოსმაც იმ ერთგვარ დათმენაზე მიათითებს, რაც, თავისთავად, ირონიის ერთი გამოვლინებათაგანია, ამიტომაც ვფიქრობდი მათი შემხედვარე, რომ პარიზში მეც სწორედ ნიჩბების ასე მოსმით უნდა დავბრუნებულიყავი და თან ის სინათლე ჩამეტანა, რაც ჩემი ფანტაზიის ორთვიანი დუღილის შედეგად გამჩენოდა; სწორედაც ნიჩბების ამ რიტმული, აუჩქარებელი და ირონიული მოსმით თუ იქნებოდა შესაძლებელი ტრადიციის იმ ძველი ღვინის ტრანსპორტირება - თუნდაც იმიტომ, რომ არაფერია ადამიანის სულის უფრო მეტად გამომაყყეჩებელი, ვიდრე გადაადგილების თანამედროვე სიჩქარეები. აბა, წარმოვიდგინოთ ერთი, თითქოსდა ერთ დღეში შეგვეძლოს დედამიწის შემოვლა - რა უნდა იყოს ამაზე მოსაწყენი - და საინტერესოა, ამის შემდეგ რომელ რეგვენს გაუჩნდებოდა სურვილი, იგივე ახლა ათ წუთში გაემეორებინა! ახლა წარმოვიდგინოთ ასევე, რომ პარიზიდან მადრიდამდე მოგზაურობას სამი ასეული წელი სჭირდება: რაოდენი შთაბეჭდილებები დარჩებოდა კაცს, რამხელა არე გადაიშლებოდა წარმოსახვისათვის! მაგრამ სამი საუკუნე მართლაც მეტისმეტი იქნებოდა ამგვარი მოგზაურობისათვის. ამიტომაც, რაღაც „ირონიული“ საშუალო ავიდოთ, იტალიაში სტენდალისა და გოეთეს მოგზაურობების მსგავსი. იმ დროში მანძილი ჯერ კიდევ „ფასობდა“ და მოგზაურს შეეძლო, სივრცითა და ფორმებით დამტკბარიყო, შემოგარენითა და არქიტექტურით და თან საკუთარ სულშიც ჩაეხედა. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ მექანიცისტური გამოგონებანი და გადაადგილების სიზანტე სწორედაც გონების განვითარებას უწყობდა ხელს. მაშ ასე, სალვადორ - ნიჩბებს მოუსვი, ან სულაც სხვებს მიეცი ამისი ნება; ხომ იცი, საითაც მიეშურები და განა სწორედ ასევე არ აღმოაჩინა კოლუმბმა ამერიკა?!

მოკლედ, ასეა თუ ისე, კვლავაც პარიზს უნდა ჩავსულიყავი; ფული თითქმის აღარ გვრჩებოდა. ასე რომ, როგორც ამას თავად ვუნოდებდი, „საშოვარზე წასვლა“ მიწევდა. არადა, ეჭვი მღრღნიდა, სამ-ოთხ თვეზე ადრე ვერ დავბრუნდები-მეთქი უკან.

\*

კატალონელები ლობიოს მეტად თავისებურად კმაზავენ: შაშხის ანათალებს ყრიან შიგ და არც სქელ-სქელ butifarra-ს[20] აკლებენ, მაგრამ მულამი ის არის, შიგ რომ გამოზომილად გაურევ შოკოლადსა და დაფნის ფოთოლს. სწორედ ამ კერძს გეახლებოდით, მაგიდაზე უდიერად დაგდებულ ფრანგულ პურს რომ დავადგი თვალი. ჩვეულებრივი, გრძელი, ფრანგული პური იყო, ავიდე და ყუაზე ვაკოცე, მერე ენით დავალბე და შემდეგ ამ დარბილებული ბოლოთი ისე ღონივრად დავატყეპე მაგიდას, ასე ადრევილი დარჩა



კარგა ხანს... მოკლედ მე, სალვადორ დალიმ, ხელახლა გამოვიგონე კოლუმბის კვერცხი! თურმე, პურსაც ჰქონია თავისი საიდუმლო და ახლა მე მას სიურრეალისტურ ობიექტად გადაქცევას ვუპირებდი: განა რა იყო ამაზე ადვილი - ორი კოხტა ღრმული უნდა გამეკეთებინა მასში, თარაბულად დამედო საწერ მაგიდაზე, ფოსოებში მელანი ჩამესხა და ა, ბატონო, საწერი მოწყობილობაც მზად იყო! მის მოხერხებულობაზე ხომ ნულარ იტყვით - კალმის განმენდა დაგჭირდებოდათ და უბრალოდ, ზედაპირზე დაუსვამდით წვერს; წერის შეწყვეტა მოგინდებოდათ და, ასევე, უბრალოდ შიგ ჩაართობდით. ერთი ეგაა, გამძლე არ იქნებოდა და ყოველ დილით უნდა გამოგეცვალათ, ზეწრებივით.

მაშ ასე, პარიზში ფეხის დადგმისთანავე სულ ერთსა და იმავეს გავიძახოდი: „პური, პური და არაფერი პურის გარდა!“ ყველანი თვლიდნენ, რომ ან ვლადაობდი, ან - გავკომუნისტდი. ერთი კი ესმოდათ, ამ ჩემს „პურში“ ოჯახის საკვებს არანაირად არ ვგულისხმობდი: ეს ჩემი პური მკაცრად ანტიჰუმანიტარული დანიშნულებისა იყო, წარმოსახვითი ფუფუნების პურისგება თანამედროვე სამყაროს მომხმარებლური უნის მიმართ - არისტოკრატიული, ესთეტიკური, პარანოიკული, სოფისტური, იეზუიტური ფენომენი! მოკლედ, ეს იყო ის, რაიც ჩემი ტვინის საცეცებმა გამოიტანეს დღის სინათლეზე პორტ-ლიგეტში სულის ორთვიანი აღრჩევის შედეგად: ვხატავდი, მიყვარდა, ვწერდი, ვსწავლობდი და ზედ წამოსვლის წინადაც შევაჯამე ამ ერთი უმნიშვნელო ჟესტით ჩემი შემოქმედების მთელი ამ ხანის სულიერი მონაპოვარი.

სწორედ ესაა საქმე - ერთ დღესაც ხომ ვთქვი, „აი, ყავარჯენი!“ - და ყველა ფიქრობდა, რომ უბრალოდ ვმასხარაობდი; მხოლოდ ხუთი წლის მერე აღმოაჩინეს, მათივე თქმით, „ეს მნიშვნელოვანი რამ“. მერე განვაცხადე: „აი, პური!“ და წამსვე ყველამ ირწმუნა მისი მნიშვნელობა. ეს იმიტომ, რომ ზეგარდმო უნარს ვფლობდი, ხელმეხახებ საგნებად მექცია საკუთარი ნააზრევი და ათასი ცდის, მცდელობის, ალტკინებისა და განსჯის შედეგად, ამავე საგნებისათვის რაღაც მომაჯადოებელი მნიშვნელობა მიმეცა.

პარიზში ჩემი ჩასვლიდან თვეც არ იქნებოდა გასული, რომ ჟორჟ კელერთან მოვანერე კონტრაქტს ხელი და კარგა მოზრდილი გამოფენაც მოვანყვე, სადაც ბევრი, სხვათა შორის, სწორედ იმ კლდეების მოხილვით შთაგონებული „მძინარე ქალ-ცხენა“ და „უჩინარი ლომი“ და კათოლიკური მრწამსით გაჯერებული „ზიარების პროფანაცია“ და ასევე, „ზმანება“ და „ვილჰელმ ტელი“ წარმოვადგინე. პირველი ვიკონტ დე ნუალემ შეიძინა; მეორე - ჟან კოკტომ, სულ ბოლო კი ანდრე ბრეტონმა. კრიტიკოსებმაც ახლა სულ სხვა თვალთ დამინყეს ცქერა და მალე რომელიღაც დიდგვაროვანმა ჩემი „სურვილების კოშკი“ შეიძინა, რომელზედაც ქონგურზე გადმომდგარი შიშველი წყვილი გახლდათ გამოსახული და რომელიც მძაფრი ეროტიზმითა და ცოდვიანი სიძლევეთ გამოირჩეოდა.

სწორედ იმხანად დავიწყეთ მე და გალამ საზოგადოებაში გამოჩენა და განსაკუთრებით, ვინრო წრისათვის გამართულ წვეულებებზე, სადაც მუდამ რაღაც რიდიტა და ალტაცებით შემოგვცქეროდნენ. ერთხელაც, თავადის ასულ დე პოლინიაკთან, ულამაზესი ბანოვანები შემოვირტყი გარშემო და შამპანურის წრუპვით, ჩემი გეგმა „გავანდე“ მათ: პურთან დაკავშირებულმა ჩემმა აღმოჩენამ ახლა იქითკენ მიბიძგა, საიდუმლო საზოგადოება ჩამოვაცალიბო, რომელიც ფართო მასების სისტემურ კრეტინიზაციას დაისახავს მიზნად-მეთქი. უნდა გენახათ, როგორ უბრწყინავდათ თვალები, როგორ შემომფოფინებდნენ, წლობით ღიმილს გადაჩვეული მათი ტუჩები სიცილს ვერ იკავებდნენ, თუმც კი ძალიანაც ცდილობდნენ, არაფერი დასტყობოდათ, რადგანაც მათთვის მეტისმეტად მომხიბვლელად გამოვიყურებოდი. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ასპროცენტისანი ფრანგული სკეპტიციზმით შეპყრობილნი, სრულიად სერიოზულად რომ ცდილობდნენ ჩემი ამ თეორიის ძირისძირამდე გააზრებას - მთხოვდნენ, თავად „პურის იდუმალება“ გამემხილა მათთვის. მე ჩემებურად ვუხსნიდი: მთავარია, თხუთმეტმეტრიანი ფრანგული პურის გამოცხობა-მეთქი; ამისათვის ცალკე თონეს აშენება დაგჭირდება, რათა მოცულობის გარდა, სხვა მხრივ ჩვეულებრივისაგან არაფრით განსხვავდებოდეს და შემდეგ კი ადგილის პოვნა მოგვიწევს - არც მეტისმეტად მოფარებულის, მაგრამ არც ხალხმრავალის, რადგან კრეტინიზაციის პროცესისათვის ესე ამბავი უცილობელი პირობაა-მეთქი. შევთავაზე, პალე-როიალის შიდა ბალი აგვერჩია. პურს დიდი სატვირთო მანქანით მივიტანდით და ჩემი „საიდუმლო საზოგადოების“ წევრები, მუშებად გადაცმულნი - ვითომდა სადრენაჟო მიღები ჰქონდათ გამოსაცვლელი - გაზეთებში

გახვეულ და თოკებშემოხვეულ პურს უჩუმრად შეიტანდნენ შიგნით.

ამის შემდეგ, საგანგებოდ შერჩეული რამდენიმე წევრი ახლომდებარე, წინასწარვე ნაქირავები შენობის ბოლო სართულიდან ხალხის რეაქციას დააკვირდებოდა. ძნელი არ იქნება-მეთქი იმის წარმოდგენაც, თუ რა დამთრგუნველ შთაბეჭდილებას მოახდენს ამგვარი პერფორმანსი, რომელიც, ცხადია, პირველად გაიმართება პარიზ-ქალაქის ზედ გულისგულში-მეთქი. „წარმოიდგინეთ ერთი,“ - ვუმტკიცებდი, - „ჯერ ის ექნებათ გადასაწყვეტი, რა მოიმოქმედონ; ცხადია, დაფეთდებიან კიდევ, ვაითუ, ამაფეთქებელი რამ მოწყობილობაა შიგ დამონტაჟებულიო. მერე სანამლავის კვალს დაუნყებენ ძებნას, სულ ბოლოს კი იმაზედაც მოუწევთ თავის მტვრევა, ეს ამხელა პური ვინ და რა მიზნით გამოაცხოო.

თუმცა, იმთავითვე ცხადი გახდებოდა, რომ ეს არც რამ სარეკლამო ხრიკი იყო და არც უმიზნო თავის შექცევა. მერე, რაღა თქმა უნდა, სიგიჟესაც ივარაუდებდნენ, ოღონდ ახლა ის შეკითხვები გაჩნდებოდა, როგორ უნდა მოეხერხებინა ვინმე ერთს, ან თუნდაც ნაგიჟრების მთელ ჯგუფს, ამდენი ცოში მოეზილა, ამხელა პური გამოეცხო და მერე ეს პური შესაბამის ადგილას შეუმჩნევლად მიეტანა!

პოლიტიკური სარჩულის გამოდებასაც შეეცდებოდნენ, რაღა თქმა უნდა, მაგრამ რა პოლიტიკურ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ისეთი ფაქტი, რომლის მიზნების გააზრება არა და არ ხერხდება?! კომუნისტებზე საერთოდ არ იქნებოდა ლაპარაკი - მათი საყოველთაოდ ცხადი და ბიუროკრატიული აზროვნებიდან გამომდინარე, და ან კი რა უნდა დაემტკიცებინათ ამით? რომ პური ჩვენი არსობისა ყველას სჭირდება?! ვინმე ლაზღანდარა სტუდენტებზეც მიიტანდნენ ეჭვს, ან რომელიმე სიურრეალისტურ ჯგუფზე, მაგრამ ვერც ეს თეორია გაუძლებდა კრიტიკას: სად გაგიგიათ სიურრეალისტთა თუნდაც სულ მცირე წრე, რომელსაც თხუთმეტმეტრიანი პურის გამოცხოვა კი არა, ამქვეყნად საერთოდ რამეზე მაინც მოეხერხებინოს შეთანხმება? და ყველაფერ ამის მერე, ხალხს სწორედაც სალვადორ დალი და მისი საიდუმლო საზოგადოება გაახსენდება!

შემდეგ, კიდევ უარესი - ორიოდ კვირაში ახლა ოცდახუთმეტრიანი პური დახვდებათ ვერსალის ბაღში და დალის საიდუმლო საზოგადოების არსებობაც ყველასთვის ნათელი გახდება. სულ მალე, ამ უზარმაზარი პურების ამბავი ახალი ამბების სათაურებს ზომით ორჯერ დააპატარავებს და პარიზის მთავარი სალაპარაკო თემაც ეს გახდება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერი! მალე მსოფლიოს ყველა დედაქალაქიდან სეტყვასავით წამოვა დეპეშემები ოცდაათმეტრიანი პურის გაჩენის თაობაზე! ამერიკიდან მოიწერენ „სავლი პლაზადან“ ლამის სასტუმრო „სენ-მორიცამდე“ გაჭიმული ორმოცდათხუთმეტმეტრიანი ფრანგული პურის თაობაზე...

აი, მაშინ განახათ, როგორ შეიცვლება დამოკიდებულება ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის მიმართ, - ვუბნებოდი გარსშემოხვეულ ლამაზმანებს.

ეს ჩემი იდეა შამპანურივით აუვარდათ თავში და მერე და მერე, არცთუ ისე იშვიათად გაიგონებდით ფრაზას „ჩემო ძვირფასო, დღეს განსაკუთრებული სურვილი მაქვს, სრულად გამოგაკრეცინოთ!“ „ორი დღეა, სადღაც მივაკარგე ჩემი ლიბიდო!“ „როგორი იყო სტრავინსკის კონცერტი?“ „მთლად გადასარევი - ნებოვანი და მიუკარებელი!“ და საერთოდ, ნივთებს უკვე იმით საზღვრავდნენ, შეიძლებოდა თუ არა მათი „დაგემოვნება“. ბრაკის ბოლოდროინდელი ნახატების თაობაზე არაერთგზის გამიგონია, „უბრალოდ, ენამიუკარებელიაო“ - და ა.შ. და ა.შ. მართალია, ეს ჩემი ფრაზეოლოგია თავიდან მხოლოდ ხუმრობაგაშვებით აიტაცეს, მაგრამ მერე უკვე მართლა გრიპის ვირუსივით გავრცელდა. მოკლედ, ამ დედაკაცების წრეგადასული სნობიზმის მიუხედავად, ჩემი მისტიფიკაციები ისე მოეფონათ დაბურცულ მკერდებზე, როგორც რამ ჯადოსნური მალამო. წარამარა მეკითხებოდნენ ხოლმე, „ეს ყველაფერი კარგი, დალი, მაგრამ პური რაღა შუაშია?“ წამსვე შუბლს შევიჭმუხნიდი ხოლმე და როდენის მოაზროვნის გამომეტყველებით ვპასუხობდი: „ეს უკვე ჩემი კრიტიკულ-პარანოიკული მეთოდის სფეროა, ჩემო კარგო.“ ზოგიერთი ახლა ამ მეთოდის რაობაზე ჩამაცივდებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს სტატიებსაც კი მოიძიებდნენ ხოლმე ჟურნალებში. ოღონდ, ცოდვა გამხელილი სჯობს და, ჩემი ცხოვრების ამ მონაკვეთში ჯერ თავადაც აზრზე არ გახლდით, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენდა ეს ჩემი ყბადადებული მეთოდი. მხოლოდღა წლების მერე, როცა ის ჩემს არეალს გასცდა და თავისთავადი ცხოვრება დაიწყო, მეც

მაშინდა ამეხილა თვალი.

\*

მახსოვს, ხალხი მუდამ ერთსა და იმავეს მეკითხებოდა ხოლმე, „ეს რას ნიშნავს? ამით რის გამოხატვა გინდოდა, დალი?“

ერთხელაც, ერთი ბატონი ჩვეულებრივი ფრანგული პური ავიღე, გული გამოვაცალე და შიგ ბუდას მომცრო ქანდაკი ჩავდე. ზედაპირი სპეციალურად ამ მიზნით დაჭერილი და მოკვდინებული ასობით რწყილით დავეფარე და თან ისე მჭიდროდ, რომ ბუდა ერთიანად რწყილებისაგან გეგონებოდათ გამოძერწილი. ახლა არ მკითხოთ, ეს რას ნიშნავდაო. მერე გადანაჭერი ხის თხელი ფირფიტით შევნიღბე და რაღაც ურნისდაგვარი მივიღე, წარწერით „ტვინის ჭყლეტა“. ახლა არ მკითხოთ, რატომ და რისთვისო...

მერე იყო და, ჩემი კეთილი მეგობრის, ჟან მიშელ ფრანკისაგან, პროფესიით დეკორატორისაგან, საჩუქარი მივიღე: ხის ორი სკამი, ნაღდი ცხრაასიანი წლების ნამუშევარი. იმავე საღამოს გადავაკეთე ჩემს ჭკუაზე: გადასაკრავი ტყავი შოკოლადის ფილებით შევუცვალე და ერთ-ერთი ფეხი ლუი XV-ის დროინდელი, კარზე დასაკაკუნებელი ჩაქურჩის თავით დავაგრძელე - ასე რომ, ზედ დაჯდომა და სკამის გადაყრავება ერთი იქნებოდა. ცხადია, ეს ჩემი ნამუშევარი, რასაც „ატმოსფერული სკამი“ ვუწოდე, ნებისმიერ მნახველში დიდ გაკვირვებას იწვევდა. ახლა, ამაზეც არ მკითხოთ, რატომ!

საქმე ისაა, იმდროიდანვე გულის ფიცარზე ამოვიჭერი, რომ სიურრეალისტური საგნები ყოველდღიურ ცხოვრებაში დამემკვიდრებინა; თავად ეს საგნები კი ყოველად ირაციონალური, მხოლოდღა სიმბოლური დატვირთვის მქონენი უნდა ყოფილიყვნენ. ვფიქრობ, თქვენთვის უკვე სავსებით გასაგებია, რომ ამგვარი საგნები სრულიად გამოუსადეგარია და მხოლოდღა ფეტიშისტური მიზნებისათვის თუ გამოდგება. მათი იდეური შეხლა პრაქტიკულ, გამოყენებად საგნებთან აფოფრილი მამლების ბრძოლას უნდა დამსგავსებოდა და თანდათან, პარიზის არაერთი ბინა დაემსგავსა სიურრეალისტურ სალონებს. მათ შემხედვარე ადამიანებს არათუ არავითარი სურვილი აღარ უჩნდებოდათ საკუთარ ფობიებზე, მანიებზე, გრძნობებსა და მისწრაფებებზე ელაყბათ, არამედ საერთოდ ავიწყდებოდათ ეს ყველაფერი.

ამგვარი სიურრეალისტური საგნების ბუნდოვანებამ მთლად ფეხქვეშ გათელა ის, რასაც „ზმანებების თხრობა“ შეიძლება დავარქვათ. ახლა არაცნობიერზე და მისგან მოვლენილ საკუთარ ფანტაზიებზე ლაპარაკი უკვე, უბრალოდ, მოვეტონად ითვლებოდა, სიურრეალისტურმა საგნებმა კი რეალობის ახალ-ახალი მოთხოვნები გააჩინა. ხალხს უკვე აღარ სურდა რაღაც „მომხიბვლელზე“ საუბარი - ახლა მათ თავად შეეძლოთ დაენახათ, ხელით შეხებოდნენ ამგვარ „მომხიბვლელ საგნებს“ თავიანთ რეალურ ყოფაში.[21]

ისიც ითქვას, ცენტრალური ევროპა იქნებოდა ეს თუ შორეული იაპონია, იქაურმა სიურრეალისტებმაც სწრაფად აითვისეს თანამემამულეების „გაოცების“ ეს ჩემეული მეთოდისა და ვისაც კი მოდურობისათვის ალღოს აღების ნიჭიც აღმოაჩნდა, ვიტრინების გაფორმებაზე შეკვეთები არ მოჰკვლებიათ თანამედროვე მაღაზიების მეპატრონეებისაგან.

იმავე პერიოდში, ამ ჩემი სიურრეალისტური სიგიჟეების გარდა, ასე ვთქვათ, „ჩვეულებრივ“ სურათებსაც ვხატავდი, თუმცა რაღაც დალისებური, ცხადია, მათშიც შემქონდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ხალხი ჩემს ხელწერას უკვე ცნობდა კიდევ და უშეცდომოდ გამოარჩევდნენ ხოლმე ჩემს ნამუშევრებს. დაიცა-მეთქი, ვფიქრობდი, ცოტა ხანიც შეიცადეთ და ნაღდ რეალობასა და კლასიციზმსაც გაზიარებთ; დაიცადეთ, სულ ცოტა ხანიც დაიცადეთ...

პარიზში ჩვენი ყოფნის ეს კიდევ ერთი პერიოდიც დასასრულს უახლოვდებოდა და მინდოდა, ორი-სამი თვე ისევ კადაკვსში გამეტარებინა. რატომაც არა, რა - „მსოფლიო დედაქალაქში“ სახელი უკვე გამივარდა და თავად სიურრეალიზმსაც უკვე ისე ყოფდნენ - დალიმდე და დალის შემდგომ. და სწორედ მაშინ მოხდა ეს ამბავი: მეგობრებთან ერთად გამარჯვების მოედანზე მდებარე ერთ ბისტროში ვისხედით; აღარც კი მახსოვს, რაზე ვმასლავდით, რომ უცებ მიმტანმა ხელის არტისტული მოძრაობით ზედ მაგიდის შუაში

ახლად გამომცხვარი ფრანგული გრძელი პური დაგვიდო - თითქოსდა, ყვავილებიანი ლარნაკის მაგიერ! „ეგეც დალი!“ - წამოიძახა ერთმა და უკვე ცხადი გახდა, რომ ეს უბრალოდ „ფრანგული პური“ კი არა, უკვე ჩემი, საღვადო დალის სახელობის პური იყო - მოკლედ, უკვე პურის მცხოვრებლები და მიმტანებიც კი სიურრეალისტობდნენ!

\*

მაგრამ ერთი რამაა, რაზედაც უცილობლად უნდა გავამახვილო ყურადღება: თუკი ბოგადად ჩემი გავლენა სხვებზე მაინც შეფარული იყო, გალას გავლენა ჩემზე ორმაგად ფარული გახლდათ. ხშირად მავანთ ეგონათ, რომ ჩემი საიდუმლო ამოხსნეს, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რაკილა საიდუმლო ესე გალას ეკუთვნოდა და არა მე. უბრალოდ, ჩემი და გალას ურთიერთობის საიდუმლო ორ თანაბარ, ურთიერთგამანონანსწორებელ პინას ქმნიდა. ვთქვათ, ხელმოკლეობა: ესეც ჩვენი ერთი საიდუმლოებათაგანი იყო. მუდამ მდიდართა წრეში ვტრიალებდით და ისიც კარგად გვესმოდა, რომ ჩვენი ხელმოკლეობის წარმოჩენა ხეირს არ დაგვაყრიდა. მოკლედ, შიშშილითაც რომ დავხოცილიყავით, ამის შემტყობი არავინ იქნებოდა, ვინაიდან წესად დავიდეთ, ჩვენი ამგვარი შეჭირვება არავის სცოდნოდა.

მსგავსი ქცევისათვის ზედგამოჭრილი ესპანური სიტყვა *pundonor* კარგად მიესადაგება იმ ანეკდოტს, რომელშიც გადარიბებული ესპანელი აზნაური, ერთი შეხედვით, მეტად უცნაურად იქცევა: ბუსტად შუადღისას, ეკლესიის ზარების ჩამორეკვისთანავე, ის შინ მიდის და ცარიელ მაგიდას მიუჭდება; იცდის გარკვეული ხანი, მერე კი მთავარ მოედანზე გამოდის მუხლის გასაშლელად და პირში კბილის საჩიჩქნი წვირი აქვს გაჩრილი; წელგამართული, ამაყად ჩაივლის რატუმის წინ, რათა ყველამ დაინახოს და დარწმუნდეს, მტაცებლის კბილები ჯერაც არ მომცვეთიაო!

ჩვენც სწორედ ასე ვიქცევოდით - ფულის შემოკლებისდა კვალად ვზრდიდით მიმტანების ფეხის ქირას რესტორნებსა თუ კაფეებში; და საერთოდ, თუ საჭიროება მოითხოვდა, ლუკმასაც არ ჩავიდებდით პირში, მაგრამ ღარიბულად კვებაზე კი არც ერთი არ გახლდით თანახმა.

საერთოდ, მალაგაში გატარებული დღეებიდან მოყოლებული, მე სრულად დავემონაფე გალას: სწორედ მან მასწავლა, როგორ გამეთავისებინა სიამოვნების განცდა, როგორ შევმოსილიყავი, როგორ ჩამეწლო ნებისმიერი დამრეცი კიბე ისე, კისერი არ მომეტეხა, როგორ არ დამეკარგა საფულე, როგორ მესადილა ისე, ბოლოში ქათმის ძვალი ჭერში არ ამეგდო... სწორედ მან გამომიმბეურა თანაფარდობის ის გრძობა, რომელიც მუდამ თვლემდა ჩემში და სწორედ მან დამაყენა კლასიციზმის გზაზე. მოკლედ, ცხოვრებას რომ არ დავებეჩავებინე ანდა ბერნარ განდევილს არ დავმსგავსებოდი, ბედის უკუღმართობათა წინაშე ციხესიმაგრე ამაგებინა საკუთარსავე თავში. ახლა შინაგანად ვბერდებოდი, წყნარად და მშვიდად; ხოლო როცა საათების დახატვა დავაპირე, მათი ეს სილბოც, ეტყობა, იმთავითვე იყო ნაგულისხმები და ესეც - იმავე გალას წყალობით.

ეს ამბავი კი ასე მოხდა: ერთ საღამოს მეგობრებთან ერთად კინოში უნდა წავსულიყავით, მაგრამ რატომღაც, თავი წამომტკივდა და გალას ვთხოვე, იქნებ უჩემოდ წახვიდეთ-მეთქი. ვახშამს ძალზე მძაფრგემოიანი კამემბერი დავაყოლეთ და მერე მარტოდმარტო ვიჯექი სავარძელში - „სილბოს გამოსახვის“ ახალგაჩენილ იდეას ვტვინავდი. ბოლოს, როგორც ეს წესად მედო, სტუდიაში გავედი და სინათლე ავანთე, რათა ბოლოჯერ შემეწლო თვალი დღის ნამუშევრისათვის. სურათი პორტ-ლიგეტის მთვარით განათებულ კლდოვან სანაპიროს ასახავდა, წინა პლანზე წამოწეული, ტოტებდასხეპილი, შიშველი ზეთისხილის ხით. კარგად მახსოვდა, როგორ გამიჩნდა ამ პეიზაჟის ტილოზე გადატანის სურვილი, მაგრამ მომკალით და ვერაფრით გამეხსენებინა - რისთვის! ახლაც ვიდექი და წარმოდგენა არ მექონდა, მეორე დღეს კიდევ რა უნდა მიმეხატა ზედ. ის იყო, სინათლის ჩაქრობა დავაპირე და უცებ დამცეცხლა - პასუხი აგერ იყო, მზა და უალტერნატივო! ორი „ლბილი“ საათი თითქოს ეკიდა კიდევ სურათის კუთხეში, იმ შეუფოთლავი ხის კენწეროზე! წამში გადამაღვინყდა შაკიკიცა და სხვა ყველაფერიც - პალიტრას ვეცი, საღებავები განვაზავე და გამალებული შევუდექი ხატვას. როცა გალა დაბრუნდა, ეს ჩემი ნამუშევარი - მომავალში *გოტურმე* მართლა რომ გამითქვამდა სახელს - უკვე მზად იყო. გალა ვაიძულე, სავარძელში ჩამჭდარიყო თვალდახუჭული, მერე კი გადასაფარებელი უცებ გადავადრე სურათს და ვეუბნები: „ერთი, ორი, სამი! გაახილე თვალი!“. მერე სახეში შევყურებდი და

ზედ უცდომელად ამოვიკითხე გაოგნებისა და აღტაცების გამომეტყველება. მაშინდა ვირწმუნე, რომ მართლაც სწორ გზას ვადექი, რადგან გალას არასოდეს ღალატობდა ნაღდი იდუმალების შეცნობის ნიჭი.

„როგორ ფიქრობ,“ - ვეკითხები, - „სამი წლის შემდეგაც გემახსოვრება ეს სურათი?“

„არა, ჩემო კარგო,“ - მიპასუხა, - „ვინც თუნდაც ერთხელ თვალს მოჰკრავს, ის ამას ვეღარასოდეს დაივიწყებს...“

დასაძინებლად გავეშურეთ და ზრდილობის გამო მაინც ვკითხე, ფილმი თუ მოგეწონა-მეთქი.

„რა ფილმი?“ - გაიკვირვა გალამ.

\*

დილით კინოსტუდიიდან მორიგი უარი მივიღე - დიდი რუდუნებითა და იმედებით შექმნილი სცენარი დამინუნეს. რაკილა იმთავითვე მეცა უარყოფითი შეფასების სუნი, აღარც კი მინდოდა წერილის ნაკითხვა, მაგრამ წინააღმდეგობა იმ სურათის დამთავრებამ იმგვარ აღტკინებულ ხასიათზე დამაყენა, რომ ისე, სასხვათაშორისოდ მაინც გადავაავლე თვალი. ძაან საინტერესო რამეაო, - მწერდნენ, - ოლონდაც იმდენად თავისებური, რიგითი მაყურებელი ამას თავსა და ბოლოს ვერ გაუგებსო; ეგეც არ იყოს, იმდენად ხარჭიანი გამოვა, მისი კომერციალიზაცია იმთავითვე გამორიცხულიაო.

ეგ არაფერი - ორი დღის მერე ამერიკიდან ჩიტი ჩამოფრინდა და ჩემი „ლბილი საათები“ შეიძინა (სინამდვილეში, ნახატს „ჯიუტი მოგონებანი“) დავარქვი. ჩიტს, ელ გრეკოსეული ანგელოზების მსგავსად, შავი ფრთები ჰქონდა (რომლებსაც მარტო მე ვხედავდი), უკანასკნელ მოდაზე გახლდათ გამონკეპილი (ეს კი ყველას წამსვე თვალში ხვდებოდა) და სახელად ჟულიენ ლივაი ერქვა. ეგ კაცი იყო სწორედ, ვინაც შემდგომში მთელ ამერიკას გააცნო ჩემი თავი. თუმცა იმ დროს ჯერაც მიაჩნდა, რომ მხოლოდ ვინრო წრეს თუ მოაწონებდა და ძირითადად, ასე ვთქვათ, „პროპაგანდისტული მიზნებით“ ყიდულობდა ჩემს სურათებს. მაგრამ გამოხდა ხანი და სწორედ ეს ნახატი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, მისი ფასიც სულ უფრო იზრდებოდა, სანამ საბოლოოდ თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმში არ დაიდო ბინა და ისიც ითქვას, არავისზე ნაკლები მნახველი მას არ ჰყოლია! იმაზე აღარაფერს ვამბობ, რამდენი ასლი გადაიდეს და სად აღარ ნახავდით მათ - თუნდაც საბაყლოს ვიტრინებში...

ისიც მახსოვს, ერთხელაც რაღაც იდიოტური ფილმის გადაღებაზე რომ დამპატიჟეს - თურმე ნუ იტყვიოთ და, ჩემი „იდეების მიხედვით“ აკეთებდნენ! ვაი მაგათ პატრონს და მე კიდევ მაგათ ხელში-მეთქი, - ვფიქრობდი. მერე მთხოვეს კიდევ, იქნებ გამოაცოცხლოთ როგორმეო, მაგრამ მკვდრადმობილს რა გააცოცხლებს?! სალვადორ დალის იმიტაცია მხოლოდ სალვადორ დალის ძალუძს-მეთქი, ვუთხარი და მეტი პირიც აღარ მიქნია იქით.

ასეა თუ ისე, ვინ არ მპარავდა, ვინ არ მწაპნიდა, ვინ არ მიიწერდა ჩემსას, მაგრამ ჩემი სახელი მაინც უკვე სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა სხვადასხვა სალონებსა თუ გამოფენებზე, თუმცა ამას ჩემი ჯიბისათვის ხეირი არ დაუყრია - მე და გალამ იმის ფული ძლივს მოვაქუჩეთ, ორიოდე თვით დავბრუნებულყავით პორტ-ლიგატში. ოჯახიდან გამოძევების მერე ხომ მშობლების არც არანაირი დახმარების იმედი აღარ უნდა მქონოდა - პირიქით, როგორც მეუბნებოდნენ, მამაჩემი იქნებ იმასაც ცდილიყო, პორტ-ლიგეტიდანაც ამომეკვეთა ფეხი - ჩემს ასეთ სიახლოვეს ვერ იტანდა თურმე... მოკლედ, ვილჰელმ ტელის ვაშლივით ვგრძნობდი თავს, რაც - მოგეხსენებათ - მშობლის მიერ შვილის მსხვერპლშენივრის მარადი სიმბოლოა: სატურნი ყბაში მოიქცევს საკუთარ ვაჟებს, მამა-ღმერთი იესოს გასწირავს, აბრაამი ისააკს უპირებს ყელის გამოჭრას და ა.შ. აი, ვილჰელმ ტელი კი შვილის თავზე დადებულ ვაშლს უმიზნებს ისარს.

სწორედ იმხანად, გალას პორტრეტი დავხატე, თან მხარზე ხორცის ორი უმი ნაჭერი გამოვუსახე - ანუ, იმის მაგივრად, რომ საკუთრივ მისი შეჭმა განმეზრახა, ყურადღება უმი ხორცის ნაჭრებზე გადავიტანე; ეს სწორედ მსხვერპლშენივრის კანიბალისტურ ქვეცნობიერ გამოვლინებათა ჩანაცვლების ამკარა და თვალსაჩინო მაგალითია - ვთქვათ, როგორც აბრაამის ბატკანი თუ ვილჰელმ ტელის ვაშლი. ახლა ყურადღება მიაქციეთ, რომ სამსხვერპლო ბატკანიც, ვაშლიც, ჯვარს გაკრული ღვთისშვილიცა და სატურნის ვაჟებიც -

სუყველა ეს უმი სხეულია, კანიბალისტური მსხვერპლშენიერვის უცილობელი წინაპირობა.[22] სწორედ ასევე, მერე საკუთარი თავიც დავხატე - ათიოდე წლის ბავშვი, თავზე რომ უმი ხორცის ნაჭერი ადევს. აშკარაა - სიმბოლურად, მამაჩემს ვინვევდი, რათა ჩემ მაგივრად ეს ხორცი შეეჭამა. საკვებით მსხვერპლშენიერვის ეს თემა რაღაც ამოჩემებად მექცა და ისიც კი დავაპირე, უზარმაზარი მაგიდა შემექმნა მოხარბული კვერცხისაგან: წარმოიდგინეთ, ერთი - მაგიდა, რომელზედაც კი არ ჭამ, რომელსაც თავად ჭამ!

შემოდგომაზე მე და გალა ბარსელონას გავემგზავრეთ - ლექცია უნდა წამეკითხა იქ და მართლა მაინტერესებდა, ჯერ კიდევ თუ შემრჩენოდა მჭევრმეტყველების ნიჭი და მსმენელთა მონუსხვის უნარი. გამოსვლისათვის ქალაქის ინტელექტუალთა სახელგანთქმულ ცენტრ Ateneo Barcelones-ს უნდა ემასპინძლა და მეც გადავწყვიტე, იმხანად პროვინციალური პატრიოტიზმით შეპყრობილ იქაურ ელიტას დავსხმოდით თავს. კარგად გავიანგარიშე და მთელი ნახევარი საათით ადრე მივედი, რითაც მთელი აუდიტორია ისეთ აღგზნებულ მდგომარეობაში მივიყვანე, თქვენი მოწონებული.

გამოსვლა მარკიბ დე სადის ერთგვარი აპოლოგიით დავიწყე და არც მეტი, არც ნაკლები, იგი თავად ნეტარხსენებულ ანხელ გუიმერას დავუპირისპირე, რომელიც ფრიად პატივსაცემ და სასიქადულო ვინმედაც კი მიიჩნეოდა ურა-პატრიოტ კალმოსან კატალონიელთ შორის. ოღონდაც ეგ იყო, რომ მთავარი არ მცოდნია - სწორედ ეგ ანხელ გუიმერა ყოფილა იმ საზოგადოების დამაარსებელი, მე რომ მიმინვია ლექციის წასაკითხად! ამან იმდენად გაამძაფრა სკანდალი, რომ პრეზიდენტს მეორე დღესვე მოუწია თანამდებობის დატოვება... მოკლედ, გაქანებული მოხსენების დროს, ხაზგასმით წარმოვთქვი: „ეგ დამპალი მეტრავე, ანხელ გუიმერა...“ სწორედ მაშინ ვიაზრე, რომ ლექციის ამბავი მომთავრებული იყო - დამსწრე საზოგადოება ლამის ისტერიაში ჩავარდა, სკამები დამიშინეს და ნაღდად ძვალ-რბილსაც გამიერთიანებდნენ, დაცვას რომ არ გამოედო თავი და იქაურობას არ გავერიდებინე. ქუჩაში გამიყვანეს, ტაქსში ჩამსვეს და „ძან კარგად გეჭირათ თავიო“, - მითხრა კიდევ ერთმა. კი, ბატონო, იქნება და, ღირსება არ დამიკარგავს, მაგრამ ვაცმა რომ თქვას, ნამდვილი ვაჟკაცობა სწორედაც დაცვამ გამოიჩინა და საკუთარ თავზე იწვინა გამმაგებული ბრბოს მუშტების ძალა...

ამ ამბავს გარკვეული შედეგებიც მოჰყვა: სულ მალე მეორე მონვევა მივიღე - ამჯერად რომელიღაც ანარქისტული დაჯგუფებისაგან. „ჩვენთან ყველაფერი შეგიძლიათ თქვათ,“ - დამამშვიდა მათმა თავკაცმა, - „და რაც უფრო მაგარ-მაგარს იტყვით, მით უკეთესი.“ დავყაბულდი და მასპინძლებს მხოლოდ ის ვთხოვე, ერთი გრძელი ფრანგული პური მიშოვეთ და რაიმე თოკები, თავზე რომ დავიბა-მეთქი. ამჯერად ლექციაზე მთელი ათი წუთით ადრე მივედი და დარბაზის გვერდით, პანია ოთახში შემეყვანეს, სადაც პური და ტყავის წვრილი ქამრები დაელაგებინათ მაგიდაზე. „სულ ესააო?“ - მკითხეს. ავუსხენი, რომ გარკვეულ დროს, როცა ვანიშნებდი, დარბაზში ეს პური უნდა შემოეტანათ და უცილობლად თარაბულად დაემაგრებინათ ჩემს თავზე, ისე, რომ ქამრები ილღიების ქვეშ გაეტარებინათ. ყველაფერი ეს უდიდესი სერიოზულობით უნდა მოემოქმედათ და თუ ამდენსაც მოახერხებდნენ - ავბედითი გამომეტყველებითაც კი.

ხაზგასმულად დახვეწილად გამოვენყვე და დახვედრაც შესაბამისი გამოდგა, თუმცა აქა-იქ მაინც გაისმა რაღაც ხმები, რომლებიც ტაშმა და ჩემს მხარდამჭერთა შეძახილებმა ჩაახშო - „ჯერ აცალეთ, ილაპარაკოს!“

თავპატიჟი არ გამომიდვია, ოღონდ ამჯერად მარკიბ დე სადით კი არა, ერთგვარად ირაციონალური და ბილწსიტყვაობით გაჭერებული, მეტად პოეტური შესავლით დავიწყე. თან ყველაფერ ამას ისე ვაკეთებდი, თითქოსდა აქ არაფერიო. უნდა გენახათ, მთელ ამ ანარქო-სინდიკალისტ „კოდლას“, თავიანთი ცოლებითა და ქალიშვილებით რომ მობრძანებულიყვნენ სეირის საცქერლად, რა სახეები გაუხდათ - აკი ეგონათ, ბურჟუაზიის აპოლოგეტი დალი მოსდგება და ახლა თავად ბურჟუაზიას დაცოფავსო!

უცბად ვიღაც თმაშვერცხლილი, წმ. იერონიმესავით მკაცრსახიანი კაცი გადმოდგა და ხმამაღლა დამამუნათა - ბორდელში ხომ არ გგონიათ თავი? აქ ცოლ-შვილებითა ვართ მოსული და კეთილი ინებეთ, პირი გამოირეცხეთო! ვუპასუხე - ანარქისტების საკრებულოს ეკლესიად ნამდვილად ვერ აღვიქვამ-მეთქი; ამას გარდა, აქ იმყოფება ადამიანი, ვისაც ქვეყნად ყველაზე დიდ პატივს მივაგებ - ჩემი მეუღლე და არა მგონია, რაც მისი

ყურებისთვისაა მოსასმენი, თქვენი ცოლებისათვის მთლად აგრერიგად მიუღებელი იყოს-მეთქი!

ამან კვლავ ჩემკენ შემოატრიალა დამსწრეთა უმრავლესობის განწყობა და ვიფიქრე - ახლა კი დროა, მეორე განყოფილებაც წარვედგინო-მეთქი. კულისებს მიღმა ვანიშნე, პური შემოეთანათ. ამან ცალკე იმისთანა აღტკინება გამოიწვია, რომ ცხადი იყო - ყველაფერი ეს ასე იოლად არ დამთავრდებოდა. როგორც კი პური თავზე დამიმაგრეს, წამსვე ჩემი უკვე ცნობილი ლექსის - „მშალი სახედრის“ დეკლამირებას მოვყევი. ეგ იყო და, ვიღაც ხანმოთეულმა ბატონმა, სახენამოჭარხლებულმა და თეთრწვერამ, მართლა გარევა - გადმოხტა და ჩემკენ გამოიწია საცემრად. მერე მითხრეს, ცნობილი ლოთი ყოფილა და სიგიჟეც არცთუ იშვიათად მოუვლიდა ხოლმე, ოღონდ ამისთანა ადრე თურმე არასოდეს მოსვლია - 5-6 კაცი ერთად ცდილობდა მის გაკავებას, მაგრამ რაღაც სასწაულით, ხან ფეხს ითავისუფლებდა, ხან მკლავს და ისეთს მოსდებდა ხოლმე ერთ-ორს, რომ იმათ უკვე წესრიგის აღდგენის მცდელობის ყოველგვარი სურვილი უქრებოდათ. მოკლედ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საღამომ გარკვეული წარმატებით ჩაიარა...

ასე იყო თუ ისე, მასპინძლები მაინც კმაყოფილი დამირჩინენ: ცოტა ზედმეტი კი მოგივიდათ, სენიორ დალი, მაგრამ მაინც კარგი იყო, - სწორედ ასე მითხრეს.

მერე კიდევ ვიღაც პიჟონი მოვიდა ჩემთან, პიტნის ფოთლების ღეჭვა-ღეჭვით (მხოლოდ ბალახ-ბულახს გეახლებითო, მამცნო) და ჩემ მიმართ სიმპათიის გამოხატვის ნებართვა ითხოვა. ბრძანეთ-მეთქი, მივუგე და დაახლოებით ამგვარი რამ განმიცხადა: „ბიძია ჯობედი (სტალინს თუ გულისხმობდა) არასოდეს მეხატებოდა გულზე, მაგრამ ეს პიტლერი, კარგად თუ დავუკვირდებით, მთლად ნიცქეანელია და აგერ ნახავთ, სულ მალე მთელ ევროპას დედას უტირებს! ისე, სიმართლე ითქვას და, ევროპაცა და მისი დედაც სულ ქინძზე მკიდია...“

ამით იმის ჩვენება მსურდა, თუ რა დღეში იყო იმდროინდელი ბარსელონა - ბაბილონის გოდოლს ჰგავდა, უკვე დანგრეულს, როცა ხალხი სხვადასხვა ენაზე ამეტყველდა. პოლიტიკური პარტიები რწყილებივით ჩნდებოდნენ, მერე იყოფოდნენ, პატარ-პატარ სექტებად იშლებოდნენ, ერთმანეთს თავსლაფს ასხამდნენ, ჩხუბობდნენ... ოთხი მარტო კომუნისტური პარტია იყო და ოთხივე პირველობას ჩემულობდა, სამი - ტროცკისტული, რამდენიმე - ანარქისტული, ორი - რესპუბლიკური, ერთი იბერიულ-ანარქისტული ფედერაცია, მოძრაობა „ჩვენ თავად“, მემარცხენეები, მემარჯვენეები, ცენტრისტები, ნახევრად ცენტრისტები, ახალი მემარჯვენეები და ულტრამემარცხენეები - მოკლედ, ისეთი დომხალი იდგა, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში... ჩემი აზრით, ერთმა ფიგურასელმა გლეხმა მეტად მოსწრებულად დამიხასიათა ვითარება: „თუ ქვეყანაში ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა, ბოლოს თავად მაცხოვარიც რომ გარდამოვიდეს დიდი საათით ხელში, არც მისი და არც საათის მცნობი მალე აქ აღარავინ დახვდებაო!“

\*

პარიზში რომ დავბრუნდით, ახლა ერთ თანამედროვე, ფუნქციონალისტურად აგებულ შენობაში დავბინავდით. ამგვარ არქიტექტურას „თვითგვემის“ არქიტექტურას ვეძახი, თუმცა მის მაცხოვრებლებს რას ვერჩი - ისინი, უმეტესად, ღარიბი ხალხია და ჩვენც ხომ ღარიბები ვიყავით! ასე რომ, ლუი XIV-ის დროინდელი ავეჯის მაგივრად, ახლა სულ ნიკელსა და ქრომში გამოყვანილი ანტურაჟი გვერტყა გარშემო. ამგვარი, ერთგვარად ასკეტური გარემო კიდევ უფრო მიძლიერებდა ფუფუნებისადმი ლტოლვას - იმ ალვის ხეს ვგავდი, ტაშტში რომ ჩარგეს...

ოღონდ ამჯერად კარგი ის იყო, რომ როგორც აღმოჩნდა, ხალხი ნამდვილად მოელოდა ჩემს ჩამოსვლას - ბოგიერთის მტკიცებით, ჩემს არყოფნას „გაუდაბნოების“ ეფექტი მოუხდენია პარიზის ნახევარზე მაინც. ახლა კი ელოდნენ, რა გზას ვუჩვენებდი „გასაგრძელებლად“. მაგრამ ამჯერად უარზე დავდექი - მინდოდა, თავად დაედინათ თავი საკუთარი ილუზიებისთვის.

საქმე ისაა, რომ ბარსელონაში ჩატარებულმა ორმა ლექციამ თვალნათლივ დამანახა - მორიდებისა და უხერხულობის გრძნობა სრულად დამეძლია და ახლა ახალი აუდიტორია მჭირდებოდა, „ახალი ხორცი“, რომელიმე ახალ ქვეყანაში, რომელსაც ჯერაც არ ეცნოსა

ომის შემდგომი ევროპის ღპობის სუნი... ამერიკა! აი, სად უნდა წავსულიყავი და მენახა ერთი, ჩემეულპურნაგემნი, იქაურები რა სახებს დააწყობდნენ ჩემსავე განცხადებაზე - „ახლა არ მკითხოთ, რისთვის და რატომ, და საერთოდ, რას ნიშნავს ყოველივე ეს!“

სწორედ იმხანად, ნიუ-იორკის გაზეთებიდან ვრცელი ამონაჭრები გამომიგზავნა ჟულიენ ლივანიმ, რომელსაც ბაფხულში ჩემი სურათების გამოფენა მოეწყო იქ და სხვებთან ერთად, ის „ლბილსაათებიანი“ სურათიც გამოეფინა თურმე. წარმატება დიდი იყო, თუმცა არც ისე ბევრი სურათი გაიყიდა - ყოველ შემთხვევაში, სტატიებიდან ამკარად ჩანდა, რომ იქ ბევრად უკეთ ესმოდათ ჩემი და ბევრად უფრო მიუკერძოებელი იყვნენ, ვიდრე აქ, ევროპაში. პარიზშიც კი ყველა საკუთარი ესთეტიკური მრწამსის გადასახედიდან აფასებს ყველაფერს, და ერთნი თუ მზად არიან, თავი შეაკლან კუბიზმსა და არაფიგურულ სახვით ხელოვნებას, სხვანი - „წმინდა პლასტიკური გამოსახვის“ ნეოპლატონიკური პლატფორმიდან ისე დაგიშენენ სიტყვიერ ჭურვებს, ნაღდი ღვართქაფისა და ნუმნუმის დაფრქვევა გერჩიოს ციდან! გამოსახვის ჩემულ მკაცრ ხელწერასა და სისტემურობას კი ბევრი საერთოდ გამოჰყავდა წყობიდან. მოკლედ, პარიზში მარტო საკუთარი და ისიც - თავგადაკლული მომხრეების იმედზე თუ ვიქნებოდი მხოლოდ.

აი, ამერიკაში კი სულ სხვაგვარი ვითარება იყო: ესთეტიზმის საკითხებზე ჩვენში გაჩაღებულ ხელჩართულ ომთან იქ მათ მხოლოდ წმინდად ინფორმაციული შეხება ჰქონდათ და ბევრი ჩვენთვის მეტად ტრაგიკული ნახევარტონებით შეფერილი შეხლა-შემოხლა მათთვის მხოლოდ სასერიო ამბებად აღიქმებოდა. კუბიზმს თუნდაც მეტ-ნაკლებად საგრძნობი გავლენაც კი არა ჰქონია იქ და სავსებით სამართლიანადაც მიიჩნევდნენ, რომ ამ ექსპერიმენტულ მიმდინარეობას ახლა მხოლოდ სახვითი ხელოვნების ისტორიის არქივში უნდა დაედო ბინა. ასე რომ, მათ არც არავითარ წინასწარი ამოჩემებები არა ჰქონიათ, არც არავითარ დაჯგუფებების ურთიერთქიშპს არ გადაჰყოლიან და მშვიდად და წყნარად შეეძლოთ, შეეფასებინათ ყოველივე ის, რაც ჩვენთან, ევროპაში ხდებოდა. საამისოდ კი, აბა, ჩემზე უკეთესს ვის იპოვიდნენ?! ევროპელები ძაანაც ცდებიან, როცა ამერიკელებს არაპოეტურ და ინტელექტუალურ ინტუიციას მოკლებულ ხალხად მიიჩნევენ. მართალია, ისინი არა ტრადიციის გააზრებით, ან გემოვნების უწყვეტი „დახვეწის“ გზით არიდებენ თავს ესთეტიკურ შეცდომებს - არა, მათ არც დეკადენტურად განწყობილი აზროვნება გააჩნიათ და არც ტრადიცია, მაგრამ იმგვარი გულისთქმა აქვთ, რაც მხოლოდ ახალგაზრდა ერებს ახასიათებთ...

ისინი ბიოლოგიური მისწრაფებებით საზღვრავენ ყველაფერს - ძაანაც კარგად გრძნობენ, რაც აკლიათ და სწორედ ამის მირთმევას ვაპირებდი მათთვის, პარანოიდალური ცთავისუფლების იმ შეგრძნების, რასაც ისინი ინსტინქტურად მიესალმებოდნენ. სულ ერთია, რა იქნებოდა ეს - ჩემი „მჰალი სახედრები“, ელ გრეკოს აჩრდილოვანი ქრისტეები, ვან გოგის მფეთქავი მხესუმბირები თუ შანელისეული დეკოლტეები, ბუმბულისაგან შექმნილი, ყოველგვარ გამოყენებით აზრს მოკლებული ჭურჭელი, პარიზის სიურრეალისტური მანეკენების მეტაფიზიკა, გაუდის ლამის ვაგნერიანული არქიტექტურა, ხმელთაშუაზღვისპირეთის კათოლიციზმი...

თავად ეს იდეა მაშინ გამიჩნდა, ალფრედ ჰ. ბარს რომ შევხვდი - ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორს. ეს ავადმყოფური გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, მუდამ რაღაც ტეხილი ჟესტებით რომ საუბრობდა, ვიკონტ დე ნუალესთან გავიცანი. მისი ცოდნა-განათლება თანამედროვე ხელოვნების განხრით ლამის დამთრგუნველი იყო: ჩვენი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმთა უსტაბაშთაგან განსხვავებით, რომელთაც, მგონი, ჯერ პიკასოს სახელიც კი არ გაეგოთ, ბ-ნი ბარი ყველას გამოწვლილვით იცნობდა და პირდაპირ მითხრა - თქვენ ამერიკაში უნდა გვესტუმროთ და მერწმუნეთ, წარმატება გარანტირებული გაქვთო... მე და გალას ერთი სული გვექონდა, გავმგზავრებულიყავით, მაგრამ ეგაა, რომ უფულობა გვიშლიდა ხელს.

სწორედ იმ ხანებში ერთ ამერიკულ ქალბატონს დავუმეგობრდით, რომელსაც მთელი სახლი ეყიდა პარიზის შემოგარენში. სიურრეალიზმის თავგამოდებული თაყვანისმცემელიც გახლდათ და ჩვენც ხშირად გვიწვევდა თავისთან სადილზე. ერთხელაც, მასსოვს, მთლად გადათეთრებულ ოთახში შევექცეოდით საჭმელს. მაგიდის გადასაფარებლიდან დაწყებული და სერვიზით დამთავრებული, ყველაფერი თეთრად ფითქინებდა: ტელეფონიც თეთრი იდგა, ფარდებიც თეთრი ეკიდა, ხალიჩაც თეთრი იყო. მასპინძელი მთლად თეთრ კაბაში გამოწყობილიყო, სადაფის თეთრი საყურეები ეკიდა,



თეთრივე ფერის ფეხსაცმელები ემოსა და ორი დიდრონი თეთრი სამაჯური უმშვენებდა მაჯებს. ინდაურის თეთრ ხორცს გეახლებოდით და თეთრსავე ღვინოს ვაყოლებდით. გარწმუნებთ, ვინმეს ფოტო რომ გადაეღო ჩვენთვის, ნაღდად ნეგატივი გამოვიდოდა... ეს ქალბატონი კარეს კროსბი გახლდათ.

ის ძალზე დაინტერესდა ჩემი „იდუმალი საზოგადოებით“ და შემომთავაზა კიდევ, ერთ პურისმცხობელს ვიცნობ, ყოველგვარი უცნაურობების დიდი მოტრფიალეა და იქნებ იმას დავუკვეთოთ ეგ თქვენი გრძელბე-გრძელი ფრანგული პურიო. იმ თხუთმეტმეტრიანი ფურნეს საკითხს კი თავად მოვაგვარებ - თუ სხვანაირად არ იქნა, სულაც ჩემს ებოში ავაშენებინებო!

მე და გალა ყოველგვარა დავიარებოდით იქ - ხან საჯინბოში განწყობილ სუფრას ვუსხედით, სადაც გარშემო სულ ბენგალური ვეფხვის ტყავები და თუთიყუშების ფიტულები გამოეფინათ; ხანაც - გადასარევ ბიბლიოთეკაში, რომლის ყოველ კუთხე-კუნჭულში მამპანურის ბოთლჩადგმულ, ყინულით სავსე სათლებს ნაანყდებოდი კაცი... ფონოგრაფიდან განუწყვეტლივ მოისმოდა ხოლმე ვოლ პორტერის „დღითა და ღამით“, ხოლო ჟურნალებისათვის განკუთვნილი პატარა მაგიდა ღამის იზნიქებოდა „ნიუ-იორკერის“ მთელი წლის ნომრებისაგან. მთელ ამ „ამერიკულ“ სურნელებას კი მე ისე ვიყნოსავდი, როგორც რომ დამშეული კაცი შეისუნთქავს ხოლმე სამზარეულოდან გამომავალ უცხო კერძების სუნს.

მოკლედ, ამერიკაში გამგზავრება უკვე აკვიატებად მექცა. გალა მამშვიდებდა - როგორც კი ცოტაოდენ ფულს მოვაქუჩებთ, იმავე დღეს გავემგზავრებითო, მაგრამ სწორედ იმხანად საქმეები სულ უკან-უკან მიმდიოდა. ჩემს კონტრაქტებს ვადა გაუვიდა, ახალს კი ჯერ არავინ მთავაზობდა. ვისაც უნდოდა, იმას უკვე შეეძინა კიდევ სალვადორ დალის თითო-ოროლა სურათი, ახალი და თან შეძლებული თაყვანისმცემლები კი რაღაც არსაით ჩანდნენ... თუკი რამე თანხა ჩავგივარდებოდა ხელთ, გალა მაშინვე რომელიმე ჩემი წიგნის გამოცემას ახარჯავდა, ეს წიგნები კი ისევ და ისევ იმავე ვიწრო წრეში თუ ტრიალებდა. მართლა უცნაურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი: სახელი და დიდება მემატებოდა, ფული კი - მაკლდებოდა!

\*

ის ხასიათი არა მაქვს, ბედის უკუღმართობას იოლად შევეგუო და ბოლოს მთლად ბრაზმა ამიტანა: მაღაგაში კი გადავწყვიტე, ახლა ფული უნდა ვაკეთო-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოდიოდა! ისეთი ბრაზი მიპყრობდა ხოლმე, ხანდახან ღილებსაც კი ვინყვიტავდი პალტობზე...

ერთხელაც, ქუჩაში მივაბიჯებდი მთელი დღის უშედეგო ვიზიტების მერე და უცებ ვხედავ - ხეიბრის ეტლში გამოჭიმული ვიღაც უსინათლო და უფეხო კაცი ქუჩისპირს მიმდგარა და ჯოხის დაჟინებული კაკუნით მოითხოვს, ვინმემ დახმარების ხელი გაუნოდოს და მეორე მხარეს გადაიყვანოს. საკუთარ ქცევას ანგარიში ველარ გავუწიე და ისე ვკარი ხელი საბურგეს, წუთში მეორე მხარეს აღმოჩნდა! კიდევ კარგი, ძირს რომ არ მოადინა ბღართანი...

აი, სწორედ მაშინ თითქოსდა გონება გამინათდა და მივხვდი კიდევ, როგორ უნდა აღმოვჩენილიყავი ოკეანის გაღმა: ხომ არც უფეხო ვიყავი, არც უსინათლო, და არც არავინ შემიცოდებდა; პირიქით - საკმარისად ცნობილი ადამიანიც გახლდით და ჩემამდე და ჩემზე უფრო, მშიერ ლომს თუ თანაუგრძნობდა ვინმე! ამიტომაც ხელი უნდა გამომელო და იმდენჯერ ჩამომექაჩა ბედის პენისისათვის, სანამ ოქროებს არ გაასხამდა... ხატოვანი აზროვნება იქით იყოს და, ახლა თავად ვინყე გალასავით კარდაკარ სიარული, ყოველგვარ სისულელეს ვთანხმდებოდი და ერთსლა ვითხოვდი - დროზე, დროზე გადამიხადეთ!

გემზე კი ბილეთები წინასწარ დავუკვეთე და ის კი არა, ახლა იმის შიშიც დამჩემდა, ვაითუ დუვრის მატარებელზე დავიგვიანოთ-მეთქი. სამი საათით ადრე გავედიტ ბაქანზე. გალა ხან მამშვიდებდა, ხანაც სიცხილი აუვარდებოდა ხოლმე ჩემი ფორიაქის შემყურეს. „იცინე, იცინე...“ - ვუბნებოდი, - „მე კი მანამ ვერ დავმშვიდდები, სანამ გემზე არ ავალ!“ ისეთ დღეში გახლდით, ფოტორეპორტიორებს უარი ვტკიცე - თქვენთვის არა მცხელა და თუ გნებავთ, ჯაგონის ფანჯრიდან გადმოჰყურებთ და ისე გადამიღიეთ სურათი,

ინტერვიუსათვის კი თავად მოგიწევთ ამოსვლა-მეთქი...

ბოლოს და ბოლოს, გემბეც მოვხვდი და ახლა, ზღვის ავადმყოფობის შიშით, მამპანურის ჭიქა არ გამიშვია ხელიდან და არ ვიცი, მაგის წყალობით იყო თუ რა, მაგრამ გადავრჩი კია. ღია ზღვაში უკვე სხვა შიშები დამეწყო და სამაგალითო გავხდი მთელი ეკიპაჟისათვის: როგორც კი სავარჯიშო განგაში გაისმოდა, მუდამ პირველი ვიყავი, ვინც ინსტრუქციის თანახმად, გასაბერი ჟილეტითა და სრული აღკაბმულობით, ჩვენი კაიუტების მიხედვით გამოყოფილი გასასვლელით, დროზე ადრეც კი ვცხადდებოდი კიჩოზე! საქმე იქამდე მივიდა, გალამ ერთხელ სულაც ამ გასაბერი ჟილეტით მძინარე მნახა ლოგინში! შესაბამისი ინსტრუქციის ბროშურა ხომ ყდიდან-ყდამდე მქონდა დაზუთხული...

როგორც გაირკვა, ე-ნი კროსბიც იმავე გემით მგზავრობდა თურმე და რაკი ხმელეთზე თხუთმეტმეტრიანი პურის გამოცხობის გეგმა ჩაეფუშა, ახლა იქაურ შეფ-მზარეულს შეაბა ეჟვანი და ორმეტრნახევრიანი ფრანგული გრძელი პური მაინც დაამზადებინა (თუმცა, შიგ ხის არმატურის ჩატანება გახდა საჭირო, რათა ფურნედან გამოღებისას შუაზე არ გადამტყდარიყო საკუთარი სიმძიმისაგან). პური გამჭვირვალე ცელოფანში სათუთად შეფუთული მომართვეს და მართლა მაინტერესებდა, თუ რა შთაბეჭდილებას მოვახდენდი, როცა ასე, თავზე პურდაკოსებული დავადგამდი ფეხს ამერიკის მიწას. საქმე ისაა, რომ გარშემო ერთთავად იმ „აბეზარ, გაუთლელ და თავხედ“ რეპორტიორებზე იყო საუბარი, პორტში ჩვენი შესვლისთანავე რომ მოჭარდებოდნენ ტრაპთან. „წარმოიდგინეთ,“ - მიმტკიცებდა ერთი, - „კაცი რაღაცას გეკითხება და თან პირი იმ საზიზღარი საღეჯი რეზინითა აქვს გამოტენილი! დგას და იცოხნება! ამაზრზენი ამბავია...“ ყველა ერთმანეთს უზიარებდა მათგან თავის დაღწევის საკუთარ გამოცდილებასა და ნაცად ხერხებს, მაგრამ მთელი ამ პირფერობის უკან ამჟამაზე ამჟამად იგრძნობოდა ის ფარული შიში, ვაითუ, არც არავინ დაგვხვდეს და არც ინტერვიუს აღება გვთხოვოს ვინმემო. უბრალოდ, ამგვარი ლაპარაკით თავს იზღვევდნენ მხოლოდ. მე კი არც არაფერს ვმაღავდი და ხმამაღლა ვაცხადებდი კიდევ - ინტერვიუებსაც ჩამოვარიგებ და ამ ჩემს პურსაც მოვუტეხავ ჟურნალისტებს - წმინდა ფრანცისკ ასიზელივით, ჩიტებს რომ აპურებდა-მეთქი. ვერც წარმოიდგენთ, რაოდენ გავკვირვებულ და განაწყენებულ სახეებს მიწყობდნენ - აქაოდა, ეს რა მოვეტონიაო...[23]

ვიზები და სხვა რაღაც-რაღაც საბუთები რომ გავაფორმეთ, მითხრეს - ჟურნალისტთა ჯგუფი თქვენთან შეხვედრას ითხოვსო. დავავლე ამ ჩემს პურს ხელი და მომცრო საკონფერენციო დარბაზში შევედი. სიმართლე ითქვას, დაახლოებით იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როგორშიაც დიოგენე იქნებოდა, დღისით-მზისით, სანთლით ხელში მოსიარულესათვის რომ არავის ეკითხა - რას შვებო... სწორედ ასე, ვაციშვილს არ მოსვლია აზრად, პურის თაობაზე ეკითხა ჩემთვის რამე. სამაგიეროდ, ჩემდა გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ ძალიან კარგადაც მიცნობდნენ და შეკითხვებსაც ისეთს მისვამდნენ, თქვენი მოწონებული: „მართალია, რომ თქვენი მეუღლის პორტრეტი დახატეთ, ხორცის ორი შემწვარი ნაჭრით მხრებზე?“ „სრული სიმართლეა, ოღონდ შემწვარი კი არა, უმი ხორცის ნაჭრებით!“ „და რატომ უმი ხორცი?“ „იმიტომ, რომ ჩემი ცოლის ხორციც უმია!“ „ეგ კი, მაგრამ რატომ ეს ორი რამ ერთად?“ „საქმე ისაა, - ვუბნები, - რომ მე ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი და ასევე მიყვარს სისხლიანი ხორცი, და ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა დამეხატა ისინი ერთად!“

ვალღარებ - ეს ხალხი ბევრად უფრო გამოჭევილი გახლდათ საკუთარ ხელობაში და იმის „მოყნოსვაშიც“ ტოლი არ ედოთ, როგორ გამოეჩხრიკათ მასალა მომავალი სტატიისათვის. მოკლედ, გადასარევეად იცოდნენ, როგორ შეეკმაზათ მკითხველისათვის გამზადებული კერძი. ევროპაში ნებისმიერ სახელდაგდებულ ჟურნალისტს თავში უკვე მზადა აქვს ხოლმე ყველაფერი და ისღა აინტერესებს, რაიმე „განსაკუთრებულს“ ხომ არ ეტყვი, ან რაიმე ისეთი არ გაეპაროს, წინააღმდეგობაში რომ მოვა მკითხველის უკვე ჩამოყალიბებულ მოსაზრებასთან. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ევროპელებს თხრობის კარგი უნარი აქვთ, მაგრამ არა - ჟურნალიზმის. ამერიკელები კი ცინცხალ ამბებზე არიან დაგემილნი, კონკურენცია ბიოლოგიურ ინსტინქტამდე აქვთ დაყვანილი და მთავარ რედაქტორს მაგიდაზე საკუთარ „ნააზრევს“ კი არა, ცოცხალ რეპორტაჟებს უდებენ.

ის დღე იყო და, მთელ ნიუ-იორკს მოედო ეს ამბავი, სისხლიანი ბიფშტექსების მირთმევა კი ლამის „კარგი ტონის“ მაჩვენებლად იქცა...

გემის ბაქნიდან ეს ქალაქი როკფორის ყველის რაღაც უზარმაზარ, გოთიკურ თავს გაგონებთ, მე კი როკფორიც მიყვარს და გოთიკური ნაგებობებიც. მოკლედ, ქრისტიანული კოლუმბის ძარღვებში მიჩქეფარე კატალონურმა სისხლმა მალევე იყივლა ჩემში და მეც დიდი ამბით მივესალმე ამერიკის მოფრიალე დროშას.

\*

მე თუ მკითხავთ, ნიუ-იორკი რაღაცნაირად ამოტრიალებულ ეგვიპტეს წააგავს: იქ სიკვდილს ემონებოდნენ და პირამიდებსაც სიკვდილის საპატივცემულოდ აგებდნენ, აქ კი ცათამბჯენები ორღანის მილებივით წამომართულა - დემოკრატიის, თავისუფლებისა და ადამიანის შესაძლებლობათა სადიდებლად.

მეორე დღეს, სასტუმრო სენ-მორიცის მე-17 სართულზე რომ გამომეღვიძა, მეტად უცნაური შეგრძნება ამყვა: მთელი ღამე სულ ლომების ღრიალი ჩამესმოდა სიზმრად და ახლაც, დილაუთენია, იგივე მეორდებოდა - ოღონდ ამას ზედ უკვე სხვა ეგზოტიკურ ცხოველთა ხმებიც თან ერთვოდა! ღმერთმანი, ვერაფერი გამეგო - განა რა საერთო უნდა ჰქონოდა ყოველივე ამას „მოდერნისტული და მექანიცისტური დედაქალაქის“ ხმაურთან?! ის იყო ვიფიქრე, რაღაც მთლად კარგად ვერ უნდა ვიყო-მეთქი და სწორედ ამ დროს დილის საუბმეც მოგვართვეს ნომერში. ფრთხილად ისე ვეკითხები - თქვენ ხომ არაფერი ჩაგესმით ყურში - რამე ისეთი, არც მთლად ჩვეულებრივი ხმები რომ არ ეთქმის-მეთქი და სიცილით ამიხსნეს, ქუჩის გადაღმა, სენტრალ-პარკში უზარმაზარი ბოლოპარკიაო...

მართალი გითხრათ, ეს ერთადერთი უცნაურობა არ იყო, რითაც ნიუ-იორკმა გამაკვირვა: ჩვენში დამკვიდრებული სტერეოტიპის საწინააღმდეგოდ, ეს ნამდვილად არ ჰგავდა ფუნქციონალიზმის ესთეტიკით შეპყრობილ დასახლებას, პირიქით - სახლების ფასადებიც კი მათი მეპატრონეების მკვეთრად ანტიმოდერნისტულ მისწრაფებებზე ღალადებდა! ისიც კი ვნახე, მუშები როგორ „აბოლებდნენ“ რაღაც შავ კვამლს ცათამბჯენის კედლებს, რათა - როგორც ამიხსნეს - შენობები ევროპულის მსგავსად „დაეძველებინათ“. ჩვენში კი კორბუზიეს ახალგაზრდა აპოლოგეტები რას არ იგონებენ, რა მასალებს აღარ იყენებენ, რათა „მარად ახალგაზრდა“ ნაგებობები წამოჭიმონ! ეს კიდევ არაფერი, ლიფტში შევედი და გაოგნებული დავრჩი - კედლიდან ელ გრეკოს რეპროდუქცია გადმომყურებდა, კაბინის გასანათებლად კი, ელექტრონათურების მაგივრად, მასიურ, ხუთსანთლიან შანდალს იყენებდნენ! თავად სურათიც ხავერდის მსხვილ ბანრებზე ეკიდა და თავს მოვიჭრი, ეს ხავერდის თუ XV საუკუნეზე გვიანდელი ყოფილიყო... თავად სასტუმროს ნომერზე - გოთიკის, სპარსულის, ესპანური რენესანსისა და პირადად სალვადორ დალის ერთგვარ კოქტეილზე ხომ აღარაფერს ვამბობ.

ახლა ისიც გითხრათ, რომ სანთლით განათებული ლიფტი არანაირად არ ყოფილა გამონაკლისი - პირიქით, ათას ერთ შეხვედრაზე მისულს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა რომ საზოგადოდ, ნიუ-იორკი ელექტროფიკაციის გარეშე დაეტოვებინათ: ყველგან სანთლები ენთო და სადაც არა, იქ განათებას კედლებზე აკრული მუხის პანელები, მძიმე-მძიმე ფარდები და ნაირგვარი ანტიკვარიატი თუ ფსევდოარტეფაქტები ამქრქალებდა.

იმავე საღამოს ძილის წინ თითო ჭიქა ირლანდიური ვისკის დასაწრუპად შევიარეთ სენ-მორიცის ბარში და ერთ ფრიალ საინტერესო (ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მოგვეჩვენა) ვინმეს გადავანყდით: ფრანგულად ასატანად საუბრობდა და აშკარა იყო, ერთი სული ჰქონდა, დაგვლაპარაკებოდა. გალამაც მხარი აუბა და ჰკითხა, რას საქმიანობთ. კვაკერი[24] ყოფილა, თან კიდევ რაღაც იდუმალ სასულიერო დაჯგუფებაში განუვრიანებული და გვიმტკიცებდა, მართო სიურრეალისტებს შეუძლიათ ჩემი გაგებაო. ჩვენც შევაგულიანეთ და გაგვანდო კიდევ, რომ გარდაცვლილებთან ძალუქს საუბარი - ოღონდ, აღსრულებიდან მხოლოდ პირველი ოთხი თვის განმავლობაში... ყოველდღე ველაპარაკები მამაჩემსო, დაამატა - ჯერ სულ ორი თვეა გასული, რაც გარდაიცვალაო. აქ უკვე მე მიმტყუნა ნერვებმა, ბოდიში მოვუხადე - ოკეანე ახლახან გადმოვცურეთ, არაქათგამოცლილები ვართ და ნანუნების დროც მოსულა-მეთქი, ვუთხარი.

მეორე დღეს უკვე აზრზე ვიყავი, რა და როგორ უნდა აღმეყვა: ვინა თქვა, თითქოს ნიუ-იორკის პოეზია მის სწორხაზოვნებასა და როკფელერ-ცენტრის ფსევდოესთეტიკაშია

საძიებელი! ნურას უკაცრავად - მისი პოეტურობა ისევე მძაფრია, როგორც მისი სილბო და ფერიცვალება! დიახ, დიახ - ნუ გაიკვირვებთ, ცათამბჯენები ისევე იცვლიან ფერებს და ისევე ირხევიან, როგორც ანგელოსები მილეს ნახატზე! ანთუ - როგორც მანტა არხევს საკუთარ ფარფლებს წყვილის ძებნაში! გეთანხმებით, მისი პოეტიკა სულაც არაა ლაჟვარდოვანი სინაზე, ის უფრო ბიოლოგიურია... არა მონიკელებული, არამედ - ცოცხალი ფილტვის ფეთქვას უფრო წააგავს, და მის მეტროშიც ვაგონები მხოლოდ რკინის ლიანდაგების მეშვეობით როდი დაქრიან აქეთ-იქით - მისი პოეზია მექანიკური რიტმის თარგზე არაა გამოჭრილი. აქ ლომების ღრიალსაც გაიგონებთ და მტრედების ღუღუნსაც; აქ გოთიკურ ნევროზსაც წაანყდებით და ხელოვნურ სავარძელსაც! [25] ეს ქალაქი უფრო ორღანს წააგავს, ბაბილონის ორღანს, ცუდი გემოვნების მქონე დასაკრავ ხელსაწყოს! [26] მისი სიდიადე მართლაცდა ცათამბჯენი შენობების პოეზიაში კი არაა, არამედ - იმავე ცის შემატორტმანებელი, ბიოლოგიურად მრავალფეროვანი ერთი საერთო ორღანის ხმებში! იგი არც თეთრია, არც პრიზმატული (თუკი გესმით, რისი თქმაც მსურს ამით), იგი მრგვლოვანია და მენამული ფერი დაჰკრავს; მრგვალი პირამიდაა, ცისაკენ აღმართული და ამობრუნებული გულის ფორმა აქვს - იმ გულის, ჯერ რომ არავის დაუპრიალებია!

\*

ნოემბრის ერთ მშვენიერ დილას ის პური ამოვიღლიავე და შიგ ქალაქის გულში გავედი მუხლის გასაშლელად. მერე რომელიღაც კაფეში შევედი, შემწვარი ერბოკვერცხი მოვითხოვე. ვიჯექი, ნატეხ-ნატეხ შევექცეოდი ჩემს საოცრებას და აინუნშიც არ ვაგდებდი გაკვირვებულ სახეებს, აქეთ-იქიდან რომ შემომცქეროდნენ. შევითხვებიც ბლომად დამაყარეს, მაგრამ მხოლოდ მხრებს ვიჩეჩდი და თავმდაბლად ვიღიმებოდი.

ერთხელაც, უკვე გაფშევილი, ალაგ-ალაგ ობმოდებული ამ პურით მივაბიჯებდი ზედ უოლდორფ-ასტორიის წინ; უცებ წავიფორხილე და დავეცი. პური კიდევ, უხერხული მოძრაობის გამო, ზედ ხელში გადამიტყდა. თანაც, თითქოსდა ჩემს ჯინაზეო, ორივე ეს ნაჭერი ვარგა მოშორებით გაგორდა. პოლიციელი მეცა, წამომაცენა და მევითხება, ხომ არაფერი დაიშავეთო. არა, გადავრჩი-მეთქი, ავუხსენი. მერე მიმოვიხედე და რას ვხედავ - უფრო სწორად, რას ვერ ვხედავ - ორივე ნატეხი სადღაც გამქრალიყო! ხატზე დავიფიცებ, არც იმ პოლიციელს და არც ერთ გამვლელს ხელში არაფერი ეჭირა პურის მსგავსი... მოკლედ, სად გაქრა ის ორი იმხელა ნაჭერი, ახლაც აზრზე არა ვარ.

ერთი ეგაა, რომ მთელი ამ ამბიდან, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვითქანე და სორბონაში ვაპირებდი ამის თაობაზე ლექციის წაკითხვას: „უჩინარი პური“ - ასე წარვადგენდი თემას. მოკლედ რომ გითხრათ, ვამტკიცებდი - ხშირია, როცა საგნები უჩინარნი ხდებიან არა იმ მიზეზით, რომ ჩვენ გვიდუნდება ყურადღება და ვერ ვხედავთ, რაც ცხვირწინ გვიდევს, არამედ ერთგვარი უარყოფითი ჰალუცინაციების გამო; ანუ, ნაღდი ჰალუცინაციების საწინააღმდეგოდ, აქ საქმე ისეთ მოვლენასთან გვაქვს, რაც მისივე ამნეზიური ხასიათიდან გამომდინარე, ძნელად საცნაური ხდება... ამ შემთხვევაში, უნებურად მახსენდება „უნებლიობის“ ის აუცილებლობა, რაც საძირკვლად უდევს ხოლმე ნებისმიერ აღმოჩენას - ვთქვათ, კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა მაშინ, როცა თავად ანტიპოდების ძებნით გახლდათ დაკავებული; ან - მძინარე ნიუტონის თავს მოხვედრილი ვაშლი; ანდა სულაც - არქიმედეს სხეულის გამოისობით აბაზანიდან გადმოღვრილი წყალი... მე კიდევ, რომელსაც მუდამ პურის მიმართ საკუთარი შეპყრობილობის გამომხეურება მსურდა, ახლა მისი უჩინარობით გახლდით განცვიფრებული! რამე რომ იყოს, ეს სწორედ ის უჩინარობა იყო, რომელსაც ბოლომდე მაინც ვერ მივაღწიე ჩემს „უჩინარ მამაკაცში“. მოკლედ, რაც არ შეუძლია ადამიანს, ის ხელეწიფება პურს.

აი, ჯულიან ლივაისტან ჩემი გამოფენა კი დიდი წარმატებით დასრულდა. თითქმის ყველა ნახატი გამეყიდა და კრიტიკოსთა რეაქციაც მეტად დადებითი იყო - ყოველ შემთხვევაში, არავინ უარყოფდა ჩემი ხელწერის თვითმყოფადობასა და გამომსახველობის სიზუსტეს.

ამჯერად საოკეანო გემ „ნორმანდიით“ ვაპირებდით უკან, ევროპაში გამომგზავრებას. წინა საღამოს ქ-ნმა ქროსბიმ და ჩვენივე მეგობრების ერთმა ჯგუფმა „ონირიკული“ [27] მეჭლისის გამართვა მოინადინეს ჩემი და გალას პატივსაცემად. ღონისძიება საკმარისზე მეტად გახმაურდა და ამნაირ დროსტარებებს მიმდევრების კი გამოუჩნდა შტატებში. მართლაცდა, ამგვარ სრულად სიურრეალისტურ თავყრილობას ძნელად თუ ვინმე

წარმოიდგენდა მანამდე: შეგეძლოთ, თქვენი ფანტაზიების უღრმესი შრეები გამოგეთავისუფლებინათ და მთლად ეშმას შაბაშზე გეგონებოდათ თავი! აკი ადგილიც შესაბამისი შეარჩიეს - ქულბაქი „წითელი მამალი“ ...

ქალებს თავზე ქუდების მაგივრად ჩიტის გალიები ჩამოემხოთ, სხეულები კი ლამის მთლად გაეშიშვლებინათ; სხვებს საშინელი იარებით მოეხატათ სახე თუ მხრები; ზოგი გასისხლიანებული პერანგის ამარა დაიარებოდა, ერთს მხრებზე განჯინა შემოედო, საიდანაც შიგადაშიგ ჩიტები გამოფრინდებოდნენ ხოლმე; კიბის თავზე თუჯის დიდრონი აბაზანა დაევიდათ და ყოველ წამს მთელ ამ თავყრილობას თავით ფეხამდე გალუმპვა ემუქრებოდა; კუთხეში ტყავგაცლილი ხარის ლეში იდო, ცარიელი ფაშვიდან კი ფონოგრაფის ხმა გამოდიოდა... გალას თავზე თოჭინა დაეკოსებინა, რომელსაც ვითომდა მატლები დასეოდნენ... მოკლედ, მოვილხინეთ.

მეორე დღეს მშვიდი გულით გავემგზავრეთ ევროპას. მშვიდი გულით-მეთქი, ვამბობ, რაკილა ეჭვითაც არ მიეჭვია, რა დახვედრა მელოდა იქ! ამ „ონირიკული“ წვეულების ამბავს ჩვენამდე ჩაუსწრია პარიზში და გვარიანი ყალილაც ატეხილა: იმ დროს სახელგანთქმული მფრინავის, ლინდბერგის გატაცებული ბავშვის თაობაზე ნამდვილი საგაზეთო ისტერია მძვინვარებდა და ვიღაც ჭკუამოკლეს დაუწერია - საღვადორ დალის მეუღლე წვეულებაზე ჯვარცმული ბავშვის იმიტაციით იწონებდა თავსო... თურმე ნუ იტყვით და, მერე ამ ამბავს „დიდი სკანდალიც“ კი გამოუწვევია საზოგადოებაში. არადა, ერთადერთი, ვისაც ამის თაობაზე სმენოდა რამე, თავად სტატიის ავტორი გახლდათ, რომელიც იქ არც ყოფილა მიწვეული! ასეა თუ ისე, ეს ჭორი ცეცხლის ენებივით მოედო პარიზის ნახევარს მაინც და ხალხიც გაოგნებული ელოდა ჩვენს ჩამოსვლას.

\*

მოკლედ, ახლა უკვე საკუთარი მითების უფალი აღარ გახლდით - თავად სიურრეალიზმსაც კი სულ უფრო და უფრო მაკუთვნებდნენ მე და მხოლოდ მე. ისე, რამე რომ იყოს, მის მიმდევართა დიდი ნაწილი პოლიტიკურმა ციებ-ცხელებამ შეიპყრო, მემარცხენე ლობუნგებმა თავბრუ დაახვია და ამ პატარა, ნერვიული რობესპიერის - ლუი არაგონის იდეური ხელმძღვანელობით, ლამის მთლად გაკომუნისტებულიყო. ეს განსაკუთრებით საცნაური გახდა მაშინ, როცა ერთგვარი „მოფიქრალი მანქანის“ აგების იდეა წამოვაყენე: საქანელა-სავარძელზე ჩამოკიდებული, ადუღებული რძით სავსე უამრავი თასი, რიტმულად რომ გადმოღვრიდნენ ქაფქაფა სითხეს... ამის გაგონებაზე არაგონი წამოხტა და მოჰყვა ყვირილს: „გვეყო ეს დალისეული აბდაუბდები! თბილი რძე - მხოლოდ უმუშევართა ოჯახებს!“

ანდრე ბრეტონმა კიდევ - იმის შიშით, ჩვენს წრეში ობსკურანტიზმი ჩნდებაო, საერთოდ გააძევა ისინი - არაგონიც, ბუნუელიცა და სხვანი მრავალნიც. მე თუ რამე დამეჭერება, მათ შორის ერთადერთი ნაღდი კომუნისტი რენე კრეველი გახლდათ, მაგრამ ის კიდევ თავისას მიერეკებოდა, არ უნდოდა, რაიმე ჰქონოდა ჩვენთან საერთო და ბოლოს სულაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე... ასე რომ, ომის შემდგომ თაობაში მართლაც ძალზე ძლიერი ინტელექტუალური და იდეოლოგიური პრობლემები დაგროვდა. ისე, აღსანიშნავია, რომ ეს უკვე რიგით მესამე სიურრეალისტი გახლდათ, ვინაც დროზე ადრე და საკუთარი ნებით მოისწრაფა სიცოცხლე. ამით თითქოს პასუხი გაეცა იმ კითხვას, ადრე ჟურნალ „სიურრეალისტურ რევოლუციაში“ რომ დაიბეჭდა: „არის თუ არა თვითმკვლელობა პასუხი?“ მე პირადად, მკვეთრად უარყოფით აზრზე ვიდექი და მთელი ჩემი ცხოვრებით ვცდილობდი ამის დამტკიცებას.

ღმერთია მონმე, პოლიტიკა არასოდეს მხიბლავდა, იმ დროისათვის კი ყველაზე ნაკლებად, რადგან უკვე ერთიანად სასაცილო ხდებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო. ამასთანავე, განვაგრძობდი რელიგიათა ისტორიის შესწავლას და განსაკუთრებით, კათოლიკური რწმენისა, რომელიც სულ უფრო და უფრო მესახებოდა, როგორც ერთგვარი „სრულყოფილი არქიტექტურა“. ნელი-ნელ ბევრს ჩამოვშორდი და ძირითადად სულ ვმოგზაურობდი: პარიზიდან პორტ-ლიგეტში და უკან, ნიუ-იორკში, ისევ პორტ-ლიგეტში, ლონდონში, კვლავ პარიზში, იქიდან ისევ პორტ-ლიგეტში... მდიდარი ხალხი მიზიდავდა და ასევე, ღარიბ-ღატაკნიც - როგორც ვთქვათ, პორტ-ლიგეტელი მეთევზეები, ოღონდ ამ „საშუალო კლასს“ კი დასანახად ვერ ვიტანდი. ისე, პარიზში ყოფნისას, თვეში ერთხელ მაინც მივაკითხავდი ხოლმე ბრეტონს, პიკასოსა და ელუარს -

ყოველკვირა, ოღონდ მათ დამონაფებულ ხალხს კი სათოფებზე არ ვიკარებდი.

ენ. „ცნობად სახეებს“ შორის ფრიად საინტერესო ვილაყვებიც ერივნენ, თუმცა მათ ცოლებსა თუ საყვარლებზე ასხმული ძვირფასეულობის ატანა აღარ მქონდა, ვერც მათი უხვად დაპკურებული, მეტისმეტად მძაფრი სუნამოების ნელსურნელებას ვეგუებოდი, სალონებში იმ დროს გაბატონებული მუსიკის მოსმენას ხომ - მით უმეტეს... გულისგულში მუდამ გულუბრყვილო კატალონელ გლეხად ვრჩებოდი, თუმც კი - მეფედ ნაკურთხ გლეხად.

კაცმა რომ თქვას, არაფერია იმაზე ტრაგიკული და ამაო, ვიდრე მოდას აყოლა! 1914 წლის ომის შემდგომი პერიოდი, მადმუაზელ შანელის წინამძღოლობით, სწორედ იმ მეორე, კიდევ უფრო უარეს ომს მოასწავებდა, და ამ ფონზე მთლად მკრთალდებოდა სიურრეალისტური ვნებათაღელვები თუ ეს ბედიზედ ნაწყობილი, ყოვლად უაზრო თვითმკვლევლობები - ახლა ყველაფრის ადგილს ტანსაცმლის დიზაინერები იკავებდნენ, უკვე ელზა სკიაპარელის თაოსნობით. თუმცა - და ამას თავად ვაღიარებ - ბეტინა ბერგერი, ან თუნდაც როსი სერტი (ქალიშვილობაში - თავადის ასული მდივანი) - ეს გაძვალტყავებული, ზღაპრული ფერიები, ისევე, როგორც შანელის ზღაპრულივე France de France, მუდამ ჩემს მეგობრებად დარჩებიან...

\*

ამერიკაში ჩემი მეორე ჩასვლა ჩემსავე ნამდვილ ტრიუმფად იქცა: გამოფენის გახსნის პირველსავე დღეს უკლებლივ ყველა სურათი გაიყიდა! ჟურნალმა „თაიმმა“ გარეკანზე თქვენი მონა-მორჩილის ფოტო დაბეჭდა ნარწერიტ - „სალვადორ დალი, სიურრეალისტი“. როცა მაჩვენეს, ცოტათი გავნაწყენდი კიდევ, რადგან მეტისმეტად მომცრო ფორმატისა მეჩვენა. მერეღა გავიგე, რას ნიშნავდა თურმე „თაიმის“ გარეკანზე მოხვედრა...

მას მერე რა ხანი გავიდა და ახლაც არ მესმის, ასე სწრაფად როგორ გავხდი სახელოვანი: ქუჩაში მცნობდნენ, ავტოგრაფებს მთხოვდნენ, წერილები კი იმდენი მომდიოდა ქვეყნის ყოველი კუთხიდან, მათი ნაკითხვის თავი სად მქონდა! უცნაურ და გაუგებარ წინადადებებსაც ბოლო არ უჩანდა.

ერთ მათგანს მაინც დავთანხმდი - ისე, საჩვენებელი გაკვეთილის ამბავში: რომელიღაც ფემინებელური მაღაზიის ვიტრინა სიურრეალისტურ სტილში გავაფორმე, ჩემებურად. მანეკენს თავი წითელი ვარდების თაიგულისა ჰქონდა, ფრჩხილები - ბუმბულის, პანია მაგიდაზე კი კიბორჩხალას ფორმის ტელეფონი იდო; ჩემი სახელგანთქმული „სექსუალური მოსასხამიც“ არ დავიშურე - მწვანე სითხით პირთამდე სავსე, 88 ჭიქაჩამოკიდებული შავი ლაბადა, რომელიც ნელი-ნელ სველდებოდა ამ ჭიქებიდან გადმომდინარე ალკოჰოლით... ჰო, და კინაღამ დამავინყდა - ყოველ ჭიქაში თითო მკვდარი ბუბი ტივტივებდა და ჩალის თითო სანრუპ ჩხირს ჰქონდა თავი ამოყოფილი!

საქმე ისაა, რომ ამ „სექსუალურ მოსასხამს“ დიდი მოწონება ხვდა სულ ცოტა ხნით ადრე ლონდონში გამართულ გამოფენაზე, სადაც მყვინთავის სამოსში გამოწყობილმა ნავიკითხე ლექცია თანამედროვე სახვითი ხელოვნების თაობაზე. აკვალანგისტის აღჭურვილობის ქირაობა თავად ლორდმა ბერნესმა იკისრა და მერე დიდი ამბით ჰყვებოდა: როცა ტელეფონით შეკვეთა მივეცი, მკითხეს - მაინც რა სიღრმეზე აპირებს ბ-ნი დალი ჩაყვინთვასო? ქვეცნობიერის დონემდე-მეთქი, მივუგე და სრულიად სერიოზულად მითხრეს - მაშინ განსაკუთრებული მოდელის ჩაჩქანს დაგისართავთო...

მახსოვს, იმავე ფირმის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქტორის დახმარებით როგორ ჩავეკვებე შიგ და ის ჩაფხუტიც როგორ ჩამომაცვეს თავზე. მთელი აღჭურვილობა იმსიმძიმე იყო, ორი კაცი ამომიდგა აქეთ-იქიდან და ისე გავედი სცენაზე. გავედი, მაგრამ რა გინდოდა, გექნა - ჩაფხუტი ჰერმეტიკული იყო და მიკროფონთან მისულმაღა ვიაზრე, ასე არაფერი გამოვიდოდა! ამასთან, ისე დამცხა, ოფლად გავიდვარე და უკვე ჰაერის ნაკლებობასაც ვგრძნობდი. ვცადე, მენიშნებინა - ცუდად ვარ-მეთქი, მაგრამ კარგა ხანი გავიდა, სანამ ვინმეს რამე გავაგებინე. მერე კი მეცნენ, ჩაფხუტის მოხსნაც სცადეს, მაგრამ შესაბამისი ხელსაწყო-იარაღების გარეშე ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. დაუნყეს ინსტრუქტორს ძახილი, მაგრამ ისიც სადღაც გასულიყო - ალბათ, ყელის გასასველებლად... ვილაყამ ჩაქუჩი აიღო და უნდოდა, მთლად მოემტვრია ჭანჭიკები,

მაგრამ არც არაფერი გამოუვიდა და მეც კინალამ თავი გამისკდა ბრახუნისაგან. მოკლედ, შავ დღეში ჩავვარდი. აუდიტორიას ვი ეჭვიც არ მეჭპარვია, რომ ესე ყოველი სიურრეალისტური სპექტაკლი იყო და ტაშისკვრას არ დაგვზარებია - იმდენად რელისტურად „ვასახიერებდით“ ჩვენს გაჭირვებას. ის კი არა, როცა ბოლოს და ბოლოს გამათავისუფლეს, ხალხი განსაკუთრებით აღნიშნავდა ჩემს „მკვდრის ფერსა“ და „დრამატულ გამოხედვას“. იქნებ ნიუ-იორკში უკვე ჩემამდე ჩაღწეულმა „დალის მითმა“ სწორედ ამგვარი, გამორჩეულად ექსცენტრული გამოხდომების საფუძველზე მოიკიდა ფეხი? თუმცა, ამგვარი გამორჩეულობა არც იმ სახელგავარდნილ გამოფენას აკლდა, ბნმა მაკდონალდმა რომ გამართა „ლანდონ გელერიში“ და რომელიც მეტად ნიშანდობლივად იყო დასათაურებული: სეზანი - კორო - დალი.

ოღონდ ეგაა, რაც უფრო კარგად მიმდიოდა საქმე, მით უფრო მეძალებოდა რაღაც სრულიად გაურკვეველი დეპრესია და ერთი სული მექონდა, ესპანეთში დავბრუნებულიყავი! ვაცმა რომ თქვას, ეს სურვილი უკვე რაღაც ისტერიის ფორმასაც კი იღებდა. თითქოს ყელში ამომსვლოდა ეს გამოფენები, მყვინთავის კოსტიუმები, ლბილი როიალები, ტელეფონ-კიბორჩხალები, რეკლამა და კოქტილ-წვეულებები - მოკლედ, პორტ-ლიგასში მსურდა დაბრუნება, მორჩა და გათავდა!

ახლა დროა, მართლა საქმეს მოვკიდო ხელი-მეთქი, ვუთხარი გალას.

იქ დეკემბრის დასაწყისში ჩავედით და მახსოვს, მშვენიერი ამინდები დაიჭირა. იქაურობა ხომ ყოველთვის მიყვარდა, თუმცა არასოდეს მჩვენებია ასეთი ლამაზი. მაგრამ რად გინდა - ისევ ის რაღაც გაუგებარი ვაეშანი მანვებოდა და სულის ამოთქმის საშუალებას არ მაძლევდა. რა გინდა-მეთქი, ვუბნებოდი საკუთარ თავს - სახსებით ჯანმრთელი, იქ ხარ, სადაც გსურდა ყოფილიყავი შენს გალასთან ერთად, სიღარიბის შიშიც სადღაც გაქრა და ახლა შეგიძლია, თავად აირჩიო, რა ხატო და როგორ! რაღა განუხებს?!

გალა მირჩევდა, ნერვების გასამაგრებლად ცივი აბაზანები მიიღეო და მეც დილაუთენია ვხტებოდი ხოლმე ზღვის ცივ წყალში... მაინც არაფერი მშველოდა. ღამითაც საზიზღრად მეძინა და ხშირად ყოფილა, ერთი და იგივე სიზმარიც მსიზმრებია: ბავშვობაში გადია მიყვებოდა ხოლმე - რატომღაც, მუდამ ძილის წინ - ვიღაც ვაცს თავისი ცოლი, მარიტა მოუკლავს, რომლის აჩრდილიც ყოველღამ მოადგებოდა ხოლმე კარს და ქმარყოფილს უძახდა, მოვედიო...

„აჰა!“ - დასტყვივლებდა თურმე აჩრდილი, - „მოვედი, შენი მარიტა მოვედი!“

ვაცი ემუდარებოდა თურმე - თავი გამანებე, საფლავს დაუბრუნდიო, მაგრამ აჩრდილი თავისას არ იშლიდა, მაინც აღწევდა ოთახში და... აქ გადია დრამატულ პაუზას აკეთებდა ხოლმე, მერე მკლავში ჩამაფრინდებოდა და თეატრალური ჩურჩულით წარმოთქვამდა - „ხომ დაგიჭირე!“

გალას ვუხსნიდი, რომ არაფერი მჭირდა, რომ ფიზიკურად მშვენივრად ვგრძნობდი თავს, უბრალოდ - რაღაც შიშები დამჩემდა და არ ვიცი, რა მოვუხერხო-მეთქი. თითქოს ეს საკმარისი არ იყო, ახლა ჩვენი მოსამსახურე ქალი მართლა გაგვიგიჟდა - ღამით სახლის სახურავზე აძვრა შიშველი და იქიდან გადმოეშვა თავით! მოკლედ, მაგარ დღეში ვიყავი.

ერთხელაც გალას ვთხოვე, სასთუმალთან დამიჯექი-მეთქი. იმ ღამით მართლა გავითომესავით და რომ გავიღვიძე, ის ისევ ისე იჯდა, ჩემი ხელი ეჭირა ხელებში და თვალგახელილს ეძინა. უცებ მივხვდი კიდევ, რაც მჭირდა - ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილი დამთავრდა და ახლა იმ ჭკპრივით ვიყავი, საკუთარ აბრეშუმის პარკში რომ გამოხვეულა, ოღონდ ან გამოარღვევს ამ პარკს და პეპლად იქცევა, ანდა სამუდამოდ შიგვე ჩაკვდომა უნერია... საკუთარ პარანოიდალურ, წარმოსახვითი ციხის საკანში ვლპებოდი და გალა რომ არა, ვეღარც ვერასდროს ვიხილავდი დღის სინათლეს!

„აღსდექ და ვიდოდე!“

სწორედ ასე მითხრა და მეც დავემორჩილე.

„ჯერ არაფერი შეგიქმნია ისეთი, ცხოვრებას გამოეთხოვო...“

და მართლაც, მთელი ეს ჩემი სიურრეალისტური დიდება ჩირად არ მიღირდა: ჯერ სიურრეალიზმის ნახტები ტრადიციიში უნდა ჩამეწნა და ამისათვის თავად წარმოსახვაც

შესაბამისად მექცია იმად, რასაც ახლა „კლასიკურს“ უწოდებენ; ამის მიღწევას კი, ვაითუ, მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება არ ჰყოფნოდა... სწორედ გალამ დამარწმუნა, რომ ეს შემეძლო - არ შევყუწულიყავი ამ მირაჟისებური წარმატების საბურველში და ახლა ის მეკეთებინა, რასაც „მნიშვნელოვნად“ მივიჩნევდი - ანუ, ახლა საკუთარი გამოცდილება ფორმებად უნდა გარდამესახა, კოსმოგონიად მექცია და მარადისობის არქიტექტურისათვის შემენივთებინა.

\*

დინგ-დონგ, დინგ-დონგ, დინგ-დონგ...

ეს რაღაა?

ისტორიის ბარმა ჩამოკრა კიდევ ერთხელ, ეგაა და ეგ.

და რაო - რა მინდაო?

ისტორიის საათის ციფერბლატზე, ყოველგვარი „იზმიდან“ სულ რაღაც თხუთმეტი დანაყოფის მერე, ახლა ინდივიდუალობის ბარმა ჩამოკრა, და ეს ბარი სწორედ შენ გიხმობს, სალვადორ!

მთელი ომისწინა და ომის შემდგომი პერიოდები სოკოებივით თავწამოყოფილი რაღაც „იზმებით“ ხასიათდება: ლეს კუბიზმიო, დადაიზმიო, პურიზმიო, ორფეიზმიო, ფუტურიზმიო, სიურრეალიზმიო, კომუნიზმი და ნაციონალ-სოციალიზმიო, და რა ვიცი, რაღა არა! ყოველ მათგანს ვიღაც თავკაცობდა, ვიღაც მიმხრობოდა, ვიღაც გმირად აჰყავდათ ფარზე... ყოველი მათგანი ჭეშმარიტების ფლობას ჩემულობდა, მაგრამ ერთადერთი ჭეშმარიტება კი ის აღმოჩნდა, რომ როგორც კი მინავლდებოდნენ (და მერე, რა სწრაფად-სწრაფად ხდებოდა ეს ყველაფერი!), მათ ანაქრონისტულ ნარჩენებში მხოლოდ რამდენიმე პიროვნების სახელიღა თუ გაიელვებდა მხოლოდ.

დინგ-დონგ, დინგ-დონგ, დინგ-დონგ!

ომის შემდგომი ევროპა პოლიტიკური, ესთეტიკური, იდეოლოგიური და ზნეობრივი საყრდენების გარეშე, ლამის „იზმების“ ანარქიაში ჩახრჩობილიყო - ყველგან სკეპტიციზმი, უფორმობა, კოსმოგონიისა და სინთეზირების უუნარობა გაბატონებულიყო და რწმენის უქონლობის დაღი ედო ყოველივეს. ბებერ ევროპას ასე ეგონა - სპეციალიზაციის აკრძალული ხილის გასინჯვით ახლა უკვე ყველაფერს გავუგე გემოო... აღარაფრის სწამდა და ყველაფრისა კი სჯეროდა - მორალისა და ესთეტიკის ჩათვლით, თვით გადამჭკნარი „კოლექტიურის“ ლოზუნგისაც კი!

ბოლოს და ბოლოს, განავალიც ხომ იმას ააშკარავებს, კაცს რა უჭამია იმ დღეს; ომის შემდგომი ევროპა კი სულ ამ „იზმებისა“ და რევოლუციების დიეტაზე იჭდა. რაღა გასაკვირია, თუ მისი ექსკრემენტებიც, შესაბამისად, ომი და სიკვდილი იყო. 1914 წლის ომის ტანჯვა-ვაებაში კი ის ბავშვური ილუზია შვა, რომ ყოველგვარი აკრძალვების მოშლა რაღაც „ერთობლივ შვებას“ მოიტანდა. ოღონდაც ის დაავინყდათ, რომ სულის ამგვარი შვება მხოლოდ ბეინდივიდუალური შეიძლება იყოს და იმგვარ კანონებზე აგებული, რაც თითოეული პიროვნების საკუთრივ მისეულ რეაქციას გამოიწვევს! მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვა, იმ დროს ინდივიდუალური უფორმობა მასობრივმა უფორმობამ შთანთქა; ცივილიზაციის უპოვარობა იმით გამოიხატა სწორედ, რომ ყოველგვარ აკრძალვებზე უარის თქმით, იგი ახლა ამ ახალ თავისუფლებას ეყმო - მისთვის მთავარი ის ყოველდღიური და მექანიცისტური საჭიროებები გახდა, რაც სწორედაც რომ მხოლოდ ინდუსტრიულ ეპოქას შეეძლო მიეცა მისთვის. არქიტექტურის ფუფუნებამ ადგილი დაუთმო კონსტრუირებას - საჭიროებათა და მოთხოვნათა დაკმაყოფილების ამ უმდაბლეს ხელობას, რწმენის თავისუფლებამ კი მონეტარული თეორიების უტოპიას დაუთმო ადგილი. თავად მომავალ ომზე პასუხისმგებლობაც ხომ იმ იდეოლოგიურ სიდუხჭირეს, იმ სულიერ სიყმილს უნდა დავაბრალოთ, რაც მაშინ საყოველთაოდ იყო გამეფებული და იმასაც, რომ ინტელექტუალური ფსონები მხოლოდღა მატერიალისტურ და მექანიცისტურ სპეკულაციებზე იდებოდა!

არადა, ღმერთია მოწმე - არა მატერიალისტური საზრისი არ არსებობს მექანიცისტური საწყისის გარეშე და ენგელსის დიალექტიკასაც ხომ მხოლოდღა მეტაფიზიკური



მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს; ცხოვრების ტრაგიკული და ტრანსცენდენტური შეგრძნების გარეშე არავითარი სიდიადე არ არსებობს და არც შეიძლება, რომ არსებობდეს! მარქსმა თქვა: „სარწმუნოება ოპიუმია ხალხისთვის“, მაგრამ ისტორია დაგვიმტკიცებს - მატერიალიზმი კიდევ „კონცენტრირებული სიძულვილის“ სამსალა იქნება, ათეულობით მილიონი ადამიანის სულსა და ხორცს რომ შეინირავს... სარწმუნოების ილუზიები კი ლეონარდო და ვინჩის, რაფაელისა და მოცარტის თანამედროვეებს ადამიანის სულის უზადო არქიტექტონიკასა და ღვთაებრივ სიმაღლეებზე უხელდნენ თვალებს!

\*

გალა ერთთავად იმას ჩამჩინებდა - იტალიაში გავემგზავროთო. მეც სულ უფრო და უფრო მხიბლავდა აღორძინების ხანის არქიტექტურა და პალადიოსა თუ ბრამანტეს ნახელავს ადამიანის სულიერი ესთეტიკის მიღწევათა იმ გამოგნებელ რიგს მივაკუთვნებდი, რომელთა აზომვაც შეიძლება, ხელის შევლებაცა და, ამავე დროს, სრულიად გამოუსადეგარნი არიან პრაქტიკული აუცილებლობის მხრივ. მანამდე კი ჯერ ისევ პორტ-ლიგატში უნდა ჩავსულიყავი - იატაკი მქონდა დასაგები და გალაც იმედოვნებდა, ამგვარი შავი სამუშაო კეთილად წაადგებოდა ჩემს აფორიაქებულ გუნება-განწყობას.

ეგვეც არ იყოს, გალა ყოველდღე მიმტკიცებდა საკუთარი თავის რწმენას: როცა მოვთქვამდი ხოლმე, რომ ვერასოდეს მივალწვედი ძველი ოსტატების დონეს, რომ ვერასოდეს ამოვიცნობდი ხატვისა თუ სულაც, ფერთა განზავების მათეულ ტექნიკას, ის მუდამ ჩამჩინებდა, რომ ჯერ ყველაფერი წინ მქონდა და უბრალოდ, „ყველაზე ცნობილ სიურრეალისტად“ არ უნდა დავრჩენილიყავი. ხანდახან საათობით დავცქეროდი ხოლმე რაფაელის რეპროდუქციას, სადაც ჩვენი, სიურრეალისტების მთელი მონაპოვარი ერთ, სულ პანია დეტალში იჩენდა თავს, ოღონდაც ისე შეფარვით, ისე ძალადაუტანებლად, რომ სულაც შეუმჩნეველი რჩებოდა ჩემი თანამედროვეებისათვის. ომის შემდგომი ევროპის ხელოვნებათმცოდნეობის სიბეცე იმაშიც ჩანდა, რაოდენ გამონვლილვით განიხილავდნენ „კლასიკური“ ფერწერის ათას ერთ წვრილმანს ცალ-ცალკე, მაშინ როცა ერთიანობა სრულიად გაუგებარი რჩებოდათ.

საზოგადოდ, იმდროინდელი ადამიანის აღქმა სრულიად დაქვეითებული მეჩვენებოდა: თუკი რაიმე მთლად ნიტროგლიცერინით არ „ფეთქდებოდა“, ის აღარც არავითარ ყურადღებას აღარ იქცევდა. ნახატის პერსპექტივაში ჩამალული მელანქოლია მხოლოდ ჩირიკოს პამფლეტურ სქემად მიიჩნეოდა და ვაცძვილი არ იაზრებდა, რომ იგივე (და ათასჯერად გამძაფრებული) პერუჯინოს, რაფაელისა თუ პიერო დელა ფრანჩესკას ნამუშევრებში ბევრად ადრე იჩენდა თავს! აღარას ვამბობ კომპოზიციის პრობლემაზე, რაზედაც კუბიზმის მიმდევრები ილენავდნენ ცხვირ-პირს და საერთოდ, ვერავის გაეგო, რომ ეგ ყბადაღებული „კლასიკურობა“ ათას ერთი, იერარქიულად შეწყობილი მცირე თუ დიდი შემადგენლისაგან წარმოდგებოდა, და თავისთავად ეს ნიშნავდა ერთიანობას, სინთეზს, გამთლიანებას, კოსმოგონიას - ყოველგვარი დანაწევრების, ექსპერიმენტების, სკეპტიციზმის გამოვლინებების გარეშე.

ეს ჩემი მოსაზრებები ერთ მთლიანობად ჩამოვაცალიბე და ბარსელონაში, საჯარო ლექციაზე გავაცანი დაინტერესებულ საზოგადოებას. ამ ლექციამ მართლაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია - ჩემი მცდელობები არანაირად არ ჰგავდა „ტრადიციასთან მიბრუნების“ იმ უაზრო ღაღადს, ნეოკლასიციკლები თუ ნეოთომისტები რომ აღავლენდნენ და რაც, სინამდვილეში, მხოლოდღა მთელი ამ „იზმების“ შიშით იყო გამოწვეული. არა - მე მთელი ჩემი გამოცდილების ჩაქსოვებით ვაპირებდი „ირაციონალურის მოთვინიერებას“ და ესთეტიკასთან მის სინთეზირებას.

ბარსელონიდან ისევ პორტ-ლიგატს ვესტუმრეთ - მუშები ჩვენი სახლის მეორე სართულს ამთავრებდნენ და გვსურდა, საკუთარი თვალთ გვენახა სამუშაოების მიმდინარეობა. თითო ჭიქა ღვინოსაც გეახელით მათთან და ერთ ამგვარ საუბარსაც მოვკარი ყური: „მე თუ მკითხავთ, ერთადერთი გამოსავალი ანარქიაა, ანუ - ლიბერტარიანული კომუნიზმი. ეგაა, რომ პრაქტიკაში ძნელი დასანერგავია...“ - განაცხადა ერთმა.

„არა, ძმაო, თუ არჩევანია, ლიბერალური სოციალიზმი მირჩევნია, თავისი სიყვარულის

თავისუფლებით! ბოლოს და ბოლოს, ყველა უკეთურობა იმ ხალხისაგან მოდის, ვისაც სიყვარულის უნარი არ გააჩნია.“ - შეეკამათა მეორე და ქათმის ბარკალი გამოისვა ყბაში.

„მოგცლიათ ერთი! სინდიკალიზმი - აი, ეს მესმის! მაგ იდეისათვის, თუ საჭირო გახდა, ტრამვაებს გადავიყვან რელსებიდან!“ - თქვა მესამემ და აშკარა იყო, რაღაც გამოცდილებაც უნდა ჰქონოდა ამ საქმეში...

„ვერ მოგართვეს!“ - ჩაუბურტყუნა მეოთხემ, - „აი, ჩვენთანაც მოვა ბიძია ხოსეფი[28] და ბოლოს და ბოლოს, დაამყარებს წესრიგს!“

„კი, როგორ არა, ელოდე!“ - აყვირდა პირველი, - „ეგენი ისეთივე ბანდიტები არიან, როგორიც ტროცკი და ყველანი კი ფაშისტებისაგან არ განსხვავდებიან არაფრით!“

ეგ კია, რომ ერთ რამეზე მაინც თანხმდებოდნენ - რევოლუცია გარდაუვალიაო. მათი თავი კიდევ - ნვერულვაშა, ასაკოვანი კაცი - ჯერ იჭდა ჩუმად, რატომღაც ხმას არ იღებდა, მერე ერთი ამოიხვნეშა და ჩაილაპარაკა ისე, თითქოს თავისთვის: „ვიცი მე, ეს რითიც დამთავრდება - სამხედროები აიღებენ ხელში ძალაუფლებას და ამით მორჩება ყველაფერი...“

ბარსელონაში კი მთელი ამ „იზმების“ იმისთანა კორიანტელი იდგა, თქვენი მოწონებული. „იბერიელ ანარქისტთა ფედერაციის“ ხალხი უკვე ნამდვილ ბომბებს აფეთქებდა ქუჩებში; საყოველთაო გაფიცვაც გამოცხადდა და ქალაქიც რაღაც ნაომარ ველს დაემსგავსა. ერთ ღამეს ჩემი აგენტი, დაღმო მოგვადგა კარს - სასტუმრო „კარმენში“ და აფორიაქებული, ნვერგაბურძგნული, საყელოგადელილი გვიმტკიცებდა, ახლავე, ამავე წუთს უნდა გაემგზავროთ პარიზს, თქვენი აქ ყოფნა უკვე სახიფათო ხდებაო. ახლაც არ ვიცი, მაშინ ეს რამ აფიქრებინა - იქნებ იმ ჟურნალის გარეკანმა, რომელზეც ჩემი სახე დაებეჭდათ და წარწერაც მიეყოლებინათ: „სიურრეალისტური რევოლუციის წინამძღოლი“... ასეა თუ ისე, დავუჯერეთ და ცალკე საჭირო საბუთების შეგროვებას შევუდექით, ცალკე იმ მძღოლს ვეძებდით, საზღვრამდე რომ გავვიყვანდა მანქანით. ქუჩებში უკვე თოფოსნების მთელი ჯგუფები დაიარებოდნენ, ერთმანეთთან შეხვედრისას კი ისეთ სახეებს აწყობდნენ, აქაოდა, თქვენ ჩვენ არ გვიცნობთ და ჩვენ - თქვენაო... მოკლედ, ძალი პატრონს ვერ ცნობდა. სამინისტროში ორი საათი ველოდი ვიზის გაცემას - მოსამსახურეები წარამარა წყვეტდნენ თავიანთ საქმიანობას და ვიღაც-ვიღაცებს აივნებზე ტყვიამფრქვევების დაყენებაში ეშვებოდნენ. ქალები კიდევ, ცალი ხელით რომ ბეჭედს ურტყამდნენ საბუთებს, მეორეთი კატალონურ დროშებს ქსოვდნენ. ყოველ მეორეს სეპარატისტული სამკლავე ეკეთა ვარსკვლავის გამოსახულებით. ამტკიცებდნენ, საცაა კატალონიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდებაო. უკვე იმედიც აღარ მქონდა, ქალაქის ქუჩებში ჯარის გამოსვლამდე თუ გავასწრებდი იქიდან. ამასობაში სეპარატისტთა ორ ლიდერს - ძმებ ბადიებს მოვკარი თვალი; ღმერთმანი, ბასტერ კიტონის ორ ტყუპისცალს ჰგავდნენ. გულმა მიგრძნო, ეგენი დიდხანს ვერ გაატანენ-მეთქი და მართალიც აღმოვიჩინდი - ორი დღის მერე ვიღაც ანარქისტებმა მიახვრიტეს...

ბოლოს და ბოლოს, მაინც მოვიპოვე ვიზები და დაღმომაც ერთი ვინმე მანქანიანი ანარქისტი შეიამხანაგა, რომელიც თანახმა იყო, გაერისკა - კარგი ანაზღაურების საფასურად, რაღა თქმა უნდა - საზღვრამდე მივეყვანეთ. მანქანაში ჩავსხედით თუ არა, ჭიბიდან კატალონური დროშა დააძრო, გვერდითა სარკეზე მიამაგრა და თვალი ჩამიკრა - თქვენ რომ მიგიყვანთ და მერე იქიდან წამოვალ, ამას ესპანეთის სამეფო დროშით შევცვლი - ამათი რევოლუცია არ გაიშვა, ეგენი ნაღდად თავს წააგებენო. „თუმცა ეს ყველაფერი ჩვენ, ანარქისტებს, ნაკლებად გვხება - კი, ბომბებს ვაფეთქებთ, მაგრამ ეს ისე - ყურადღების მისაქცევად, თორემ ჩვენი დრო ჯერ არ დამდგარა!“ - დაამატა მერე. ჯკუის კოლოფი იყო, ცარიელი.

ისე, ჩვენი დასაცინი მაგას არაფერი სჭირდა - ეგ რომ არა, ეს ორსაათიანი გზა, ისედაც ათსაათიანად რომ გვექცა, იქნებადა, ვერც გაგვესრულებინა - ყოველ მოსახვევში ვიღაც შეიარაღებული ჯგუფები გვაჩერებდნენ, გვჩხრევდნენ და საბუთებს გვიმონწმებდნენ, ჩვენი მძღოლი კი, როგორღაც, ყველასთან პოულობდა საერთო ენას...

შუაგზაზე ვიყავით, ერთ პანია ზღვისპირა ქალაქს რომ მივადექით და მძღოლმა თქვა - აქ შევჩერდეთ, ბენზინსაც ჩავასხამ და ცოტა შევისვენოთ კიდევო. მოედანზე წყვილები ცეკვავდნენ „ლურჯი ღუნაის“ მუსიკის ხმაზე; ხალხი იქვე, სამიკიტნოს წინ სახელდახელოდ

გამართულ ფეხდგომელა სუფრას ეტანებოდა, ზოგიც დაწრეტილი შადრევნის კიბებზე ჩამომჯდარიყო პოლიტიკურ საკითხებზე კამათში ჩასართველად... ბენზინი ჩავასხით, მძღოლმა ერთი სირჩა ანისულის არაყიც ყლურნა და ის იყო, უნდა დავძრულიყავით, რომ რადიოში თქვეს - დედაქალაქში რესპუბლიკა გამოცხადდა, ჯარი ქუჩებში გამოვიდა და სროლის ხმაც ისმისო. იქვე შეჯგუფებულმა ვიღაც შეიარაღებულმა თოფოსნებმა აზრი გამოთქვეს ჩვენზე - ნამეტანი ბევრი ჩემოდანი და ხელჩანთა აქვთ, პატიოსან ხალხს რაღაც არ ჰგვანანო... ამის გაგონებაზე ჩვენმა მძღოლმა ლანძღვა-გინების ისეთი კორიანტელი დააყენა და თან იმგვარი დიდოსტატური წყობით, წამსვე მოიპოვა დამსწრეთა პატივისცემაცა და კეთილგანწყობაც. მოკლედ, ამჯერადაც გადავრჩით.

მეორე დღეს უკვე ერთ ასევე პატარა სასაზღვრო ქალაქის სასტუმროში გავიღვიძეთ. სწორედ იქ გავიგეთ, რომ ჯანყი სამთავრობო ძალებს ჩაეჭროთ, ხოლო მოთავეები - დაეხვრიტათ. მოკლედ, კატალონიის რესპუბლიკამ სულ რაღაც ორიოდ საათი თუ იარსება. 6 ოქტომბრის „ისტორიული ღამის“ ჩემეული მოგონებები მხოლოდ ისაა, რომ ერთი ყოვლად იდიოტური ღამე იყო, მრავალ სხვათა მსგავსი, როცა ხალხი „ცისფერი დუნაის“ ჰანგზე ცეკვავდა ვალსს, ხოლო ცოტაც და - იქნებ ჩვენც მივყენებინეთ კედელთან შეზარხოშებულ თოფოსნებს და ადგილზევე მივეხვრიტეთ - მე შენ გეტყვი, სინდისი შეაწუხებდათ თუ რა?!

აქედან გამომდინარე, თავს სრულიად ანტიისტორიულ და აპოლიტიკურ ადამიანად მივიჩნევ - ეტყობა, ან ძაან გავუსწარი დროს, ან პირიქით - ძაან ჩამოვრჩი! რომ წარმოვიდგენ, ჯკუაგადასული ორი ესპანელი ერთმანეთს როგორ უმიზნებს თოფს - ცუდად ვხდები. ესაა სწორედ ჩვენი ეპოქის მახასიათებელი - იარაღასხმული კანიბალიზმი, როცა თავის ქალა ცარიელდება და ფიქრისა და განსჯის ადგილს მზა-მზა ლობუნგები იჭერს.

პარიზში დაბრუნებისთანავე დავხატე დიდი ტილო - „სამოქალაქო ომის წინათგრძობა“. მთელი სურათის უკანა პლანი მრუმე სანახებს უკავია, ხოლო წინაზე - დაგლეჯილი სხეულებისა და მიმომტვრეული იარაღის ნარჩენებია დახვავებული, ლობიოს რამდენიმე მარცვალი კი ამ ხორციელი გვემის „გასაწონასწორებელი“ მცენარეულის უღლეური სიმბოლოა მხოლოდ. ეს ჩემი წინასწარმეტყველება მალევე ახდა: ლონდონში, „სავლის“ დარბაზში გამართული კამერული მუსიკის კონცერტის ანტრაქტში მომახსენეს, ესპანეთში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო...

ასეც ვიცოდი - ესპანეთი, რომელიც წინა მსოფლიო ომს გადაურჩა, ახლა მეორის წინამორბედი უნდა გამხდარიყო! სწორედ აქ უნდა გამართულიყო ომის შემდგომი ევროპის იდეოლოგიური დრამის პირველი აქტი - მთელი ამ „იზმებით“ ბრძოლის გამოისობით მიღებული ორად ორი ცნების, „ტრადიციისა“ და „რევოლუციის“ შეხლის შედეგად! ახლა ქუჩებში ბომბები ფეთქდებოდა და სროლის ხმა ისმოდა; ანარქისტები შავ ბაირაღებს დააფრიალებდნენ წარწერით Viva La muerte! (გაუმარჯოს სიკვდილს!), სხვები კიდევ - ძირძველი და უკვდავი ესპანეთის ნითელ-ოქროსფერ დროშებს, სულ ორად ორი ასომთავრულით: FE (რწმენა); და აქვე, ნელი-ნელ თავს ყოფდა გამორჩეული იბერიულობის თეთრი ალმები - გამორჩეულივე სიძულვილის გამოხატულება. მთელი ეს ამბავი პოლიტიკური პინგ-პონგის თამაშს ჰგავდა, ოღონდ - ადამიანთა სიცოცხლის ფასად და ადამიანებისავე თავები მიმოქროდა პანია თეთრი ბურთულების ნაცვლად![29]

გონსგადასულობის რამდენსაც გნებავთ, მაგალითს მოგიტანთ: Lრწმენის დამცველ მილიციელს XII საუკუნის მონაზვნის მუმიფიცირებული გვამი დაეილღიავებინა და ისე მიდიოდა საომრად - აქაოდა, ამას არავის წავაბილწინებ, და თუ სიკვდილი მიწერია, დე, ჩემთან ერთად დაიღუპოსო; არქიტექტორ გაუდის მეგობარი იფიცებოდა - ჩემი თვალით ვნახე, მისი გვამი ამოუთხრიათ და თოკზე გამობმულს მოათრევდნენო, კარგად შენახული კი იყო და იმიტომაც ვიცანი, თორემ უკვე 20 წელია, რაც მიწაში იდოო... მოკლედ, გეცას სწვდებოდა ქრისტიანი ხალხის წარმართული, კანიბალისტური იდეების ციებ-ცხელებით მოთხოვნილ მესაწირ მსხვერპლთა დაფერფლილი სხეულების სუნი!

სხვაგან კიდევ, უბრალოდ, უგვან ანეკდოტურობამდე დადიოდა ყველაფერი: ერთგან თურმე ბანკის მთელი ფული დაუნვაავთ, როგორც ამაოების სიმბოლო, ხოლო სანოტარო კანტორაში პირდაპირ მაგიდაზე მოუსაქმებიათ - აქაოდა, მთლად კერძო საკუთრების ბომონია აქაურობაო...

ამას გარდა, ეს რევოლუციები თუნდაც იმიტომ არ მაინტერესებს, რომ წინასწარ შეიძლება მათი შედეგის განჭვრეტა - როგორც წესი, სულ მალე ნებისმიერი ეგეთი ტალღა სწორედ იმის საწინააღმდეგოდ მოიქცევა, რაგვარ „რევოლუციონიზებასაც“ იგი ცდილობს! თუკი რამე მაინცაა მათში საინტერესო - ამ ორომტრიალში ხანდახან ტრადიციის იმ მივიწყებულ ფენებს ამოატრიალებენ ხოლმე, იქამდე თითქოს სადღაც ჩაკარგული რომ ჩანდა. იმავე ესპანეთის სამოქალაქო ომმა მხოლოდ კათოლიკური ტრადიციის თავად ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები გამოავლინა - პირწმინდად მხოლოდ კათოლიკური, ფანატიკური, ჩაკირული, ჩაქვავებული ის რეალობა, რაც სწორედაც ესპანეთისთვისაა დამახასიათებელი. მე მოვკვდე, თუ სწორედ ასე არ ეწეროს ლარუსის მცირე ენციკლოპედიაში: „ესპანეთი გრანიტის ქვის პლატოა, საშუალოდ 700 მეტრის სიმაღლისა“. ეგეც მე ვარ?!

არადა, მთელი ეს თოფების ბათქაბუთქი და ერთმანეთის უღეცხე ესპანელებმა ხომ ერთადერთი, თუმცა კი სრულიად გაუაზრებელი მიზეზით წამოიწყეს - ტრადიციების დასანარჩუნებლად! და ყველანი - უღმერთონი, მორწმუნენი, წმინდანები, ავაზაკები, მკვლევლები და მოწამენი, მესაფლავენი თუ ნეშტის შემბლაღავნი - ყველანი „ერთ მუშტად შეკრულნი“ იბრძოდნენ და ებრძოდნენ ერთმანეთს - თავიანთი საკუთრივი რწმენის შესანარჩუნებლად და დასამტკიცებლად... რა უნდა ელაპარაკო - ყველა ესენი ესპანელები არიან და უბილწეს საქმესაც კი სარწმუნოების საბურველში ახვევენ, თანაც - სრულიად გულწრფელად!

ცნობილი ამბავია: მავანი ანდალუსიელი თოფოსანი გაპარტახებულ ეკლესიას მიადგა, ტორეროს დახვეწილი მოძრაობით შეაღო აღსავლის კარი, შევიდა შიგ და ჭვარცმას ლანძღავდა ყოვლად უშვერი სიტყვებით... მერე ის იყო, ჭვარცმულის ტერფიდან სამსჭვალე უნდა გამოეძრო - აბა, ერთი, სისხლი თუ გამოუვაო და მაცხოვრის ქანდაკსაც მკლავი მოსძვრა, მკრეხელს ხელზე დაეცა და ეს ჩვენი ვითომდა ათეისტიც უსულოდ დაეებრტყა ძირს - აი, მესმის ნაღდი ღვთისრწმენა!

გრანადაში ფაშისტებმა არეულობის დასაწყისშივე დახვრიტეს ჩემი მეგობარი, პოეტი გარსია ლორკა. მერე მისი სიკვდილის ამბავი კომუნისტებმა პროპაგანდისტული მიზნებით გამოიყენეს, თორემ ყველას კარგად მოეხსენებოდა, რამდენად აპოლიტიკური პიროვნება იყო ლორკა. ის არანაირად არ ყოფილა ერთი ან მეორე მხარის კაცი-სიმბოლო და უბრალოდ, იმ სრულ გაუგებრობას შეენირა, რაც ე.წ. რევოლუციის შემდგომ და სამოქალაქო ომის წინარე პერიოდში სუფევდა მთელ ესპანეთში. საქმე ისაა, რომ ფედერაციო გარსია ლორკა, ჩემი არ იყოს, პიროვნება გახლდათ და ასეთ დროს სწორედაც რომ პიროვნებებს ერჩიან და არა - იდეებს...

სწორედ ლორკას სიკვდილმა მიბიძგა, პარიზს განვრიდებოდი, სადაც იმ დროს უკვე ომის მომხრე-მონაწილედმდეგეთა ურთიერთდაპირისპირებული (მადლობა ღმერთს, იქ მაინც - მხოლოდ სიტყვიერად) ჭკუფები სოკოებივით მრავლდებოდნენ და იტალიას გაგმგზავრებულიყავი.

ომის უბედურება თითქოსდა უფრო მიმძაფრებდა ესთეტიკური ძიებების ტკივილს, და ვიდრე ჩემი ქვეყანა სიკვდილის ამ თესვასა და ნგრევაში ცდილობდა გარკვევას, მე იმ სფინქსის გამოცანის ამოხსნას ვცდილობდი, რომელიც, ჩემი გაგებით, ევროპის „წყაროსთვალი“ იყო და ასევე ერთი სიტყვით, ანუ - რენესანსით გამოიხატებოდა. მაშინ უკვე დარწმუნებული ვიყავი - ესპანეთის მერე სრულიად ევროპის ჯერი დადგებოდა და კომუნისტურ-ფაშისტური იდეოლოგიები შეეჭახებოდნენ ერთმანეთს. გერმანიასა და რუსეთში მომხდარ რევოლუციებს უკვე „შეეჭამათ“ საკუთარი შვილები და ახლა ებოს გადაღმა იცქირებოდნენ მშიერი თვალებით... ამათ შემდეგ ისევ შუასაუკუნეები დადგებოდა, „კოლექტიურის“ მარცხით გამოწვეული ინდივიდუალობის, სულიერებისა და რწმენის ხანა, მერე კი მე - ვისაც ეტყობა, ერთადერთს მესმოდა სიცოცხლისა და სიკვდილის ამ წრებრუნვის კანონები - დიახ, სწორედ მე უნდა გამოვსულიყავი სცენაზე და ახალი აღორძინების იდეა მექადაგა...

\*

ისე, ჩემი იტალიაში გამგზავრება ბევრმა რეალობისაგან გაქცევად და „ქინძეკიდიობად“ მონათლა, თუმცა ვინც კარგად მიცნობდა, მისთვის მაინც ცხადი უნდა ყოფილიყო, რას

ვეჭიდებოდი და რა სულიერი ბრძოლების გადატანა მომიხდებოდა. სტენდალის ტომით ხელში დავიარებოდი „მარადიული ქალაქის“ ქუჩებში და ნათლად ვხედავდი - „თანამედროვე“ რომის ეს კონცეფცია, რომელიც ვითომდა ანტიკურის აღორძინების სურვილით იყო ნაკარნახევი, სინამდვილეში კი დღევანდელი მესველ მოთხოვნილებებს თუ ემსახურებოდა მხოლოდ, ძირფესვიანად გლეჯდა და ანადგურებდა იმ პარადოქსულ კონგლომერატს, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება კიდევ ჭეშმარიტად რომაული და, იმავე დროს - ძირეულად კათოლიკური. რომის დიდება ანტიკურობის ნანგრევებში კი არ ძევს, არამედ იმ საბურველში, რომელმაც ეს ნანგრევები გაითავისა, და ახლა წმ. პეტრეს ტაძარი ისევე მოჩანს ბერნინის სვეტების ფრთეთა შორის, როგორც რამ გამაერთიანებელი ცისა და მიწის!

გვარიანი ხანი გავატარე ამაღლის სანახებში, ვილა ჩიმბრონაზე, სადაც პოეტმა ედვარდ ჯეიმზმა მიმასპინძლა. ეს ვილა სულ რაღაც ორ ნაბიჯზე იყო იმ ბაღიდან, რომელმაც - როგორც ამბობენ - ვაგნერს „პარციფალის“ დაწერა შთააგონა. სწორედ იქ გავიარე მეც ჩემი პირნმინდად ვაგნერიანული სპექტაკლი - Tristan Fou (შეშლილი ტრისტანი). მერე ისევ რომში, ფორუმის მახლობლად, ლორდ ბერნერისას გადავინაცვლე და ორი თვის განმავლობაში ვხატავდი „აფრიკულ შთაბეჭდილებებს“, რაც სიცლიაზე ჩემი ხანმოკლე გამგზავრების შედეგი იყო: იქ კატალონიისა და აფრიკის იმგვარ შერწყმას გადავანყედი, საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არც არავის დავუჭერებდი. ასე რომ, როგორც ხედავთ, რომის საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან ძალზე შორს მეჭირა თავი - სულ რამდენიმე ჩემს მეტისმეტად თავშეკავებულ, ნამდვილ ინგლისელ მეგობარს ვნახულობდი და სხვა მხრივ, ჩემს და გალას განმარტოებას თითქმის სრულყოფილი ეთქმოდა.

რაღა თქმა უნდა, რაიმე უცნაურობას არ გადავყროდი, ისე როგორ იქნებოდა და ერთხელაც ხმა გავარდა - მავანი სახელგანთქმული მსახიობი ქალი ჩამოსულა რომს, ასევე მეტად სახელოვანი მუსიკოსის თანხლებით. იმ დღეს პაპ იულიუსის ვილაზე მოწყობილ ეტრუსკული ძვირფასეულობის გამოფენაზე გახლდით და ვხედავ, სწორედ ეს ქალბატონი არ მესალმება შორიდან? ერთმანეთისათვის არასოდეს არავის წარვუდგენივართ, ამიტომაც საპასუხოდ ბრდილად, ოდნავ დავუხარე თავი და ექსპონატების თვალიერება განვაგრძე. უნდა გითხრათ, რომ იმთავითვე თვალში მომხვდა მისი დახვეწილი მიმოხვრა და მოდიდან გამოსული, ოდნავ დაჭმუჭნილი პალტო. თუმცა მაშინვე გამახსენდა ვილაცის გამქირდავი ნათქვამი - ჩაცმულობის განხრით, მაგ ქალს გემოვნება აშკარად ღალატობსო...

შენობიდან რომ გამოვედი, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ეს ქალბატონი კუდში მომდევდა და ჩემს გამოცნაურებას მოელოდა. რამდენჯერმე შევჩერდი, განგებ გვერდითა, ვიწრო ქუჩაზეც კი გაუხვიე - არა, ნამდვილად მე მომდევდა! მეტად უხერხულად კი ვიგრძენი თავი და ვეღარ გადამენწყვიტა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. სწორედ ამ დროს მოედანზე გავედით, სადაც მუსოლინი წარმოთქვამდა რაღაც მჭექარე სიტყვას. ძაან კი გამიკვირდა, როცა შევნიშნე, თუ რაოდენი ენთუზიაზმით უერთდებოდა ეს ჩემი უცნაური ქალბატონი ხალხის ჟრიამულს და არც ფაშისტურ ყაიდაზე მისალმებას თაკილობდა. მერე ვხედავ - ჭიკავ-ჭიკავით მოიწვეს ჩემკენ, თან ხელში რომის ხედების საფოსტო ბარათებს აფრიალებს რატომღაც. მომიახლოვდა, ბარათები ბანქოს გამოჯვკილი მოთამაშესავით გაშალა მაროდ და რას ვხედავ - შვიდი მათგანიდან ორი პორნოგრაფიული სურათია! ალბათ თვალები მართლა ამივიდა მუბლზე, რადგან შეცბა, რაღაც ბოდიშისდაგვარი წაიბურტყუნა და ასევე ჭიკავ-ჭიკავით გამეცალა. კარგა ხნის მერეღა მივხვდი ჩემს უპატიებელ მეცდომას: ეს ქალი მხოლოდ ძალზე შორეულად თუ მოგაგონებდათ იმ სახელგანთქმულ დივას, თუმც რაღაც საერთო მართლაც ჰქონდათ აღნაგობაში; სინამდვილეში კი ჩემივე ერთ-ერთი ნატურის მეგობარი იყო, სეანსებზე დაჰყვებოდა და იჭდა ხოლმე თავისთვის კუთხეში, წყნარად. იმხანად მე შიშველი სხეულების მართლაც არცთუ ურიგო კოლეფცია მქონდა, სტუდიაში, კედელზე გამოფენილი. ეს საბრალო ეროტიკასა და პორნოგრაფიას შორის ვერავითარ განსხვავებას ვერა ხედავდა და ახლა ეტყობა, გადაენწყვიტა - გარკვეული გასამრჯელოს ფასად, ის ჩემი კოლეფცია გაემდიდრებინა...

ამ ამბავმა გვარიანად შემაჩქვია, ვაითუ, რამე მჭირს-მეთქი, რადგან იმ ხანებში რაღაც ბედიზედ მომივიდა ამისთანა იაღლიშები. გალა მიმტკიცებდა - გადაიღალეო და მთებში, ავსტრიის საზღვრისაკენ წამიყვანა. კორტინის სიახლოვეს დავიდეთ ბინა ერთ პატარა

სოფელში, სრულიად გამოცარიელებულ პანია სასტუმროში. გალას პარიზში უწევდა დაბრუნება 10-12 დღით და ახლა იქ სრულიად მარტო მომიხდებოდა ყოფნა.

ორი დღეც არ იყო გასული, რომ ვადაკესიდან მომივიდა დამზაფრავი ცნობა: ვილაც ანარქისტებს ოცდაათამდე ვაცი დაეხოცათ - ყველანი ჩემი ნაცნობები და მათ შორის, სწორედ ის პორტ-ლიგატელი მეთევზეებიც. არ ვიცი, იქნებ აჯობებდა, მეც იქ ვყოფილიყავი, სამშობლოში და იქნებ რაღაცით მაინც წინაღუდგომოდი ამ საშინელებას?!

ყოველივე ამის ბრალი იყო თუ შეციების, ან ის, რომ გალაც არ იყო ჩემ გვერდით, თავს სრულიად მიუსაფრად ვგრძნობდი და არც ეს ალპური მშვენიერება მხიბლავდა დიდად - ეს ანონილი მწვერვალები, მათი თავების თვალმომჭრელი, უფერო სითეთრე...

მერე უძილობაც დამიბრუნდა და რაღაც შიშებიც საკუთარი ჯანმრთელობის გამო - ყოველ დაქსუტუნებაზე წამალს ვინვეთებდი ცხვირში, ხელისგული მომეფხანებოდა და წამში მალამოს ვისვამდი. ის კი არა, საკუთარი განავლის შემონმებაც კი დავინყე - ემანდ ცუდად შეფერილი ხომ არაა-მეთქი! საპირფარეოში, კედელზე, ვილაცის წვინტლს მოვკარი თვალი და ახლა ამაზე ვიმტვრევდი თავს - თუ ჩემია, ეგ როგორ დამემართა და ან როდის-მეთქი... ის კიდევ გამომწვევად იყო მიწებებული კედელს და თითქოს ნიშანს მიგებდა - არ მოგწონვარ და მომწმინდე მერე, ვინ გიშლისო!

ერთ დღესაც მართლა ვეღარ მოვითმინე, გამბედაობა მოვიკრიბე, თითზე დავიხვიე ტუალეტის ქაღალდი და ჩაქვავებული წვინტლის მოცილება ვცადე კედლიდან. მაგრამ მოულოდნელად, ის იმდენად მაგარი აღმოჩნდა, რომ ქაღალდიც გამიხია, ფრჩხილის ნუნშიც ჩამერჭო და იქ ჩატყდა! ვერ აგინერთ ჩემს გაოგნებასა და შიშს - ვაითუ, რაიმე ინფექცია შემეჭრას და ტეტანუსი ან რამე ამისდაგვარი დამემართოს-მეთქი! ოთახში შევვარდი, ბრილიანტინი დავისხი თითზე, მერე ვიგრძენი, თითქოს ფეთქვა დაიწყო - აი, სწორედ ისე, დაჩირქებამ რომ იცის ხოლმე და ახლა ქვევით ჩავირბინე, სასტუმროს პატრონთან, რომელსაც ადრე სულ გავურბოდი და იმას შევჩვილე ჩემი გასაჭირი. რა იყო ამისთანაო - მკითხა, მაგრამ სიმართლეს ხომ ვერ ვეტყვოდი...

მირჩია, იმ რაღაც ხიჭვს ამოგიღებ პინცეტითო, მაგრამ უარი ვტკიცე და ისევ უკან, საკუთარ ნომერში ავბრუნდი. ახლა იმაზე დავინყე ფიქრი, რა მეშველებოდა, თუკი მე, მხატვარ სალვადორ დალის, ხელს წამაჭრიდნენ და... და რას უბამდნენ? დაასაფლავებდნენ? განა არსებობს ცალკე კუბოები კიდურებისათვის? ვგრძნობდი, ჭკუას გადავდიოდი... სრულიად გაუაზრებლად, გამადიდებელი შუშა ამოვიღე ჩემოდნიდან, ისევ საპირფარეოში გავვარდი და მუხლებზე დავემხე - წვინტლის ნარჩენის „შესასწავლად“. ღმერთო მაღალო! წებოს უბრალო ჩამონადვენთი აღმოჩნდა - ჭერი ხისა ჰქონდა იქაურობას და ეტყობა, სარტყელების დარტყმისას დასჭირდათ მუშებს ნასმა... ეგ იყო და, ჩემი შიშებიც სადღაც გაქრა - ის ნუნებში ჩარჩენილი წებოს წვეთის წამახვილებული წვერიც ამოვიღე და თავი ის ბიჭი მეგონა, სახელგანთქმული ანტიკური ქანდაკის მოდელი - აი ის, ბიჭი, საკუთარი ტერფიდან რომ იძრობს ეკალს.

იმ ღამით მკვდარივით მეძინა და დილით რომ გამოვიღვიძე, ვიაზრე - არავითარ ესპანეთში წამსვლელი მე არ ვიყავი: განა რა ტანჯვა უნდა გადამეტანა იმისთანა, რაც უკვე არ მექონდა განცდილი?! ახლა უკვე ჰიუსმანისის პერსონაჟად წარმოვისახე თავი, რომელსაც ლონდონ-ქალაქს გამგზავრების შიში კლავდა და საკუთარ ფანტაზიებში უკვე გადაიტანა კიდევ ეს მგზავრობაცა და ათასი განსაცდელიც. სწორედ ასევე, მე საკუთარ სხეულთან დამემართა „სამოქალაქო ომი“ და საკუთარი მარჯვენის ნაწილიც კი დავკარგე...

არა, ისინი, ვისაც წარმოსახვის უნარი არ გააჩნიათ, სულ ტყუილად მიმოგზაურობენ იქით-აქეთ - მათ სრულიად ევროპული ომი სჭირდებათ, რათა ჯოჯოხეთის საშინელება გაიაზრონ! ჩემთვის კი ერთი რაღაც ხიჭვის შესობაც საკმარისი აღმოჩნდა იქაურობის მოსახილველად. ამას გარდა, თავად ესპანეთმაც კარგად უწყის - როგორიც არ უნდა იყოს სალვადორ დალის აღსასრული, ის მაინც მისთვის იცოცხლებს და მისთვის მოკვდება, მის სადიდებლად...

არა ატილას მსგავსად, რომლის ნატერფალზე ბალახიც აღარ ამოდიოდა - არა, ჩემსაზე საკუთარი ღირსების ყვავილები აღმოცენდებიან მხოლოდ!

პოლ ელუარმა შესანიშნავი დევიზი მოიგონა - „ცხოვრება შეცდომებითა და სურნელებით!“ ალბათ იმ ჩემი შეცდომების საპირწონედ, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში მემართებოდა, სულ უფრო და უფრო შორს ვიხედებოდი მომავალში და ჯერ არარსებულის მოახლოებასაც თითქოს ყნოსვით ვგრძნობდი...

ფლორენციაში, კვიპაროსებით შემოჭარული ერთი ვილა ვიქირავებ მე და გალამ, სადაც ბოლოს და ბოლოს, ცოტათი მაინც მშვიდად ვიგრძენი თავი. ქ-ნი შანელი, ჩემი ახლო მეგობარი, იმ დროს სიცილიაში მოგზაურობდა. ერთ ღამეს მესიზმრა, თითქოსდა ტიფით დაავადდა და დეპემა ვაფრინე მისსია სერტთან - ხომ არ იცი, რა ამბავია მის თავს-მეთქი. ასე მომწერა - ვენეციაშია, საავადმყოფოში და მართლა მძიმედაა ავადო... მაშინვე ავიბარგე და ვენეციაში ჩავედი. მაღალი სიცხეები ჰქონდა, ნამლები თითქმის ვერ უმსუბუქებდა ტანჯვას. ყველას დიაგილევის ბოლო დღეების მოგონება არ გვცილდებოდა მესხიერებიდან - ისიც იქ გარდაიცვალა, მაღალი სიცხე ველარ აიტანა ორგანიზმმა და იმითომ...

იქვე, სასთუმალთან, კაპრიზე ნაჩუქარი ნიჟარა იდო. სულ ვამტკიცებდი, კაპრიზე არაჯანმრთელი ჰავაა - უფრო სწორად, მღვიმეებში-მეთქი, საიდანაც ტურისტებს ჯობით ვერ გამოყრი... მოვითხოვე, ეს ნიჟარა აქედან გააქრეთ და მეტი აღარც დამანახოთ-მეთქი! დამიჯერეს და სულ რაღაც ერთ საათში სიცხე ლამის ზომამე დაუვარდა ავადმყოფს. მას მერე სულ ეს ფიქრი მიტრიალებს თავში: იქნებ დიაგილევისაც რაღაც ამდაგვარი ედო თავით?

რამე რომ იყოს, ალაღად მწამს ჯადო-მჩხიბაობის და დარწმუნებულებაც ვარ - კოსმოგონიისა თუ მეტაფიზიკისათვის აუცილებელიც კია მაგია, თუნდაც გონების იმ მდგომარეობის მისაღწევად, პარაცელსი და რაიმონდ ლული რომ განიცდიდნენ...

მაგრამ თუკი თავად მე მხოლოდ მცირე დროსა და მანძილზე შემძღვია გავთვალლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, გალა ნამდვილი მედიუმი - ამ სიტყვის თუნდაც სრულად მეცნიერული გაგებით. ის, უბრალოდ არასოდეს, არასოდეს არ ცდება! ბანქოს ქალაქის ერთი გაშლით შეუძლია, იწინასწარმეტყველოს ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი მოვლენებიც კი. სხვათა შორის, მამაჩემსაც გასაკვირი სიბუსტიტ მოუყვა, თუ როგორი იქნებოდა ჩვენი ერთობლივი ცხოვრება დღევანდლამდე, იწინასწარმეტყველა რენე კრეველის თვითმკვლელობაც...

ჩვენ ერთი საერთო თილისმა გვაქვს - ხის ნაჭერი, ერთხელ ზღვის პირას რომ ვიპოვე. მართალია, მას მერე რამდენჯერმე დავკარგეთ, მაგრამ თითქოს რაღაც ჯადოთი, ისევ ვპოულობდით. ერთხელ ლონდონში დავგვეკარგა, კოვენტ-გარდენში, მაგრამ მეორე დღესვე ვიპოვეთ - გამოსასვლელთან ეგდო. ერთხელაც სასტუმრო სენ-მორიცში გამოცვლილ ქვეშაგებს ნააყოლეს და კიდევ კარგი, სამრეცხაოში აღმოვაჩინეთ. უცნაური ისაა, როგორც კი მისი არსებობა გამახსენდება ხოლმე, თითქოს რაღაც გარე ძალა მიბიძგებს, მივიდე და ხელი გადავუსვა... ახლაც, ამ სიტყვებს რომ ვწერ, ვიცი - მაინც მომიწევს ადგომა და მისი უჭრიდან ამოღება!

აი, ხომ გეუბნებოდით - მივედი, ამოვიღე, გადავუსვი ხელი და დავწყნარდი კიდევ. არ მექნა და, მთელი საღამო რაღაც უაზრო ფორიაქი ამიტანდა. სხვათა შორის, სანამ ხის ეს უცნაური ნაჭერი არ შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში, ვერც ნერვებს ვუხერხებდი ვერაფერს და დროც უამრავი მეკარგებოდა - ძილის წინ რაღაც-რაღაც ნივთები უნდა გადამეღებებინა უეჭველად, ფლოსტების ჭვინტები უცილობლად აღმოსავლეთისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული... ამგვარი ამოჩემებებიდან სულ მცირედი გადახვევაც კი, გარწმუნებთ, მშვიდი ძილის საშუალებას აღარ მომცემდა! თითქოს რაღაც ჯადოს ძალით, 1931 წლიდან - სწორედ იმ დღიდან, როცა ხის ეს ნაჭერი შემოვიტანე ოჯახში - მთელი ჩემი მანიები, ფობიები და ამოჩემებებიც უკვალოდ გაქრა...

სექტემბრის მზის ბუნიობას ცნობილი „მიუნხენის კრიზისი“ უნდა მოეტანა და მართალია, გალა კი მიმტკიცებდა - ომი ჯერ არ დაიწყებო, მაგრამ მაინც ავიკრიფეთ და იტალიას გავემგზავრეთ მონტე-კარლოს მახლობლად, თუმცა იქაც მთელი საღამოები რადიოს ვიყავით მიჯაჭვულნი ჩვენს მეგობარ კოკო შანელთან ერთად.

სწორედ იმ ხანებში ნიუ-იორკის გამოფენისათვის ვემზადებოდი და სხვათა შორის, იმ ჩემს „ამოუცნობ ჰიტლერსაც“ ვხატავდი - გასააზრებლად ჩემთვისაც კი მეტად რთულ სურათს. მაშინაც უკვე მეჩვენებოდა, რომ ამ სურათში იყო რაღაც წინასწარმეტყველური, რაკილა დაუფარავად მივანიშნებდი - მალე მთელ ევროპას ადრეული შუასაუკუნეების ჩრდილი გადაეფარება-მეთქი.

ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე მივაქციე ყურადღება ერთ მაღაზიას მე-5 ავენიუზე - აშკარად ჩემი მიბაძვით გაენწყობ. დიდად არც გამკვირვებია და არც მწყენია, მაგრამ როგორც კი ტელერის უპრესტიჟულესი მაღაზიის ერთბაშად ორი ვიტრინის გაფორმება შემომთავაზეს, უყოყმანოდ დავთანხმდი, ოღონდ ერთი პირობით - ყველაფერს ჩემს ჭკუაზე გავაკეთებ და სიტყვა არავინ შემიბრუნოს-მეთქი. მართლა მინდოდა მეჩვენებინა ყველასათვის ის დიდი ზღვარი, რაიც ჭეშმარიტსა და ნაყალბევ დალის შუა იდო.

უსიამოვნებები იმთავითვე დაიწყო: ჯერ იყო და, მანეკენები დავიწუნე - თითქოსდა წელკავით გაკავებულნი, ყოვლად იდიოტურად აპრეხილცხვირებიანი... არა-მეთქი, ვუთხარი - ეს თქვენი ფსევდომოდერნისტული თოჯინები მომაშორეთ აქედან და ძველებური, „ფერხორციანი“ მანეკენები მოიტათ-მეთქი! სადღაც სხვენზე იპოვეს ორად ორი ცალი, 900-იან წლებში გამოშვებული, ცვილისაგან გამოძერწილი თავებითა და ქალის ნატურალური თმის პარიკჩამოცმულები. შეხედავდი და გაგეხარდებოდა - თითის დადება მტვერი ედო ორივეს! მენეჯერს ვუთხარი, ხელიც არავინ ახლოს და მით უმეტეს, წმენდა არ დაუნყოფ - ჩემი მანეკენები მე-5 ავენიუზე ისე უნდა გამოვფინო, როგორც ძველი არმანიაკის ბოთლები, ეს-ესაა რომ ამოიტანეს სარდაფიდან-მეთქი... დიდი სიფრთხილით გადავიტანეთ და კონტრასტისათვის პრიალა სარკეები შემოვუწყვეთ გარშემო.

თავად გაფორმების იდეას უკიდურესად მარტივი და ბანალურიც კი ეთქმოდა: ერთი ვიტრინა „დღეს“ განასახიერებდა, მეორე - „ღამეს“. პირველში წყლით სავსე აბაზანა იდგა, რომლიდანაც ამოშვრილ ორ შიშველ ხელს სარკე ეჭირა - ნარცისის მითის გასაცოცხლებლად; გარშემო ცოცხალი ნარცისები ყვაოდნენ - ზოგს ავეჯის სათავსოებიდანაც კი ამოეყო თავი. „ღამის“ ვიტრინაში, ცხადია, შავი ფერი ჭარბობდა და ლოგინის თავად კამეჩის ფიტული მქონდა გამოყენებული, ხოლო ფეხებად - იმავე კამეჩის ჩლიქები. ლოგინის გადასაფარებელი ალაგ-ალაგ გამომწვარი იყო და ნახვრეტებში ხელოვნური ნაკვერჩხლებიც ციმციმებდა. თავად მანეკენი ლოგინზე იწვა, სასთუმალთან კი ჩირიკოს მეტაფიზიკურ სტილში გამოყვანილი ძილის აჩრდილი ადგა. გარშემო სულ ძვირფასი თვლები იყო მიმოხვეული - იმ სიზმრების ანარეკლი, მძინარე მანეკენს რომ ეზმანებოდა. ამგვარ, სრულიად მარტივ სიურრეალისტურ პოეზიას ადგილზევე უნდა გაემეშებინა ის ფეხით მოსიარულენი, ვისაც კი ეს ვიტრინა თვალში შეეფეთებოდა - დიახ, სწორედ ეს იყო პირწმინდად დალისეული ხედვა!

„მეტროპოლიტენ-ოპერიდან“ რომ გამოვედით, სადაც „ლოენგრინის“ წარმოდგენას დავესწარი, მე და გალამ პირდაპირ ტელერისას დავადირეთ თავი. ორივე ვიტრინის განწყობა უკვე მთავრდებოდა. გულმა არ მომითმინა და რაღაც-რაღაც შესწორებები მაინც შევიტანე, ამიტომაც გალას ლამის მთელი თავისი საღამოს ვაბა შემოეხა ვედლებზე ყალბი ბრილიანტების მიჭედებისას. მე კიდევ, ქანცვაცლილი, დილის ექვს საათზელა მოვრჩი მითითებებს. მეორე დღეს ხანგრძლივ სადილზე გახლდით დაპატიჟებულნი და მხოლოდ ხუთი საათისთვისლა მოვახერხეთ ახლად გახსნილი ვიტრინების მონახულება. წარმოიდგინეთ ჩემი გაოგნება და აღშფოთება, როდესაც დავინახე, რომ ყველაფერი, სრულიად ყველაფერი შეეცვალათ! მანეკენებიც კი, და ერთადერთი, რაც დაეტოვებინათ, კედლებზე მიმოხვეული ყალბი ბრილიანტები იყო - სწორედ ის ერთადერთი რამ, რაც გალას სახუმაროდ გავაკეთებინე!

აბა, რა დიდი მიხვედრა იმას უნდოდა, თუ რა დღეს დავაყრიდი მაღაზიის მეპატრონეებს და გალამაც გადანყვითა, ჯობია, მართო დავბრუნდე სასტუმროში... მიხვდა, მისი იქ ყოფნა ახლა ჩემთვის მხოლოდ ცეცხლზე ნავთის გადასხმასავით იქნებოდა. მეორე სართულზე, მოსაცდელში, კარგა თხუთმეტი წუთი მალოდინეს, მერე კი ვიღაც უცნობი გამომეგება საკუთარი ვაბინეტიდან, გულთბილად ჩამომართვა ხელი და აღტაცება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, ესოდენ დიდ ხელოვანთან რომ მოუწია შეხვედრა...

იქვე მოვთხოვე, ან ყველაფერს პირვანდელი სახე დაუბრუნეთ, ან არადა, ჩემი სახელი არ



გააჭაჭანოთ ვიტრინაზე-მეთქი. მიპასუხა - ახლა ამას ვერ გავაკეთებთ - წარმოიდგინეთ ერთი, რა ამბავი ატყდება, დღისით-მზისით რომ ჟალუზი დავუშვათ ორივე ვიტრინაზე და შიგ მუშები შევუშვათო. გავიკვირვე - მთელ ამ შესწორებებს ათ-თხუთმეტ წუთზე მეტი არ დასჭირდება და თუ გნებავთ, ყველაფერს თავად ვუხელმძღვანელებ-მეთქი. შევატყვე, დათმობას არ აპირებდნენ, ამიტომაც ხმას ავუწიე და მკაცრად გავაფრთხილე - ან ჩემს გვარს მოაცილებთ ვიტრინას, ან არადა, ცუდად წაგივით საქმე-მეთქი. რაღა თქმა უნდა, სასამართლოში ჩივილს არ ვაპირებდი - ტელერის კომპანიასთან შეჭიდება, ვგრძნობდი, იაფი არ დამიჯდებოდა - არც სულიერად და არც მატერიალურად. ამაზე ისეთი რამ მიპასუხეს, ლამის იყო, მთლად გადავდექი ჭკუიდან: ასეო და ისეო, ეს ყველაფერი ჩვენ იმითომ მოვიმოქმედეთ, რომ მაღაზიის გახსნისთანავე ორივე ვიტრინას უამრავი ხალხი მოაწყდა, მთელ ქუჩაზე მოძრაობა ლამის ჩაიკეტა და პოლიციამ მოგვთხოვა, რაიმე იღონეთო. ახლა კი ხომ ხედავთ - ხალხი არ გვაკლია, მაგრამ არც საჭიროზე მეტია, ესე იგი, ყველაფერი კარგად მიდისო...

თავი ზრდილობიანად დავუკარი, გამოვბრუნდი და პირველ სართულზე, შიგ ვიტრინაში შევაბიჯე. ცოტა ხანი შევიცადე, რათა გამვლელთა ყურადღება სათანადოდ მიმეპყრო, მერე მშვიდად მივედი აბაზანასთან, კიდეს ჩავეჭიდე და... მაგრამ თუჯისა გახლდათ და მისი გადაბრუნება არც ისე იოლი აღმოჩნდა. თავი ბიბლიურ სამსონად წარმოვიდგინე, ტაძრის სვეტებს რომ ეჯაჭგურებოდა... ბოლოს მაინც ჩემი გავიტანე, თუმცა ისე უნიათოდ, რომ წყალი მაღაზიაში ჩაიღვარა, აბაზანა კი გამისრიალდა და ვიტრინას შეასკდა. ბრბოს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა - მართლაცდა, ფემენებელურ მე-5 ავენიუზე ასეთ რამეს მართლა იშვიათად თუ შეესწრებოდა ვაცი, მაგრამ ეს კიდევ არაფერი - ოვაციები უნდა მოგესმინათ, რომლითაც დამაჯილდოვეს, როგორც კი ფეხი ქუჩაში გავდგი: საქმე ის იყო, რომ ერთი უზარმაზარი ნატეხი, რომელიც სასწაულად იმაგრებდა თავს ზუსტად ჩემ ზემოთ, სწორედ მაშინ ჩამოიმზღვლა, მე რომ ქუჩაში გავედი! მოკლედ, ბენჯზე გადარჩაო, ნაღდად ჩემზე ითქმოდა და ხალხიც აღტაცებული დამირჩა ჩემივე წარბშეუხრელობით.

ის იყო, ხელზე გადაკიდებული პალტო შემოვიცივი და დინჯად გავუყევი გზას სასტუმროსაკენ, რომ ვიღაც სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა შემაჩერა, ბოდიშიც მომიხადა და ამიხსნა - იძულებული ვარ, დაგაპატიმროთო.

გალა და ჩემი მეგობრები სულ რაღაც ნახევარ საათში გამოცხადდნენ საპოლიციო უბანში და ვეჭილმა არჩევანის წინაშე დამაყენა: ან ახლავე გამიშვებდნენ თავდებით და სასამართლო მხოლოდ რამდენიმე კვირის მერეღა გაიმართებოდა, ან შემეძლო, წინასწარი დაკავების საკანში გავჩერებულიყავი მცირეოდ ხანს და სულ რამდენიმე საათში გამათავისუფლებდნენ. იმდენად ვეშურებოდი, ეს ამბავი მომემთავრებინა, რომ ამ მეორე შესაძლებლობას დავთანხმდი.

როგორც მოსალოდნელი იყო, წინასწარი დაკავების საკანი მაინცადამაინც საზოგადოებაში ჩენილი ხალხით არ გამოირჩეოდა - ძირითადად, ლოთები, „პროფესიონალი უსახლკაროები“, ჯიბგირები და რა ვიცი, ვინ არა! უმეტესად იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ ან არწყევდნენ, ან დიდი მონდომებით ძიძგილაობდნენ ერთმანეთში. დაფეთებული ხან ერთ კუთხეს მივანყებოდი, ხან მეორეს, რომ მოულოდნელად ატეხილი აყალმაყალის შუაგულში არ აღმოვჩენილიყავი. ერთ ვიღაც ტანმორჩილ ჯეელს, ეტყობა, გული დაეწვა ჩემი საცოდაობით და თავისკენ მიხმო. წამსვე მივედი, რადგან იმთავითვე შევატყვე - ამ ჭინჭილებიან და ჯაჭვებასხმულ მასტს რატომღაც ყველა პატივისცემით მიმართავდა - ისინიც კი, ვინაც მასზე ათჯერ უფრო დასაფეთებელი გამომეტყველებით გამოირჩეოდა.

„ნაღდში ლატინო იქნები,“ - მეუბნება, - „კოჭებში გეტყობა. მე კი პუერტო-რიკოდანა ვარ. რატო ჩაგსვეს?“

„ვიტრინა ჩავამტვრიე.“ - ვუბნები.

„დიდი ამბავი! ოციოდე დოლარს გადაგახდევინებენ და ეგ იქნება. რა, ბარში იყავი? ნასვამის არაფერი გეტყობა...“

„არა, მე-5 ავენიუზე...“

„სადაო?!“ - წამოიძახა ჩემმა ახალგაცნობილმა მეარველმა და ზედვე დაეტყო სახეზე,

რომ უკვე რაღაც პატივისცემითაც კი მიყურებდა. „მოკლედ,“ - მეუბნება, - „არ მომშორდე და თითსაც ვერავინ დაგაკარებს, აქ მე ვარ განაბი.“

ამკარად ფართოდ ცნობილი პიროვნება უნდა ყოფილიყო გარკვეულ ვიწრო წრეებში...

თმაშვერცხლილმა, მკაცრსახიანმა მოსამართლემ ამკარად ღიმილი ვერ შეიკავა ჩემი საქმის მოსმენისას. მეტად ძალმომრეობითი ქმედებააო, განაცხადა მკაცრად და მაღალფარდოვნად, - „ამჯერად მხოლოდ დაგაჯარიმებთ... თუმცა ისიც ითქვას, რომ ყოველ ხელოვანს აქვს უფლება, საკუთარი ნამუშევარი დაიცვას!“

უნდა გენახათ, მეორე დღეს რა ამბავი ატყდა გაზეთებში: ჩემი ფოტოები ლამის ყველგან პირველ გვერდზე გამოეტანათ და ამონარიდებით მოეფინათ იმ წერილებიდან და დეპეშებიდან, რაც კი ჩემს სახელზე მოდიოდა ქვეყნის ყოველი კუთხიდან. საზოგადოება ძირითადად იმ თვალსაზრისზე იდგა, რომ ეს მართო ჩემი პირადი საქმე კი არა, ზოგადად ამერიკული ხელოვნების დამოუკიდებლობის დაცვის ამბავი იყო, რომელშიც, მათივე მტკიცებით, ხშირად ერეოდნენ უვიცი და გაუთვითცნობიერებელი შუამავლები თუ დამკვეთები. მოკლედ, სრულიად მოულოდნელად, ქვეყნისათვის მეტად მტკივნეულ კოჟიჟზე დამიბიჭებია ფეხი.

ორი დღე არ გასულიყო, რომ კიდევ ერთი წინადადება მივიღე - სუმთლად ჩემს ჭკუაზე გამეწყო ერთი დარბაზი ნიუ-იორკის „მსოფლიო ბაზრის“ ცენტრში. ეს გამოფენა ერთ თვეში უნდა გახსნილიყო და რომელიღაც გაურკვეველი კორპორაცია მთავაზობდა ხელშეკრულებას. ახია ჩემზე, რომ არსად არაფერი გავიკითხე და ერთადერთ რამეს ნავეპოტინე - „სრულ შემოქმედებით თავისუფლებას“ - სწორედ ასე ეწერა ხელშეკრულებაში.

დარბაზს „ვენერას ზმანებები“ უნდა რქმეოდა და სიმართლე გითხრათ, ნამდვილი საშინელება გამოვიდა: სულ მალე ცხადი გახდა - ზემოხსენებულ კორპორაციას საკუთარი წარმოდგენები ჰქონდა, თუ როგორ უნდა გაეწყო დარბაზი და ჩემი მხოლოდ სახელი ესაჭიროებოდა. მაშინ მე ჯერ კიდევ ორ სიტყვას ვერ ვაბამდი ინგლისურად და ჩემი იდეებისათვის ხორცმესხმა თარჯიმნის საშუალებით უნდა გამეხერხებინა. ღმერთმანი, არავის შეგშურდებოდათ ამ კაცის - ძირითადად, ჩემი ლანძღვა-გინების თარგმნა უწევდა. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, როცა ლეონარდო და ვინჩისეული ესკიზების გამოყენებით გავაკეთე მოცურავე გოგოების კაბები, იმ რეგვენებმა კი ზედ ქალთევზების კუდები და სირინოზების ფრთები მიაბეს! თან აქეთ მიმტკიცებდნენ, თქვენ ამერიკულ გემოვნებას ჯერ კიდევ არ იცნობთ და ასე ნამდვილად უკეთესი გამოვაო. ვყვიროდი, ხელებს ვიქნევდი, თარჯიმნის მეშვეობით ვილანძღებოდი, მაგრამ რად გინდა - ერთ რამეს რომ გამოვასწორებდი, ახლა დარბაზის მეორე კუთხეში ხდებოდა რაღაც უბედურება...

ჩემი მდივანი დღეში ათ-თორმეტ საპროტესტო წერილსა და განცხადებას მიბეჭდავდა, რასაც არავითარი შედეგი არ გამოუღია და ბოლოს გადავწყვიტე, ისევ ჩემებურად შემოქმედა: თერძის დიდი მაკრატელი ავიღე, დილაუთენია მივადექი დარბაზს და რაც არ მომეწონა, ყველაფერი ნაკუნებად ვაქციე. განსაკუთრებით დაუნდობლად კი სწორედ იმ ქალთევზების კუდებსა და სირინოზების ფრთებს მოვეპყარი.

ერთი შეხედვით, ჩემი გავიტანე და ახლა ყველაფერზე თავს მიქნევდნენ, ოღონდ ეგაა - რასაც მიკეთებდნენ, იმდენად უხარისხოდ და მაბალო ფერებში, რომ ეს ყველაფერი სალვადორ დალის ნამუშევართა კარიკატურას უფრო წააგავდა. ავიღე და ერთ გაზეთში მთელი მანიფესტი გამოვაქვეყნე სათაურით: „ადამიანთა უფლებების დაცვა საკუთარი სიგიჟისა და წარმოსახვის დემონსტრირების მეშვეობით“ (ნიუ-იორკი, 1931 წ.). მოკლედ, განვაცხადე - ხელებიც დამიბანია-მეთქი!

ევროპას ისე გავემგზავრე, ეს „ჩემი“ „ვენერას ავი სიზმარი“ თვალითაც არ მინახავს და კიდევ კარგი, რადგან როგორც გავიგე, ჩემი წასვლა და იქ ქალთევზებისა და სირინოზების გამოჩენა ერთი ყოფილა...

\*

გემზე არაერთგზის გადავხედე ჩემეულ წარმოდგენებს ამერიკაზე და უნდა გითხრათ, ამ ბოლო „მარცხმა“ ვერავითარი უარყოფითი გავლენა ვერ იქონია მათზე: იქნებადა,

პირიქითაც - როცა ვაცს ხელში მაკრატლის ალება შეგიძლია საკუთარი სიმართლის დასაცავად, ეს უკვე მართლა რაღაცას ნიშნავს! სამწუხაროდ, ის ევროპა, რომელშიც მე ვბრუნდებოდი, მთლიანად გამოფიტულიყო წინააღმდეგობის ამგვარი უნარისაგან და, უბრალოდ, ხელთმრუშობისა და უნაყოფო თვითდახვეწის როყიო მცდელობებსღა მინდობოდა; ეგებ სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა გააზრების არანაირი მცდელობაც კი არ ყოფილა და სწორედ ამან განაპირობა მომავალი ომიც.

ისიც აშკარა იყო: ზოგიერთი ამერიკული მუზეუმის მიერ მკვეთრად გამოხატული დისკრიმინაციული ხაზი სწორედ იმაზე მიუთითებდა, რომ ევროპული ეკლექტიზმისაგან განსხვავებით, იქ უკვე ყალიბდებოდა სინთეზირების ატმოსფერო. ჯეიმზ სოუბი, ვისაც იმ ხანებში დავუახლოვდი, თავგამოდებით ცდილობდა, ესთეტიკური ღირებულებები, პიკასოს კვალად, „იდეოლოგიურ ჯგუფებად“ ჩამოეყალიბებინა, საიდანაც უმოწყალოდ განიდევნებოდა აბსტრაქციონიზმიცა და არასაგნობრივი მხატვრობაც, ხოლო სიურრეალიზმისა და ნეორომანტიზმის სინთეზით ერთგვარი „რენესანსისათვისაც“ მიეღწია. სოუბის ინტელექტუალური პლატფორმა ძალზე ახლოს იდგა ჟულიენ ლივანისთან, რომელიც საკუთარ გალერეაში სწორედაც რომ იერარქიისა და სინთეზის მიღწევას ცდილობდა.

ამ დროს კი ევროპაში სიურრეალისტებმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და გამოფენა მოაწყვეს, რომელიც ანბანის შესაბამისად იყო კლასიფიცირებული! ღმერთმანი, თავიდან ბოლომდე ანბანის წყობა არც არასოდეს მისწავლია და როცა რაიმე სიტყვის მოძებნა მჭირდება, ლექსიკონს უბრალოდ, ალაღბედზე გადავშლი ხოლმე და ინტუიციურად ვეძებ. ასე რომ, ეს წყობაცა და ამათი სიურრეალიზმიც სრულიად უცხო იყო ჩემთვის...

ამას ისიც დაემატა, რომ როგორც განმიცხადეს, ჩემი „შეშლილი ტრისტანის“ დადგმა შეუძლებელი ყოფილა. ავიღე და „ბაკქანალიად“ გადავაკეთე - საბალეტო დადგმად, რომელიც მონტე-კარლოს რუსული ბალეტისათვის მქონდა გამიზნული. სულ რამდენიმე კაცი იყო, ვისთანაც ურთიერთობა არ მიჭირდა: ლეონიდ მასინი - ასე ვთქვათ, ასპროცენტიანი დალისტი - რომელმაც მერე ჩემი „ყავარჯნების ცეკვაც“ დადგა; თავადი შერვაშიძე, რომელიც ვიკონტ დე ნოალესთან ერთად, მე თუ მკითხავთ, ევროპული არისტოკრატის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია და რომლის პროფესიული ხელწერაც დიდად წაადგა თავად ამ დადგმას. ჩემდა საბედნიეროდ, კოსტიუმები თავად კოკო შანელის ნახელავია - ისეთი გზნება და ფანტაზია ჩააქსოვა საქმეში, ამგვარი სამოსი ჯერ არც ერთ თეატრალურ დადგმაში მონაწილე მსახიობს არ ღირსებია! (ერთ-ერთ პერსონაჟს იმდენი დიბა-ატლასი, ნამდვილი ბრილიანტები და მუზეუმიდან გამოტანილი, ლუდვიგ II ბავარიელის ნაქონი თათმანებიც ეკეთა, რომ ცოტა ეჭვიც კი გვეპარებოდა, საერთოდ თუ მოახერხებდა ცეკვას).

მაგრამ არც ამ დადგმას დაჰყვა ბედი: ომის დაწყებისთანავე, ბალეტის დასი მანამ გაემგზავრა ამერიკას, სანამ მე და კოკო ჩვენს საქმეს ბოლომდე მოვათავებდით, ამიტომაც „მეტროპოლიტენ ოპერაში“ ის კინი კოსტიუმებით და ყოველგვარი რეპეტიციის გარეშე წარმოადგინეს. ღმერთმანი, ძალზე გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ყველაფერ ამის მიუხედავად, დადგმას უდიდესი წარმატება ხვდა წილადო.

\*

მე და გალა ესპანეთის ჩრდილო საზღვრისაკენ გავემგზავრეთ. იქ ერთ პატარა ქალაქში გავჩერდით სასტუმროში და სულის მოთქმის მაგივრად, დღეში თორმეტი საათი ვმუშაობდი. თუმცა, თავიდან მცირე ინციდენტს ვერც იქ ავცდით: მართალია, ნომერი დაჯავშნილი გვქონდა, მაგრამ საფრანგეთის ჯარების შტაბის თავმა, გენერალმა გამელინმა სწორედ მაშინ ინება ჩამოსვლა სასაზღვრო ჯარების ამ რაიონის საინსპექციოდ და საღამომდე ვერაფრით მოახერხა ნომრის დაცლა. ღამით, როცა მე და გალა დასაძინებლად გავემზადეთ, გალამ ბანქო გაშალა და ომის დაწყების ბუსტი თარიღიც იწინასწარმეტყველა. თითქოს ეს არ იყო საკმარისი და, როგორი დამთხვევაა - სავარძელზე უნესრიგოდ მიყრილმა ჩემმა ტანსაცმელმა თავისი ჩრდილით კედელზე პირწმინდად გენერალ გამელინის პროფილი არ გამოხატა! მეტისმეტად ცუდი ნიშანი იყო, ღმერთმანი...

მალე კი მობილიზაციაც გამოცხადდა და ჩვენი სასტუმროც დაკეტეს.

პარიზში ჩასვლისთანავე საფრანგეთის რუკას ვეცი და შევეცადე, ზამთრის სამხედრო კამპანია განმეჭვრიტა; ეს იმისათვის, რომ ცხადი გახდა - კვება ყველგან გაუარესდებოდა და ამიტომაც მსურდა, ჯარის ყოველგვარი გადაადგილება წინასწარ გამეთვალისწინებინა. ბოლოს ბორდოს სანახები ვარჩიე: სხვა თუ არაფერი, იქაურ ღვინოს რას დააკლებდნენ და სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე, ომის წლები იქ გამეტარებინა.

თავად ქალაქ ბორდოს მახლობლად მდებარე არკაშონში რომ ჩავედით და კოლონიურ სტილში განწყობილი ვილაც ვიქირავეთ ზედ სახელგანთქმული არკაშონის ტბის პირას, პირველ რიგში, სამხატვრო სტუდიის მოწყობას მივყავი ხელი.

ვინ გაცალა! ჩვენი მასპინძელი, ბ-ნი კოლბე იმგვარი მოლაცხე იყო, მაგისტანა ბარე ორი არ შემხვედრია ცხოვრებაში. ერთხანს კოკო შანელი გვსტუმრობდა და რაკი არც ის გახლდათ ამ საქმეში ჯაბანი, გადავწყვიტე, ფარული ტურნირი მომეწყო მათთვის. ერთ საღამოს, შემწვარი თევზისა და თითო ჭიქა წითელი ღვინის მერე, რაღაც გამომწვევი შეკითხვა დავუსვი ორივეს და უნდა გენახათ, მთელი სამი საათის განმავლობაში როგორ ცდილობდა ეს ორი მჭევრმეტყველი საკუთარი საზრისის სხვისთვის თავს მოხვევას! ბოლოს, უკვე მეოთხე საათის მიწურულს, ბ-ნმა კოლბემ მარჯვენა ხელი აწია გამარჯვების ნიშნად. დარწმუნებული ვიყავი, ამაში მის სუნთქვით ტექნიკას ედო დიდი წილი: გაცხარების უმაღლეს ნიშნულზეც კი იგი საოცრად თანაბრად, მე ვიტყვოდი - გამოზომილადაც კი - ისუნთქავდა და უშვებდა ჰაერს და ისიც მხოლოდ და მხოლოდ ნესტოებიდან. კოკო კი პირიქით, შიგადაშიგ საკუთარ ანკესზე წამოეგებოდა ხოლმე, გრძელი წინადადებების დასამთავრებლად სუნთქვა აღარ ჰყოფნიდა და იძულებული ხდებოდა, რიტმი აეჩქარებინა. ოღონდაც, სახლის მფლობელის გამარჯვებას ჩვენთვის შვება არ მოუტანია: გაცისკროვნებულსახიანი მასპინძელი ამის მერე კიდევ მთელი ორი საათი განაგრძობდა „რჩეული“ ანეკდოტებით ჩვენს მოხიბვლას...

მაგრამ ასეა თუ ისე, კოკო მართლა სხვა იყო - პირწმინდად ფრანგული დახვეწილობით, გედივით მისრიალებდა ისტორიის წყლების ზედაპირზე. საერთოდ, თუკი „რასის“ თაობაზე შეიძლება ითქვას რამე, ყველაფერი საუკეთესო, რითაც კი საფრანგეთი ამ მხრივ თავს იწონებდა, კოკო შანელში იყო თავმოყრილი. სამშობლოზეც ისე ლაპარაკობდა, როგორც არავინ და რაც არ უნდა დასტყდომოდა თავს, ის ამ ქვეყანას არასოდეს მიატოვებდა.

ოღონდაც მისი ინდივიდუალობა ჩემისაგან სრულიად განსხვავდებოდა: მე მუდამ ან „უსირცხვილოდ“ ვაშიშვლებდი ჩემს იდეებს, ანდა იეზუიტური პირმოთნეობით ვმაღავდი მათ. ის კი არც მალავდა რამეს და არც საყოველთაოდ არ გამოფენდა ხოლმე; კოკო, უბრალოდ, მათგან სამოსს ქმნიდა. მოდისა და ჩაცმულობის მისეული სტილი ტრაგიკული იყო, ისევე როგორც სხვებისა - ცინიკური. მოკლედ, კოკო შანელს საუკეთესო სამოსი ჰქონდა მორგებული საკუთარი სულისა და სხეულისათვის...

კოკოს მერე მარსელ დუშამი გვეწვია. დაფეთებული იყო პარიზის დაბომბვით და მუშაობაზე საერთოდ ხელი ჰქონდა აღებული. ამის საპირისპიროდ, თავად მე თავგადაკლული ვმუშაობდი. თითქოსდა მომხდარზე პასუხისმგებლობის გრძნობა ამით მინდოდა ჩამეხშო. მუდმივად ტექნიკის გაუმჯობესებასა და ფერების დახვეწაში ვიყავი და ეს უკვე რაღაც ალქიმიას მაგონებდა: რამდენი წილი ქარვის ბეთი, რამდენი - წებო, რამდენი ის, რამდენი ეს... რამდენი უძილო ღამე გამიტარებია იმაზე ფიქრით, რომ ორიოდ წვეთი რაღაც ზედმეტი მომივიდა ჩემს პალიტრაზე! მარტო გალა იყო იმის მოწმე, თუ რავგარი აღრჩევა სულისა გადავიტანე ამ პერიოდში და მით მეტად ვაფასებ ახლა მას - ჩემს ნამდვილ რეალობას და დარწმუნებულად ვარ, ოდესმე მაინც დავხატავ გალას ისეთ პორტრეტს, მე რომ დამაკმაყოფილებს.

ტექნიკის ძებნის ამ „სამზარეულოში“ ისევ და ისევ ლეონარდოს სულს ვუბრუნდებოდი - კოსმოგონია, კოსმოგონია, კოსმოგონია! ყველაფრის ხელში მოგდება, ყოველივე მეტაფიზიკურის სისტემატური ინტერპრეტაცია - ფილოსოფიის, მეცნიერების სხვადასხვა დარგის კათოლიკურ ფესვებზე მორგება, აღორძინების დასაწყისად... ღმერთმანი, მომაკვდინებელი სამუშაო იყო! გალამ და მხოლოდ გალამ შემაძლებინა ყოველივე ეს.

ყველაფერ ამის გარეთ ომი რაღაც ბავშვების ქუჩურ ჩხუბად მეჩვენებოდა, თუმცა დღითი

დღე იკრებდა ძალას და გერმანული ჯარების ბავშვური სიმწყობრე სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. არა-მეთქი, ვუთხარი ერთხელაც ჩემს თავს - ეს თამაში არაა, დალი! იმავე საღამოს შევწყვიტე მორიგ სურათზე მუშაობა და გასამგზავრებლად გავემზადეთ.

ბორღოში საშინელი დღე გავატარეთ - ეს სწორედ ის დღე იყო, როცა ქალაქი პირველად დაბომბეს. ესპანეთიდან კი, შეიძლება ითქვას, ცალი ფეხით გავასწარით საოკუპაციო ჯარების შემოსვლას. გალა ლისაბონს გაემგზავრა, სადაც მალე მეც უნდა ჩავსულიყავი, იქიდან ამერიკაში ვეპირებოდით; ოღონდ, მანამდე ჯერ ერთი საქმეც მქონდა მოსამთავრებელი...

ფიგურასში ჩავედი - ანუ, შეიძლება ითქვას, ლამის მთელი ესპანეთი გადავკვეთე, რომელიც, ნანგრევებისა და მიუხედავად, სიდუხჭირის მიუხედავად, ჩემთვის რაღაც გაურკვეველ რწმენას მოეცვა.

„კაკ-კუკ!“

„რომელი ხარ?“

„მე ვარ.“

„ვინ მე?“

„მე, სალვადორ დალი, შენი შვილი.“

სწორედ ასე დაუვკაკუნე მამაჩემს კარზე კადაკესში, ლამის ორ საათზე. ყველას გადავხვავი - მამას, დეიდას, დას... სუფრა გამიწყვეს - თევზი, შემწვარი სოსისები, ბეთისხილის ბეთმოსხმული პამიდვრები. მაღიანად ვილუკმებოდი და თან გაკვირვებული ვამბობდი - რევოლუციის კვალიც არ ეტყობა აქაურობას-მეთქი. ღმერთმანი, საოცრება იყო: თერთმეტი წელი აქ არაფერი შეცვლილა იმის მიუხედავადაც კი, რომ აქედან ბოლო სამის განმავლობაში ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება მძვინვარებდა! მოკლედ, აქ ტრადიცია კედელივით იდგა რევოლუციონიზმის წინააღმდეგ...

იმ ღამით ასე მეგონა, ძილ-ღვიძილში ვარ-მეთქი. იმავე ოთახში მომასვენეს, რომელშიც ოჯახიდან გაძევებამდე ვცხოვრობდი და იქაც ყველაფერი ბუსტად ისევე იყო, როგორც მაშინ. ალუბლის ხის სეკრეტერს მივადევდი, ხელი გადავუსვი და პანია საიდუმლო უჭრა გამოვალე. რა თქმა უნდა, არაფერი „საიდუმლო“ ეგ არ იყო, უბრალოდ, ასე ვეძახდით, რაკილა თუ არ იცოდი, როგორ დაგეჭირა თითები, ისე ვერაფრით გამოსწევდი. როგორც ჩემს ბავშვობაში, ახლაც იქ რაღაც გასაღები, ორიოდე ფოლაქი, წვრილი ხურდა ფული, ქინძისთავი და ბლომად მტვერი იყო. კარგად მახსოვდა, რომ დედაჩემი, რომელსაც მტვრის წმენდა საერთოდ ლამის აკვიატებდა ჰქონდა, ამ უჭრას ვერასოდეს ვერაფერს უხერხებდა ხოლმე.

მერე კედელთან მივედი: იქ, სარკის უკან, ერთი სველი ლაქა მეგულებოდა - სულ მცირე წამოჭინჟულაზეც ჩნდებოდა და მეორე დღესვე ქრებოდა თავისით. ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, ერთი პანია ობობა ბუდობდა იქ: გადასწევდი თუ არა სარკეს, წამსვე ფართხაფურთხით გამოვარდებოდა ხოლმე, თითქოს დაპურების მოლოდინში... ახლაც იგივე ვცადე, ლაქა არსად დამხვდა მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოგნება, როცა პანია ობობა ისევ ძველებურად გამოფაცურდა კედელზე!

უცნაური ამბავი იყო: ჩემი დაიკო სამხედრო დაზვერვის კომიტეტმა დააპატიმრა და სასტიკად აწამა, თუმცა ახლა უკვე სავსებით გამოჯანმრთელებულიყო; მანამდე კიდევ ყუმბარა მოხვდა აივანს და მთლიანად მოანგრია, მაგრამ ვაცმა რომ ითქვას, ის აივანი არც არავის ხვდებოდა თვალში. სასადილო ოთახში იატაკი გამომწვარიყო იმ ადგილას, სადაც ანარქისტებს შუაცეცხლი დაენტოთ, მაგრამ სწორედ მაგ ადგილას დიდი შავი მაგიდა გვედგა და გაფუჭებული ადგილის შესამჩნევად ამ მაგიდის გადაადგილება იყო საჭირო; თავად ეს მაგიდაც ორი თვის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა (ალბათ სადმე კოცონს თუ შეუკეთესო - ასე ამბობდნენ), მაგრამ ფიგურასიდან ოცი კილომეტრის მანძილზე აღმოაჩინეს ვიღაც კბილის ექიმის სახლში. ასე გეგონებოდათ, რაიმე შენობის დანგრევის ამსახველ დოკუმენტურ ფილმს უყურებო, ოღონდ - უკუღმა გაშვებულს: ყველაფერი, რაც დაინგრა, დაიკარგა, გაფუჭდა, თითქოს თავის ადგილს უბრუნდებოდა, შეკეთდებოდა, გადაგავიწყდებოდა... მე რომ ჩავედი, არც პიანინო იდგა ჩვეულ კუთხეში,

მაგრამ იქედან წამოსვლისას მოიტანეს, დადგეს და აანწყვეს კიდევ! მოკლედ, აქ მეტაფიზიკა ჰეგელის დიალექტიკას ეწინააღმდეგებოდა, ის კი, თავის მხრივ - ჰერაკლიტეს... მოკლედ, შემძლია ვთქვა, რომ ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შევედი...

პარიზიდან წამოსვლამდე ერთ ჩემს ბავშვობის მეგობარს შევხვდი; რაც თავი მახსოვს, სულ რევოლუციონერობდა, ოთხი წელიწადი თავგადაკლული ტერორისტი იყო და სურდა, ესპანეთის რესპუბლიკა დაემყარებინა. სამოქალაქო დაპირისპირების დროს ანტიფაშისტურ დაჯგუფებაში ჩაენერა, მერე პარიზს შეაფარა თავი. ჯიბეცარიელი დაიარებოდა ქუჩებში, ამაყი იმით, რომ გოჯიც არასოდეს დაუთმია ვინმესთვის. მკლავში ჩამავლო ხელი და ტრაგიკული ტონით ჩამჩურჩულა: „ახლა მხოლოდ ის გვჭირდება, როგორმე ფრანკო გავაძევოთ და კონსტიტუციური მონარქია დავამყაროთ... მოკლედ, მეფე გვინდა!“ - და ამას მეუბნებოდა კაცი, რომელიც ლამის ბავშვობიდანვე რევოლუციონერობდა!

ამან გამახსენა, რამდენ მხატვარს ვიცნობდი, სულ რევოლუციონერებად რომ მოჰქონდათ თავი, მუდამ აკადემიური ტრადიციების მსხვრევას გაიძახოდნენ და სიბერეში ნებისმიერ აკადემისტზე უფრო აკადემიური ხდებოდნენ. მაგრამ მე არც ერთ ამათგანს არ ვეკუთვნი. მე არაფერს არ ვუბრუნდები, არაფერს არ ვანგრევ - იმასაც კი, რასაც დასანახად ვერ ვიტან - თუნდაც ამ ომის შემდგომ რევოლუციურ ხედვას, რომელსაც კი არ უარვყოფ, მისი გადახარშვა მსურს: ესეც თავისებური ტრადიციაა, რომელიც აუცილებელია, შემდეგ ტალღაში გადავიდეს - ბოლოს და ბოლოს კოსმოგონია ხომ „გამაერთიანებელი ერთიანობაა“, ის არც რეაქციაა და არც რევოლუცია - კოსმოგონია აღორძინებაა, დანყობილი და აწყობილი ცოდნა.

პორტ-ლიგატში ჩემს ძველ ნაცნობებს, მეთევზეებს მივაკითხე. ყველა, როგორც ერთი, გულისტკივილით იგონებდა ანარქისტების ბეობის ხანას: ქურდობა, მკვლელობა... იოტისოდენა კარგი არაფერი გაუკეთებიათო.

„ახლა?“ - ვეკითხები.

„ახლა რა, ისევეა, როგორც ძველად - გადიხარ ზღვაში, თევზაობ, სახლში ბრუნდები...“

ჩემს სახლში რომ შევედი, მთლიანად გავერანებული დამხვდა. ბიბლიოთეკას ერთი წიგნიც არ შერჩენოდა, კედლები კი უხამსი წარწერებითა და ნახატებით „გაელამაზებინათ“. მათგან აბრიანი მხოლოდ სამი იყო: Viva la Anarquia! Tercio de Santiago - Arriba Espana![30]

\*

მადრიდში სამი კვირა დავყავი და მერე ლისაბონში გავემგზავრე, სადაც გალა მელოდებოდა. იქიდან ვაპირებდით ამერიკაში წასვლას. თუმცა, მადრიდში ყოფნისას ჯერ მოქანდაკე ალადროს გადავეყარე - ჩემს ყმანვილობისდროინდელ ნაცნობს, მერე პოეტ მარკინას ვესტუმრე და ფრიად ნაამები დაგირჩით, სასტუმრო ოთახში რომ ჩემი ნამუშევარი ვნახე თვალში საცემად გამოდებული; ეუხენიო მონტესსაც შევხვდი - მე თუ მკითხავთ, თანამედროვეობის ულირიკულეს მოაზროვნეს, „ბაროკოს ხანის პეტრონიუსს“; უკვე ასაკში შესულ ეუხენიო დ'ორსის, პირწავარდნილი პლატონი იყო თავისი იმ მოქუშტული წარბებით; ასევე, ანტიგორგონისტ რაფაელ სანჩეს მოროს, რომლის ერთი მაკიაველისტური გამოხედვითაც კი მიხვდებოდი, რომ იტალიური აღორძინების საკითხების განხილვაში ტოლს არ დაუდებდა არავის, ხოლო მოახლოებული დასავლური რენესანსის თაობაზე მისი გათვითცნობიერებულობა ხომ ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა...

ოდონდაც, ეს ყველაფერი ისევ და ისევ მხოლოდ გარეგანი იყო ჩემთვის - ჩემი შინაგანი, ღვთაებრივი თვითმყოფადობა ახლა თითქოს გაურბოდა ამ კოლექტიური თავყრილობების გამოვლინებებს: არა, ორი ნახევრიდან ერთ მთლიან არსებას ვერ შეკრავ - ისევ ამერიკას უნდა დავბრუნებოდი და ფული მეკეთებინა - გალასათვის, ჩემთვის, ჩემი ამ შინაგანი ლტოლვისათვის!

ასე რომ, მალევე ჩავედი ლისაბონს. იქ კიდევ ცოდვის ტირილი იდგა: სწორედ იმ მოედანზე, სადაც ადრე ინკვიზიცია ხალხს წვადა, ახლა სულ სხვადასხვა ეროვნების

ათასობით დევნილი ცდილობდა, ბიუროკრატიის ცეცხლის ენებისათვის დაეღწია თავი და ამა თუ იმ ქვეყანაში გასამგზავრებლად ვიზა მიეღო. ეს იყო ყველაზე თვალნათელი მაგალითი, რა მოიტანა ომმა და რა მიიღო ბებერმა ევროპამ ამავე ომის შედეგად...

პორტუგალიის დედაქალაქში ჩემი ხანმოკლე ყოფნა ახლაც კი რაღაც არარეალურად მეჩვენება: გავიხედავდი და - „დაიცა, ეს მთლად სვიაპარელის არა ჰგავს?“ მიუახლოვდებოდი და - მართლაც ის აღმოჩნდებოდა! „არა, ნახე ერთი - გამოყვანილი რენე კლერი!“ არადა, მართლა ის იყო... უინძორის დუკა და პადერევსკი ერთ სკამზე სხდებოდნენ პარკში - პირველი მტრედების დასაპურებლად, მეორე - ჩამავალი მზის საცქერლად... იმავე პარკის კუთხეში, საზღვაოსნო სააგენტოს კართან კიდევ ვიღაცა თავად სალვადორ დალის დალანდავდა...

ამერიკაში ჩასვლისთანავე მთელი ხუთი თვით გამოვიკეტე - ვხატავდი და მორიგ წიგნს ვწერდი.

\*

ნელი-ნელ სულ უფრო და უფრო ვიჭერებდი ამ საოცარი ხელსაწყოს - თვალის უნარს, სწორად განესაჯა ყველაფერი! ძილ-ღვიძილში, თვალდახუჭული, თვალის სიღრმიდან ვიცქირებოდი ხოლმე, საკუთარ „თვალს“ ვხედავდი და აღვიქვამდი, როგორც რამ ფოტოაპარატს - არა ობიექტური სინამდვილის გადამღებს, არამედ ჩემი საკუთარი ფიქრების დამაფიქსირებელს. მოკლედ, მალე იმ დასკვნამდეც მივედი, რომ ფიქრის „გადაღება“ ისევე შესაძლებელია, როგორც ნებისმიერი ხილული ობიექტის! უკან აღარ დამიხევია და თეორიული საწყისებიც შევიმუშავე - ეს ახლა უკვე ფაქტია და როგორც კი შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობა შეიქმნება, შეერთებული შტატების სამეცნიერო წრეებსაც მაშინვე წარვეუდგენ.

რამე რომ იყოს, ეს სწორედ იმის შესაძლებლობას მოგვცემს, რაც მე მუდამ ჯადოსნობად მესახებოდა: ნებისმიერი კერძო პირის წარმოსახვითი სურათების მატერიალურად გამოსახვის შესაძლებლობას, და ესაა სწორედ კინემატოგრაფის ჭეშმარიტი დანიშნულება და მომავალიც! აკი სწორედ ამას ცდილობს ხელოვნება - მცირე ნარჩევი ჯგუფის მეშვეობით წარმოაჩინოს ის, რაც სხვებისათვის უხილავია...

თუ საჭირო გახდა, მთელ დარჩენილ ცხოვრებას იმას შევალევ, ეს ჩემი გამოგონება დავხვეწო - მეცნიერ-ტექნიკოსთა დახმარებით, რაღა თქმა უნდა, რადგან მაისის 8 რიცხვში, ნიუ-იორკის სასტუმროში, დილაუთენია, ფართხაფურთხით გაკეთებული ეს ჩემი ჩანაწერები რაღაც ზოგადი იდეა კი არა, სრულად ჩამოყალიბებული თეორიაა და ახლა მხოლოდღა ტექნიკურ დახმარებას თუ საჭიროებს...

\*

ეს წიგნიც უახლოვდება თავის დასასრულს.

ჩვეულებრივ, ხალხი მაშინ იწყებს მემუარების წერას, როცა „ცხოვრება უკვე დასრულდა“ - ანუ, ასაკმაც მოუკაკუნათ და საკუთარი ცხოვრების დასალიერსაც ჭვრეტენ. მაგრამ მე ხომ ყველაფერსა და ყოველთვის უკუღმა ვაკეთებდი - თითქოსდა სხვათა ჯიბრით, და ახლაც ასე მგონია, ჯობს, დროზე თქვა სათქმელი. საქმეც ისაა, რომ ამით თითქოს ნახევარ ცხოვრებას უკან ვიტოვებ და ახალს ვიწყებ - გამოცდილებით გამდიდრებული, წარსულის ტვირთით არდამძიმებული. ჩემთვის მართლა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წარსული, ასე ვთქვათ, „მოვკლა“ და როგორც გველი იცვლის კანს, ისე მოვიცილო თავიდან - აღარც ის ძველი გამარჯვებები მჭირდება, აღარც თავის მალვა - აღორძინებას მიველტვი და ეს უნდა იყოს ჩემი მომავალი მაშინ, როცა ეს წიგნი გამოვა!

ახლა კი, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მთელი ტანით ვიგრძობ, რათა ეპიდემიის ბოლო სანტიმეტრებიც მოვიშორო და თავადაც იმ ჩემს სახელგანთქმულ „ლბილ პიანინოებს“ დავემსგავსო...

ახალი კანი, ახალი მიწა! და თავისუფლება - რამდენადაც კი ეს შესაძლებელია ადამისშვილისათვის. თუმცა, განათუ ამერიკაში ვერ იპოვით ჩემი ძველი კანის ნაგლეჯებს?! როგორ არა - ნიუ-იორკიდან კალიფორნიაში, ამ „აღთქმულ მიწაზე“ ყველგან მისი ნაფლეთები იქნება მიმოხვეული.

ჩემი გარდასახვა იგივე ტრადიციის ძებნაა, რაკი ტრადიციაც ეგაა - კანის გამოცვლა, ახლით შემოსვა, რაც ბიოლოგიურ ცვალებადობათა უცილობელი თანამდევია. მაგრამ ეს არც ქირურგიული ჩარევით მიიღწევა, არც რევოლუციით, არც თანდათანობითი გარდასახვით - ამას „აღორძინება“ ჰქვია. მე ახალს არაფერს ვაცხადებ - მე მხოლოდ ვაგრძელებ. ვაგრძელებ ჩემს სანყისს, რადგან თავადვე წამოვიწყე საკუთარი დასასრული, რათა ისევ წამომეწყო იგივე, და ბოლო ყოფილიყო სანყისი, ანუ - რენესანსი.

ბოლოს და ბოლოს, დავბერდები ვია ოდესმე? ყოველთვის მოკვდინებით ვინცები, სიკვდილისაგან თავდასაღწევად. სიკვდილი და აღდგინება, რევოლუცია და რენესანსი - ესაა სწორედ დალისეული ტრადიციის მითი. გალასაც ხომ სწორედ მაშინ დავეახლოვდი, როცა მისი მოკვლა მოვისურვილე! ახლა ვი, ჩვენი ერთად ყოფნის ამ შვიდი წლის თავზე, მსურს, მართლა შეველღდეთ, ყველა წესის დაცვით; ანუ - „რევოლუციური“ ცვლილებების მაგივრად, მსურს, ისევ იგივე, ჩემი გალა დავისვა ცოლად...

კარგად მახსოვს, რომ პარიზში ჩამოსვლისას მე და გუსტავ მურო მხატვრობის ჩაკვლას ვეპირებოდით; ახლა ვი მხატვრობაა, რომ მკლავს მე, რაკილა მის ხსნას ვცდილობ და არა მგონია, ქვეყნად რაიმე საშუალება არსებობდეს მის ასაღორძინებლად! აქედან ის მტკიცდება მხოლოდ, რომ დალი = დალის, რომ იგივე ვარ მარად და მარად, და ჩემეული ტრადიციია სწორედ ჩემივე განუმეორებლობის მაუწყებელი.

ვაგრძელებ...

ევროპაც ასევე...

ახლა, თავისუფლების ამ ათასსარკმლიანი შუქურიდან რომ გავცქერი მას, ყველაფერს თავისი ალაგი უჩნდება - ჩემს ექსპერიმენტებს, სიურრეალისტური რევოლუციის მცდელობებს, ჩემს ასკეტურ გარდახვეწას ესპანეთში, ესთეტიკურ ვოიაჟებს იტალიის სანახებში - ყველაფერი ეს საჭირო ყოფილა და უცილობელი. ახლა არათუ მხოლოდ წარსულს აღვიქვამ ნათლად, მომავალსაც ასევე ვჭვრეტ.

ახლანდელი, მთელ ამ უაზრო რევოლუციებგადატანილი, ომის ნანგრევებიდან ახლად გამოსული ეს ბერძნულ-რომაული ცივილიზაციაც თავის კანს იცვლის - ტრადიციებსა და საკუთარ ფესვებს ეძიებს, მტკივნეულად. მას აღარც ცხოვრების დაუოკებელი წყურვილი გააჩნდა და აღარც გამოხატვის ფორმები - ყველაფერი ეს ნეგატივისტური, ნიჰილისტური „იზმების“ მატერიალისტურმა სკეპტიციზმმა შეინირა; იერარქია მოირღვა და ყოველივე ვიწრო სპეციალიზაციამ, ანალიზმა, სინთეზირების უუნარობამ მოიცვა. ამას ვი უცილობლად უნდა მოჰყოლოდა კიდევ რწმენის საფუძველთა რღვევა.

ბოლო ომიდან ბებერ ევროპას „რევოლუციის“ ის ყოვლად ქიმერული, მესიანისტური იდეა და რჩა, რომელიც თავის მხრივ, ყველაფერს შეცვლიდა ამქვეყნად. ეს იმედეები ვი მსოფლიო ომად გარდაისახა მხოლოდ. ეს კიდევ ერთხელ მიათითებს ყოველგვარი რევოლუციური იდეების სრულ გაპარტახებაზე. მართლაცდა, კომუნისტებისა თუ ნაციონალ-სოციალისტების კოლექტივისტური, ათეისტური ანდა ნეონარმართული იდეები, გინდაც ეხმიანებოდნენ ერთმანეთს და გინდაც კრიჭაში ედგნენ, მაინც განწირულია კვდომად, რადგან მათ ისევ ის კათოლიკური, ევროპული, ხმელთაშუაზღვისპირეთის ტრადიცია ეცილება ბეობას. მე პირადად, ფრანგული ფილოსოფიური კათოლიციზმისაც მჯერა და მებრძოლი ესპანურისაც. ახლა პოსტმექანიცისტურ და მატერიალისტურ ექსპერიმენტებგამოვლილი ევროპა ერთგვარ შუასაუკუნეებში აღმოჩნდება, საიდანაც გაიდგამს კიდევ ფესვებს მისი სულიერების ცივილიზაცია. აი, სწორედ მაშინ დაიწყება ის პროცესი, რაც კვლავაც მომავალი აღორძინების პიროვნებათა გაჩენამდე მიგვიყვანს!

და მე, სალვადორ დალი, ვიქნები ამ აღორძინების წინამორბედი! და თუნდაც რუსული ათეიზმი ნაციისტი როზენბერგის ნეონარმართობამ მოსპოს, ის თავად გაქრება თუნდაც მის მიერვე გაერთიანებული ევროპის წიაღში. ევროპას მხოლოდ კათოლიციზმი გააერთიანებს საბოლოოდ, რადგან სული მისი იმავე ბერძნის სვეტების ორფრთოვან წყებაში უნდა ვეძიოთ, წმ. პეტრეს ტაძრის გუმბათქვეშ, ვატიკანის ხელისგანვდენაზე...

კულტურის ისტორიის გარიჟრაჟზე, როცა ათასი სხვა ორნამენტიდან ადამიანმა აკანთოს ფოთოლი გამოარჩია დასავლური ესთეტიკის სიმბოლოდ, ამით ბერძნულ-რომაული



ცივილიზაცია იმთავითვე დაუპირისპირდა აღმოსავლეთს - ლოტოსის ყვავილს. აკანთოს ფოთოლი ამშვენებდა სულ პირველი კორინთული სვეტების თავს, და მას მერე მუდამ თან სდევდა აღშენების ევროპული აზროვნების გზას. ხანდახან კარგა ხნითაც კი ჩაიკარგებოდა ხოლმე რევოლუციურ ქარიშხლებში, მაგრამ მალევე ახლა სხვა ეპოქის სვეტების ნახტებს ედებოდა ისევ...

ადამიანები ერთმანეთს კლავდნენ; ხალხები ქედს უხრიდნენ დამპყრობლებს; სხვები კიდევ ბალღინჯოებივით იბერებოდნენ დაპყრობილი მიწების გეოგრაფიული სისხლით, და ამ ორომტრიალში აღარავის ახსენდებოდა აკანთოს ყვავილი, თითქოსდა არც არსებულიყო ოდესმე... მაგრამ სასწაულებრივად, ის ისევ წამოყოფდა ხოლმე თავს - მარადმწვანე, მარად ცოცხალი, მარადიული სიმბოლო! და ადამიანებიც, თითქოსდა არც არაფერი ყოფილიყოს, კვლავაც ეთაყვანებოდა მას - ტრადიციას, უბიწოებას, უკვდავებას...

ვერავითარი „მაჟინოს ხაზი“ - ყალბი მასალისა და პოლიტიკისაგან ნაგები მყიფე ზღუდე ვერ დაიცავს ქვეყანას, მაგრამ ტყვედ წამყოფი ჯარისკაცი, რომელიც შარტრის ტაძრის დანახვამზე ცრემლს ვერ იკავებს, წამში ხდება ის „ქვა კათოლიკე“, რომელმაც ტრადიციის ძალა დაფუძნებული.

საუკუნეებმა სულ ოდნავ თუ უცვალა მოხაზულობა აკანთოს ფოთოლს; ქრისტეს დროიდან, პალადიოს კლასიციზმის გავლით, ლუი XIV-ის აპოთეოზისა და ლუი XV-ის ისტერიის მოწმე, ორგიასტული - ბაროკოს დროს, თავნაკვეთილი - საფრანგეთის რევოლუციის მიერ, თავდახრილი ნაპოლეონის ომების დროს, მთლად ნევრასტენიული - თანამედროვე სტილისტიკაში, ახლა მისი ხსენებაც კი არავის უნდა - ერთი განვლილი და მეორე მოსალოდნელი ომის ხანაში!

მაგრამ ის ხომ არ მომკვდარა - მას სძინავს მხოლოდ, და იქნებადა, სწორედაც ჩემს გონებაში! დი-იახ, ბატონებო და ქალბატონებო - მე, სალვადორ დალი, ვაცხადებ, რომ ახალი ხანა დადგა - სიურრეალიზმი ახლა მყარ ქვაკუთხედად უნდა იქცეს და მანაც მდიდრულ მუზეუმებში გადაინაცვლოს!

როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ზედ მისი სიკვდილისწინა დღეებში მაინც შევხვდი ზიგმუნდ ფროიდს, მაშინვე მივხვდი, მის მოღვაწეობასთან ერთად, რამდენი რამ დასრულებულიყო ევროპაში!

ასე მითხრა: „კლასიკურ მხატვრობაში მე ქვეცნობიერს ვეძიებ, სიურრეალიზმში კი - ცნობიერს...“

ვფიქრობ, ეს განაჩენი იყო სიურრეალიზმისა - როგორც დოქტრინის, როგორც მრწამსის, როგორც „იზმის“; მაგრამ ამავე დროს, ეს სიურრეალიზმის, როგორც ტრადიციის, როგორც მისივე „სულიერი მდგომარეობის“ უტყუარობაზეც მიათითებს; და განა იგივე არ სჭირდა ლეონარდოს - „გამოსახვის დრამა“ - ტრაგიკულობისავე განცდა ცხოვრებასა თუ ესთეტიკაში...

იმხანად ფროიდი თავის „რელიგიის ფენომენსა და მოსებე“ გახლდათ დაციკლული და კარგად მახსოვს, რამდენჯერმე რომ ახსენა სიტყვა „სუბლიმაცია“ და ისიც დაამატა - მოსე სუბლიმაციის განსახიერებააო... ახლანდელი ინდივიდუალისტური მეცნიერება მხოლოდ ამ სამ, თუმც კი მარადიულ არსსდა თუ უწევს ანგარიშს - სექსუალურ ლტოლვას, სიკვდილის განცდას, სივრცე-დროის შიშს. და რამდენიც არ უნდა იჭყლიტონ ტვინი, მაინც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მათი სუბლიმირება ხდება საჭირო: სექსუალური ლტოლვა ესთეტიკაში უნდა გაითქვიფოს, სიკვდილის განცდა - სიყვარულში, დროისა და სივრცის შიში - მეტაფიზიკასა და სარწმუნოებაში. გვეყო უარყოფა - ახლა მტკიცებათა ჟამია დამდგარი! გვეყო დანაწევრება - ახლა გაერთიანება და სუბლიმირება საჭირო! ავტომატიზმს სტილი უნდა დავუპირისპიროთ, სკეპტიციზმს - რწმენა, ნიჰილიზმს - გამოსახვის ტექნიკა, კოლექტივიზმს - ინდივიდუალიზმი და იერარქია, უთავბოლო ექსპერიმენტებს - ტრადიცია. ხოლო ამაზე რეაქციისა თუ ამის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციის წამალი მხოლოდ ერთია - აღორძინება!

ახლა უკვე ოცდაჩვიდმეტი წლისა ვარ და ზუსტად ის დღეა - 1941 წლის ივლისი, როდისთვისაც ჩემს გამომცემელს ხელნაწერის მომთავრებას დავპირდი.

დედიშობილა ვდგავარ სარკის წინ, საკუთარ თავს ვათვალიერებ: თმაში ჭაღარა ჯერ არც კი შემპარვია, ტერფებზე არც ერთი კოჟიჟი არ მანუხებს და სხეულიც ისევ ისეთი, ლამის მოზარდისა მაქვს... არც განქორწინებას ვაპირებ და არც ჩინეთში გამგზავრებას, არც თვითმკვლელობის აკვიატება მიმძიმებს სულს, არც კლდიდან პარაშუტით არ ვეპირები გადმოხტომას და არც დუელში ვინმეს გამოწვევა მსურს. მე მხოლოდ ორი რამ მინდა: მიყვარდეს ჩემი მეუღლე - გალა და კიდევ ის, რომ რაც შეიძლება, ჩქარა დავბერდე. ახლაღა ვხვდები - შვიდი წელია, ის ქალი მიყვარს და მიყვარს სწორედაც იმ სიყვარულით, რომის კათოლიკური სამოციქულო ეკლესია რომ მოითხოვს! ავი განაცხადა კიდევ ერთხელ უნამუნომ: „ეს იმას ნიშნავს, შენს მეორე ნახევარს თუ მარცხენა ფეხი წამოსტკივდა, შენც იგივე ფეხი უნდა გტკიოდეს...“

მე თავად გახლავართ ომის შემდგომი ევროპის ინკარნაცია, და რომ დავბრუნდები, იქნებადა, ევროპაც კიდევ უფრო დაბერებული დამიხვდეს, მანამდე კი ამ წიგნსაც ვიხილავ დასტამბულს. რაც აქ მინერია, ყოველივე საკუთარ სულში მაქვს გადახარბული და ეგებ ამიტომაც ვიმსახურებ, ის ვინმემ მაინც წაიკითხოს... სიურრეალისტური რევოლუციის წამომწყებმა, დიალექტიკური მატერიალიზმიც ვინვნიე და ნაციონალ-სოციალიზმის ფსევდოფილოსოფიური დოქტრინის მითებისა თუ სისხლის შედეგებიც. ღვთისმეტყველებაც შევისწავლე და ყველაფერს, რასაც ოფლითა და ცრემლით მივალნიე, მხოლოდ საკუთარ თავს ვუმაღლი. ოღონდ ეგეცაა - მთელი ჩემი ესპანელობის მიუხედავად, ფანატიზმამდე მისული ჩემი მცდელობებისა და ექსპერიმენტების მიუხედავად, არასოდეს წამცდენია სული, პოლიტიკაში გაგრეულიყავი; მაშ, ახლა, როცა პოლიტიკას, საცაა, რელიგია უნდა ჩაენაცვლოს, რაღა ღმერთი გამინყრება?!

1929 წლიდან მოყოლებული ვაკვირდებოდი მიმდინარე პროცესებს და გავბედავ ვთქვა, ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენაც კი არ დამრჩენია შეუმჩნეველი; თუკი - ჩვენი დღევანდელი სპეციალიზაციისაკენ ამ გაუსაძლისი მიდრეკილების გამოისობით - რაღაცას ბოლომდე ვერ ჩავწვდი, ზოგადად ხომ მაინც გასაგები ხდებოდა ყველაფერი! და ბოლოს, აი, ამ ერთ დასკვნამდე მივდი: არაფერი, სრულიად არაფერი - გინდაც ფილოსოფიის, ესთეტიკის, ბიოლოგიისა თუ საკანონმდებლო მიღწევათა შორის - არ ეწინააღმდეგება სარწმუნოების პრინციპებს! პირიქით - მეცნიერების ტაძრის ყველა სარკმელი ზესკნელისაკენ იღება...

და რა არის ეს ზესკნელი? როგორ ავაღწიოთ იქამდე?

„ცათა შინა არცა ზემოთაა, ანთუ ქვემოთ; არცა მარჯვნივაა და არცა მარცხნივ - ის ზედ იმ ადამიანის შუანელბეა, ვისაც რწმენა აქვს!“

დასასრული

... მე, ჩემდათავად, არავითარი რწმენა არ გამაჩნია და ვშიშობ, სასუფევლის დამკვიდრების შანსიც მცირე მაქვს.

სალვადორ დალი

ღღის 12 საათი



